

კონსტანტინე კორკელია (რედ.)

# ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტები

სტატიათა კრებული



კონსტანტინე კორკელია (რედ.)

ადამიანის უფლებათა დაცვა:  
საერთაშორისო და  
ეროვნული ინსტიტუტები

სტატიათა კრებული



თბილისი  
2024

**Konstantin Korkelia** (*ed.*)

Protection of Human Rights: International and National Institutions  
Tbilisi, 2024

# სარჩევი

## **კონსტანტინე კორკელია**

წინასიტყვაობა..... 5

## **ციცი გიგოიძე**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის  
მოქმედების ფარგლები შეიარაღებული კონფლიქტის დროს ..... 7

## **გური (ბაჩანა) ებრაღიძე**

იეჰოვას მოწმეების შინაგანი რწმენა ჰემოტრანსფუზიის წინააღმდეგ:  
უფლებათა კოლიზიისას არსებული სამართლებრივი გამონეგებები  
და საერთაშორისო გამოცდილება ..... 22

## **კონსტანტინე კორკელია**

სიცოცხლის უფლების დაცვის საპროცესო ვალდებულების  
მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში  
და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან ..... 44

## **ქეთევან კუკავა**

ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი  
და მისი გავლენა ადამიანის უფლებებზე ..... 86

## **ბესო ლოლაძე**

თანაზომიერების პრინციპი და მისი გამოყენება საქართველოში ..... 97

## **ნანა მჭედლიძე**

ევროპული კავშირის კომისიის რეკომენდაცია მამხილებლის  
დაცვის გაძლიერებაზე და მამხილებლის დაცვა ადამიანის  
უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ..... 123

## **თამარ ონიანი**

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული კლიმატის სამართალწარმოება  
ევროპულ სასამართლოში: მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა ..... 145

## **მარიამ ონიანი**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს  
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შედარებითი ანალიზი  
გარემოსდაცვითი უფლებების უზრუნველყოფის კონტექსტში ..... 171

### **ირაკლი პაპავა**

|                                                                                     |     |
|-------------------------------------------------------------------------------------|-----|
| ადამიანის უფლებათა კონცეფცია ევროპის კავშირის<br>ძირითადი უფლებების ქარტილაში ..... | 191 |
|-------------------------------------------------------------------------------------|-----|

### **ნინო ცუხიშვილი**

|                                                                                                                                                                              |     |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება და პროფესიული ვალდებულებები:<br>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის<br>უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები ..... | 226 |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|

|                              |            |
|------------------------------|------------|
| <b>ავტორთა შესახებ .....</b> | <b>244</b> |
|------------------------------|------------|

# წინასიტყვაობა

ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და მიზნად ისახავს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების წევრების დაცვას სახელმწიფოს უკანონო და არამართლზომიერი მოქმედებისაგან. სახელმწიფომ არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავოს ადამიანის უფლებებში უკანონო და არამართლზომიერი ჩარევისაგან, არამედ უნდა გაატაროს ისეთი საკანონმდებლო და პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება საზოგადოების წევრების დაცვისაკენ. ამისათვის სახელმწიფომ უნდა შექმნას საკანონმდებლო მექანიზმი და ეფექტიანად აღასრულოს ის პრაქტიკაში.

თუ სახელმწიფოში არსებობს ნება ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის ეროვნული მექანიზმის შესაქმნელად, სახელმწიფომ შეიძლება გაიზიაროს როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო/ევროპული ორგანოების გამოცდილება, ისე სხვა სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკა. ასეთი გამოცდილების გაზიარებას ემსახურება წინამდებარე კრებული, რომლის მიზანია საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა.

წინამდებარე სტატიათა კრებული საზოგადოებას აცნობს არა მხოლოდ გამოცდილი იურისტების მოსაზრებებს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, არამედ ასევე ახალგაზრდა, დამწყები იურისტების შეხედულებებს. ამიტომ წელს კრებულში თავმოყრილია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტის – ციცი გიგოიძის, გური (ბაჩანა) ებრაღიძისა და მარიამ ონიანის – სტატიები.

წინამდებარე პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ.

საყურადღებოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით ადამიანის უფლებათა საკითხებზე ეს კრებული რიგით მეცხრამეტეა (დეტალური ინფორმაცია წინა წლებში გამოცემული კრებულების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ კრებულის ბოლო გვერდზე).

კრებულის გამოცემის საქმეში განეული დახმარებისათვის მადლობა მინდა გადავუხადო თამარ გაბელაიას, რომელმაც უზრუნველყო სტატიების ენობრივი გამართულობა.

კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის: მოსამართლეებისათვის, ადვოკატებისათვის, პროკურორებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის, ისე ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ავტორთა მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ ორგანიზაციების პოზიციებს, სადაც ისინი მოღვაწეობენ.

**კონსტანტინე კორკელია**

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო  
სამართლის პროფესორი

2024 წლის 22 ნოემბერი



# ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების ფარგლები შეიარაღებული კონფლიქტის დროს

ციცი გიგოიძე

## 1. შესავალი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთმიმართების საკითხი დღითიდღე აქტუალური ხდება, რადგან კონფლიქტების რიცხვი არა თუ იკლებს, არამედ მატულობს<sup>1</sup> და მასთან ერთად იზრდება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა რაოდენობაც.<sup>2</sup> შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის გაზრდა დიდი მნიშვნელობის მატარებელია.<sup>3</sup> საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარგები ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად და, იმავდროულად, განსხვავებულად განვითარდნენ. შესაბამისად, დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ მათ ერთმანეთთან არსებითი კავშირი არ ჰქონდათ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გახდა საერთაშორისო სამართლის პირველი კოდიფიცირებული დარგი, რომელიც განვითარდა სახელმწიფოთა თანმიმდევრული და ერთგვაროვანი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული ჩვეულებიდან.<sup>4</sup> შესაბამისად, ჟენევის კონვენციები და მისი დამატებითი ოქმები წარმოადგენენ კოდიფიცირებულ ჩვეულებით სამართალს.<sup>5</sup> განსხვავებით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისგან, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალმა განვითარება დაიწყო სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობებში. ამის თვალსაჩინო მაგალითია ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, რომელიც საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ მიიღო 1789 წელს. დეკლარაცია აღიარებდა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას, კანონის უზენაესობას, საზოგადოებას, როგორც ხელისუფ-

---

1 იხ. დეტალური სტატისტიკა: [<https://acleddata.com/conflict-index/index-july-2024/>].

2 UN Security Council 9632nd Meeting (AM & PM), SC/15702, 2024 წლის 21 მაისი, <https://press.un.org/en/2024/sc15702.doc.htm>

3 Speech given by ICRC president at Human Rights Council, 2016, "The best way to counter the long-term impact of protracted conflicts, which can affect whole generations of whole nations, is to prevent violations of international humanitarian law and international human rights law."

4 D. Schindler, Human Rights and Humanitarian Law: Interrelationship of the Laws, 31 Am. U. L. Rev, 935.

5 Th. Meron, Geneva Conventions as Customary Law, The American Journal of International Law, Vol. 81, No. 2, 1987, 350.

ლებისა და კანონის წყაროსა და გამოხატვის თავისუფლებას,<sup>6</sup> თუმცა ის არანაირ კავშირში არ იყო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან, რადგან ასეთი ცნება იმ დროისთვის არ არსებობდა.<sup>7</sup> ადამიანის უფლებები, უპირველეს ყოვლისა, მიჩნეული იყო როგორც ურთიერთობა სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის, როგორც მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი პროცესი.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სისტემატიზება იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, უფრო ზუსტად კი, ეს შეუქცევადი პროცესი სათავეს იღებს გაერთიანებული ერების ქარტიის ძალაში შესვლით 1945 წლის 24 ოქტომბერს, რომლის მთავარი მიზანიც საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვასთან ერთად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და განმტკიცება იყო.<sup>8</sup> შესაბამისად, ამ ორ დარგს შორის კვეთა, პირველ რიგში, სწორედ გაეროს ქარტიის მოქმედების ფარგლებში უნდა ვეძებოთ.

მართალია, 1945 წელს გაეროს ქარტიის ძალაში შესვლამ და შემდგომი ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების მიღებამ „მშვიდობის სამართალსა“ და „ომის სამართალს“ შორის არსებული სამართლებრივი სხვაობა შეცვალა,<sup>9</sup> თუმცა 1949 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ მკაფიოდ განაცხადა უარი შეიარაღებული კონფლიქტების მისი რეგულირების ფარგლებში მოქცევაზე.<sup>10</sup> კომისიის თანახმად, ძალის გამოყენება აკრძალულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიით და, შესაბამისად, ორგანიზაციის მიერ მისი რეგულირება არ შეესაბამება ქარტიის იდეას.<sup>11</sup> გარდა ამისა, გაეროს ქარტიის პირველსავე სიტყვებში იკვეთება მისი თავდაპირველი მიზანი და სულისკვეთება, კერძოდ, პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ორგანიზაცია ემსახურება მომავალი თაობების დაცვას ომის უბედურებისგან.<sup>12</sup> შესაბამისად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების პირველ ეტაპზე მისი შეიარაღებულ კონფლიქტებში არათუ გამოყენების მცდელობა, არამედ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ამის არც მზაობა და სურვილი არ არის.

1991 წელს ქუვეიტისა და 2003-2004 წლებში ერაყში შეიარაღებული კონფლიქტების დროს ამ ორი დარგის ერთდროულად გამოყენებამ რეალურად დაანახა საერთაშორისო საზოგადოებას, რამხელა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მათ ურთიერთმიმართებასა და ერთდროულად გამოყენებას,<sup>13</sup> თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „განცალკევების

6 The Declaration of the Rights of Men and of the Citizen, National Assembly of France, 1789.

7 K. Orzeszyna, Convergence of International Humanitarian Law and International Human Rights Law in Armed Conflicts, *Studia Iuridica Lublinensia*, vol. 32, 3, 2023, 243.

8 United Nations, Charter of the United Nations, 1 UNTS XVI, 1945, Preamble.

9 Hans-Joachim Heintze, On the Relationship between Human Rights Law Protection and International Humanitarian Law, *International Review of the Red Cross*, Vol. 86, 2004, 789.

10 Yearbook of the International Law Commission, United Nations, 1949, 281.

11 იქვე.

12 United Nations, Charter of the United Nations, 1 UNTS XVI, 1945, Preamble, "To save succeeding generations from the scourge of war".

13 W. Kalin, *Human Rights in Times of Occupation: The Case of Kuwait*, Bern, 1994, 27.

თეორიას“ დღესაც კი ბევრი მიმდევარი ჰყავს. მაგალითად, ჰუმანიტარული სამართლის ყველაზე ცნობილი და ხშირად გამოყენებადი სახელმძღვანელო საერთოდ არ მოიცავს თემას შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის უფლების გამოყენების შესახებ,<sup>14</sup> რითაც, ფაქტობრივად, უგულვებელყოფს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და განმარტებას ბირთვული იარაღის საკონსულტაციო დასკვნასა<sup>15</sup> და პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აშენების სამართლებრივი შედეგების შესახებ საკონსულტაციო დასკვნაში.<sup>16</sup> სასამართლომ ამ საკონსულტაციო დასკვნებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICCPR) მხოლოდ მშვიდობიან პერიოდში არ გამოიყენება და მისი გამოყენება შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტის დროსაც.

ეს ტენდენციები ხაზს უსვამს, რომ, მიუხედავად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართებისა, დღესაც კი არსებობენ „განცალკევების თეორიის“ მხარდამჭერები, რომელთათვისაც ზემოხსენებული დარგები ორ სრულიად განსხვავებულ პირობებში – ომისა და მშვიდობის – დროს დამოუკიდებლად გამოიყენება, რაც გარკვეულ სირთულეებს ბადებს კონფლიქტის შესახებ ადამიანის უფლებების კონტექსტში მსჯელობისას.

სტატიის მიზანია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს შორის ყველაზე უფრო მკაფიო და მნიშვნელოვანი ღირებულების – სიცოცხლის უფლების დაცვასა და მისგან გადახვევაზე მსჯელობა, უფრო ზუსტად კი, თუ როგორ ახერხებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-2 მუხლზე მსჯელობას შეიარაღებული კონფლიქტისა თუ ოკუპაციის დროს, რა სირთულეებს აწყდება და რა მეთოდებს ავითარებს, რაც ამ ორი დარგის ურთიერთმიმართების კიდევ უფრო ახალ და მკაფიო ტენდენციებს ავლენს.

## 2. სიცოცხლის უფლება, როგორც საერთო ღირებულება

მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისთვის საერთო „ათვლის ნერტილად“ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის ხელშეუვალობა. ეს ორი სამართლებრივი რეჟიმი იზიარებს ადამიანის ამ ფუნდამენტურ უფლე-

14 Dieter Fleck, *Handbook of Humanitarian Law in Armed Conflict*, Oxford University Press, Oxford, 1995.

15 ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ საკონსულტაციო დასკვნა, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, Advisory Opinion, ICJ Reports, 1996 წლის 8 ივლისი, 26-ე პუნქტი.

16 პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აშენების სამართლებრივი შედეგების შესახებ საკონსულტაციო დასკვნა, *Legal consequences of the construction of a wall in the Occupied Palestinian Territory*, Advisory Opinion, 2004 წლის 9 ივლისი, 102-ე-106-ე პუნქტები.

ბებს, რომლებიც ყველა სიტუაციაში მოქმედებს და მათგან გადახვევა დაუშვებელია.<sup>17</sup> ი. დინშტაინი აღნიშნავს, რომ, „როდესაც სიცოცხლის უფლება ილახება, შეუძლებელია საუბარი სხვა უფლებებით სარგებლობაზე“.<sup>18</sup> იმავდროულად, იუგოსლავიის ტრიბუნალი გადანყევტილებაში საქმეზე – *პროკურორი ფურუნდიას წინააღმდეგ* – განმარტავს, რომ, „როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ისე ადამიანის უფლებების მთლიანი არსი მდგომარეობს ყოველი ადამიანის ღირსების დაცვაში... ღირსების შეუვალობის ზოგადი პრინციპის დაცვა გვევლინება ამ ორი დარგის არსებობის მიზეზად“.<sup>19</sup> აქედან გამომდინარე, ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები არა მხოლოდ იზიარებენ საერთო მიზნებსა და პრინციპებს, არამედ მათი სისტემა მიმართულია ერთ-ერთი მთავარი მიზნისკენ, რომ დაიცვან ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლებები. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ განსხვავებით ღირსების ხელშეუვალობისგან, სიცოცხლის უფლება ამ ორ დარგში განსხვავებულად რეგულირდება და განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენება ჰუმანიტარული სამართლის ქრილში.

## 2.1. სიცოცხლის უფლება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

შეიარაღებული ძალების წევრები და სამოქალაქო პირები სარგებლობენ ერთი და იმავე სიცოცხლის უფლებით, თუმცა ეს უფლება შეზღუდულია განსხვავებული სოციალური მოთხოვნებით, რომელთა მიხედვითაც მოქმედებენ ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი.<sup>20</sup>

ჰუმანიტარულ სამართალში სიცოცხლის უფლებით სარგებლობის ორი ასპექტი გამოიყოფა: 1) ჰუმანიტარული სამართლის განსაკუთრებული მახასიათებელი ისაა, რომ სამხედრო პირს აქვს უფლება, პირდაპირ ჩაერთოს საბრძოლო მოქმედებებში.<sup>21</sup> ისინი სიცოცხლის უფლების ხელყოფის დროს სარგებლობენ იმუნიტეტით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რასაც ზოგადად „კომბატანტის იმუნიტეტი“ ეწოდება, თუმცა ეს იმუნიტეტი ვრცელდება მხოლოდ კომბატანტის მკვლელობაზე. სამოქალაქო

17 *პროკურორი დელალიჩის წინააღმდეგ, Prosecutor v. Delalic, Appeals Judgment, No. IT-96-21-A, 149-ე პუნქტი, 2001 წლის 20 თებერვალი, (Celebici case);* იხილეთ ასევე: Th. Meron, The Humanization of Humanitarian Law, The American Journal of International Law, Vol 94, No.2, 2000, 266-67.

18 Y.Dinstein, Terrorism as an International Crime, Israel Yearbook on Human Rights, Vol. 19, 1987, 55, 63; იხილეთ ასევე: Inter-American Commission on Human Rights, Report on Terrorism and Human Rights, OEA/Ser.L/V/II. 116, doc. 5, rev. 1, 2002 წლის 22 ოქტომბერი.

19 *პროკურორი ფურუნდიას წინააღმდეგ, Prosecutor v. Furundzija, Judgement, Case No. IT-95-17/1-T, T.Ch. II, 1998 წლის 10 დეკემბერი, 183-ე პუნქტი.*

20 K. Watkin, Controlling the Use of Force: A Role for Human Rights Norms in Contemporary Armed Conflict, The American Journal of International Law, Vol. 98, No. 1, 2004 წლის იანვარი, 9.

21 International Committee of the Red Cross (ICRC), Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, 43-ე მუხლი.

ლაქო პირებზე, განსხვავების პრინციპის თანახმად, განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება. მეტიც, ნებისმიერი თავდასხმის დროს კომბატანტის ვალდებულებაა, წინასწარ განსაზღვროს სამიზნე და დაადგინოს, რომ ის ნამდვილად სამხედრო ობიექტია.<sup>22</sup> მიუხედავად იმისა, რომ, განსხვავებით ჟენევის კონვენციებისგან, პირველი დამატებითი ოქმის ხელმოწერი არაა ყველა სახელმწიფო, განსხვავების პრინციპი და დამიზნების ვალდებულება ჩვეულებითი სამართლის ნაწილია<sup>23</sup> და, შესაბამისად, სავალდებულო ბუნება აქვს ყველა კომბატანტის მიმართ. ამრიგად, სამოქალაქო პირები დაცულნი არიან საბრძოლო მოქმედებებისგან და კომბატანტის პირდაპირი ვალდებულებაა, განსხვავების პრინციპის საფუძველზე, უზრუნველყოს მათი ეს უფლება, ვიდრე ისინი დაიწყებენ კომბატანტის ფუნქციების შესრულებას. იმუნიტეტი სიცოცხლის უფლების ხელყოფისგან მათ უნარჩუნდებათ, ვიდრე პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ შეიარაღებულ კონფლიქტში და საფრთხეს არ უქმნიან მოწინააღმდეგეს.<sup>24</sup> გამოდის, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი პიროვნების მიმართ ლეიტალური ძალის გამოყენებისას საფუძვლად იყენებს მის სტატუსს; 2) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმატიული ჩარჩო მრავალმხრივ განსხვავდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სისტემისგან. ერთ-ერთი ფუნდამენტური განსხვავება ისაა, რომ ჰუმანიტარულ სამართალში არსებობს ჰუმანურობის სამხედრო აუცილებლობასთან დაბალანსების სტანდარტი.<sup>25</sup> სამხედრო აუცილებლობის პრინციპი საშუალებას აძლევს სამხედრო პირს, რომელიც ექვემდებარება ომის კანონებს, გამოიყენოს ნებისმიერი ძალა, რათა დაიმორჩილოს მოწინააღმდეგე მხარე და შეამციროს მისი სამხედრო პოტენციალი დროის, სიცოცხლისა და ფულის მინიმალური რესურსის გამოყენებით.<sup>26</sup> რადგან შეიარაღებული კონფლიქტი ძირითადად მომაკვდინებელი ძალის გამოყენებას გულისხმობს, სამხედრო აუცილებლობის საფუძველზე ჰუმანურობის პრინციპის გათვალისწინებით, მისი წარმოება ჰუმანიტარული სამართლის ამოსავალი წერტილია.<sup>27</sup> როგორც ეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, აღნიშნული პრინციპები არ აუქმებენ უკვე არსებულ ნორმებს, თუმცა მთავარი საშუალებაა შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების ვალდებულებებისა და უფლე-

22 K. Watkin, Controlling the Use of Force: A Role for Human Rights Norms in Contemporary Armed Conflict, *The American Journal of International Law*, Vol. 98, No. 1, 2004 წლის იანვარი, 15.

23 Ch. Greenwood, Humanitarian Law of Armed Conflict: Challenges Ahead, Customary Law Status of the 1977 Geneva Protocols, *The American Journal of International Law*, 1996, 93, 102-03.

24 Amnesty International, Israel and the Occupied Territories: State assassinations and other unlawful killings, 2001 წლის 21 თებერვალი, 29.

25 R. Coupland, Humanity: What Is It and How Does It Influence International Law? *International Review of the Red Cross*, Vol. 83, 2001, 969-972.

26 *ძველების საქმე, Hostage Case, United States v. List (Wilhelm) and ors, Trial Judgement, Case No 7*, 1948.

27 D. Luban, Military Necessity and the Cultures of Military Law, *Leiden Journal of International Law*, 26, 2013, 328.

ბების ინტერპრეტაციისა.<sup>28</sup> მაგალითად, თუმცა კიბერთავდასხმა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კონკრეტული ნორმით არაა აკრძალული, კანონიერი რომ იყოს, აუცილებელია, შეესაბამებოდეს სამხედრო აუცილებლობისა და ჰუმანურობის პრინციპებს.<sup>29</sup> ზემოთ განხილული განსხვავების პრინციპიდან გადახვევა შეიძლება, თუ სამოქალაქო პირი ასრულებს კომბატანტის ფუნქციებს, თუმცა, სწორედ ჰუმანურობისა და სამხედრო აუცილებლობის პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება მისი მკვლელობა მიჩნეული იყოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევად, თუ დადგინდება, რომ თავდასხმის პრევენცია სხვა გზებითაც იყო შესაძლებელი და მისი მოკვლის სამხედრო აუცილებლობა არ არსებობდა. ჰუმანურობის პრინციპი გვაძლევს შესაძლებლობას, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი გავზარდოთ და სამოქალაქო პირთა სიცოცხლისა თუ სხვა ფუნდამენტური უფლებები უფრო ეფექტიანად იყოს დაცული. მაგალითად, დეზინფორმაციის გამოყენება მტრის შეცდომაში შესაყვანად აკრძალული არაა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში, თუმცა მისი გამოყენება მოსახლეობაში შიშისა და პანიკის დასათესად ეწინააღმდეგება ჰუმანურობის პრინციპს. შესაბამისად, ეს არის ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების დარღვევა.

ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰუმანიტარული სამართალი სიცოცხლის უფლებას იცავს განსხვავების, ჰუმანურობისა და სამხედრო აუცილებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. ბუნებრივია, ჟენევის დამატებითი ოქმები გვაძლევს შესაძლებლობას, რომ კონკრეტული ნორმები განვიხილოთ, თუმცა ზემოთ ხსენებული პრინციპები ქმნის საფუძველს, რაზეც მთლიანად ადამიანის უფლებები არის დაშენებული ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში.

## 2.2. სიცოცხლის უფლების მოკლე მიმოხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ქრილში

ადამიანის უფლებათა სამართლის ოთხი ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტიდან<sup>30</sup> მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უშვებს გამონაკლისს სიცოც-

28 ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ საკონსულტაციო დასკვნა, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion*, ICJ Reports, 1996 წლის 8 ივლისი, 86-ე პუნქტი.

29 International Committee of the Red Cross (ICRC), *Commentary on the Additional Protocols of 8 June 1977 to the Geneva Conventions of 12 August 1949*, 1987 (ICRC AP Commentary), 1395-ე პუნქტი; იხილეთ ასევე: Nils Melzer, *Interpretive Guidance on the Notion of Direct Participation in Hostilities*, International Committee of the Red Cross (ICRC), 77–82; იხილეთ ასევე: International Committee of the Red Cross (ICRC), *Commentary on the Third Geneva Convention*, 2020, 497-ე პუნქტი.

30 იხილეთ: 1966 წლის საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-6(1) მუხლი; ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენცია, მე-4(1) მუხლი; ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია, მე-4 მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-2 მუხლი.

ხლის უფლებიდან, დანარჩენი მათგანისთვის სიცოცხლის უფლებიდან გადახვევა დაუშვებელია.<sup>31</sup> კონვენციის მე-15(2) მუხლი არის ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების ჰარმონიზების ყველაზე პირდაპირი და ეფექტური საშუალება სიცოცხლის უფლების დაცვის ჩრილში, რომლის თანახმადაც „ომის მართლზომიერი მოქმედებებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში“ სიცოცხლის უფლებიდან გადახვევა დასაშვებია. გამოდის, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გამოიყენებს კონვენციის მე-15(2) მუხლს,<sup>32</sup> სასამართლო პირდაპირ შეიძენს იურისდიქციას, განიხილოს შეიარაღებულ კონფლიქტში ადამიანის უფლებათა კონვენციური უფლებები სწორედ ჰუმანიტარული სამართლის თვალსაწიერიდან, რადგან სასამართლოს არასდროს განუმარტავს, რას მოიაზრებს „მართლზომიერი მოქმედებები“ და ეს შეუძლებელიცაა ჟენევის კონვენციებისა და დამატებითი ოქმების გამოყენების გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური დებულებაა, რომელიც მე-3 მუხლთან ერთად ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების დემოკრატიული საზოგადოებების ფუძემდებლურ ღირებულებას წარმოადგენს.<sup>33</sup>

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციისგან განსხვავებით, რომლის თანახმადაც, სიცოცხლის უფლება უნდა იყოს დაცული „ზოგადად, ჩასახვის მომენტიდან“, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია დუმს იმაზე, თუ როდის იწყებს კონვენციის მე-2 მუხლი ამოქმედებას, ამასთანავე, ის არ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს („toute personne“), რომლებიც სარგებლობენ აღნიშნული უფლებით და მკაცრად ადგენს გამონაკლისებს, როდესაც სიცოცხლის უფლებისგან გადახვევა არის შესაძლებელი.

გამოდის, რომ სიცოცხლის უფლების კონვენციური მოწესრიგება, ერთი მხრივ, ბევრად ფართო და ყოვლისმომცველია, მეორე მხრივ კი, მისგან გადახვევის ბევრად კონკრეტული სტანდარტი არსებობს, ვიდრე ჰუმანიტარულ სამართალში.

კონვენციის მე-2 მუხლი სამართლებრივი დაცვის ორი სახის ვალდებულებას აკისრებს წევრ სახელმწიფოს: 1) სუბსტანციურს – ზოგადი დაცვის ვალდებულებას, რომ დაიცვას პირთა სიცოცხლის უფლება; 2) პროცედურულს – ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება მე-2 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით. ეფექტიანში იგულისხმება, რომ მან უნდა მოიპოვოს ყველა მტკიცებულება, როგორებიცაა, მაგალითად, თვითმხილველების ჩვენებები და, თუ საჭიროა, ჩაატაროს ავტოფსია, რათა გაარკვიოს სიკვდილის

31 იხილეთ: საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-4(2) მუხლი; ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენცია, 27-ე(2) მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-15(2) მუხლი; რაც შეეხება ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკულ ქარტიას, ის საერთოდ არ ითვალისწინებს უფლებიდან გადახვევის დებულებას.

32 აღსანიშნავია, რომ ჯერ არ არსებობს მსგავსი პრეცედენტი. მაგალითად, დეროგაციის უფლებით არ უსარგებლია თურქეთს ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაციისას. ძირითად შემთხვევაში სახელმწიფოები უარყოფენ შეიარაღებული კონფლიქტის არსებობას და მე-15(2) მუხლის გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზი სწორედ ესაა.

33 გიულიანი და გაგოი იტალიის წინააღმდეგ (*Giuliani and Gaggio v. Italy*), 2011 წლის 24 მარტი.

მიზეზი.<sup>34</sup> აღსანიშნავია, რომ გამოძიების ჩატარების ვალდებულება თავად კონვენციაში ნახსენები არაა, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მომაკვდინებელი ძალის გამოყენებისა თუ შეიარაღებული კონფლიქტის დროს პირთა სიცოცხლის უფლების შეზღუდვისას კონვენციის ნევრი სახელმწიფო მე-2 მუხლის ფარგლებში ვალდებულია, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება.<sup>35</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ინტერამერიკული სასამართლო ამის მიზეზად ასახელებს საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრების პრევენციას.<sup>36</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეფექტიანი გამოძიების აუცილებლობის შესახებ საკმაოდ ვრცელი განმარტება გააკეთა, რომლის თანახმადაც: ხელისუფლებამ უნდა გაატაროს გონივრული ღონისძიებები დაუყოვნებლივ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდება ინფორმაცია მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ. ის არ უნდა დაელოდოს დაზარალებულის ოჯახის წევრებს, რომ სასამართლოში შეიტანონ განაცხადი, ან თავად აიღონ გამოძიების ჩატარების პასუხისმგებლობა. იმისათვის, რომ გამოძიება იყოს ეფექტიანი, ის დამოუკიდებლად უნდა წარიმართოს, არა მხოლოდ იერარქიულად ზემდგომი პირებისგან, არამედ ის გულისხმობს პრაქტიკულად სრულ დამოუკიდებლობას საქმეში მონაწილე ყველა პირისგან, მათ შორის, ბუნებრივია, ასეთის შემთხვევაში, ხელისუფლების იმ წარმომადგენლისგან, რომლის გადამეტებულმა ძალამაც გამოიწვია ეს შედეგი. აუცილებელია, რომ გამოძიებით დადგინდეს, ძალის გამოყენება იყო თუ არა გამართლებული შექმნილი ვითარებით, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილდეს არა შედეგებზე (როგორც გამამართლებელ გარემოებაზე), არამედ საშუალებაზე. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გამოძიების პროცესი და შედეგები გონივრულობის ფარგლებში უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის და დაზარალებულის ოჯახის წევრები თავიანთი ლეგიტიმური სამართლებრივი ინტერესების დასაცავად უნდა იყვნენ მაქსიმალურად ჩართული ამ პროცესში.<sup>37</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სიცოცხლის უფლების დარღვევად მიიჩნევს არა მხოლოდ სიკვდილის დადგომას, არამედ სიცოცხლისთვის სერიოზული საფრთხის შექმნასაც.<sup>38</sup>

34 *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey)*, 1999 წლის 20 მაისი, 91-ე პუნქტი; იხილეთ ასევე: *გული თურქეთის წინააღმდეგ (Gül v. Turkey)*, 2000 წლის 14 დეკემბერი, 88-ე-95-ე პუნქტები.

35 *მაჰმუთ კაია თურქეთის წინააღმდეგ (Mahmut Kaya v. Turkey)*, 1998 წლის 19 თებერვალი, 91-ე პუნქტი; იხილეთ ასევე: *ისაიევა რუსეთის წინააღმდეგ (Isayeva v. Russia)*, 2005 წლის 25 თებერვალი, 209-ე პუნქტი.

36 *მირნა მაკ ჩანგი გვატემალის წინააღმდეგ, Myrna Mack Chang v. Guatemala*, 2003 წელი, 153-ე-158-ე პუნქტები.

37 *ისაიევა, იუსუფოვა და ბაზაიევა რუსეთის წინააღმდეგ (Isayeva, Yusupova and Bazayeva v. Russia)*, 2005 წლის 24 თებერვალი, 209-ე-213-ე პუნქტები.

38 *რ.რ. და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ (R.R. and Others v. Hungary)*, 2021 წლის 2 მარტი, 26-ე-32-ე პუნქტები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სასამართლო შეიარაღებულ კონფლიქტებში მე-2 მუხლის გამოყენების არაერთგვაროვან სტანდარტს ავითარებს. ერთი მხრივ, მისთვის ადამიანის უფლებები *lex specialis* ბუნებისაა<sup>39</sup> და ჰუმანიტარულ სამართალს საერთოდ არ ეხება, თუმცა, მეორე მხრივ, მისივე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლო სწორედ ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით აფასებს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

### 2.2.1. კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების „მაკკანის სტანდარტი“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *მაკკანის* საქმეში გაკეთებული განმარტებებით რეალურად შეიმუშავა მეთოდი, რომლითაც, ერთი მხრივ, ქვეყნის შიგნით შეიარაღებული ძალების მოქმედების შედეგად მე-2 მუხლის დარღვევას აფასებდა (არასაერთაშორისო კონფლიქტი), მეორე მხრივ კი, ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებას არიდებდა თავს.

*მაკკანის* საქმე ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს სამხედრო ძალების მიერ ტერორისტული ორგანიზაცია IRA-ს (Irish Republican Army – “IRA”) მიერ დაგეგმილი ოპერაციის ჩახშობის შედეგად მისი წევრების ლიკვიდაციას. განმცხადებლების სამართლებრივი პოზიციის თანახმად, სამხედრო ძალების ორგანიზაციის სამი წევრის მკვლელობა იყო კონვენციის მე-2(2)(ა) მუხლის დარღვევა, რადგან აღნიშნულ ქმედებას საფუძვლად არ ედო აბსოლუტური აუცილებლობა, ხოლო ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ გარდაცვლილი პირების ლიკვიდაცია იყო აუცილებელი, რადგან, მაღალი ალბათობით, მათ შეიძლებოდა აეფეთქებინათ მანქანაში ჩამონტაჟებული დისტანციურად მართვადი ბომბი.

სასამართლომ დაადგინა, რომ შეიარაღებული ძალების ქმედებების კონვენციის მე-2(2) მუხლთან შესაბამისობის დადგენისთვის აუცილებელია, დეტალურად შემოწმდეს: 1) სამხედრო პირების მიერ გამოყენებული ძალა იყო თუ არა ძალადობისგან ხალხის დაცვის მიზნის პროპორციული; (2) ანტიტერორისტული ოპერაცია იყო თუ არა სახელმწიფოს მხრიდან იმგვარად დაგეგმილი და კონტროლირებადი, რომ მათ შეძლებისდაგვარად შეემცირებინათ სასიკვდილო ძალის გამოყენების აუცილებლობა.<sup>40</sup> შესაბამისად, სასამართლოსთვის, გარდა მიზანთან ქმედების თანაზომიერებისა, ასევე, გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ოპერაციის დეტალები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის *მაკკანის* სტანდარტი გახდა ერთგვარი „სახელმძღვანელო“ მე-2 მუხლის მოქმედების ფარგლების შესამოწმებლად. სასამართლოს ეს სტანდარტი გამოყენებული აქვს საქმეებში: *ერგი თურქეთის წინააღმდეგ*, *გულერი თურქეთის წინააღმდეგ*, *ოზკანი თურქეთის წინააღმდეგ* და *ისაიევა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*. მიუხედავად ამისა, ზემოთ ხსენებულ საქმეებში სასა-

39 Julier Chavalier-Watts, Has Human Rights Law Become *lex specialis* for the European Court of Human Rights in Right to Life Cases Arising from Internal Armed Conflicts?, *The International Journal of Human Rights*, Volume 14, 2010, 589.

40 *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. The United Kingdom)*, 1995 წლის 27 სექტემბერი, 195-ე პუნქტი.

მართლმ, გარდა მაკკანის სტანდარტისა, ასევე აშკარად გამოიყენა ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები, რაც ცხადყოფს, რომ სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა აქვს ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების მიმართ. აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას, რომ კრიტიკულად შევხედოთ სასამართლოს მიერ საქმეში – *საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)* – მიღებულ გადაწყვეტილებასა და განმარტებას, კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა რუსეთის ფედერაციის ექსტრატერიტორიულ იურისდიქციაზე 8-12 აგვისტოს პერიოდში, ანუ აქტიური შეიარაღებული კონფლიქტის დროს და დაადგინა, რომ ამ დროს განვითარებული მოვლენები ვერ მოექცეოდა რუსეთის იურისდიქციაში კონვენციის 1-ელი მუხლის ინტერესებისთვის. შესაბამისად, განაცხადის ეს ნაწილი სასამართლომ დაუშვებლად გამოაცხადა.<sup>41</sup> საინტერესოა, რამდენად მართებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება და შეეძლო თუ არა მას, ემსჯელა აქტიურ შეიარაღებულ კონფლიქტში დარღვეულ კონვენციურ უფლებებზე.

### 2.3. *ერგი თურქეთის წინააღმდეგ*

1993 წლის 29 სექტემბერს, დაახლოებით 21:00 საათზე, სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებმა და სოფელ ზიარეთის მესაზღვრეებმა ალყა შემოარტყეს სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, დიარაქირის პროვინციაში, კერძოდ, სოფელ ერგანის რაიონში განმცხადებლის სოფელს. ერთი კვირით ადრე PPK-მ სოფელში მყოფ სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე ორი ადამიანი მოკლა. ინციდენტის დღეს ჯარისკაცები განლაგებულნი იყვნენ სოფლის სამხრეთ ნაწილში, ხოლო სოფლის მესაზღვრეები – ჩრდილოეთ ნაწილში. თავდაპირველად ერთი გასროლა გაისმა ჩრდილოეთის მხრიდან, ხოლო შემდეგ თავდასხმა დაიწყო სამხრეთიდანაც. პროცესი ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა და მოიცავდა განუზრგველ თავდასხმებს სამოქალაქო ობიექტებზე (საცხოვრებელ სახლებზე). სწორედ ამ ინციდენტის შედეგად გარდაიცვალა განმცხადებლის და ჰავვა.

განმცხადებლის სახლი სოფლის შუაგულში მდებარეობდა. როგორც კი თავდასხმა დაიწყო, მისი და და მამამისი (რომლებსაც მანამდე აივანზე ეძინათ) სახლში შევიდნენ თავის შეფარების მიზნით, თუმცა ჰავვა უკან გაბრუნდა ნივთების ასაღებად, რა დროსაც თავში ტყვია მოხვდა და ადგილზევე გარდაიცვალა. სხვა მუხლთან/მუხლებთან ერთად, მოსარჩელე დავობდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევაზე, რადგან სამხედროების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენება არ იყო აბსოლუტური აუცილებლობა მე-2(2) მუხლის მიზნებისთვის.<sup>42</sup>

ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო, „მიეღო ყველა სიფრთხილის ზომა ოპერაციის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებისას, რათა თავიდან აერიდებინა, ან, როგორც მინიმუმ, შეემცირებინა სამოქალაქო პირების

41 *საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) (Georgia v. Russia II)*, 2021 წლის 21 იანვარი, 144-ე პუნქტი.

42 *ერგი თურქეთის წინააღმდეგ (Ergi v. Turkey)*, 1995 წლის 2 მარტი.

სიცოცხლის შემთხვევითი/თანმდევი მოსპობა“.<sup>43</sup> იმისათვის, რომ სასამართლოს გაეანალიზებინა ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევები, მან გამოიყენა ჰუმანიტარული სამართლის ტერმინოლოგია, როგორებიცაა: „სამოქალაქო პირები“, „მეთოდები და საშუალებები“ და „შემთხვევითი/თანმდევი სიცოცხლის მოსპობა“. პირველ რიგში, სასამართლომ ერთობლივად გამოიყენა როგორც ჰუმანიტარული სამართალი, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შემოწმების „მაკკანის სტანდარტი“, მეორე მხრივ კი, სასამართლომ მხარი დაუჭირა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიგნებას, რომლის თანახმადაც, ჰუმანიტარული სამართალი არის *lex specialis*, რომლითაც უნდა დარეგულირდეს ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები.<sup>44</sup>

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო *ერგის* საქმეში პირდაპირ მიმართავს ჰუმანიტარულ სამართალს კონვენციის მე-2(2) მუხლის დარღვევის შესამოწმებლად და მსჯელობს სამიზნის კანონიერებაზე (იყენებს სტატუსებს), პროპორციულობის პრინციპზე იმის დასადგენად, იყო თუ არა სამოქალაქო პერსონალის, როგორც თანმდევი მსხვერპლის, რაოდენობა პროპორციული სამხედრო უპირატესობასთან და ასევე ომის წარმოების მეთოდებსა და საშუალებებთან. ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მის ნაგულისხმევ უფლებამოსილებას და კონვენციის მუხლების დარღვევის შესამოწმებლად საკითხს აფასებს ჰუმანიტარული სამართლის ქრილში.

## 2.4. ისაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

ისაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ ერთ-ერთი საქმეა, რომელშიც სასამართლომ მსჯელობისას პირდაპირ მიუთითა ჰუმანიტარულ სამართალზე. პირველ რიგში, სასამართლო უთითებს საქმეზე – *ერგი თურქეთის წინააღმდეგ* და განსაზღვრავს სამოქალაქო პირებს, როგორც ცალკე მდგომის სტატუსის მქონე ჯგუფს, რაც მხოლოდ ჰუმანიტარული სამართლისთვისაა დამახასიათებელი. სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მისი შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა სამოქალაქო პირი მოკლა. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასევე შეიძლება დადგეს, როდესაც ის ვერ იღებს ყველა შესაძლო ზომას მოწინააღმდეგე ჯგუფის წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის საშუალებებისა და მეთოდების არჩევისას, რათა თავიდან აიცილოს და ან მინიმუმ შეამციროს სამოქალაქო პირების შემთხვევითი (თანმდევი) სიკვდილი.“<sup>45</sup> როგორც აღნიშნულიდან ჩანს, სასამართლო არა მხოლოდ სამოქალაქო პირების სტატუსზე მიუთითებს, რაც პირდაპირი გამოყენებაა ჰუმანიტარული სამართლის, არამედ იყენებს ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების ცნებას.

43 იქვე, 79-ე პუნქტი.

44 Hans-Joachim Heintze, On the Relationship between Human Rights Law Protection and International Humanitarian Law, *International Review of the Red Cross*, Vol. 86, 2004, 910.

45 ისაიევა რუსეთის წინააღმდეგ (*Isayeva v. Russia*), 2005 წლის 25 თებერვალი, 176-ე პუნქტი.

გარდა ამისა, სასამართლო მსჯელობს სამოქალაქო პირების წინასწარ ინფორმირებაზე. ის კვლავ მიუთითებს ოპერაციის დაგეგმვის ხარვეზიანობაზე და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „არ არსებობს მტკიცებულება, რომ ოპერაციის დაგეგმვისას სერიოზულად იქნა გათვალისწინებული მოქალაქეთა ევაკუაციის აუცილებლობა, რომ ისინი წინასწარ იყვნენ ინფორმირებული თავდასხმის შესახებ, თუ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ევაკუაციის პროცესი, რა მიმართულებით უნდა მომხდარიყო მოქალაქეთა ევაკუირება, რა სახის სიფრთხილის ღონისძიებები გატარდა, რომ მათი (მოქალაქეების) უსაფრთხოება ყოფილიყო დაცული“.<sup>46</sup> ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმის 57-ე მუხლი ითვალისწინებს სიფრთხილის ღონისძიებების გატარებას თავდასხმის დროს, ხოლო ჩვეულებითი სამართლის მე-20 წესის თანახმად, კონფლიქტის ყველა მხარემ უნდა გასცეს ეფექტიანი წინასწარი გაფრთხილება იმგვარი თავდასხმის შესახებ, რომელიც უარყოფითად აისახება სამოქალაქო მოსახლეობაზე.<sup>47</sup>

სასამართლო უფრო შორს წავიდა და იმსჯელა გარჩევადობის პრინციპსა და იარაღის დასაშვებობაზე: „ამ ტიპის იარაღის გამოყენება დასახლებულ რაიონში, საომარი მდგომარეობის დაწყებამდე და მოსახლეობის წინასწარი ევაკუაციის გარეშე, შეუძლებელია შეესაბამებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართალდამცავი ორგანოსგან სიფრთხილის ხარისხის მოლოდინს. ... მაშინაც კი, როდესაც, მთავრობის განცხადების თანახმად, სოფლის მოსახლეობა მძევლად იყო აყვანილი კარგად აღჭურვილი და კარგად განვრთვნილი მებრძოლების მიერ, ოპერაციის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო მათი სიცოცხლის დაცვა გაუმართლებელი ძალადობისგან. განურჩეველი იარაღის მასიური გამოყენება აშკარად ეწინააღმდეგება ამ მიზანს და არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მხრიდან მომაკდინებელი ძალის გამოყენებისას აუცილებლად გასატარებელ სიფრთხილის ღონისძიებების სტანდარტთან შესაბამისად“.<sup>48</sup> საინტერესოა, რომ სასამართლო მთლიანად ჰუმანიტარული სამართლის პრინციპში მსჯელობს. პირველ რიგში, ის აკვალიფიცირებს სიტუაციას, არის თუ არა მოცემული ფაქტობრივი გარემოება საომარი მდგომარეობა, რისთვისაც, ბუნებრივია, აუცილებელია იმ მინიმალური ზღვარის შეფასება, რაც საომარი მოქმედებების არსებობისთვისაა აუცილებელი. ასევე მსჯელობს ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებზე, სიფრთხილის ღონისძიებების გატარების აუცილებლობასა და იარაღის შესაბამისობაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებთან.<sup>49</sup>

ამ ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ადამიანის უფლებათა

46 იქვე, §189.

47 International Humanitarian Law: From Law to Action: ICRC Report on the Follow-up to the International Conference for the Protection of War Victims, 1995; Customary Rules of International Law, Rule 20.

48 ისაიევა რუსეთის წინააღმდეგ (*Isayeva v. Russia*), 2005 წლის 25 თებერვალი, 189-ე-191-ე პუნქტები.

49 International Humanitarian Law: From Law to Action: ICRC Report on the Follow-up to the International Conference for the Protection of War Victims, 1995, Customary Rules of International Law, Rule 71.

ევროპული სასამართლო არაა შებოჭილი მხოლოდ კონვენციით და ის, საჭიროების შემთხვევაში, ძალიან მოქნილად იყენებს ჰუმანიტარულ სამართალს ფაქტობრივი გარემოებების შესაფასებლად.

### 3. საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) – პატარა ომი<sup>50</sup>, რომელიც სასამართლომ ვერ გამოიყენა

საქმე – საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის იყო უნიკალური შესაძლებლობა, ჩამოეყალიბებინა ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ურთიერთმიმართების სტანდარტის თანმიმდევრული და დამკვიდრებული პრაქტიკა მე-2 მუხლის დარღვევის შეფასების კონტექსტში.

მან განმარტა, რომ „კონვენციის მე-2 მუხლი უნდა იყოს განმარტებული საერთაშორისო საჯარო სამართლის, მათ შორის ჰუმანიტარული სამართლის, პრინციპებთან შესაბამისობაში“.<sup>51</sup> სასამართლო ემხრობა ამ ორი დარგის ერთობლივ მოქმედებას საომარი მოქმედებების დროს, თუმცა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა აქტიური შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში მხოლოდ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ ნაწილში დაადგინა და აღნიშნა, რომ 8-12 აგვისტოს პერიოდზე რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, ამიტომ არსებით ნაწილზე პასუხისმგებლობა ვერ დადგებოდა.<sup>52</sup> სწორედ იურისდიქციის არარსებობის გამო აქტიური შეიარაღებული კონფლიქტის დროს მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევაზე რუსეთის პასუხისმგებლობა არ განუხილავს სასამართლოს, ეს ნაწილი დაუშვებლად ცნო.

საინტერესოა მოსამართლე გროზევის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც ცალსახად და მკაფიოდ აღნიშნა, რომ ესაა შეიარაღებული კონფლიქტი კონვენციის წევრ ორ სახელმწიფოს შორის. ამრიგად, კითხვა, რომელსაც სასამართლომ უნდა გასცეს პასუხი, ასეთია: მოქმედებს თუ არა კონვენცია ორ ხელშემკვერელ მხარეს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც ერთ-ერთი მათგანის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. სწორედ ამაზე პასუხის გაცემა სასამართლოსთვის განსაკუთრებული გამოწვევაა. მოსამართლე გროზევი აღნიშნავს, რომ, რეალურად, კონვენცია თავის თავშივე მოიცავს შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედების სამართლებრივ ბერკეტს. კერძოდ, მე-15(2) მუხლი ადგენს, რომ გამოწვევების შემთხვევებში წევრმა მხარემ შესაძლოა გადაუხვიოს მე-2 მუხლის დებულებებიდან. მაგალითად, როდესაც საქმე ეხება „ომის მართლზომიერი მოქმედებებით გამოწვეულ სიკვდილს“. შესაბამისად, კონვენციის ავტორების განზრახვა აშკარად იყო, რომ ადამი-

50 Ronald F. Asmus, *A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West*, 2010.

51 საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) (*Georgia v. Russia II*), 2021 წლის 21 იანვარი, 102-ე პუნქტი.

52 იქვე.

ანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის სიცოცხლის უფლება, დაცული ყოფილიყო შეიარაღებული კონფლიქტის დროსაც. მაშინ ისმის კითხვა: რატომ შეიკავა თავი სასამართლომ აღნიშნულ საქმეში აქტიური საომარი მოქმედებების პერიოდის კონვენციის ჩრილში განხილვისგან? – სასამართლო დაეყრდნო იურისდიქციის კონცეფციას და განაცხადა, რომ, 1-ელი მუხლის ინტერესებიდან გამომდინარე, მასზე არ ვრცელდება რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს იურისდიქცია, შესაბამისად, პასუხისმგებლობაზე საუბარი შეუძლებელია.

მოსამართლე გროზევის პოზიციის თანახმად, იურისდიქციის კონცეფციის ინტერპრეტაციისას სასამართლო ეყრდნობა ორ ელემენტს (მის მიერვე განვითარებული პრაქტიკიდან გამომდინარე): 1) ის ხაზს უსვამს, რომ კონვენცია არის რეგიონული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და კოლექტიურ აღსრულებას არსებითად რეგიონულ კონტექსტში, განსაკუთრებით კი ხელშემკვრელი სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში; 2) კონვენციის მიზნისა და ამოცანის გათვალისწინებით, სასამართლო ითხოვს ადამიანის უფლებების ეფექტიან დაცვას. ის ხაზს უსვამს, რომ კონვენციის მოქმედების ფარგლებში არ შეიძლება არსებობდეს შავი ხვრელი ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაში. ამის დაშვება ეწინააღმდეგება კონვენციის ფუნდამენტურ პრინციპებს. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა იურისდიქციული უფლებამოსილება კონვენციის 1-ელი მუხლის მიზნებისთვის, ძირითადად, ტერიტორიულია, არსებობს განსაკუთრებული გარემოებები მხარეების ორმხრივი ვალდებულებების საფუძველზე, რათა უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ეფექტიანი დაცვა, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფო ეწევა საომარ მოქმედებებს საკუთარ ან კონვენციის სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლოს შეეძლო, რომ 8-12 აგვისტოს, ანუ აქტიური შეიარაღებული კონფლიქტის ფაზაში, კონვენციის მიზნის, მხარეთა საერთო პასუხისმგებლობისა და წინარე პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, დაემკვიდრებინა თანმიმდევრული პრაქტიკა კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენებისა შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

## დასკვნა

საომარი მოქმედებები და ჰუმანიტარული სამართლის *lex specialis* ბუნება არ გულისხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების შეჩერებას. პირიქით, არ არსებობს შეიარაღებულ კონფლიქტზე ნათელი მოცემულობა, როდესაც სამოქალაქო პირების სიცოცხლის უფლება, მიუხედავად ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებისა, არსებითად საფრთხის ქვეშაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი არის ინდივიდთა სიცოცხლის უფლების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი. სასამართლოს პრაქტიკამ ცხადყო, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს არსებითად მნიშვნელოვანია ამ ორი დარგის ერთობლივი გამოყენება.

მეტიც, ხშირ შემთხვევაში სასამართლო იძულებულია, მიმართოს ჰუმანიტარულ სამართალს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი ამოცანაა შეიარაღებულ კონფლიქტში ადამიანთა სიცოცხლის უფლების დაცვა.

მიუხედავად უმნიშვნელოვანესი განმარტებებისა საქმეებში, რომლებიც ზემოთ იყო განხილული, სასამართლოს არათანმიმდევრული პრაქტიკა აქვს კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედებასთან მიმართებით. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო არა მხოლოდ „მაკკანის სტანდარტს“ ავითარებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს, არამედ ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებასაც არ ერიდება, ხოლო, მეორე მხრივ, სრულიად თავს არიდებს აქტიური საომარი მოქმედებების განხილვას, რისი პირდაპირი მაგალითიცაა *საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)* სახელმწიფოთაშორისი საქმე, რომელიც იყო უნიკალური შესაძლებლობა, რომ სასამართლოს ჩამოეყალიბებინა თანმიმდევრული და კონვენციის მიზნებსა და პრინციპებთან შესაბამისი პრაქტიკა მე-2 მუხლის საომარი მოქმედებების დროს გამოყენების კონტექსტში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებით – *ერგი თურქეთის წინააღმდეგ და ისაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ* – ხაზი გაუსვა კონვენციის მიზნებს, ამოცანებსა და მის სულისკვეთებას და ცხადყო, რომ მას შეუძლია ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით კონვენციის მიერ დაცული სამართლებრივი სიკეთის უზრუნველყოფა, ხოლო საქმეში – *საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)* – გაკეთებული განმარტებით შეენიშნა აღმდეგა თავისსავე პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, კონვენცია არის ცოცხალი ინსტრუმენტი, რომელიც უნდა განიმარტოს დღევანდლობის მოთხოვნებისა და გარემოებების მიხედვით.

# იეჰოვას მოწმეების შინაგანი რწმენა ჰემოტრანსფუზიის წინააღმდეგ: უფლებათა კოლიზიისას არსებული სამართლებრივი გამოწვევები და საერთაშორისო გამოცდილება

გური (ბაჩანა) ებრალიძე

*„ჩემი აზრით, რელიგიის თავისუფლება სიმართლის ძიების უნარია.  
და მან სადაც არ უნდა მიგიყვანოთ – ეს იქნება ერთიანი  
რელიგია თუ გზა საერთოდ რელიგიის გარეშე, მთავრობას  
არანაირი უფლება არ აქვს ამ არჩევანში რაიმე სახის ჩარევისა“.*

*კრისტინა არიკა დე ბუშოლცი<sup>1</sup>*

## 1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები, რამეთუ ისინი პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ინდივიდის, ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივ პროცესთან. ამ თავისუფლებებს არა მარტო საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებიც აღიარებს, რომელთა მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, როგორც წესი, სწორედაც რომ დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოები არიან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „...რწმენის თავისუფლება წარმოადგენს რა ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ავტონომიის საყრდენს, იმავდროულად, განაპირობებს მთლიანად საზოგადოების არქიტექტურას, განსაზღვრავს მისი დემოკრატიულობის ხარისხს“.<sup>2</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება ნიშნავს, რომ პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს მოპყრობას, რომლის მიზანია აზროვნების წესის შეცვლა, რაც ნიშნავს, რომ პირს აქვს უფლება, არა მხოლოდ გამოავლინოს თავისი რელიგია და მრწამსი, არამედ ასევე თავი შეიკავოს მისი გამოვლინებისაგან. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფ-

1 ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების კომისიის ვიცეთავმჯდომარე, კომისარი.

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/477 საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ლება მოიცავს, მათ შორის, თავისუფლებას, პირს ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი და იყოს ან არ იყოს რელიგიის მიმდევარი.<sup>3</sup>

მიუხედავად საქართველოში არსებული სამართლებრივი რეგულირებისა, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის დამოკიდებულება გარკვეული რელიგიური მიმდინარეობებისადმი რადიკალურია. ამას, ძირითადად, საფუძვლად უდევს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში, საკითხებსა და სხვადასხვა კონიუნქტურაში კარდინალურად განსხვავებული ხედვები და მიდგომები, რომელთა არსებობა სოციალურ უდიდესი ნაწილისთვის, როგორც აღმოჩნდა, მიუღებელია. ამასთანავე, ერთია მიუღებლობა და მეორეა მისი გამოხატვის ფორმა. მართალია, რომ საერთაშორისო სამართლებრივად გამოხატვის თავისუფლების ფარგლები ფართოა, თუმცა „სახელმწიფოებს სრული უფლება აქვთ, იმოქმედონ ისეთი განცხადებებისა და ქმედებების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია სიძულვილის ენის (hate speech) გავრცელების, ნაქეზებისა და მისი გამართლებისკენ“.<sup>4</sup>

იეჰოვას მოწმეთათვის სისხლის გადასხმის სამართლებრივი რეგულირება, თანაც ისე, რომ საჯარო ინტერესიცა და მათი პირადი ავტონომიაც ერთმნიშვნელოვნად იქნეს დაცული, საკმაოდ კომპლექსური და მრავალსიმომცველი პროცესია. მიუხედავად ამისა, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ „რწმენის თავისუფლება იცავს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, თავად ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს თავისი რელიგიური თუ არარელიგიური (ათეისტური) რწმენა სამყაროში ადამიანის არსებობის, უზენაეს ძალებთან (ღმერთთან) თავისი დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე ადამიანის გარეგან თავისუფლებას, აღასრულოს, საჯაროდ გამოხატოს და გაავრცელოს თავისი რწმენა და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები“,<sup>5</sup> აუცილებელია, რომ რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა იყოს კანონიერი, თანაზომიერი და გამართლებული.

რა იგულისხმება სამართლებრივ გამონეწევებში? ამ საკითხის კვლევისას განიხილება რამდენიმე უფლების ჭიდილი, ესენია: ერთი მხრივ, რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვის ჩათვლით, ხოლო, მეორე მხრივ, სიცოცხლის უფლება, რომელიც არ არის აბსოლუტური და რომლის შეზღუდვაც დასაშვებია, მაგალითად, ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისგან.<sup>6</sup>

კვლევის მიზანია ქართული და საერთაშორისო გამოცდილების შედარებით სამართლებრივი ანალიზი იეჰოვას მოწმეების მიერ სისხლის გადასხმის მიმართ, აგრეთვე, საკა-

3 ბუსკარინი სან მარინოს წინააღმდეგ (*Buscarini v. San Marino*), 1999 წლის 18 თებერვალი, 34-ე პუნქტი.

4 ერბაკანი თურქეთის წინააღმდეგ (*Erbakan v. Türkiye*), 2006 წლის 6 ოქტომბერი, 56-ე პუნქტი.

5 მ. ნარინდოვილი, ვ. გოგელია, თ. ჯულაყიძე, ზ. ჯაში, ე. გლურჯიძე, რელიგიის თავისუფლება, თბ., 2004, 21.

6 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, “ა” ქვეპუნქტი. მაგ., სხვა საფუძვლებია: კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად ან/და კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

ნონმდებლო ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების გაცემა, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება არადისკრიმინაციული ხასიათის პრაქტიკის ჩამოყალიბება და სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური თუ ნეგატიური ვალდებულებების პირნათლად და კეთილსინდისიერად შესრულება.

ვინაიდან საქართველოში ამ საკითხზე აკადემიურ ნაშრომთა სიმცირეა, წინამდებარე სტატიის შინაარსობრივი და ანალიტიკური სპექტრი დღემდე აქტუალური და გამომწვევებით სავსეა.

## 2. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული რელიგიის თავისუფლება – არსებობს თუ არა ჩანაწერში არსებითი პრობლემა შინაგანი რწმენის უფლებრივი კონცეფციის დასაცავად?

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადამიანის უფლებათა უმეტესობა ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვას. ასეთი მიდგომა, რომელიც მხარდაჭერილია თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, გამართლებულია სახელმწიფოთა პოლიტიკის განსახორციელებლად როგორც ეროვნულ (კანონის უზენაესობის გაცდის გაჩენა საზოგადოებისათვის), ისე საერთაშორისო დონეზე (სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო ხელშეკრულებითა თუ ჩვეულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად). მაგალითად, ადამიანის უფლება, რომელიც მოიცავს საკუთარი რწმენის გამოხატვას როგორც საკუთარ თავთან, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ, არ არის აბსოლუტური და შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, რომელიც ადგენს ორ მთავარ მოთხოვნას, სხვა მოთხოვნებთან ერთად, ჩარევის ლეგიტიმურობასთან მიმართებით: კანონით გათვალისწინებული, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში...<sup>7</sup>. მიუხედავად ამისა, რელიგიის თავისუფლება, სხვა თავისუფლებებისგან განსხვავებით, იმითაა გამორჩეული, რომ დემოკრატიული საზოგადოებისგან განუყოფელი პლურალიზმი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ძვირად იქნა მოპოვებული, სწორედ მასზეა დამოკიდებული.<sup>8</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. მე-16 მუხლი, ერთი მხრივ, იცავს ადამიანის შინაგან რწმენას, ხოლო, მეორე მხრივ, თავის თავში მოიცავს მორალური გრძნობების დაცულობის ასპექტსაც, რომლებიც, საერთო ჯამში, *forum internum* კონცეფციას ეკუთვნის.<sup>9</sup> რაც შეეხება რელიგიური რწმენა-წარმოდგენე-

7 ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Eweida and Others v. The United Kingdom*), 2013 წლის 15 იანვარი, მე-80 პუნქტი.

8 კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ (*Kokkinakis v. Greece*), 1993 წლის 25 მაისი, 31-ე პუნქტი.

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/477 საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ბის გამჟღავნებასა და მათ გავრცელებას, ის აგრეთვე დაცულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით და ეკუთვნის *forum externum* მოქმედების სფეროს. გარდა ამისა, საკითხავია, კონსტიტუციის მე-16 მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც ეხება ზემოხსენებული რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას ზოგადად და არა კონკრეტულად *forum externum*-თან მიმართებით, შესაბამისობაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან? სრულდება კი საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და შემთხვევით, სახეზე ხომ არ არის საერთაშორისო გამოცდილების აბსოლუტური უარყოფა, რომელიც, სხვა მიზნებთან ერთად, ესოდენ ღირებულია ქვეყანაში საკანონმდებლო ხარვეზების გამოსასწორებლად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შინაგანი რწმენის აბსოლუტურობა აღიარა ჯერ კიდევ 1993 წელს, მაშინ, როდესაც აღნიშნა, რომ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი აშკარად არ მიუთითებს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლებაზე, მაგრამ კომიტეტს მიაჩნია, რომ ასეთი უფლება შეიძლება გამომდინარეობდეს მე-18 მუხლიდან...“.<sup>10</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ კი მიიღო 1518-ე რეზოლუცია, რომლითაც პირდაპირ აღიარა სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლების არსებობა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველზე, შინაგანი რწმენიდან გამომდინარე, ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, რითაც ხაზგასმით მიუთითა *forum internum*-ის აბსოლუტური მნიშვნელობა და მასში ჩაურევლობის დაუშვებლობა: „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება წარმოადგენს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების ფუნდამენტურ ასპექტს, რომელსაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იცავს...“.<sup>11</sup>

შინაგანი რწმენის აბსოლუტურობას არც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს: „კონსტიტუციის მე-19 მუხლი ითვალისწინებს ადამიანის შინაგანი სფეროს, მისი შინაგანი სამყაროს აბსოლუტურ დაცვას და ადგენს ფარგლებს, შეზღუდვის შესაძლებლობას მათი გამოვლენისას“.<sup>12</sup> ფაქტობრივად, სასამართლომ ამით კონსტიტუციის მე-16 მუხლში არსებული ხარვეზი წინასწარ, საკონსტიტუციო რეფორმამდე გამოასწორა და მიუთითა, რომ იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ გამოვლენის ეტაპზე, ანუ *forum externum*-ის დროს, მაშინ, როცა კონსტიტუციის მე-16 მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც უფლებრივ შეზღუდვებს ეხება, მოიცავს როგორც შინაგანი რწმენის, ისე მისი გამოვლენის შეზღუდვის შესაძლებლობას, რაც გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს. ვენეციის კომისიის განმარტების თანახმად, *forum internum* არის აბსოლუტური ხასიათის და არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე სახის შეზღუდვას. ამრიგად, ისეთ

10 CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), 30 July 1993, CCPR/C/21/Rev. 1/Add. 4.

11 Council of Europe Parliamentary Assembly Resolution 1518 (2001) about Exercise of the Right of Conscientious Objection to Military Service in Council of Europe Member States, 2.

12 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/477 საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

კანონებს, რომლებიც მიმართულია, მაგალითად, რელიგიური მრწამსის უნებლიე გამჟღავნებისაკენ, კომისია დაუშვებლად მიიჩნევს.<sup>13</sup>

საინტერესოა, რომ სამართლის დოქტორი, პროფესორი თ. ერქვანია ერთ-ერთ სა-მეცნიერო სტატიაში აღნიშნავს: „რეფორმირებული კონსტიტუციის მე-16 მუხლი ამგვარ ფორმულირებას არ შეიცავს (ტექსტობრივად გამიჯვნა შიდა და გარე სფეროს შეზღუდვის დასაშვებობასთან დაკავშირებით პირდაპირ არ ჩანს), რაც არ ნიშნავს, რომ მე-16 მუხლში იგივე არ მოიაზრება (მხოლოდ გარე სფეროს შეზღუდვის დასაშვებობა), რასაც მე-19 მუხლი<sup>14</sup> განსაზღვრავდა“. <sup>15</sup> მიუხედავად ამისა, მეცნიერი არ უარყოფს, რომ „უმჯობესი იქნებოდა, რელიგიის თავისუფლების მაღიარებელ, ან უკვე მე-16 მუხლს გაეთვალისწინებინა ის ფორმულირება, რომელიც ნიუჰანსურად უფრო დახვეწილი იყო 2017/18 წლის რეფორმამდელი კონსტიტუციის მე-19 მუხლში“. <sup>16</sup>

ისეთი ქვეყნისთვის, სადაც სასამართლო პრაქტიკაზე მეტად მნიშვნელოვანი კანონში სამართლებრივად სწორი და გამართლებული ჩანაწერის არსებობაა (საქართველო კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყანას მიეკუთვნება, სადაც მოსამართლე არა პრეცედენტული სამართლით, არამედ კანონითაა შებოჭილი), აუცილებელია, რომ კონსტიტუციაში აღნიშნული ხარვეზი დაუყოვნებლივ გამოსწორდეს – ის უნდა დაუბრუნდეს იმ პირვანდელ ფორმას, როგორც წარმოდგენილი იყო 2017/18 წლის რეფორმამდე, საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რაც იმთავითვე სახელმწიფოსთვის კონსტიტუციური დონის ვალდებულებაცაა.<sup>17</sup>

13 European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Freedom of Religion and Belief, CDL (2013)042, Strasbourg, 16 October, 2013, 11.

14 **შენიშვნა:** რელიგიის თავისუფლება 2017/18 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე დაცული იყო კონსტიტუციის მე-19 მუხლით, რომლის მე-3 პუნქტი ისეთ ფორმულირებას შეიცავდა, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავდა შინაგან რწმენაში ჩარევის დაუშვებლობას, რაც საკანონმდებლო სიცხადეს უზრუნველყოფდა: „დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“.

15 თ. ერქვანია, რელიგიური გაერთიანებების თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფა სეკულარიზმის მოდელის იდენტიფიცირების გარეშე? საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტუალური მართლმსაჯულება, ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს ვალდებულებები, სტატიათა კრებული, კ.კორკელია (რედ.), თბ., 2019, 36.

16 იქვე.

17 **შენიშვნა:** საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს – აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ არ უნდა მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს და რომელმაც შეიძლება დაარღვიოს, მათ შორის, კონსტიტუციური ნორმები ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებით, მაგალითად, რელიგიის თავისუფლების დაცვის კონტექსტში აქტუალური საკითხი იქნება კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაძლო დარღვევა, რომელიც ადამიანის ღირსების უფლების ხელშეუვალობას აცხადებს.

ჯ. ბრიერლი ობიექტურად აღნიშნავდა, რომ „...საერთაშორისო სამართალი არც მითა და არც პანაცეა. ის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტია სხვებს შორის, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ უკეთესი საერთაშორისო წესრიგის მშენებლობისთვის“.<sup>18</sup>

### 3. ჰემოტრანსფუზიის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო საზოგადოებაში

სისხლის გადასხმას, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცედურას სამედიცინო სფეროში, ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველი გადასხმა, რომელსაც პროფესორი დენისი ხელმძღვანელობდა, საფრანგეთში 1667 წელს წარმატებით ჩატარდა ცხოველის სხეულიდან ადამიანის სხეულში სისხლის განაწილებით.<sup>19</sup> მოგვიანებით, 1818 წელს, ფიზიოლოგმა ჯ. ბლანდელმა პირველად განახორციელა წარმატებით ერთი ადამიანიდან მეორე ადამიანში სისხლის გადასხმის პროცედურა. მართალია, პაციენტი დაავადებული იყო პილორიუსის ცეროზით და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა, თუმცა ბლანდელი მიიჩნევდა, რომ ჰემოტრანსფუზიის პროცედურამ სიცოცხლე დაახლოებით 56 საათით გაახანგრძლივა, რაც იმ დროისთვის ინოვაციად უნდა ჩათვლილიყო.<sup>20</sup> წლების განმავლობაში აშკარა ხდებოდა, რომ ყველანაირი სახის პროტოკოლის გარეშე სისხლის გადასხმის პროცედურა არ იქნებოდა უსაფრთხო და ის გარკვეულ სტანდარტებს უნდა დაყრდნობოდა – მაგალითად, 1901 წელს ავსტრიელმა მეცნიერმა კარლ ლანდშტეინერმა დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის ორგანიზმის შესწავლის გარეშე მოხდებოდა სისხლის გადასხმა, ამას შეეძლო წარმოექმნა გვერდითი ეფექტი და ადამიანისთვის სასიკვდილო შედეგი მოეტანა. მისმა გულმოდგინე მუშაობამ სამყაროს მოუტანა ადამიანის სისხლის ჯგუფების კატეგორიზაცია და აღნიშნული სამედიცინო პროცედურა მეტად უსაფრთხო გახდა.<sup>21</sup>

მიუხედავად ადამიანის სიცოცხლესთან დაკავშირებული უამრავი სირთულის არსებობისა, ჰემოტრანსფუზიის როლმა და მნიშვნელობამ კეთილგანწყობა მოიპოვა საერთაშორისო საზოგადოებაში, რასაც ადასტურებს გაეროს ეგიდით მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული უამრავი პროტოკოლი თუ რეზოლუცია, რომელთა პირობების შესრულება სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის ინდექსის ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი კრიტერიუმი.<sup>22</sup> მე-

18 J.Brierly, The Law of Nations, Oxford, 1955, 1.

19 Harvey G. Klein, David J. Anstee, Mollison's Blood Transfusion in Clinical Medicine, 12th edition, 2014, 22.

20 J. Blundell, Some account of a case of obstinate vomiting in which an attempt was made to prolong life by the injection of blood into the veins. Medico-Chir. Tr., 1818, x, 310.

21 E. Elif Vatanoğlu-Lutz, Ahmet Doğan Ataman, Medicine in philately: Karl Landsteiner, the father of blood grouping, Istanbul, 2013, 177.

22 მაგალითისთვის – DC-PAHO/AMRO Resolution CD41.R15: Strengthening Blood Banks in the Region of the Americas ან/და WHA Resolution WHA56.30: Global Health Sector Strategy for HIV/AIDS.

დიცინის დოქტორმა ვ. ჰაფნერმა, რომელიც მრჩეველია სისხლის გადასხმის უსაფრთხოების სფეროში, აღნიშნა, რომ ევროპის მასშტაბით შეიმჩნევა სისხლის მზარდი საჭიროება ხანდაზმული მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საემიგრაციო პროცესებმა განაპირობა სხვადასხვა დაავადების გავრცელება, რამაც, თავის მხრივ, ერთდროულად შექმნა როგორც სისხლის დეფიციტი, ისე მისი საჭიროება.<sup>23</sup>

2018 წლის სტატისტიკით დადგენილია, რომ მსოფლიო მასშტაბით საერთო წილის 118,5 მილიონი მოცულობის სისხლი შეგროვდა, საიდანაც უდიდესი წილი (თითქმის 25%) ევროპიდან მოდის.<sup>24</sup> აღნიშნული ადასტურებს როგორც სახელმწიფოების, ისე საზოგადოების მხრიდან დადებით დამოკიდებულებას ჰემოტრანსფუზიის მიმართ. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვის იმ საერთაშორისო რეგულაციებსა და პროტოკოლის ნორმებს, რომლებიც როგორც დონორის, ისე რეციპიენტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

#### 4. იეჰოვას მოწმეების უარისა და მიუღებლობის მიზეზები სისხლის გადასხმასთან მიმართებით

ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განაცხადა, რომ „ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ დებულებად ითვლება მე-3 მუხლთან ერთად, რამეთუ იგი ასახავს ევროპის საბჭოს შემადგენელ დემოკრატიულ საზოგადოებათა ერთ-ერთ ძირითად და არსებით ღირებულებას“.<sup>25</sup> იეჰოვას მოწმეების მხრიდან სისხლის გადასხმაზე უარის თქმამ შეიძლება გამოიწვიოს პირის სიცოცხლის უფლების ხელყოფა. უფლების ფუნდამენტური ბუნების გათვალისწინებით, ის აკისრებს ხელშემკერელ სახელმწიფოებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებებს – თვითნებურად სიცოცხლის მოსპობის აკრძალვას, არამედ ასევე მრავალ პოზიტიურ ვალდებულებას, როგორებიცაა: სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვის მიზნით ადგილობრივი კანონმდებლობის მიღება, მომაკვდინებელი ძალის გამოყენების დროს პოლიციის ოპერაციების სათანადო დაგეგმვა, მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით ადეკვატური და გონივრული ღონისძიებების გატარება, სასიკვდილო შემთხვევების დაუყოვნებლივი და ეფექტიანი გამოძიება.<sup>26</sup> ადამიანის სიკვდილი არ არის აუცილებელი წინაპირობა იმისათვის, რათა ხელშემკ-

23 WHO, Department of EHT, Universal Access to Safe Blood Transfusion, Geneva, 2008, 9.

24 WHO, Global Status Report on Blood Safety and Availability, Geneva, 2021, 19.

25 *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy)*, 2011 წლის 24 მარტი, 174-ე პუნქტი.

26 ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები — პრეცედენტული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, სტატიათა კრებული, კ.კორკელია (რედ.), თბ., 2009, 64.

ერელ სახელმწიფოს წარმოშევას პოზიტიური ვალდებულებების განხორციელების ვალდებულება.<sup>27</sup>

მოცემული თემატიკის განხილვისას განსაკუთრებული პრობლემა რელიგიურ ფაქტორზე გარემოებათა არსებობისას წარმოჩნდება – ამ შემთხვევაში, ხშირად სამართლებრივად უბრალოდ გაუგებარია, კონკრეტულად რა სახის ობიექტურ ასპექტებს შეიძლება ემყარებოდეს პირის ეს გადაწყვეტილება. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს, განუკურნებელი დაავადებიდან გამომდინარე, ტკივილი ტანჯავს, შეიძლება, გასაგები და მისაღებიც იყოს მისი მხრიდან ევთანაზიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება, თუმცა რელიგიური რწმენის შემთხვევა აშკარად განსხვავებულია, რამეთუ ის სუბიექტურ აღქმაზეა დამყარებული.

ლიონის უნივერსიტეტის მკვლევრები ერთ-ერთ სტატიაში პირდაპირ აღნიშნავენ: „... პირმა არა მხოლოდ შეიძლება, რელიგიური საფუძვლით განაცხადოს უარი სისხლის გადასხმაზე, არამედ უარყოფის საფუძველი ხშირად ხდება, მათ შორის, ფილოსოფიური მიზეზები, იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად მკურნალობა დაკავშირებულია ხანგრძლივ პროცესებთან (და, შესაბამისად, მათი მოლოდინებიც გამოწვევების დადებით ტენდენციებთან მიმართებით უარყოფითია). ეს არგუმენტი ძალიან ბევრი მედიკოსისთვის გაუგებარია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არაერთ ქვეყანაში უკვე მისაღებადაც კი მიიჩნევა...“.<sup>28</sup>

ამასთანავე, თავის მხრივ, საინტერესოა იეჰოვას მოწმეთა უარისა და მიუღებლობის მიზეზები სისხლის გადასხმასთან მიმართებით. მათი მხრიდან ერთ-ერთი არგუმენტი, მრავალ არგუმენტთან, ემყარება ბიბლიურ მტკიცებას, რომლის მიხედვითაც, „არ ჭამოთ ხორციელის სისხლი, რადგან ყოველი ხორციელის სული მისი სისხლია; ვინც მას შეჭამს, მოიკვებება“ (ლევიანები 17:14). გარდა ამისა, მათი აზრით, სისხლის გადასხმა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშია, რასაც ადასტურებს მსოფლიო მასშტაბით მომხდარი არაერთი ტრაგიკული შემთხვევა.<sup>29</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მათ პოზიციას განსაკუთრებით არ იზიარებენ მართლმადიდებლური სამყაროს წარმომადგენლები. ზემოხსენებული არგუმენტების საწინააღმდეგო მსჯელობა განვითარებული „აპოკალიფსის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში: „სულ მცირე დროს თუ დავუთმობთ იმას, რომ ყურადღებით განვიხილოთ სისხლის საკითხი „წმიდა წერილის“ თვალსაზრისით, აღმოვაჩენთ, რომ, როდესაც ბიბლია სისხლის გამოყენების აკრძალვაზე ლაპარაკობს, ყოველთვის გულისხმობს მის გამოყენებას საკვებში“.<sup>30</sup>

რაც შეეხება სისხლის გადასხმის ალტერნატიული ვარიანტის მიღებადობას, სტატიაში სისხლის კლასიფიკაციის მეთოდის ახსნის შემდგომ აღნიშნულია: „ჯერ ერთი,

27 მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Makaratzis v. Greece*), 2004 წლის 20 დეკემბერი, 49-ე პუნქტი.

28 O. Garraud, J.D. Tissot, Transfusion and refusal: trials and tribulations, *International Journal of Clinical Transfusion Medicine*, 2018, 17.

29 იქვე, 18.

30 [[https://www.apocalypse.ge/antieretikoni\\_iehovas\\_mowmeebi\\_da\\_sisxlis\\_gadasxma.html](https://www.apocalypse.ge/antieretikoni_iehovas_mowmeebi_da_sisxlis_gadasxma.html)].

ცხადია, რომ იეჰოვას მონმეთა პოზიცია სისხლის „აკრძალულ“ კომპონენტებთან დაკავშირებით არ ეფუძნება ბიბლიას. ის დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ დღეისთვის სისხლის სამედიცინო კლასიფიკაციის რომელ მეთოდს ანიჭებს უპირატესობას იეჰოველთა ორგანიზაცია; და მეორეც, იეჰოველთა ორგანიზაციის მიერ ამა თუ იმ კლასიფიკაციის არჩევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება იმას, თუ რომელი კომპონენტები ეჩვენებათ იეჰოვას მონმეებს მისაღები, და რომელი არა, და, როგორც შედეგი, ეს არსებით გავლენას ახდენს სამკურნალო პრეპარატების არჩევაშიც, ან სისხლის დიდი დანაკარგის დროს, როდესაც მას შეიძლება ჰქონდეს გადარჩენის შანსი ან შეიძლება დაიღუპოს.<sup>31</sup>

როგორც გამოვლინდა, იეჰოვას მონმეები კატეგორიულ უარს აცხადებენ სისხლის გადასხმაზე, რადგან, მათი აზრით, ღვთის თვალში სისხლი იგივე სიცოცხლეა,<sup>32</sup> თუმცა ისინი არ უარყოფენ სისხლის ჩამნაცვლებელი ცალკეული კომპონენტების მიღებას, როგორებიცაა: პლაზმა, ერითროციტები და სხვანი.<sup>33</sup> „საგუშაგო კოშკის“ ინფორმაციით, გადაუდებელ ვითარებაში, მაშინ, როცა სისხლის გადასხმა სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთ გზადაა მიჩნეული, იეჰოვას მონმეები ექიმებს სთხოვენ, რომ უზრუნველყონ საუკეთესო ალტერნატიული დახმარება ამ გარემოებებში მათი პირადი რწმენის პატივისცემის მიზნით.<sup>34</sup> „საუკეთესო ალტერნატიულ დახმარებაში“ შეიძლება, მოიაზრებოდეს სწორედაც რომ სისხლის ჩამნაცვლებელი პრეპარატების ან/და სხვა სახის სამედიცინო დახმარების განევა, რომელიც ააცილებს პირს სისხლიან ქირურგიულ ჩარევისა და რელიგიის თავისუფლების შესაძლო ხელყოფის ფაქტს.

სხვა საკითხია, თუ რამდენად საფუძვლიანია იეჰოვას მონმეების ეს პოზიცია რელიგიურად, ანუ რამდენად ბიბლიურ კავშირშია მათი აშკარა წინააღმდეგობა ჰემორანსფუზიასთან მიმართებით – სტატიის მიზანი მხოლოდ პრობლემის კრიტიკულ-სამართლებრივი ანალიზია და არა რელიგიური დასკვნების გაკეთება.

მიუხედავად ყველაფრისა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ იეჰოვას მონმეთა მუდმივმა წინააღმდეგობამ და, შესაბამისად, მათი უფლებრივი მდგომარეობის მკაცრად დაცვის საჭიროებამ, ტექნოლოგიის განვითარების პარალელურად, სერიოზული ბიძგი მისცა უსისხლო ქირურგიის ჩამოყალიბებას, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.<sup>35</sup>

31 იქვე.

32 B.Gert, C.M. Culver, The justification of paternalism – ethics, Chicago, 1979, 199-210.

33 J. Lowell Dixon, Jehovah's Witnesses: The Surgical/Ethical Challenge, 1981, 246.

34 Our Kingdom Ministry, Are You Ready to Face a Faith-Challenging Medical Situation?, 1990, 3.

35 A. Olaussen, J. Bade-Boon, MC. Fitzgerald, B. Mitra, Management of injured patients who were Jehovah's Witnesses, where blood transfusion may not be an option: a retrospective review, 2018, 113:283-289.

## 5. ქართული სასამართლოს პრეცედენტი და საერთაშორისო გამოცდილება: სინთეზური ურთიერთმიმართება და წინააღმდეგობრივი საკითხები

### 5.1. ქართული სასამართლო, როგორც საერთაშორისო სტანდარტების გუშაგი

პაციენტის წინასწარ გაცხადებული ნების ნამდვილობაზე დამოკიდებული ექიმის დისკრეციის ფარგლები – იმოქმედოს, თუ თავი შეიკავოს სამედიცინო ჩარევისგან, რამეთუ პაციენტის თავისუფლება, თავად გადაწყვიტოს, თუ როგორ მოეპყრონ თავის სხეულს, მოიცავს მკურნალობაზე, ამ შემთხვევაში, სისხლის გადასხმაზე უარის თქმის უფლებასაც საქმეზე – *პრეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. The United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, „მიუხედავად შესაძლო ფატალური შედეგის დადგომისა, გარკვეულ მკურნალობაზე უარიდან გამომდინარე, სამედიცინო მკურნალობის თავზე მოხვევა გონებრივად თანხმობის გაცემის უნარის მქონე ზრდასრულ პაციენტზე განიხილება როგორც ჩარევა პირის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში იმგვარად, რომ შესაძლოა, გამოიწვიოს პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფა“.<sup>36</sup> მეტიც, მსგავსმა ქმედებამ შეიძლება ხელყოს ადამიანის ღირსების უფლება – „რწმენის თავისუფლება ადამიანის თვითგამორკვევის სანყისი და საფუძველია. ყველა სხვა უფლების მსგავსად, ეს თავისუფლებაც ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულებაა“.<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება“.<sup>38</sup>

როგორც ქართული, ისე საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ სისხლის გადასხმაზე უარის თქმის უფლება და იეპოვას მოწმეთა არჩევანი კანონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი და გარანტირებული, თუმცა ამისათვის საჭიროა, გამოხატული ნება იყოს ნამდვილი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს გარკვეული დაწესებული სტანდარტები გამოხატული ნების ნამდვილობასთან მიმართებით, ეს ჩამონათვალი დროისა და პრაქტიკის განვითარების პარალელურად ცვალებადია. მაგალითად, საქართველოში ნების ნამდვილობისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების დაკმაყოფილება: სახეზე უნდა იყოს ქმედუნარიანი გადაწყვეტილების მიღების მქონე სრულწლოვანი პირი; ნება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს; ნება უნდა იყოს გამოვლენილი თავისუფლად (ყო-

36 *პრეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. The United Kingdom)*, 2002 წლის 29 აპრილი, 63-ე პუნქტი.

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე – *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე – *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

ველგვარი ზემოქმედების გარეშე, აქ იგულისხმება: იძულება, მოტყუება, შეცდომა) და შესაბამისი ფორმის დაცვით.<sup>39</sup>

პაციენტის ღირსება უპირატესია ექიმის სინდისის თავისუფლებასთან შედარებით და არჩევანის თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს ექიმის ეთიკური შეფასებით.<sup>40</sup> სამედიცინო დანესებულება შებოჭილია გარემოებით, რომლის მიხედვითაც, მას მაშინაც არ აქვს პაციენტისთვის ქირურგიულ ჩარევაზე უარის თქმის უფლება, როცა აუცილებელი თანხმობა სისხლის გადასხმაზე პირს გაცხადებული არ აქვს – ამ მხრივ სანიმუშო გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ.<sup>41</sup>

მოსარჩელე იყო იეჰოვას მოწმე, რომელსაც სჭირდებოდა სუნთქვის აღდგენითი, კონკრეტულად, ძგიდისა და ნიჟარის ოპერაცია. როდესაც მან მიიღო სახელმწიფოსგან საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში შესაბამისი ნაწილობრივი დაფინანსება, კლინიკამ პირს სთხოვა, შეეცხო დოკუმენტაცია და ხელი მოეწერა მასზე, რომელთა შორისაც იყო „პაციენტის ინფორმირებული თანხმობა გაუტკივარებაზე“. ვინაიდან პირი იეჰოვას მოწმე იყო, მან უარი განუცხადა ექიმს დოკუმენტზე ხელმოწერის შესახებ. მრავალჯერ მიმართვის მიუხედავად, პირი დარჩა მკურნალობის გარეშე, რამაც, მისი თქმით, მიაყენა დიდი მორალური და ფსიქოლოგიური ზიანი. ამ საქმეში ეროვნულმა სასამართლომ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი სტანდარტით, რომლის მიხედვითაც, „პოტენციურად სიცოცხლის შემანარჩუნებელ სამედიცინო ჩარევაზე უარის თქმა, რელიგიურ საფუძველზე, როგორც სამართლებრივად მნიშვნელოვნად კომპლექსური საკითხი, უკავშირდება ჩარევას, რომელიც წარმოშობს კონფლიქტს სახელმწიფოს ინტერესსა, რომელიც იცავს თავისი მოქალაქეების სიცოცხლეს და იმ პირთა უფლებებს შორის, პერსონალურ ავტონომიაზე ფიზიკური ხელშეუხებლობისა და რელიგიური რწმენის სფეროში... პაციენტებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის უფლება, რაც ეფუძნება მათ საკუთარ შეხედულებებსა და ღირებულებებს, მიუხედავად იმისა, რამდენად ირაციონალურად, არაგონივრულად ან უგუნურად შეიძლება ისინი სხვებს მოეჩვენოთ. მრავალჯერ განუხილავთ იეჰოვას მოწმეთა საქმეები, რომელთაც უარი თქვეს სისხლის გადასხმაზე და დაადგინეს, რომ თუმცა საჯარო ინტერესი, დაცულ იქნეს პაციენტის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, იყო უდავოდ ლეგიტიმური და ძალიან ძლიერი, უკანა პლანზე გადავიდოდა პაციენტის უფრო ძლიერი ინტერესის დაცვის მიზნით, განესაზღვრა თავისი ცხოვრების კურსი“.<sup>42</sup> კონვენციის მთავარი არსი ადამიანური ღირსებისა და თავისუფლების ღრმა პატივისცემაა, მაშასადამე,

39 ლ. ჭანტურია (თანაავტორი), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, 303-312; ასევე, იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე-89-ე მუხლები.

40 M.Rajtar, Bioethics and Religious Bodies: Refusal of Blood Transfusions in Germany, PubMed Disclaimer, 2013, 271.

41 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის 2/17064-18 გადაწყვეტილება, შესულია კანონიერ ძალაში.

42 მოსკოველი იეჰოვას მოწმეები და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*), 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება, 132-ე-141-ე პუნქტები.

უდავოა, რომ მასში ჩადებული თითოეული მუხლი უნდა განიმარტოს არა თეორიულად და ილუზიურად, არამედ პრაქტიკულად და ეფექტიანად,<sup>43</sup> რა მისიაც ევროპულმა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში კარგად შეასრულა. ამრიგად, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სისხლის გადასხმაზე უარის თქმა იეჰოვას მოწმეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგია, როგორც პიროვნების პირადი ავტონომიის საკითხი და დაცულია კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლებით.

რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, მას არაერთხელ განუმარტავს, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე...“<sup>44</sup>. ამასთანავე, „მითითებული კონსტიტუციური ნორმა თავისი არსით წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების ფუნდამენტურ გარანტიას, უზრუნველყოფს რა ადამიანის პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და უზოგადესი ასპექტის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ჩამოყალიბების, მისი ცხოვრების ინდივიდუალური წარმართვის თავისუფლებას სამართლიანი სახელმწიფოს ფარგლებში... საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს აქვს შემავსებელი ფუნქცია და იცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უზოგადესი უფლების ისეთ ასპექტებს, რომლებიც არ არის დაცული აღნიშნული უფლების კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებულ ცალკეულ სეგმენტებში. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნებისმიერი წესი, რომელიც პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებას, მისი ქმედებების ავტონომიურობას ან პიროვნების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების, მისი არჩევანის შესაბამისად განსაზღვრის პრინციპს ზღუდავს, შემცებლობაშია საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის პიროვნულ განვითარებასა და პირადი ცხოვრების უფლებებთან“.<sup>45</sup>

საერთო ჯამში, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ „მოსარჩელის, როგორც პაციენტისათვის, სამედიცინო მომსახურების განევაზე უარის თქმისას მოპასუხე სამედიცინო დაწესებულება მოქმედებდა თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში და იგი არ იყო უფლებამოსილი, მიუხედავად „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების დანართით (ფორმა IV 300-8/ა) „პაციენტის ინფორმირებული თანხმობა

43 დვორსკი ხორვატიის წინააღმდეგ (*Dvorski v. Croatia*), 2015 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 110-ე პუნქტი.

44 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ.

45 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება №1/6/622 საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ.

გაუტკივარებაზე“ გათვალისწინებულ პირობაზე (ჰემოტრანსფუზიის საჭიროებისას მისი გამოყენების შესახებ) მოსარჩელის თანხმობის განუცხადებლობისა, უარი ეთქვა მისთვის სამედიცინო მომსახურების განევაზე. შესაბამისად, მოპასუხეზე მოსარჩელის მიმართ მოქმედებდა კონტრაპირების იძულების პრინციპი“.<sup>46</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, ერთი მხრივ, რომ სამედიცინო დაწესებულება შებოჭილია პაციენტის (იეჰოვას მოწმის) „პირადი ავტონომიითა“ და მის საფუძველზე მოქმედი არჩევანის თავისუფლებით, რომლებიც, საერთო ჯამში, პირის თვითგამორკვევის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად; მეორე მხრივ, ამ გადაწყვეტილებით ნათლად დადასტურდა, რომ სამედიცინო დაწესებულების მხრიდან გამოხატულმა დაუსაბუთებელმა უარმა ქირურგიულ/სამედიცინო ჩარევაზე შეიძლება ხელყოს პირის ისეთი უფლება, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვის უფლება, რისი დაცვაც პოზიტიური ვალდებულებების შესრულებით, საქართველოს, როგორც ევროპული კონვენციის ხელშემკვერელ მხარეს, უპირობოდ ევალება.

ასევე, საინტერესოა საქმე, სადაც ეროვნულ სასამართლოს მოუწია, ემსჯელა, მათ შორის, ინფორმირებული თანხმობის ნამდვილობაზე. ზემოთ ხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, არაერთხელ დადასტურდა, რომ იეჰოვას მოწმეებისათვის „საკუთარი სურვილისამებრ თავისი ცხოვრების წარმართვის თავისუფლება მოიცავს ისეთი ქმედების თავისუფლებასაც, რომელიც შეიძლება უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებისთვის ფიზიკურად დამაზიანებელი ან სახიფათო იყოს. ეს მოიაზრებს პაციენტის მიერ სისხლის გადასხმაზე უარის თქმასაც, რაც შეიძლება გადაუდებელი აუცილებლობა იყოს მისი სიცოცხლის გადასარჩენად ან ისახავდეს მიზნად მისი ჯანმრთელობის გამოუსწორებელი დაზიანების პრევენციას“.<sup>47</sup>

ამ საქმეში<sup>48</sup> პაციენტს, რომელიც იეჰოვას მოწმე იყო, დაესვა პანკრეასის სიმსივნის დიაგნოზი და საჭიროებდა გადაუდებელ ოპერაციას. ოპერაციის ჩატარებამდე პაციენტს განემარტა ოპერაციის შესაძლო გართულებებისა და რისკების შესახებ. ამის შემდგომ მან წერილობითი თანხმობა განაცხადა სამედიცინო მომსახურების განევაზე, სადაც მიუთითა: „მივიღე ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების განევაზე და მოსალოდნელ შედეგებზე: ოპერაციული მკურნალობის მოსალოდნელი შედეგია გაუმჯობესება, თუმცა ამის გარანტია არ არსებობს, ასევე დიდი ალბათობით, მოსალოდნელია უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ლეტალური გამოსავალი... ექიმის მიერ ინფორმირებული ვარ, რომ მესაჭიროება სისხლის და სისხლის კომპონენტების გადასხმა. ასევე, დეტალურად ამიხსენს, რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს ამ პროცედურის ჩატარებლობას, მაგრამ მე კატეგორიულ უარს ვაცხადებ სისხლის და სისხლის კომპონენტების

46 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის 2/17064-18 გადაწყვეტილება, შესულია კანონიერ ძალაში.

47 მ. ბიჭია, ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება, სტატიათა კრებული, კ.კორკელია (რედ.), თბ., 2022, 185.

48 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №ას-1124-1044-2017 გადაწყვეტილება, შესულია კანონიერ ძალაში.

გადასხმაზე“.<sup>49</sup> ძლიერი გართულებების ფონზე, მიუხედავად პაციენტის მხრიდან გამოხატული აშკარა ნებისა, მეუღლემ მიიღო გადაწყვეტილება, სისხლის მცირე მასა მაინც გადაესხათ პაციენტისთვის, რაც სამართლებრივად კრიტიკულად უნდა შეფასდეს, რადგან „იპოვებას მოწმეთა წინასწარ მითითებებში ასახული უარიც სისხლის გადასხმაზე მათი თვითგამორკვევის უფლებაა... თუ ინფორმირებული თანხმობის დროს პაციენტი სისხლის გადასხმაზე უარს ექიმის წინაშე აცხადებს, თავისთავად, სამედიცინო შემთხვევებით პრეზუმირებულია, რომ მას აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი“.<sup>50</sup> შესაბამისად, ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის გადასხმა მიზნად ისახავდა პირისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას, დარღვეულია როგორც ღირსების ხელშეუვალობის, ისე პირადი ავტონომიისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებები.

აღნიშნულ საქმეზე სარჩელი შეიტანა გარდაცვლილი პაციენტის შვილმა, რომელიც მოითხოვდა არაჯეროვანი სამედიცინო დახმარების განევის გამო დედის გარდაცვალებით მისთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის, 100 001 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებას, ასევე მარჩენალის დაკარგვის გამო მოპასუხისათვის ყოველთვიური სარჩოს დაკისრებას მისი სრულწლოვანების მიღწევამდე, ქვეყანაში დადგენილი საარსებო მინიმუმის ოდენობით.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და მითითება გააკეთა საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ 46-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „თუ ქმედუნარიანი ან/და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პაციენტი უარს აცხადებს სამედიცინო მომსახურების განევაზე ან მოითხოვს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურების შეწყვეტას, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პაციენტი, რაც დასტურდება შესაბამის სამედიცინო დოკუმენტაციაზე ხელმოწერით“. ამ შემთხვევაში, სასამართლომ ვერ დაინახა გაცხადებული თანხმობის არანამდვილობის ალბათობის მინიმალური პროცენტულობაც კი. სასამართლომ დაადასტურა, რომ პაციენტმა საჭირო ახსნა-განმარტების შემდეგ სათანადოდ გაიაზრა ოპერაციის შესაძლო რისკები და ისე განაცხადა თანხმობა, რამაც, თავის მხრივ, გამოორიცხა როგორც მედიკოსების პასუხისმგებლობა, ისე სამომავლოდ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა.

მოცემულ საქმესთან მიმართებით გარდაცვლილის მეუღლემ განსხვავებული სასარჩელო მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. მოსარჩელის არგუმენტაციით, მართალია, რომ პაციენტმა რწმენიდან გამომდინარე განაცხადა უარი სისხლის გადასხმაზე სიცოცხლისთვის სახიფათო ოპერაციის ჩატარების წინ, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი აქ ისაა, რომ კლინიკა პირს დასთანხმდა იმ პირობებში, როცა მედიკოსებმა იცოდნენ, ოპერაციის მიმდინარეობისას, უდიდესი ალბათობით, საჭირო იქნებოდა სისხლის გადასხმა. პარალელურად, ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ ალტერნატიული მეთოდით ოპერაციის წარმატებით ჩატარებას. იქიდან გამომდინარე, რომ

49 იქვე, 3-4.

50 ი. გელაშვილი, პაციენტის წინასწარ გაცხადებული ნება – Living Will, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, VI, 2023, 108.

კლინიკისთვის პაციენტის პოზიცია ცნობილი იყო სისხლის გადასხმასთან დაკავშირებით, მოსარჩელის თქმით, კლინიკას უარი უნდა ეთქვა გეგმური ოპერაციის ჩატარებაზე, შესაბამისი რესურსების არქონის გამო. მოპასუხემ შესაგებელში განმარტა, რომ პაციენტი ინფორმირებული იყო ოპერაციის შესაძლო გართულებების შესახებ, ასევე, აღნიშნულ ოპერაციას ალტერნატივა არ გააჩნდა და, მათ შორის, არც ე.წ. უსისხლო მეთოდი იყო დანერგილი საქართველოში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ ალტერნატიული მეთოდების გამოყენება, მაგალითად, როგორცაა ე.წ. უსისხლო მეთოდი, უნდა შეფასდეს არა თანამედროვე მედიცინის ზოგადი მიღწევებით, არამედ სადავო პერიოდში ქვეყანაში არსებული სამედიცინო სტანდარტების საფუძველზე. არცერთი ინფორმაციით არ დადასტურებულა, რომ რომელიმე კლინიკა აღნიშნულ მეთოდს იყენებდა.<sup>51</sup> პირველმა ინსტანციამ სრულად გაიზიარა მოპასუხის პოზიცია.

მოსარჩელემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში. აპელანტმა აღნიშნა, რომ სიკვდილი გამოიწვია სისხლის დიდი ოდენობით დაკარგვამ და არა თანმხლებმა დაავადებამ. აპელანტის მითითებით, პაციენტის სრული ინფორმირება ფატალური შედეგების შესახებ არ მომხდარა, მას მხოლოდ ფორმალურად, ახსნის გარეშე ჩამოართვეს ხელწერილი სავარაუდო გართულებების შესახებ და ამით წაართვეს გადაწყვეტილების მიღების უნარი.<sup>52</sup> აპელანტმა დააზუსტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს ეცოდინებოდა, რომ აუცილებლად დასჭირდებოდა სისხლის გადასხმა, იგი საერთოდ უარს იტყოდა ასეთი სახის ქირურგიულ ჩარევაზე და სასიკვდილო შედეგიც არ დადგებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის პოზიცია და აღნიშნა, რომ პაციენტის ინფორმირებული თანხმობა განიხილება არა როგორც უბრალო ნების გამოვლენა, არამედ როგორც პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის შესაძლებლობას, გააკეთოს ნებაყოფლობითი და გაცნობიერებული არჩევანი დაგეგმილი სამედიცინო ჩარევის თაობაზე.<sup>53</sup> სასამართლოს თქმით, ექიმებმა პაციენტისთვის ვერ მოახერხეს სრული ინფორმაციის მიწოდება და პაციენტის დარწმუნება, რომ ასეთ სერიოზულ ოპერაციას, დიდი ალბათობით, დასჭირდებოდა სისხლის გადასხმა. სასამართლომ დაადგინა პაციენტის უფლების დარღვევა – დამოუკიდებლად განესაზღვრა საკუთარი თავისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საკითხი და საკომპენსაციოდ მოპასუხეებს დააკისრა 5000 ლარის ზიანის ანაზღაურება.<sup>54</sup>

ასე და ამგვარად, პრაქტიკით ნათლად დადასტურდა, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია ნების გამოვლენის ნამდვილობის სიზუსტე, რათა პირის როგორც პირადი ავტონომია, ისე პირადი ხელშეუხებლობა გაუმართლებლად არ იქნეს ხელყოფილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება გარანტირებულია კონვენციის მე-8 მუხლით, სადაც სასამართლომ ჯანმრთელობის უფლებაც მოაქცია.

51 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება.

52 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 4 დეკემბრის №28/493-22 გადაწყვეტილება.

53 იქვე.

54 იქვე.

იგი ითვალისწინებს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს. სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს პირის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ერთიანობა.<sup>55</sup> სწორედ ამ თითოეული კომპონენტის დაცულობა უზრუნველყოფს Living Will-ის კონცეფციის სიზუსტეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის გარდა, მაგალითისთვის, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომაც არანაკლები სიცხადით ჩამოაყალიბა ნების ნამდვილობასთან დაკავშირებით სამართლებრივი სტანდარტი: „...სამედიცინო პროფესიაში არაა სადავო, მკურნალობა კანონიერად რომ ჩაითვალოს, ძირითადად პაციენტის თანხმობაა საჭირო, ხოლო თანხმობა ნამდვილად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ პაციენტი ინფორმირებულია სამედიცინო ჩარევის მიმდინარეობის, მისი წარმატების შანსებისა და რისკების, მკურნალობის შესაძლო მნიშვნელოვნად განსხვავებული დატვირთვის ალტერნატივებისა და მთლიანობაში შანსებისა და საშიშროებების შესახებ. ეს არის მისი თვითგამორკვევის უფლებისა და სხეულის ფიზიკური მთლიანობის უფლების დაცვის ერთადერთი საშუალება“.<sup>56</sup>

## 5.2. გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას წინასწარი „არა“ სისხლის გადასხმაზე და სამედიცინო მუშაკებისთვის არსებული დილემა: მორიგი უარი ჰიპოკრატეს ფიცზე თუ *sui generis* შემთხვევა?

პაციენტის მიერ წინასწარ გამოვლენილი ნება ზუსტად ისეთივე სავალდებულო ხასიათსაა მედიკოსებისთვის, როგორიც ნებისმიერ ქირურგიულ ჩარევამდე რამდენიმე დღით ადრე მიღებული გადაწყვეტილება სისხლის გადასხმაზე უარის თქმის შესახებ. ამ უკანასკნელს საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს საქართველოს კანონის „პაციენტის უფლებების შესახებ“ 24-ე მუხლი, რომელიც აცხადებს: „საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება (თანხმობა ან უარი) უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ჩატარების ან/და მის მიმართ პალიატიური მზრუნველობის ან ჰოსპისური მზრუნველობის განხორციელების შესახებ, თუ მითითებული გარემოება გამოწვეულია: ა) განუკურნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით; ბ) დაავადებით, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მძიმე ინვალიდობას. აგრეთვე, საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-10 მუხლის თანახმად, „ყველა ქმედუნარიან პირს უფლება აქვს, წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება განუკურნებელი დაავადების ტერმინალურ სტადიაში აღმოჩენის შემთხვევაში მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ან/და პალიატიური მზრუნველობის

55 პენტიაკოვა და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ (*Pentiacova and Others v. Moldova*), 2005 წლის 4 იანვარი, 29-ე პუნქტი.

56 იხ. გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1958 წლის 9 დეკემბრის VI ZR 179/57 - BGHZ - 29 გადაწყვეტილება.

ჩატარების შესახებ“. მოცემულ შემთხვევაში სადავო პირის თავისუფლება კი არა, არამედ გარკვეული პერიოდით ადრე გამოხატული ნების ნამდვილობაა.

ზოგადად, თანხმობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნამდვილად, თუკი სახეზეა: ყველანაირი სახის ძალდატანებისა და ზემოქმედების გარეშე თავისუფალი ნების გამოვლენა: პირს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი შინაგანი რწმენისა და საკუთარი შეხედულებების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რამდენად უგუნურად ან არარეალურად უნდა ეჩვენებოდეთ იგი სხვებს; ექიმის მხრიდან უნდა იქნეს მიწოდებული ყველა საჭირო ინფორმაცია არსებითი რისკების შესახებ; თანხმობა უნდა ეკუთვნოდეს უფლებამოსილ პირს (ეს პრეზუმფცია მოქმედებს მანამ, სანამ არ არსებობს ამ უკანასკნელის სადავოდ მიჩნევის რომელიმე ელემენტი).<sup>57</sup>

ყველაფერთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის მიწოდებისას განსაკუთრებულად დიდი ყურადღება მიექცეს პაციენტის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობას. პაციენტმა სრულად უნდა გააანალიზოს მისთვის შეთავაზებული პროცედურის არსი, დანიშნულება და ისე მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება.<sup>58</sup> მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში დარღვევად მიიჩნია კლინიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება – მშობიარე ქალბატონის წინასწარ გააზრებული თანხმობის გარეშე სამედიცინო ფაქულტეტის სტუდენტების მშობიარობაზე დასწრების შესახებ.<sup>59</sup>

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობების ნამდვილობის შემთხვევაში, პაციენტისთვის, რომელიც რელიგიური მრწამსის მატარებელია, დაუშვებელია სისხლის იძულებით გადასხმა, რადგან ამ შემთხვევაში ირღვევა პირის ავტონომიური უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცხოვრების კურსი – არავინ არ უნდა დაექვემდებაროს იძულებით მკურნალობას და ადამიანს, თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სიცოცხლის დასრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე წინასწარ გამოხატოს ნება.<sup>60</sup>

ერთ-ერთი პრეცედენტული და გახმაურებული საქმის – **Malette v. Shulman** – მიხედვით, – შირლი მალეტი, რომელიც იეჰოვას მოწმე იყო, მძიმე ავარიაში მოჰყვა, რის შედეგადაც იგი უგონო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვინაიდან პაციენტს აღენიშნებოდა ძლიერი სისხლდენა, ექიმმა მიიღო დაუყოვნებელი გადაწყვეტილება პირისთვის სისხლის გადასხმის შესახებ.<sup>61</sup> პაციენტს თან ჰქონდა სპეციალური ბარათი, სადაც პირდაპირ უთითებდა, რომ იგი იყო იეჰოვას მოწმე და მისი რელიგიური მრწამსი ეწინააღმდეგებოდა ჰემოტრანსფუზიის, როგორც სამედიცინო პროცედურის, გამოყენებას. ამას-

57 K.J. Breen, S.M. Cordner, J.h. Thomson, V. D. Plueckhahn, *Good Medical Practice Professionalism, Ethics and Law*, Cambridge University Press, 2010, 50.

58 J. Stuart Showalter, *The law of healthcare and administration*, Wash, 2017, 381.

59 *კონოვალოვა რუსეთის წინააღმდეგ (Kononova v. Russia)*, 2015 წლის 16 თებერვალი, 48-ე პუნქტი.

60 L. Kutner, *The Living Will: The Epitome of Human Dignity in Coping With the Historical Event of Death*, *University of Detroit Law Review* 64, 1987, 661.

61 *Malette v Shulman* (1990) 72 OR (2d) 417.

თან ერთად, საღ გონებაზე მყოფმა შვილმაც კი უარი განაცხადა დედისთვის სისხლის გადასხმის თაობაზე, რისი გათვალისწინებაც ექიმის მიერ არ მომხდარა.<sup>62</sup>

გამოჯანმრთელების შემდეგ იეჰოვას მოწმემ სარჩელი შეიტანა ექიმის წინააღმდეგ და ითხოვდა 20 000 დოლარს მიყენებული ზიანისთვის.

მოპასუხემ შესაგებელში აღნიშნა, რომ მისი, როგორც ექიმის, უპირველესი მოვალეობა სიცოცხლის გადარჩენა იყო. მისივე განმარტებით, სპეციალური ბარათი, რომელიც იეჰოვას მოწმეს თან ჰქონდა, არ იყო გამორიცხული, რომ შეიცავდა „არანამდვილ ნებას“.<sup>63</sup>

სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სახეზე იყო გამოვლენილი ნების „არანამდვილობის“ რომელიმე ელემენტი მაინც, ექიმს ევალებოდა, რომ რაიმე სახით აღნიშნული დაესაბუთებინა – მისი მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი სახის მტკიცებულება, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა სპეციალურ ბარათში იეჰოვას მოწმის ნების ნამდვილობის სიმცდარეში. შესაბამისად, კანადის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა პირის თვითგამორკვევის უფლება და ექიმს ზიანის ანაზღაურების სახით 20 000 დოლარის გადახდა დააკისრა.<sup>64</sup> სასამართლომ გააკეთა უმნიშვნელოვანესი განმარტება, რომლის მიხედვითაც, „ზოგჯერ ცხოვრების გარკვეული ასპექტები (აქ იგულისხმება იეჰოვას მოწმეთა არჩევანი) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად სიცოცხლე. ასეთი მოტივები დიდი ხანია, შემორჩენილია საზოგადოებაში, იქნება ეს ომში პატრიოტიზმი, მეუღლის/შვილისთვის თავგანწირვა და სხვ. რელიგიური ნიშნით მკურნალობაზე უარის თქმაც ისეთივე მაღალი ღირებულების მატარებელია, როგორებიც ზემოთ ხსენებული შემთხვევებია.“<sup>65</sup>

მართალია, რომ საქმეში ყველაზე დიდი კრიტიკა ზიანის ოდენობამ დაიმსახურა,<sup>66</sup> თუმცა სასამართლოს მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის სრულად გაზიარება გამოიწვია მოსარჩელის მხრიდან გამოთქმულმა უკმაყოფილებამ, რომ იგი „თავს გრძნობდა დაბინძურებულად“.<sup>67</sup> შესაბამისად, სახეზე იყო სერიოზული ფსიქოლოგიური და სულიერი ტანჯვა-ტკივილი, რომელთან ერთადაც მოსარჩელეს მთელი ცხოვრება უნდა გაეტარებინა.

ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოშიც – ავტოავარიის შედეგად მიყენებული მძიმე დაზიანებებით ქალბატონი აღმოჩნდა უგონო მდგომარეობაში და ჰოსპიტალში გადაყვანილ იქნა მძიმე ტრავმებით. პაციენტს გაეწია ყველა სახის გადაუდებელი დახმარება, თუმცა აშკარა იყო, რომ საჭირო ხდებოდა ჰემოტრანსფუზიის ჩატარება. მიუხედავად ასეთი საჭიროებისა, პაციენტის შვილმა წერილობითი ფორმით უარი განაცხადა დედისთვის სისხლის გადასხმაზე. ასევე, უარი დააფიქსირა პაციენ-

62 იქვე.

63 *Malette v. Shulman* (1990), 72 O.R. (2D) 417 (C.A.)

64 იქვე.

65 იქვე.

66 N. Siebrasse, *Malette v. Shulman*: The Requirement of Consent in Medical Emergencies, *McGILL Law Journal*, V 34, 1989, 1080.

67 იქვე.

ტის მეუღლემაც. პაციენტს 2 წლით ადრე ხელი ჰქონდა მოწერილი დოკუმენტზე, სადაც ეწერა, რომ „მე ვარ იეჰოვას მოწმე და მოვითხოვ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადამისხან მთლიანი სისხლი, ერითროციტები, ლეიკოციტები, თრომბოციტები ან სისხლის პლაზმა. ეს მოთხოვნა ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც სამედიცინო მომსახურების გამწვევი თვლის, რომ საფრთხეშია ჩემი სიცოცხლე. უარს ვამბობ საკუთარი სისხლის წინასწარ შეგროვებასა და შენახვაზე მოგვიანებით გადასხმის მიზნით, არავის (მათ შორის ჩემს წარმომადგენელს) არ აქვს უფლება, უგულებელყოს ამ დოკუმენტში გამოხატული ჩემი ნება ან მის საპირისპიროდ იმოქმედოს. ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული აზრი, მაგრამ ეს არ ახდენს გავლენას ჩემს მტკიცე პოზიციაზე, რომელიც ეხება სისხლის გადასხმას და მკურნალობასთან დაკავშირებულ სხვა მითითებებს“.<sup>68</sup> მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ სასიკვდილო მომენტის დადგომისას პაციენტის დამ მიიღო გადაწყვეტილება პაციენტისთვის სისხლის გადასხმის შესახებ, რაც ექიმმა დადგენილი პროტოკოლისა და ე.წ. „გაიდლაინის“ შესაბამისად განახორციელა.

პაციენტმა გამოჯანმრთელებისთანავე სარჩელი შეიტანა კლინიკის წინააღმდეგ და ითხოვდა როგორც მორალურ ზიანს, 10 000 ლარის ოდენობით, ისე ექიმისათვის საექიმო უფლების, ანუ ლიცენზიის, შეჩერებას 3 წლის ვადით.<sup>69</sup>

მოპასუხეებმა შესაგებელში მიუთითეს, რომ პაციენტი იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში და არ გააჩნდა გადაწყვეტილების მიღების უნარი, მისთვის შემოტრანსფუზიის პროცედურა იყო ძალზე მნიშვნელოვანი და რომ მედიკოსები მოქმედებდნენ პაციენტის საუკეთესო ინტერესების დაცვით, რაც გამორიცხავდა მათ პასუხისმგებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით საქმეში – „მოსკოველი იეჰოვას მოწმეები და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*)“, ასევე, საქართველოს კანონით „პაციენტის უფლებების შესახებ“, კერძოდ, 24.1 მუხლით და აღნიშნა, რომ ნების გამოვლენის ნამდვილობა უნდა იყოს აშკარა, მკაფიოდ გამოხატული, ასევე, უნდა დგინდებოდეს, რომ ადამიანმა ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე გამოხატა სურვილი საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად. მსგავსი ბარათით, რომელიც მოსარჩელეს ჰქონდა, შეუძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, თუ რამდენად მოაწერა ხელი მოსარჩელემ ბლანკს, სადაც აღბეჭდილი იყო, სავარაუდოდ, მის მიერ დაწერილი ტექსტი. მოგვიანებით დადგინდა, რომ მოსარჩელეს კონსულტაცია არ გაუვლია მედიკოსებთან და არც მასთან თანმხლებ პირებს ჰქონიათ სამედიცინო განათლება (ისინიც იეჰოვას მოწმეები იყვნენ). აქედან გამომდინარე, საეჭვოა, რამდენად იყო გამოვლენილი ნება ნამდვილი, და, შესაბამისად, ლეგიტიმური სამედიცინო დაწესებულების ინტერესი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეკუთვნოდა აღნიშნული სპეციალური ბარათი პაციენტს.<sup>70</sup> საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

68 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 დეკემბრის №2/21258-20 გადაწყვეტილება, შესულია კანონიერ ძალაში.

69 იქვე.

70 იქვე.

მოსარჩელემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. იგი ამტკიცებდა, რომ სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლს, რომლის მიხედვითაც, „მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის სამედიცინო ჩარევის ჩატარება, სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესში მისი ჩართვა დასაშვებია მხოლოდ პაციენტის მიერ წარსულში (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი) განცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო ასეთი ნების არარსებობისას – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით“ და რომ, აქედან გამომდინარე, დარღვეული იყო პირის ავტონომიურობა.<sup>71</sup>

სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ „ეს უარი მოსარჩელეს იმდენად ცალსახად ჰქონდა დაფიქსირებული, რომ არავის არ აძლევდა უფლებას, მისი ნების საწინააღმდეგოდ გაეცა მკურნალობაზე თანხმობა. უფრო მეტიც, ხელწერილში პაციენტი უთითებდა, რომ ოჯახის წევრებს, ნათესავებს შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონოდათ, მაგრამ ეს მის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენდა. სასამართლომ მიუთითა, რომ ეს ხელწერილი შედგენილია მარტივი წერილობითი ფორმით, ნების გამოვლენას კი ადასტურებს თავად მოსარჩელე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუშვებელია, სამედიცინო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ იქნეს მისი ნამდვილობის დადასტურება სხვა რაიმე სახით, მათ შორის სანოტარო ფორმით“.<sup>72</sup> ამასთანავე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ამ ხელწერილით პაციენტის ნების გამოვლენა განპირობებული იყო მისი მრწამსით, ხოლო რელიგიისა და რწმენის თავისუფლება პირისთვის კონსტიტუციით დაცული უფლებაა. გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ შეაფასა როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებები, ისე საქართველოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა რელიგიის თავისუფლების, ფიზიკური ხელშეუხებლობის, ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ჩრილში. შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო პაციენტის ინფორმირებული თანხმობა და მისი ფარგლები სამედიცინო მომსახურების მიღების კონკრეტული მეთოდების მიმართ, ხოლო სისხლის გადასხმა ცალსახად სცდებოდა ამ ფარგლებს, არღვევდა პირის რელიგიის თავისუფლებას და მის ღირსებას, რის გამოც, სასამართლოს შეფასებით, სასარჩელო მოთხოვნა იყო საფუძვლიანი“.<sup>73</sup>

მამასადამე, პაციენტს (იეჰოვას მოწმეს) ეროვნულ დონეზე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ გამოავლინოს ნება სპეციალური ბარათის დახმარებით, რომლის საშუალებითაც იგი „თავს დაიზღვევს“ სამომავლოდ არსებულ ვითარებაში ისეთი გაუგებრობებისგან, როგორებიცაა: არის თუ არა პირი თანახმა სისხლის გადასხმაზე ან/და სწამდა თუ არა საერთოდ, როგორც იეჰოვას მოწმეს, ის ფაქტი, რომ ჰემოტრანსფუზია ეწინააღმდეგება ბიბლიას და, პარალელურად, სამედიცინო პერსონალი ვალდე-

71 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 25 მაისის №23/691-22 გადაწყვეტილება, შესულია კანონიერ ძალაში.

72 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, თბ., 2022, 62.

73 იქვე.

ბული იქნება, პირის ამ აშკარა გამოხატულ ნებას სცეს პატივი და არ გადაუსხას სისხლი. ამასთანავე, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ნდობის მაღალი ხარისხი არსებობს ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში, რომელიც გაცხადებულია ექიმის წინაშე, ვიდრე წინასწარი ნების გამოვლენის შემთხვევაში, სადაც არსებობს ზეგავლენის მოხდენის მაღალი ალბათობა. თუკი პირველ შემთხვევაში თითქმის არ არსებობს ეჭვის შეტანის მცირედი საფუძველიც კი, მეორე ვარიანტის განხილვისას ასეთი ალბათობა ბევრად უფრო მაღალია. ასეთი ნების ნამდვილობის განსაკუთრებული პრობლემა წარმოიშობა არასრულწლოვანი ახალგაზრდების მიმართ, სადაც სერიოზული რისკი არსებობს მშობლების მხრიდან ზემოქმედების მოხდენისა.<sup>74</sup>

თავისთავად, მხედველობაში მისაღება ყველა საერთაშორისო თუ ეროვნული სტანდარტი თუ პრეცედენტი, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად, კანონის, პაციენტისა და მისი ნების სრული პატივისცემითა და დაცვით უნდა შეფასდეს.

## დასკვნა

ნაშრომში განხილული საკითხების ანალიზის საფუძველზე შეიძლება მტკიცება, რომ იეჰოვას მოწმეთა შინაგანი რწმენა ჰემოტრანსფუზიის წინააღმდეგ კანონით აღიარებული და პირდაპირი წესით უზრუნველყოფილია. არაფერია იმაზე საშიში და საზარელი, როდესაც სახელმწიფო ცდილობს, ადამიანს წაართვას იდენტობა და თავადვე განუსაზღვროს ცხოვრების წესი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკით არაერთხელ დადასტურდა, რომ სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი, დაასაბუთოს უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურობა, როდესაც საქმე ეხება რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას პირადი ავტონომიისა და პირადი ხელშეუხებლობის ჩრჩილში. მიუხედავად იმისა, რამდენად მისაღები და გამართლებულია საზოგადოების წინაშე იეჰოვას მოწმეთა ასეთი „გამოხატვის თავისუფლება“, დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანია, დაიცვას ყველა ინდივიდი და უზრუნველყოს ისეთი საკანონმდებლო სივრცის ფორმირება, რომელიც იქნება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი და არადისკრიმინაციული.

კვლევაში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, ნათლად გამოიკვეთა სამი შემთხვევა: პირველი, როცა იეჰოვას მოწმეები ექიმის თანდასწრებით გამოხატავენ საკუთარ ნამდვილ ნებას, რომელშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს და სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მათი თავისუფალი არჩევანი და თვითგამორკვევა, რადგან ეს უკანასკნელი არსობრივად სიცოცხლის შემადგენელი ნაწილი – ფუნდამენტია. აქედან გამომდინარე, ასეთ დროს სასამართლომ დღის წესრიგიდან უნდა მოხსნას და აღარ დაიწყოს

74 C. Ó Néill, Jehovah's Witnesses and Blood Transfusions: An Analysis of the Legal Protections Afforded to Adults and Children in European/English Human Rights Contexts, *European Journal of Health Law*, I, 2017, 11.

მსჯელობა ნების ნამდვილობის შემოწმებისთვის განკუთვნილი ნებისმიერი სახის შესაძლო პროცედურის შესახებ; მეორე შემთხვევა: ნების წინასწარი გაცხადებაა, რომელიც არა მაღალი, არამედ უმაღლესი სტანდარტით უნდა შემოწმდეს. ამისათვის სასურველია, რომ საკანონმდებლო დონეზე, გონივრულობის ფარგლებში, ხელახლა დადგინდეს ის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს პირმა წინასწარი ნების დადასტურების სურვილის შემთხვევაში. ის ფაქტი, რომ ექიმს შეუძლია, ეჭვი შეიტანოს ნების ნამდვილობაში, თუკი ნების დადასტურებიდან გასულია დიდი დრო, მხოლოდ ეს არ არის მყარი არგუმენტი და სამედიცინო პერსონალს აძლევს ფართო დისკრეციის ფარგლებს, იმოქმედოს თვითნებურად და მიიღოს, მათ შორის, იეჰოვას მოწმეებისთვის საზიანო გადანეყვებილება. სასურველია, საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდეს, კონკრეტულად რა შემთხვევებში ჩაითვლება შესაძლებელი ექიმის მიერ წინასწარ გამოვლენილი ნების ნამდვილობაში ეჭვის შეტანა საფუძვლიანად, თანაც ისე, რომ არ დაირღვეს იეჰოვას მოწმეთა პირადი ავტონომიის უფლება. ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუ ნების ნამდვილობა საეჭვოა, უპირატესობა უპირობოდ უნდა მიენიჭოს სიცოცხლის უფლებას; მესამე შემთხვევა კი უკავშირდება არასრულწლოვან პირებს, რომლებზეც ზემოქმედების მოხდენა შედარებით უფრო მარტივი პროცესია, ვიდრე ზრდასრულ პირებზე. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ შესაძლებლობების ფარგლებში, შემოწმდეს არასრულწლოვნის ნების ნამდვილობა. თუკი ამ პროცედურის განხორციელება შეუძლებელია ობიექტური მოცემულობიდან გამომდინარე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის სიცოცხლის უფლებას და მისთვის უნდა მოხდეს სისხლის გადასხმა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სწორედ ევროპული და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით მოხდა ქართული სასამართლოების მიერ ისეთი მნიშვნელოვანი სტანდარტების დანერგვა, როგორებიცაა: პაციენტისთვის, მიუხედავად ჰემოტრანსფუზიის პროცედურისადმი უარისა, ქირურგიული ჩარევის უპირობო ჩატარება, ინფორმირებული თანხმობის ნამდვილობის ელემენტების არსებობა, Living Will-ის ზოგადი კონცეფციის დაცულობა, როგორც ადამიანის ღირსების დაცვის უზრუნველყოფა და ა.შ.

ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები საკუთარი შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში. თავის მხრივ, ამისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ვალდებულებათა არსებობა და მათი კეთილსინდისიერად დაცვა.

# სიცოცხლის უფლების დაცვის საპროცესო ვალდებულების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან

კონსტანტინე კორკელია

## 1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება მოიცავს როგორც ეფექტიანი გამოძიების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღებას, ისე მის აღსრულებას პრაქტიკაში. სახელმწიფომ რომ შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულება პროცესუალურ ნაწილში, უნდა დააკმაყოფილოს რამდენიმე მოთხოვნა, კერძოდ: გამოძიება უნდა დაიწყოს სახელმწიფოს ინიციატივით; გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი და ადეკვატური; გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და წარმართოს გონივრული სისწრაფით; უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი კონტროლი გამოძიების მიმართ და გარდაცვლილის ნათესავი უნდა იყოს ჩართული გამოძიების პროცესში.

ნაშრომის მიზანია, გაანალიზდეს საქართველოში სიცოცხლის უფლების დაცვის პროცედურული ვალდებულების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან. ამ ანალიზის საფუძველზე გაკეთდება დასკვნები და გამოითქმება რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

## 2. გამოძიების წარმოების ინიციატივა

### ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა მკაფიო პოზიცია გამოძიების წარმოების ინიციატივის შესახებ, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ეკისრება საპროცესო ვალდებულება, თავისი ინიციატივით აწარმოოს გამოძიება, როდესაც მისთვის ცნობილი ხდება სიცოცხლის მოსპობის ფაქტის შესახებ და ეს ინიციატივა არ უნდა იყოს დამოკიდებული გარდაცვლილის ნათესავის საჩივარზე.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ერგი თურქეთის წინააღმდეგ (*Ergi v. Turkey*), 28 ივლისი, 1998 წელი, 82-ე პუნქტი; ალ-სკეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Al-Skeini and Others v. the United Kingdom*), დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 165-ე პუნქტი.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, განსხვავებით განზრახ სიცოცხლის მოსპობის საქმეებისაგან, განზრახვის გარეშე, მათ შორის ექიმის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის საქმეებზე, სახელმწიფო არ არის ვალდებული, თავად დაიწყოს გამოძიება, არამედ მხოლოდ მაშინ უნდა დაიწყოს, როდესაც გარდაცვლილის ნათესავი სახელმწიფოს მიმართავს გამოძიების დანყების მოთხოვნით.<sup>2</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, დაიწყონ გამოძიება.<sup>3</sup> კოდექსი ადგენს, რომ გამოძიების დანყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიანოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.<sup>4</sup> დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული.<sup>5</sup> გამომძიებელი უფლებამოსილია, დაიწყოს გამოძიება დანაშაულის შესახებ ანონიმური შეტყობინების საფუძველზეც.<sup>6</sup>

ევროპულ სტანდარტთან კოდექსის ამ დებულებების შესაბამისობის განხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ევროპული სტანდარტის მსგავსად, კოდექსი ადგენს, რომ გამოძიების წარმოების ინიციატივა ეკუთვნის სახელმწიფოს. კოდექსით დაზუსტებულია დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო, კერძოდ, როდესაც ინფორმაცია დანაშაულის შესახებ გამომძიებელს ან პროკურორს მიანოდეს, როდესაც ინფორმაცია დანაშაულის შესახებ გამოვლინდა სისხლის სამართლის საქმიდან, ან, როდესაც ინფორმაცია დანაშაულის შესახებ გამოქვეყნდა მედიაში. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეესაბამება ევროპული სასამართლოს სტანდარტს, რომლის მიხედვით, გამოძიების წარმოების ინიციატივა ეკუთვნის სახელმწიფოს და არ არის დამოკიდებული გარდაცვლილის ნათესავის საჩივარზე.

განსხვავებით ევროპული სტანდარტისაგან, რომელიც ადგენს, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობისათვის სახელმწიფო არ არის ვალდებული, თავად დაიწყოს გამოძიება, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარდაცვლილის ნათესავი სახელმწიფოს მიმართავს გამოძიების დანყების მოთხოვნით, სისხლის სამართლის კოდექსი არ განასხვავებს განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს. შესაბამისად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს უფრო მაღალ სტანდარტს გამოძიების წარმოების ინიციატივის მიმართ, ვიდრე ევროპული სტანდარტი.

2 ლოპეს დე სუზა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (*Lopes de Sousa Fernandes v. Portugal*), დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 222-ე პუნქტი.

3 კოდექსის მე-100 მუხლის 1-ელი ნაწილი.

4 კოდექსის 101-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

5 კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

6 კოდექსის 101-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

## ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში სიცოცხლის მოსპობის ფაქტის დადგომისას სახელმწიფო, როგორც წესი, იწყებს გამოძიებას საკუთარი ინიციატივით. მასმედიაში გავრცელებული ერთადერთი ინფორმაცია პირის გარდაცვალების შესახებ, რომელსაც არ მოჰყვა გამოძიების დაწყება, ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში 10 წლის მოზარდის გარდაცვალებას, რომელსაც ეზოში თამაშის დროს რკინის კონსტრუქცია დაეცა.<sup>7</sup> აქედან გამომდინარე, გარდა ამ ერთი შემთხვევისა, არ ყოფილა აღმოჩენილი ინფორმაცია პირის სიცოცხლის მოსპობის ფაქტის შესახებ, რომელმაც შეიძლება წამოჭრას შეუსაბამობის საკითხი ევროპული კონვენციის შესაბამის სტანდარტსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის.<sup>8</sup>

გამოძიების დაწყების ინიციატივის თვალსაზრისით, არც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებების ანალიზის შედეგად აღმოჩენილა რაიმე პრობლემა.

გამოძიების დაწყების ინიციატივასთან კავშირშია გამოძიების დაუყოვნებლივი დაწყება, რომელიც ნაშრომში მოგვიანებით განიხილება.

## 3. გამოძიების დამოუკიდებლობა

### ა) კანონმდებლობა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გამოძიება რომ ჩაითვალოს ეფექტიანად, მას უნდა აწარმოებდეს იმ პირისაგან იერარქიულად, ინსტიტუციურად და პრაქტიკულად დამოუკიდებელი პირი, რომლის ქმედებამ, სავარაუდოდ, გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება. მაგალითად, ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, თუ პოლიციელი იძიებს სიცოცხლის მოსპობის ისეთ საქმეს, რომელშიც გარეულია კოლეგა

7 „ყვარელში რკინის კონსტრუქციის ჩამოვარდნის შედეგად 10 წლის ბავშვი გარდაიცვალა“, 26 თებერვალი, 2018 წ., იხ.: [https://on.ge/].

8 ამას ადასტურებს მასმედიაში გავრცელებული არაერთი ინფორმაცია, თუმცა თვალსაჩინოებისათვის აქ მოშველიებულია მხოლოდ რამდენიმე: „ქობულეთში დენის დარტყმის შედეგად 2 წლის ბავშვი დაიღუპა“, 18 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/809355-kobuletsi-denis-dartqmis-shedegad-2-clis-bavshvi-daigupa]; „ზუგდიდში, საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილ ხანძარს 2 ბავშვი ემსხვერპლა“, 13 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/808922-zugdidshi-sacxovrebel-korpusshi-gachenil-xanzar-s-2-bavshvi-emsvverpla]; „ქობულეთში ფერდის ჩამონგრევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა“, 17 მაისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/799855-kobuletsi-perdis-chamongrevis-shedegad-erti-adamiani-gardaicvala]; რუსთავის ერთ-ერთ ქარხანაში მუშა დაიღუპა, 3 იანვარი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/690825-rustavis-ert-ert-karxanashi-musha-daigupa]; „მარნეულში ქაში ორი ადამიანი ჩავარდა და დაიღუპა“, 31 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721351-marneulshi-chashi-ori-adamiani-chavarda-da-daigupa].

პოლიციელი ან ის პოლიციელი იძიებს საქმეს, რომელიც არის იერარქიულად დამოკიდებული პოლიციის იმ თანამშრომელზე, რომლის საქმესაც იგი იძიებს, ან თუ ეს პირები ექვემდებარებიან ერთსა და იმავე მმართველობით ჯაჭვს.<sup>9</sup>

როდესაც დგება გამოძიების დამოუკიდებლობის საკითხი, უნდა შეფასდეს, ეჭვის ქვეშ დააყენა თუ არა სადავო გარემოებამ, და რა ხარისხით, გამოძიების ეფექტიანობა და მისი უნარი, ნათელი მოჰფინოს გარდაცვალების გარემოებებსა და უზრუნველყოს მასზე პასუხისმგებელი პირის დასჯა.<sup>10</sup>

მართალია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამებოდა გამოძიების დამოუკიდებლობის ევროპულ სტანდარტს, რამდენიმე წლის წინ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ კანონის მიღებით ეს ხარვეზი გამოსწორდა.<sup>11</sup> კანონით დაარსდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო – სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომლის მიზანია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.<sup>12</sup> სამსახურის საქმიანობის პრინციპებს შორისაა დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.<sup>13</sup> კანონის მიხედვით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს და თანამდებობის პირს. სამსახურის გამომძიებელზე ზემოქმედება და მის საქმიანობაში უკანონო ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით.<sup>14</sup>

სპეციალური საგამოძიებო სამსახური იძიებს იმ დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილია საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ.<sup>15</sup> კანონის მიხედვით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური უფლებამოსილია, სრული მოცულობით ჩაატაროს იმ დანაშაულის<sup>16</sup> გამოძიება, რომელიც ჩადენილია საქართველოს

9 ხოდუკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ (*Khodyukevich v. Russia*), 28 აგვისტო, 2018 წელი, 73-ე-74-ე პუნქტები; ბისარ აიჰანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Bisar Ayhan and Others v. Turkey*), 18 მაისი, 2021 წელი, 57-ე პუნქტი.

10 მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (*Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey*), დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 224-ე პუნქტი.

11 21 ივლისი, 2018 წელი.

12 მე-2 მუხლი.

13 მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

14 მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტი.

15 მე-3 მუხლის 1-ელი („თ“) პუნქტი.

16 კანონით განსაზღვრულ დანაშაულებს შორისაა: ა) წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა (კანონის მე-19 მუხლის 1-ელი („ა“) პუნქტი); ბ) სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ან აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ (კანონის მე-19 მუხლის 1-ელი („ბ“) პუნქტი); გ)

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ, მათ შორის შსს-ს თანამშრომლების მიერ.<sup>17</sup>

თუ დანაშაული, მათ შორის სიცოცხლის მოსპობა, ჩაიდინა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა, ასეთი საქმე ქვემდებარეობით გადაეცემა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომელიც ვალდებულია, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად უზრუნველყოს საქმის გამოძიება. შესაბამისად, ამ კანონით შექმნილია მექანიზმი, რომლის მიხედვით, გამოძიება უნდა აწარმოოს იმ პირისაგან იერარქიულად, ინსტიტუციურად და პრაქტიკულად დამოუკიდებელმა გამოძიებელმა, რომლის ქმედებამ, სავარაუდოდ, გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტს გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ.

## ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში მომხდარი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი შემთხვევა, რომელზეც გამოითქვა ეჭვი გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ, ეხებოდა რაჭაში (შოვეში) 2023 წლის 3 აგვისტოს მომხდარ სტიქიას. საქართველოს სახალხო დამცველმა 2023 წლის ანგარიშში აღნიშნა, რომ „შესაძლოა, იკვეთებოდეს გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა. კერძოდ, გამოძიებამ უნდა შეისწავლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შოვეში სამაშველო ოპერაციის დროულად და ადეკვატურად დაგეგმვის, მართვისა და განხორციელების საკითხი, ხოლო გამოძიების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებს სამინისტროს მიერ საკუთარი საქვეუწყებო დაწესებულების მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის გამოძიება.“<sup>18</sup> იგივე პოზიცია გამოხატა საია-მ გამოძიების დამოუკიდებლობის მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობის შესახებ.<sup>19</sup>

განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, თვითმკვლელობამდე მიყვანა, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება; სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რასობრივი დისკრიმინაცია, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და სხვა (კანონის მე-19 მუხლის 1-ელი („გ“) პუნქტი).

17 მე-20 მუხლის „ა“ პუნქტი.

18 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, იხ.: [\[https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf\]](https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf), 32. ასევე იხ. არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტის პოზიცია: „მიატოვა თუ არა განსაცდელში სახელმწიფომ მოქალაქეები შოვეში? – რა მუხლებით უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება“, 16 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [\[https://www.radiotavisupleba.ge/\]](https://www.radiotavisupleba.ge/).

19 „ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ“, საია, 2023 წ., იხ.: [\[https://gyla.ge/\]](https://gyla.ge/), 33-34.

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე ეჭვის ქვეშ აყენებს 2015-2018 წლებში პატიმართა გარდაცვალების შემთხვევების გამოძიების დამოუკიდებლობას. ამ შემთხვევების შესწავლის შედეგად სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ გამოვლინდა გამოძიების ხარვეზები, კერძოდ: „პატიმართა გარდაცვალების ფაქტზე გამოძიებას იწყებდა და აწარმოებდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, რომელიც, ცხადია, ინსტიტუციურად დამოუკიდებელი ორგანო არ ყოფილა. შესწავლილი საქმეებიდან, პროკურატურას არცერთი საქმე არ უწარმოებია.“<sup>20</sup>

საქართველოში გამოძიების დამოუკიდებლობის სტანდარტის დაცვის პრაქტიკას ნათელს ჰფენს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს მიმართ. კერძოდ, ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმეა *ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Elibashvili v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა პოლიციის დევნის შედეგად მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას, რაც გამოიწვია მისმა დახრჩობამ მდინარეში.<sup>21</sup> კერძოდ, 2016 წლის 1 აგვისტოს, ღამით, მოსარჩელის შვილი თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სავარაუდოდ, მაღალი სიჩქარით მართავდა მანქანას, როდესაც პოლიციის ორმა ოფიცერმა უბრძანა მანქანის გაჩერება. მოსარჩელის შვილი არ დაემორჩილა ბრძანებას და შეეცადა მიმალვას. პოლიციის ოფიცრები დაედევნენ მას პოლიციის მანქანით. მოსარჩელის შვილმა ვერ დაიმორჩილა საჭე და დაეჯახა გაჩერებულ მინივენს. მან დატოვა საკუთარი მანქანა და შეეცადა მიმალვას. პოლიციის ოფიცრები დაედევნენ მას ფეხით, თუმცა მოსარჩელის შვილი მალევე დაკარგეს ხედვის არეალიდან და დაბრუნდნენ შემთხვევის ადგილას, სადაც დახვდნენ მათ მიერ გამოძახებული სხვა პოლიციელები.<sup>22</sup> 2016 წლის 3 აგვისტოს მოსარჩელის შვილის ცხედარი აღმოაჩინეს მდინარეში.<sup>23</sup>

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ის ფაქტი, რომ კავშირი მოსარჩელის შვილის გარდაცვალებასა და პოლიციის მიერ მის დევნას შორის აშკარა იყო 2016 წლის 3 აგვისტოს, და, მართალია, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ, სავარაუდოდ, ჩადენილი დანაშაული უნდა გამოეძიებინა პროკურატურას, გამოძიება მაინც შსს-მ აწარმოა. პროკურატურას საქმე გამოსაძიებლად მხოლოდ 15 თვის შემდეგ გადაეცა. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე გამოძიება ჩაატარა იმ ორგანომ, რომელიც არ იყო საკმარისად დამოუკიდებელი იმ პოლიციის ოფიცრებისაგან, რომელთაც შეიძლება ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაზე. მით უფრო, რომ გამოძიების რამდენიმე მთავარი ხარვეზიც პირდაპირ კავშირში იყო ამ ეტაპთან.<sup>24</sup>

20 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, 38, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf].

21 22 თებერვალი, 2024 წელი.

22 მე-2 პუნქტი.

23 მე-4 პუნქტი.

24 მე-16 პუნქტი.

ევროპულმა სასამართლომ სხვა საქმეებზეც იმსჯელა გამოძიების დამოუკიდებლობაზე. კერძოდ, საქმე *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia)* ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ მოსარჩელეთა შვილის, თ.მ.-ს დაკავების მცდელობას, რომელიც იყო ეჭვმიტანილი საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებასთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში.<sup>25</sup> როდესაც სპეციალური რაზმის წარმომადგენლები ღამით შევიდნენ თ.მ.-ს საძინებელში, მან, სავარაუდოდ, ხელყუმბარის აფეთქება სცადა, რის შემდეგაც მას თავში ესროლეს. მიღებული ჭრილობის გამო, რამდენიმე დღეში თ.მ. საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაკავების ოპერაციის გარემოებათა გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო, თუმცა პირველი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) გამოძიებელმა და არა პროკურატურამ.<sup>26</sup> მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ რამდენიმე საათში აიღო ხელში გამოძიების სადავეები, ის ეყრდნობოდა თ.მ.-ს საძინებელში ჩატარებული ჩხრეკის შედეგებს და სუს-ის გამოძიებლის მიერ შეგროვებულ მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისად მიუკერძოებელი არ იყო.<sup>27</sup> ევროპული სასამართლოს აზრით, ამ და სხვა საპროცესო მოთხოვნების დარღვევებმა განაპირობა სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების შეუსრულებლობა, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.<sup>28</sup>

საინტერესოა საქმე *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა პოლიციის მიერ მოსარჩელის შვილის მკვლელობას 2006 წლის 2 მაისს.<sup>29</sup> ამ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მოსარჩელის შვილი საკუთარი ავტომობილით მგზავრობისას ჩაცხრილეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. ამ საქმეზე გამოძიება მალე შეწყდა, თუმცა გამოძიების განახლების შემდეგ, 2015 წელს, შსს-ს რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს სასჯელი შეუფარდეს.

ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება, კერძოდ, რომ პოლიციის ოპერაციის შემდგომ, საწყის ეტაპზე, საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს პოლიციის იმავე თანამშრომლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ოპერაციაში. პოლიციის მიერ ძალის გამოყენების თანაზომიერების გამოკვლევისას გამოძიება დაეყრდნო ამ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს. ამდენად, სასამართლოს აზრით, განხორციელებული ძირითადი და გადამწყვეტი საგამოძიებო მოქმედებები არ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტს და, შესაბამისად, იყო საპროცესო ხარვეზი, რო-

25 19 იანვარი, 2023 წელი.

26 87-ე პუნქტი.

27 88-ე პუნქტი.

28 97-ე პუნქტი.

29 18 ივლისი, 2019 წელი.

მელსაც არ შეეძლო, არ მოეხდინა გამოუსწორებელი გავლენა გამოძიების შემდგომ მიმდინარეობაზე.<sup>30</sup>

გამოძიების დამოუკიდებლობაზე ასევე იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა ციხეში არათანაზომიერი ძალის გამოყენებას. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიება, გარდა იმისა, რომ დაიწყო თითქმის სამი თვის დაგვიანებით, წარმართა იუსტიციის სამინისტროს იმავე დეპარტამენტმა, რომელმაც გასცა ბრძანება ძალის გამოყენების შესახებ და რომელიც მართავდა ბუნტის ჩახშობის ოპერაციას, რაც ქმნიდა საფრთხეს გამოძიების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისათვის.<sup>31</sup>

საქმე *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის მეუღლის, სამხედრო ოფიცრის, გარდაცვალებას 2008 წლის 16 აგვისტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ხელში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, პირველადი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა დაუყოვნებლივ, ისინი ჩაატარა არა პროკურატურამ, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებლებმა, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას.<sup>32</sup> მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით პროკურატურამ გადაიბარა საქმის გამოძიება, პროკურორები ეყრდნობოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რაც, გარდა იმისა, რომ ეროვნული საპროცესო კანონმდებლობიდან აუხსნელი გადახვევა იყო, აშკარად ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს. საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთ საპროცესო ხარვეზს არ შეეძლო, ჩრდილი არ მიეყენებინა გამოძიების შემდგომი წინსვლისათვის.<sup>33</sup> გამოძიების ამ და სხვა ხარვეზების გამო, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოძიება იყო არაეფექტიანი, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.<sup>34</sup>

საქმე *მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ (Maisuradze v. Georgia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (გ.ტ.) გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზით.<sup>35</sup>

გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, მართალია, პროკურორის გარკვეული ჩართულობა იყო გამოძიების პროცესში, ყველა ძირითადი საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა სასჯელალსრულების, პრობაციისა

30 87-ე პუნქტი.

31 20 აპრილი, 2020 წელი, 132-ე პუნქტი.

32 19 ნოემბერი, 2020 წელი.

33 35-ე პუნქტი.

34 37-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

35 20 დეკემბერი, 2018 წელი.

და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა და შესაბამისი დასკვნები მოგვიანებით მოიწონა პროკურორმა. ამ უკანასკნელს არ გადაუდგამს რაიმე დამოუკიდებელი ნაბიჯები, გარდა იმისა, რომ გამოძიებელს მიუთითა, დაეკითხა ექსპერტები და მოეპოვებინა გ.ტ.-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ჩანაწერები. არცერთი გარემოება არ მიუთითებს იმაზე, რომ პროკურორი მზად იყო, დაწვრილებით შეემოწმებინა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ შემთხვევასთან დაკავშირებით მომზადებული განმარტებები. სასამართლოს აზრით, საგამოძიებო ორგანოსა და ინციდენტში მონაწილე პირთა შორის არსებული ინსტიტუციური კავშირი ბადებს ეჭვებს ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობის შესახებ.<sup>36</sup> საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.<sup>37</sup>

გამოძიების დამოუკიდებლობის მოთხოვნის დარღვევის თვალსაჩინო მაგალითია საქმე *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა 28 წლის მამაკაცის (სანდრო გირგვლიანი) მკვლელობას შს-ს მაღალჩინოსნების მიერ.<sup>38</sup>

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გარემოებების გამოძიებას აშკარად აკლდა აუცილებელი დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და გულმოდგინება. ევროპულმა სასამართლომ გადანყევტილებაში პირდაპირ მიუთითა: „გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოება – შსს, გამოძიების საწყის სტადიაზე დაშვებული დარღვევებით; პროკურატურა, გამოძიების შემდგომ ეტაპზე დაშვებული სხვა დარღვევებით; სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, მსჯავრდებულების ერთ საკანში უკანონოდ მოთავსებით; შიდა სასამართლოები, არასრულფასოვანი სასამართლო განხილვებითა და მსჯავრდებულების ვადაზე ადრე გათავისუფლებით; საქართველოს პრეზიდენტი, მსჯავრდებულების მიმართ გაუმართლებელი ლმობიერების გამოვლენით, და ა.შ. – ყველა ერთად, ხმაშენყობილად მოქმედებდა იმ მიზნისათვის, რომ ამ შემზარავი მკვლელობის საქმეზე როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება“.<sup>39</sup> საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

ევროპული სასამართლოს ზემოთ განხილულმა რამდენიმე გადანყევტილებამ ცხადყო გამოძიების დამოუკიდებლობის პრობლემურობა საქართველოში, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს საქმეები, ძირითადად, ეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დაარსებამდე მომხდარ ფაქტებს. ვინაიდან უკვე ფუნქციონირებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ საქართველოში გამოძიების დამოუკიდებლობის შესახებ ევროპულ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობა შემცირდება. მოქმედი კანონმდებლობით, სპეციალური საგამოძიებო სამ-

36 57-ე პუნქტი.

37 54-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

38 26 აპრილი, 2011 წელი.

39 276-ე პუნქტი.

სახური უფლებამოსილია, სრული მოცულობით ჩაატაროს იმ დანაშაულის გამოძიება, რომელიც ჩადენილია საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ, მათ შორის შსს-ს თანამშრომლების მიერ. ვინაიდან ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ პირველადი საგამოძიებო მოქმედებები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარებისათვის,<sup>40</sup> მნიშვნელოვანია, რომ, თუ ნათელი გახდა, სიციოცხლის მოსპობა ჩაიდინა პოლიციის თანამშრომელმა, გამოძიება თავიდანვე დაიწყოს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ნაცვლად შსს-სა. ამ შემთხვევაში პოლიციამ შეიძლება მხოლოდ უზრუნველყოს დანაშაულის ადგილის დაცვა, რათა არ დაიკარგოს ან განადგურდეს შესაბამისი მტკიცებულებები.

## 4. გამოძიების ადეკვატურობა

### ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გამოძიების ადეკვატურობა, რაც ნიშნავს იმას, რომ გამოძიება უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, დაადგინოს, იყო თუ არა კონკრეტულ გარემოებებში გამოყენებული ძალა გამართლებული, ისევე როგორც მიმართული პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და დასჯისაკენ.<sup>41</sup>

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა შეფასდეს მტკიცებულებათა მოსაპოვებლად სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების გონივრულობა. ამ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად უნდა იყოს გამოყენებული ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: მოწმეთა ჩვენებების მიღება, მტკიცებულებათა შეგროვება და, სადაც ეს შესაძლებელია, გვამის გაკვეთის შესახებ დასკვნის მოპოვება.<sup>42</sup>

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, თუ სიციოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებისას სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ჩვენების მიღება ძირითადი მოწმეებისაგან, სახელმწიფო დაარღვევს გამოძიების ვალდებულებას.<sup>43</sup> მაგ., საქმეზე, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის სიციოცხლის მოსპობას დემონსტრაციის დროს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან გამოძიებამ ვერ უზრუნველყო ძირითადი მოწმეებისაგან (ჯავშნიანი მანქანის მძღოლი და ტყვიის მოხვედრის მომენტში მოსარჩელის შვილის გვერდით მდგომი პირი) ჩვენებების მიღება, გამოძიება

40 რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (*Ramsahai v. the Netherlands*), დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი.

41 ბაზორკინა რუსეთის წინააღმდეგ (*Bazorkina v. Russia*), 27 ივლისი, 2006 წელი, 118-ე პუნქტი.

42 ალ-სქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Al-Skeini and Others v. the United Kingdom*), დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 166-ე პუნქტი; არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Armani da Silva v. the United Kingdom*), დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 233-ე პუნქტი.

43 რანტევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ (*Rantsev v. Cyprus and Russia*), 7 იანვარი, 2010 წელი, 237-ე პუნქტი.

„არ იყო სრულყოფილი.“<sup>44</sup> საქმეზე, რომელიც ეხებოდა მრავლობითი ნატყვიარებით გარდაცვლილ პირს, ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს არ მიუღია ჩვენება არცერთი იმ ჯარისკაცისაგან, რომელიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე.<sup>45</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის ჩვენების მიღებას მხოლოდ სასამართლო სხდომაზე,<sup>46</sup> თუმცა გამოწვევის სახით გამოძიების დროს პირი ასევე შეიძლება მოწმედ დაიკითხოს.<sup>47</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გამოძიების ეტაპზე პირის გამოკითხვის შესაძლებლობას.<sup>48</sup> კოდექსის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც შეიძლება ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოიკითხოს მხარეთა მიერ. ვინაიდან გამოკითხვა ნებაყოფლობითია და, შესაბამისად, პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს გამოკითხვაზე, გამომძიებელმა გამოსაკითხ პირს უნდა განუმარტოს, რომ იგი შეიძლება დაიბარონ სასამართლოში ჩვენების მისაცემად, რაც სავალდებულო იქნება.<sup>49</sup>

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებისას სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება, მათ შორის: გარდაცვალების ადგილის ფოტოგრაფირება, ანაბეჭდების აღება, ტყვიანამლისა და ბალისტიკური ნიმუშების აღება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ღონისძიების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს გარდაცვალების გარემოებების დადგენას.<sup>50</sup> სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის შესწავლა და შემთხვევასთან დაკავშირებული მოვლენების აღდგენა.<sup>51</sup> გამოძიებამ უნდა მოახდინოს მტკიცებულებების სათანადოდ აღნუსხვა, მოგვიანებით მათი ლაბორატორიული კვლევის უზრუნველსაყოფად, რაც საშუალებას მისცემს გამოძიებას, გააკეთოს სწორი, ობიექტური და მიუკერძოებელი დასკვნა.<sup>52</sup> მაგ., ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიება არ იყო ადეკვატური, რადგან არ ჩატარდა მკვლელობის

44 გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (*Güleç v. Turkey*), 1998 წლის 27 ივლისი, 79-ე და 82-ე პუნქტები.

45 კაია თურქეთის წინააღმდეგ (*Kaya v. Turkey*), 19 თებერვალი, 1998 წელი, 89-ე პუნქტი. ასევე იხ. ასლახანოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Aslakhanova and Others v. Russia*), 2012 წლის 18 დეკემბერი, 123-ე პუნქტი; ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (*Vazagashvili and Shanava v. Georgia*), 18 ივლისი, 2019 წელი, 88-ე პუნქტი.

46 კოდექსის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილი.

47 კოდექსის 114-ე მუხლი.

48 კოდექსის 113-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

49 კოდექსის 113-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

50 აჩარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Acar and Others v. Turkey*), 24 მაისი, 2005 წელი, 91-ე პუნქტი.

51 რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (*Ramsahai and Others v. Netherlands*), დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 326-ე-332-ე პუნქტები.

52 მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (*Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania*), 24 მარტი, 2020 წელი.

ადგილის დათვალიერება, ისევე როგორც არ ჩატარდა ექსპერტიზა გარდაცვლილის ხელებსა და ტანისამოსზე დენთის ნაწილაკების არსებობის დასადგენად, რაც დაადასტურებდა მთავრობის მტკიცებას, რომ გარდაცვლილი უწევდა წინააღმდეგობას უშიშროების ძალებს და ისროდა იარაღიდან.<sup>53</sup>

ცხადია, რომ გასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები დამოკიდებულია დანაშაულის კონკრეტულ გარემოებებზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მრავალი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, რომლის მიზანია მტკიცებულებების მოპოვება და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოვლენა. ასეთ საგამოძიებო მოქმედებას მიეკუთვნება: გამოკითხვა, დაკითხვა, ამოღება, ჩხრეკა, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ამოსაცნობად წარდგენა, ექსპუმაცია, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი და ა.შ.

სხვა საგამოძიებო მოქმედებასთან ერთად, კოდექსი განსაზღვრავს ამოღებისა და ჩხრეკის მიზანს, საფუძველსა და წესებს. კერძოდ, ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.<sup>54</sup> კოდექსი ასევე განსაზღვრავს დათვალიერებას, როგორც საგამოძიებო მოქმედების სახეს და ადგენს მისი განხორციელების წესს. ის მიზნად ისახავს დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარების და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევას. საქართველოს კანონმდებლობით, დათვალიერების შემდეგი სახეებია: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, სხვა ადგილის დათვალიერება (საცავი, სადგომი, სათავსი), გვამის დათვალიერება, საგნის/დოკუმენტის/ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერება.<sup>55</sup>

კოდექსი ასევე ითვალისწინებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას, რომლის მიზანია მიღებული ინფორმაციის (ჩვენების) და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შემოწმება, და განსაზღვრავს ექსპერიმენტის ჩატარების წესს.<sup>56</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს როგორც გვამის დათვალიერებას, ისე გვამის ნიმუშის აღებას, რაც დაეხმარება გამოძიებას დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვებაში.<sup>57</sup>

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მთელ რიგს, რომელთა მიზანია საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება.

53 *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey)*, 19 თებერვალი, 1998 წელი, 89-ე პუნქტი; *გული თურქეთის წინააღმდეგ (Gul v. Turkey)*, 14 დეკემბერი, 2000 წელი.

54 კოდექსის 119-ე მუხლი.

55 კოდექსის 125-ე-128-ე მუხლები.

56 კოდექსის 125-ე-128-ე მუხლები.

57 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 147-ე მუხლები.

## ბ) პრაქტიკა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფომ უნდა გადადგას ყველა შესაძლო გონივრული ნაბიჯი პირის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული მტკიცებულებების, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებისა და ნივთიერი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, და, სადაც საჭიროა, უნდა ჩაატაროს ავტოფსია, რომელიც უზრუნველყოფს ზიანის სავარაუდო ნიშნების სრულ და ზუსტ აღნუსხვასა და კლინიკური მიგნებების ობიექტურ ანალიზს, გარდაცვალების მიზეზის ჩათვლით:

### ა) მოწმეთა ჩვენებები

რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებების მოპოვებას, რომლის მიზანია, ნათელი მოჰფინოს პირის სიცოცხლის მოსპობის გარემოებებს, როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის ჩვენების მიღებას მხოლოდ სასამართლო სხდომაზე,<sup>58</sup> თუმცა, გამონაკლისის სახით, გამოძიების დროს პირი ასევე შეიძლება მოწმედ დაიკითხოს.<sup>59</sup> საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გამოძიების ეტაპზე პირის ნებაყოფლობით გამოკითხვის შესაძლებლობას,<sup>60</sup> თუმცა ეს პირი შეიძლება დაიბარონ სასამართლოში ჩვენების მისაცემად.

საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება გაამახვილა გ. შაქარაშვილის საქმეზე, რომლის ცხედარი 2020 წლის 22 ივნისს მდინარე არაგვში აღმოაჩინეს.<sup>61</sup> სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა გამოძიების მასალები, რომლებიც ასახავდა 2020 წლის 19 ივნისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ჩატარებულ ყველა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას. მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არასრულყოფილი იყო. ამასთან, მოწმეთა გამოკითხვები არ შეიცავდა დეტალურ კითხვებს და არ იყო ამომწურავი, ხოლო გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია არ იყო სათანადოდ დადასტურებული ან გადამოწმებული (მაგ., ამოცნობის ან ექსპერიმენტის მეშვეობით). ანგარიშის მიხედვით, ამ ხარვეზების ნაწილი მოგვიანებით გამოძიებამ აღმოფხვრა.<sup>62</sup>

ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გამოძიებამ, დამატებითი მოკვლევის გარეშე, არ უნდა მიიჩნიოს უტყუარად და სარწმუნოდ ინფორმაცია ან დასკვნები, რომლებიც მომდინარეობს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან. საქართველოს მიმართ ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოწმეთა ჩვენებების მნიშვნელობაზე, კერძოდ, საქმეზე – *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and*

58 კოდექსის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილი.

59 კოდექსის 114-ე მუხლი.

60 კოდექსის 113-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

61 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, 36, იხ.: [<https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>].

62 იქვე.

*Shanava v. Georgia*)<sup>63</sup> – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პროკურატურამ არ მიიღო მხედველობაში ორი დამოუკიდებელი მონმის განცხადებები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მოსარჩელის შვილს, ისევე როგორც მანქანაში მყოფ სხვა პირებს, არ გაუწევიათ რაიმე შეიარაღებული წინააღმდეგობა პოლიციისათვის, რაც სრულად ეწინააღმდეგებოდა მეორე მხარის მტკიცებას.<sup>64</sup> ევროპული სასამართლოს აზრით, ამ განცხადებების შეფასება აუცილებელი იყო ობიექტური დასკვნის გამოსატანად, პოლიციის მიერ ძალის გამოყენების თანაზომიერებასთან დაკავშირებით.

*ბ) მტკიცებულებათა მოპოვება*

გარდა ჩვენების მიღებისა, გამოძიების ადეკვატურობისათვის აუცილებელია ყველა მტკიცებულების მოპოვება, იქნება ეს გარდაცვალების ადგილის დათვალიერება, მისი ფოტოგრაფირება, ნიმუშების აღება და ამ მტკიცებულებათა სათანადოდ აღნუსხვა, რათა მოგვიანებით მოხდეს მათი საექსპერტო კვლევა, ისევე როგორც საჭიროა ნებისმიერი სხვა ღონისძიების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს გარდაცვალების გარემოებების დადგენას.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიკვეთა საქართველოს საგამოძიებო პრაქტიკა მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის მარტში, თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, საცხოვრებელი კორპუსების უკან, ხე-ბუჩქნარში აღმოაჩინეს არასრულწლოვან ა.ი.-ს გვამი.<sup>65</sup> გამოძიება იმავე დღეს დაიწყო არასრულწლოვანის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, „გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად საქმეზე ჩატარებული ასეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებისა, გამოძიება თავდაპირველად მიმდინარეობდა არაეფექტიანად და დროულად არ ჩატარდა სწორედ ის სათანადო საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც, შესაძლოა, გამოძიებას მოეპოვებინა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და რომელთა ჩაუტარებლობამ ან დაგვიანებით ჩატარებამ, შესაძლოა, გამოიწვია გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება და, შესაბამისად, ხელი შეუშალა საქმის გარემოებების დადგენას. გამოძიების მნიშვნელოვანი ხარვეზები მოიცავს, მათ შორის, შემთხვევის ადგილის ახლომახლო და შედარებით დამალული ადგილების დაუთვალიერებლობას და ასეთ ადგილას გარდაცვლილის ყოფნის დასადასტურებლად საჭირო ბიოლოგიური მასალის ან სუნის ნიმუშის მოუპოვებლობას; ... გარდა ამისა, ამავე საქმეში, გვამის შემთხვევის ადგილზე დათვალიერებისას გადაღებულ ფოტოსურათებზე, გარდაცვლილ ა.ი.-ს მარცხენა ხელის მტევნის მე-4 (უსახელო) თითის ფრჩხილში აღინიშნება ადამიანის თმის მაგვარი ღერი, რაც საქმის მასალებსა და შემდგომ კვლევებში აღარ იძებნება.“<sup>66</sup>

63 18 ივლისი, 2019 წელი.

64 88-ე პუნქტი.

65 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 34-36, იხ.: [\[https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf\]](https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf).

66 იქვე, 35.

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდა სავარაუდო თვითმკვლელობის ფაქტი.<sup>67</sup> ანგარიშის მიხედვით, „გამოძიების პროცესში არ ჩატარებულა ცალკეული შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარების შემთხვევაში მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნებოდა გამოძიების ეფექტიანობისა და შესაძლო ბრალდებულ პირთა პასუხისმგებლობის გამოსაკვეთად. აპარატს მიაჩნია, რომ ამ საქმეში აუცილებელია, მაგალითად, სამსახურებრივი ტელეფონების სატელეფონო საუბრების ისტორიის ან/და აუდიოჩანაწერების არსებობის დადგენა და არსებობის შემთხვევაში – მათი მოპოვება; აუცილებელია დადგინდეს ზუსტი დრო, თუ როდის მიიღო ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა ზ.ვ.-ს შესაძლო საყურადღებო ქცევის შესახებ; უნდა დადგინდეს, ფაქტთან შემხებლობაში მყოფი პირები იყენებდნენ თუ არა რაციებს და ინახება თუ არა რელევანტური დროის რაციების აუდიოჩანაწერები და სხვ.“<sup>68</sup>

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე გაამახვილა ყურადღება გამოძიების ხარვეზებზე მტკიცებულებათა არასათანადო მოპოვების კუთხით. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა თ.მ.-ს გარდაცვალების საქმე, რომელზეც დამნაშავედ ცნეს მხოლოდ ერთი პირი – ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევისათვის, რამაც თ.მ.-ს სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა დაფიქსირებული და აღწერილი სავალი გზის მდგომარეობა; არ ჩატარებულა შესაბამისი ექსპერტიზები; გამოძიებას უტყუარად არ დაუდგენია სხვადასხვა გარემოება, და ა.შ.<sup>69</sup>

საქართველოში მტკიცებულებათა მოპოვების პრაქტიკის განზოგადებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ქართული საქმეების მიმართ მტკიცებულებათა არასათანადოდ მოპოვების ერთ-ერთი მაგალითია საქმე *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის მკვლელობას ხონის ციხეში. ოფიციალური ვერსიით, მოსარჩელის შვილმა თავი ჩამოიხრჩო, თუმცა სინამდვილეში იგი გახდა ე.წ. მაყურებლის მსხვერპლი, რომელსაც არ უხდოდა ე.წ. „ობშიაკს“.<sup>70</sup>

ევროპულმა სასამართლომ აღმოაჩინა არაერთი საპროცესო დარღვევა მოსარჩელის შვილის გარდაცვალების ფაქტის გამოძიების მიმართ. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სავარაუდო თვითმკვლელობის ადგილი არ ყოფილა დაცული. გამოძიებლის მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს დაწესებულების დი-

67 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 36, იხ.: [\[https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf\]](https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf).

68 იქვე.

69 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, 22-23, იხ.: [\[https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf\]](https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf).

70 15 თებერვალი, 2011 წელი.

რექტორის მოადგილემ თავისი ოთახიდან გამოიტანა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მათ შორის თოკი, რომლითაც, სახელმწიფოს მტკიცებით, პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო, ფეხსაცმელი და ორი სკამი, რომლებიც პატიმრის ფეხებთან იპოვეს. გამომძიებელმა თოკი და ფეხსაცმელი დალუქა, მაგრამ არ დაულუქავს სკამები. ასევე, არ მომხდარა თითის ანაბეჭდების აღება სკამიდან, საწყობის კარიდან და ბოქლომიდან.<sup>71</sup>

ევროპული სასამართლოს აზრით, თვითმკვლელობის ვერსიის სანდოობას ეჭვის ქვეშ აყენებს კიდევ არაერთი ფაქტი (მაგ., გარდაცვლილის მიერ დაწერილი სასიყვარულო წერილი, რომლის ადრესატი იყო ნინო და არა მაკა (მეუღლე) და რომელიც მორგში შეუმჩნეველი დარჩა ერთი თვის განმავლობაში;<sup>72</sup> არ მომხდარა მისი კალიგრაფიის ან თითის ანაბეჭდების ექსპერტიზა). ევროპულმა სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მთავრობამ უარი განაცხადა, ემსჯელა მკვლელობის ვერსიაზე. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის შვილის გარდაცვალების საქმის გამოძიება არც დამოუკიდებელი, არც ობიექტური და არც ეფექტიანი იყო.<sup>73</sup>

საქმეზე – *ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Elibashvili v. Georgia)*<sup>74</sup> – ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მტკიცებულებათა მოპოვებაზე. კერძოდ, ვინაიდან ვიდეოსათვალთვალო კამერების (CCTV) ჩანაწერები შეიძლება იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის მტკიცებულება მოვლენათა გარემოებების დასადგენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმეში ვიდეოსათვალთვალო კამერების მტკიცებულების მოპოვება და დამუშავება არადაამაკმაყოფილებელი იყო. სასამართლოს აზრით, როგორც ჩანს, საგზაო კამერებისა და კერძო ვიდეოსათვალთვალო კამერების ჩანაწერების მოპოვებაზე მოთხოვნების უმეტესობა დაგვიანებით გაკეთდა, რის გამოც პოტენციურად მნიშვნელოვანი მტკიცებულებები დაიკარგა ან წაიშალა.<sup>75</sup>

ასევე საყურადღებოა საქმე *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia)*, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მტკიცებულებათა მოპოვების მნიშვნელობაზე.<sup>76</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ შემთხვევის ადგილი არ იყო დალუქული, ხოლო ნივთები იყო სხვა ადგილას გადატანილი, რამაც გავლენა მოახდინა გამოძიებაზე. მაგალითად, ვერ დადასტურდა სროლის მომენტში თ.მ.-ს მობილური ტელეფონის ადგილმდებარეობა; სათანადოდ ვერ დადგინდა ტელეფონზე სავარაუდოდ ნაპოვნი სისხლის კვალის წარმომავლობა; და სრულად ვერ გადამოწმდა თ.მ.-ს ყურსასმენებთან დაკავშირებული მტკიცება.<sup>77</sup>

71 მე-11 და მე-80 პუნქტები; *ლაპშინი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Lapshin v. Azerbaijan)*, 20 მაისი, 2021 წელი, 105-ე, 107-ე და 108-ე პუნქტები.

72 83-ე პუნქტი.

73 94-ე-95-ე პუნქტები.

74 22 თებერვალი, 2024 წელი.

75 მე-17 პუნქტი.

76 19 იანვარი, 2023 წელი.

77 91-ე პუნქტი.

### გ) ავტოფსია

როგორც ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში არაერთხელ აღნიშნა, სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება რომ იყოს ადეკვატური, უნდა ჩატარდეს გარდაცვლილის ავტოფსია, რაც დაეხმარება გამოძიებას პირის გარდაცვალების მიზეზის დადგენაში.

ავტოფსიასთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა საქართველოს პრაქტიკის იდენტიფიცირება ვერც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და ვერც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე.

## 5. გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება და გონივრული სისწრაფით წარმართვა

### ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, როდესაც სახელმწიფოსათვის ცნობილი ხდება სიცოცხლის მოსპობის ფაქტი, გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და წარიმართოს გონივრული სისწრაფით.<sup>78</sup> სასამართლოს აზრით, მნიშვნელოვანია გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება, რადგან დროის გასვლა მტკიცებულებათა რაოდენობასა და მის ხარისხს უდავოდ შეამცირებს, ხოლო არასაკმარისი გულმოდგინების გამოვლენა ეჭვის ქვეშ დააყენებს გამოძიების ჩატარების მცდელობის კეთილსინდისიერებას, ისევე როგორც გამოიწვევს გარდაცვლილის ოჯახის წევრების მძიმე განსაცდელს.<sup>79</sup> ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ასევე ადგენს, რომ გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არ აკმაყოფილებს საპროცესო ვალდებულების მოთხოვნას, თუ საქმის გაჭიანურება გამოწვეულია „ხელისუფლების პასიურობით“.<sup>80</sup>

ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ამ ვალდებულების დარღვევად მიიჩნია გამოძიების დაწყება სასიკვდილო გასროლიდან 27 დღეში.<sup>81</sup> სხვა საქმეზე, რომელიც ეხებოდა 2000 წლის თებერვლის ბოლოს მომხდარ მკვლელობას, შსს-ის თანამშრომლები მკვლელობის ადგილზე მივიდნენ აპრილში, ხოლო გამოძიება დაიწყო ერთი კვირის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიების დაწყების ხანგრძლივი დროით გაჭიანურებას არ შეეძლო, არ მოეხდინა უარყოფითი გავლენა მის ეფექტიანობაზე, რის გამოც დაადგინა სიცოცხლის უფლების დაცვის საპროცესო ვალდებულების

78 არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Armani da Silva v. the United Kingdom*), დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 237-ე პუნქტი.

79 ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Trubnikov v. Russia*), 5 ივლისი, 2005 წელი, 92-ე პუნქტი.

80 მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (*Mocanu and Others v. Romania*), დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 346-ე პუნქტი.

81 იუხიმოვიჩი უკრაინის წინააღმდეგ (*Yukhymovych v. Ukraine*), 17 დეკემბერი, 2020 წელი, 67-ე პუნქტი.

დარღვევა.<sup>82</sup>

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო, არამედ ისიც, რომ ის გონივრული სისწრაფით წარიმართოს და უმიზეზოდ არ გაჭიანურდეს.<sup>83</sup> ევროპული სასამართლო არ ადგენს გამოძიების რაიმე ვადებს. ასეთი ვადის დადგენა შეუძლებელია საქმეთა განსხვავებული ხასიათისა და გასატარებელი ღონისძიებების მრავალფეროვნების გამო.

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა 1990 წელს დემონსტრაციის დროს შსს-ს შენობიდან გასროლის შედეგად პირის გარდაცვალებას, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ 23 წლის განმავლობაში გამოძიების მიმდინარეობა არ აკმაყოფილებს გონივრული სისწრაფით გამოძიების წარმართვის მოთხოვნას.<sup>84</sup> ამ ვალდებულების შეუსრულებლობა დაადგინა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე, რომელიც ეხებოდა 21 წლის განმავლობაში უშიშროების სამსახურის მიერ ჩრდილოეთ ირლანდიაში მკვლელობის საქმის გამოძიების გაჭიანურებას.<sup>85</sup> საქმეზე, რომელიც ეხებოდა თვითმკვლელობის მცდელობას, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიება არ იყო სწრაფი, რადგან გამოძიებამ არ გამოკითხა პირი, რომელმაც სცადა თვითმკვლელობა 3 დღის განმავლობაში, მის გარდაცვალებამდე, მიუხედავად იმისა, სახელმწიფომ იცოდა, რომ მიღებული დამწვრობის გამო პირის გადარჩენის (გამოჯანმრთელების) ალბათობა მცირე იყო.<sup>86</sup>

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს, რომ გამოძიება დაიწყო დაუყოვნებლივ სიცოცხლის მოსპობის მომენტიდან და წარიმართოს გონივრული სისწრაფით არა მხოლოდ პირის სიცოცხლის განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით მოსპობის შემთხვევაში, მათ შორის ექიმის გაუფრთხილებლობის, ბუნებრივი კატაკლიზმის ან უბედურ შემთხვევაში.<sup>87</sup>

მართალია, ევროპული სასამართლო მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, გამოძიება ჩატარდეს გონივრული სისწრაფით, ეს არ გამორიცხავს, რომ გარკვეულმა გარემოებებმა

82 *ესტამიროვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Estamirov and Others v. Russia)*, 12 ოქტომბერი, 2006 წელი, 89-ე პუნქტი.

83 *მაზეპა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Mazepa and Others v. Russia)*, 17 სექტემბერი, 2018 წელი, 81-ე პუნქტი.

84 *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania)*, დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 285-ე პუნქტი.

85 *მაკკოი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCaughey and Others v. the United Kingdom)*, 2013 წლის 16 ივლისი, 131-ე და 140-ე პუნქტები.

86 *მიხაილ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Mikayil Mammadov v. Azerbaijan)*, 17 დეკემბერი, 2009 წელი, 130-ე პუნქტი.

87 ექიმის გაუფრთხილებლობის შედეგად გარდაცვალების საქმის გამოძიება მიმდინარეობდა 7 წლის განმავლობაში, *ბირზიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Byrzykowski v. Poland)*, 27 ივნისი, 2006 წელი, 114-ე და 116-ე პუნქტები; ავტოავარიის შედეგად პირის გარდაცვალების საქმის გამოძიება მიმდინარეობდა ექვს-ნახევარ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში, *ანნა ტოდოროვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anna Todorova v. Bulgaria)*, 24 მაისი, 2011 წელი, 83-ე პუნქტი.

შეიძლება შეაფერხოს გამოძიების პროცესი.<sup>88</sup> ობიექტურმა სიტუაციამ შეიძლება გაამართლოს საგამოძიებო მოქმედებების დაგვიანებით ჩატარება, მაგრამ ასეთი დაგვიანება უნდა იყოს განპირობებული კონკრეტული გარემოებით, რომელმაც ხელი შეუშალა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას. შესაბამისად, გამოძიების პროცესის გაჭიანურება უნდა იყოს დასაბუთებული იმისათვის, რომ გონივრულად ჩაითვალოს ის.<sup>89</sup>

როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, დაიწყონ გამოძიება. ამასთანავე, გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.<sup>90</sup> მართალია, გამომძიებელი ვალდებულია, პროკურორს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების დაწყების შესახებ, კოდექსი პირდაპირ არ ადგენს, რომ მას ეკისრება ვალდებულება, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება. აქედან გამომდინარე, განსხვავებით ევროპული სასამართლოს სტანდარტისაგან, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ.

რაც შეეხება გონივრული სისწრაფით გამოძიების წარმართვასა და უმიზეზოდ მისი გაჭიანურების თავიდან აცილების ვალდებულებას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ „გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა“.<sup>91</sup> კოდექსი ასევე აწესებს საგამოძიებო მოქმედებების გონივრულ ვადაში ჩატარებას.<sup>92</sup>

ევროპულ სტანდარტებთან კოდექსის ამ დებულებების შესაბამისობის განხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, ევროპული სტანდარტების მსგავსად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გონივრულ ვადაში გამოძიების ჩატარებას. ცხადია, რომ გონივრულ ვადაში გამოძიების ჩატარება ნიშნავს, გამოძიება არ უნდა გაჭიანურდეს უმიზეზოდ და საქმის ნებისმიერ გაჭიანურებას უნდა ჰქონდეს ობიექტური გამართლება.

მართალია, კოდექსი არ აზუსტებს გონივრული ვადის ხანგრძლივობას, რისი გაკეთებაც შეუძლებელია, რადგან ის დამოკიდებულია საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების საჭიროებაზე, კოდექსი ადგენს მაქსიმალურ ზღვარს: „არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა“. ასეთი ზღვარის დადგენის მიზანია, რომ გამოძიებამ არ მიაღწიოს შესაბამისი დანაშაულისათვის დადგენილი სისხლის-

88 არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Armani da Silva v. the United Kingdom*), დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 237-ე პუნქტი

89 ბილბია და ბლაჟევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (*Bilbija and Blažević v. Croatia*), 12 იანვარი, 2016 წელი, 105-ე-107-ე პუნქტები.

90 კოდექსის მე-100 მუხლის 1-ელი ნაწილი.

91 კოდექსის 103-ე მუხლი; ასევე იხ. კოდექსის 71-ე მუხლი (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო).

92 კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადას და ამ მიზეზით არ შეწყდეს გამოძიება, რაც ასევე სრულიად შეესაბამება ევროპული სასამართლოს პოზიციას.<sup>93</sup>

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ განსხვავებით ევროპული სტანდარტისაგან, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების ვალდებულებას, თუმცა გონივრული სისწრაფით გამოძიების წარმართვის ვალდებულების მიმართ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

## ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი შემთხვევა, რომლის მიმართ გამოძიება დაუყოვნებლივ არ დაიწყო, ეხება ქ. ზუგდიდის **N6** საჯარო სკოლის დირექტორის, ია კერზაიას გარდაცვალებას. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სახალხო დამცველმა შეისწავლა ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული მასალები და დაადგინა, რომ ამ საქმეში გამოვლინდა ის სისტემური ხარვეზები, რომლებიც საქართველოს პროკურატურის მხრიდან სხვა საქმეებშიც ხშირად იკვეთება.<sup>94</sup> კერძოდ, **2018 წლის 8 ნოემბერს** ია კერზაიას წინააღმდეგ განათლების სამინისტროს საჩივრით მიმართა ვინმე ლავრენტი ქირიამ, თუმცა გამოძიების შედეგად ამ სახელის მქონე პირის, ან მის მიერ მითითებული მისამართის რეალური არსებობა არ დადასტურდა. ამ საჩივრის საფუძველზე ქ. ზუგდიდის **N6** საჯარო სკოლაში განხორციელდა ინსპექტირება, რის შედეგადაც განათლების იმდროინდელმა მინისტრმა მიმართა სკოლას ია კერზაიას გათავისუფლების რეკომენდაციით, თუმცა სკოლის სამეთვალყურეო საბჭომ არ გაიზიარა ეს რეკომენდაცია. ია კერზაიამ **2018 წლის 26-27 ნოემბერს** საჯაროდ განაცხადა, რომ მის მიმართ ხდებოდა პოლიტიკური ზეწოლა, **2018 წლის 9 დეკემბერს** კი იგი გარდაიცვალა ინსულტით. **2018 წლის 19 დეკემბერს** მისმა შვილმა ბაჩანა შენგელიამ მიმართა პროკურატურას გამოძიების დაწყების თხოვნით. საქმის მასალებიდან დგინდება, რომ გამოძიება **2019 წლის 11 თებერვალს** დაიწყო სსკ-ის **332-ე** მუხლის საფუძველზე. სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, დაგვიანებულმა გამოძიებამ სიმართლის დადგენა შეუძლებელი გახადა. კერძოდ, ლავრენტი ქირიასთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერი პროკურატურამ განათლების სამინისტროდან მხოლოდ **7 მარტს** გამოითხოვა, რა დროსაც კადრები უკვე წაშლილი იყო.<sup>95</sup>

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ია კერზაიას საქმემ ნათლად წარმოაჩინა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის შესახებ პროკურატურის არაერთგვაროვანი მიდგომა. პროკურატურამ ბაჩანა შენგელიას უარი უთ-

93 საქმე *საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Sakvarelidze v. Georgia)*, 6 თებერვალი, 2020 წელი, 53-ე-54-ე პუნქტები.

94 „სახალხო დამცველი ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული გამოძიების შედეგებს აფასებს“, 29 ნოემბერი, 2019 წ., იხ.: [https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-ia-kerzaias-gardatsvalebis-faktze-chatarebuli-gamodziebis-shedegebs-afasebs].

95 იქვე.

ხრა დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებაზე, თუმცა მას ორჯერ გააცნო საქმის მასალები.<sup>96</sup>

გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების მოთხოვნის შეუსრულებლობას ეხება საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიც. კერძოდ, საქმეზე – *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენების შესახებ გამოძიება დაიწყო თითქმის სამი თვის დაგვიანებით.<sup>97</sup> ეფექტიანი გამოძიების ამ და კიდევ რამდენიმე სხვა მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.<sup>98</sup>

გამოძიების დროულად დაწყების მოთხოვნის შეუსრულებლობაზე ევროპულმა სასამართლომ გაამახვილა ყურადღება საქართველოს მიმართ განხილულ არაერთ საქმეზე.<sup>99</sup>

რაც შეეხება გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართავასა და უმიზეზო გაჭიანურებისაგან თავის შეკავებას, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში ასახულია ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებული ლ.ბ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების შესახებ.<sup>100</sup> ამ ანგარიშის მიხედვით, გამოძიების ეფექტიანობა შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ, 2024 წლის იანვრის მდგომარეობით (თითქმის 7 თვე), გამოძიებას ჯერ კიდევ არ ჰქონია მიღებული 2023 წლის 7 ივლისის დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც უნდა დაედგინა პატიმრის გარდაცვალების უშუალო მიზეზი.<sup>101</sup>

საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნათელს ჰფენს არსებულ პრაქტიკას გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვის შესახებ. საქმეზე – *ოღლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Oghlishvili v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი.<sup>102</sup> კერძოდ,

96 იქვე.

97 20 აპრილი, 2020 წელი, 132-ე პუნქტი.

98 135-ე პუნქტი.

99 მათ შორის: *ოღლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Oghlishvili v. Georgia)*, 4 ივლისი, 2024 წელი; *ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Elibashvili v. Georgia)*, 22 თებერვალი, 2024 წელი; *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia)*, 19 იანვარი, 2023 წელი; *ედგვერადე საქართველოს წინააღმდეგ (Edzgvradze v. Georgia)*, 20 იანვარი, 2022 წელი; *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*, 19 ნოემბერი, 2020 წელი; *აკობიანი საქართველოს წინააღმდეგ (Hakobyan v. Georgia)*, 23 მარტი, 2023 წელი.

100 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 37, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf].

101 იქვე.

102 4 ივლისი, 2024 წელი. გამოძიების არაეფექტიანად ჩატარებაზე მიუთითებს სახალხო დამცველი თავის ანგარიშში ლ.ბ.-ს საქმეზე. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია: „გამოძიების ეფექ-

მოსარჩელის პოზიციით, მართალია, გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და მას მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, გამოძიება გაგრძელდა ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში და მას პასუხი არ გაუცია კითხვისათვის, მოსარჩელის შვილი მიიყვანეს თვითმკვლელობამდე თუ იგი მოკლეს და ეს თვითმკვლელობას დაამსგავსეს.<sup>103</sup>

ევროპული სასამართლოს შეფასებით, გამოძიება მოსარჩელის შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ დაიწყო და პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში გულმოდგინედ წარიმართა, მოსარჩელეს კი მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. შესაბამისად, სასამართლომ ვერ დაინახა რაიმე პრობლემა გამოძიების დროულად დაწყებისა და გარდაცვლილის ოჯახის წევრისათვის გამოძიების პროგრესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ისევე როგორც გამოძიების დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.<sup>104</sup>

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გამოძიების ხანგრძლივობაზე და აღნიშნა, რომ გამოძიება უკვე ექვსი წელია მიმდინარეობს. მისი აზრით, მართალია, ეროვნული სამართალწარმოების თვალსაზრისით, შეიძლება გაჭიანურება არ ჩანდეს გადაჭარბებულად, უდავოა, რომ გამოძიების გაჭიანურებით სახელმწიფომ მას უკვე დააკარგვინა რაიმეგვარი პოტენციური სამომავლო სარგებლიანობა. როგორც სასამართლომ აღნიშნა, გამოძიება დაიწყო და მიმდინარეობს სსკ-ის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს, თუმცა, ეროვნული კანონმდებლობით ხანდაზმულობის ვადა ამ დანაშაულისათვის ექვსი წელია. ეს დრო უკვე გავიდა და ბრალდება ჯერ კიდევ არავისთვის წარუდგენიათ. სასამართლო ადასტურებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად, თუ სახელმწიფოს უმოქმედობამ ისე გააჭიანურა გამოძიება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა. სასამართლოს აზრით, მძიმე დანაშაულში ბრალდების ვადის ამოწურვამ შეიძლება წამოჭრას კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საკითხი.<sup>105</sup>

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა ორ წელზე ნაკლებ დროში და მას შემდეგ არ ჩაუტარებია სხვა მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები. თუ დაახლოებით ხუთწლიანი გამოძიების სტაგნაციის მიზეზი იყო ის, რომ გამოძიებამ შეგროვებული მტკიცებულებები არ მიიჩნია ვინმესთვის სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენებისათვის საკმარისად, მაშინ გამოძიება უნდა შეწყვეტილიყო დანაშაულის არარსებობის გამო. გამოძიების შენ-

ტიანობას აფერხებს ის, რომ 2024 წლის იანვრის მდგომარეობით (თითქმის 7 თვე), გამოძიებას ჯერ კიდევ არ ჰქონია მიღებული 2023 წლის 7 ივლისის დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც უნდა დაადგინოს პატიმრის გარდაცვალების უშუალო მიზეზი.“ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 34-36, იხ.: [\[https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf\]](https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf).

103 44-ე პუნქტი.

104 44-ე პუნქტი.

105 50-ე პუნქტი.

ყველა, სულ მცირე, შესაძლებლობას მისცემდა მოსარჩელეს, გაესაჩივრებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების ადეკვატურობა ზემდგომ პროკურორთან და, ასევე, ვინაიდან სავარაუდო დანაშაული იყო „ოჯახური“ – სასამართლოს პირველ ინსტანციაში.<sup>106</sup>

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდი, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საგამოძიებო ორგანოს. ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამ გამოძიებას დააკარგვინა რაიმე პოტენციური სამომავლო სარგებლიანობა და ეფექტიანობა. გამოძიების სათანადო ტემპით წარმართვის აშკარა უზუნარობა, რაც ვერ იქნება გამართლებული ვერც მისი კომპლექსურობით და ვერც სხვა ობიექტური სირთულეებით, და სათანადო გულმოდგინების ნაკლებობა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას აშკარად არ შეესაბამება სახელმწიფოს მიმართ არსებულ მოთხოვნებს, გამოიჩინონ განსაკუთრებული გულმოდგინება და გამბედაობა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოძიებისას და შეიძლება გაგებულიც კი იყოს როგორც საგამოძიებო ორგანოს მხრიდან მოსარჩელის შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სიმართლის დადგენის სურვილის აშკარა არარსებობა. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.<sup>107</sup>

საქმე *ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Elibashvili v. Georgia)* ეხებოდა პოლიციის დევნის შედეგად მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას, რაც გამოიწვია მისმა დახრჩობამ მდინარეში.<sup>108</sup> სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გამოძიების ხანგრძლივობაზე და აღნიშნა, რომ გამოძიება მიმდინარეობს უკვე შვიდ წელზე მეტი დროის განმავლობაში. ვინაიდან სახელმწიფოს არ გაუკეთებია რაიმე განმარტება გამოძიების ასეთი ხანგრძლივობის მიზეზის შესახებ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გაჭიანურებული გამოძიების პრობლემის განმეორებადი ხასიათის გამო, განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომლებიც ეხება სიკვდილს საეჭვო ვითარებაში ან/და არასათანადო მოპყრობას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ასეთი გაჭიანურება გაუმართლებელია.<sup>109</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის შვილის გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.<sup>110</sup>

ამავე საქმეზე ევროპულმა სასამართლომ გაამახვილა ყურადღება, რომ პოლიციის დანარჩენი ოფიცრები (გარდა იმ ორისა, რომლებმაც განახორციელეს დევნა) პირველად დაკითხეს დაახლოებით ოთხი თვის დაგვიანებით. სახელმწიფოს მიერ ამ ფაქტის რაიმე ახსნის არარსებობის პირობებში, სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთი გაჭიანურება იყო გაუმართლებელი.<sup>111</sup>

106 51-ე პუნქტი.

107 51-ე პუნქტი.

108 22 თებერვალი, 2024 წელი.

109 მე-20 პუნქტი.

110 21-ე პუნქტი.

111 მე-19 პუნქტი.

საქმეზე – *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia)*<sup>112</sup> – ევროპულმა სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, იმსჯელა მოწმეების გონივრულ ვადაში გამოკითხვაზე. კერძოდ, სასამართლოს პოზიციით, სპეციალური ოპერაციის მომდევნო თვეებში გამოიკითხა მოვლენებში მონაწილე თითქმის ყველა პირი და სხვა პოტენციური მოწმე, მათ შორის, თ.მ.-ს ოჯახი, ოპერაციაში მონაწილე ოფიცრები და სამედიცინო პერსონალი, რომელიც მკურნალობდა თ.მ.-ს. შეგროვდა ინციდენტთან დაკავშირებული მრავალი დასკვნა და მტკიცებულება.<sup>113</sup> მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტის ოფიცრების დაკითხვა თითქმის ხუთი კვირის დაგვიანებით, რაც გამონეწეული იყო მათი ვინაობის გასაიდუმლოებით, იყო გამოძიების ხარვეზი, მით უმეტეს, რომ არ არსებობდნენ დამოუკიდებელი თვითმხილველები.<sup>114</sup> ასევე ოცი თვე დასჭირდა ოპერაციის დაგეგმვასა და მის ზედამხედველობაში ჩართულ პირთა გამოკითხვას.<sup>115</sup> ოპერაციის მომზადებისა ან/და განხორციელების შესახებ რაიმე ოფიციალური ანგარიშის არარსებობის გამო, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაგეგმვისა და ზედამხედველობის ეტაპის შეფასება შეზღუდული იყო.<sup>116</sup>

საქმე *გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (Gaidukevich v. Georgia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (ა.ლ.) გარდაცვალებას, რომელიც 2017 წელს ჩამომხრჩვალ იპოვეს.<sup>117</sup> საქმის მასალების მიხედვით, ა.ლ.-მ პოლიციას, სულ მცირე, თექვსმეტჯერ მიმართა მისი პარტნიორის, გ.კ.-ს, მხრიდან ძალადობის გამო. გარდაცვალების ფაქტზე პოლიციამ გამოძიება დაიწყო თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით, ხოლო საბოლოოდ, მას სასჯელი შეეფარდა ოჯახში ძალადობისათვის (სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლი). ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი შვილის დაცვა ოჯახში ძალადობისგან და ვერ ჩაატარა ადეკვატური გამოძიება მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გამოძიების ხანგრძლივობაზე. მან აღნიშნა, რომ თუმცა საქმის დაწყებიდან თითქმის 5 წელი გავიდა, გამოძიებას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ დაუდევრობის შესახებ რაიმე დასკვნა არ მოჰყოლია. სასამართლოს პოზიციით, როგორც ჩანს, 2019 წლის მაისიდან 2021 წლის დეკემბრამდე არცერთი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. სასამართლომ დაადასტურა, რომ „სამართალწარმოების გაჭიანურება არის იმის მკაფიო მანიშნებელი, რომ ის იყო არაეფექტიანი და არღვევდა მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციით ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახელმწიფომ წარმოადგინა უალრესად დამაჯერებელი და დასაბუთებული საფუძვლები სამართალწარმოების ხანგ-

112 19 იანვარი, 2023 წელი.

113 89-ე პუნქტი.

114 92-ე პუნქტი.

115 90-ე პუნქტი.

116 იქვე.

117 15 ივნისი, 2023 წელი.

რძლივობის გასამართლებლად“. ამ საქმეზე სამართალწარმოების ხანგრძლივობის დასაბუთება არ ყოფილა წარმოდგენილი.<sup>118</sup>

საქმეზე – *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2006 წელს დაწყებულ გამოძიებას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ არათანაზომიერი ძალის გამოყენების შესახებ 2020 წლამდე არ გაუკეთებია რაიმე დასკვნა. სასამართლოს აზრით, გამოძიების ასეთი დაუშვებელი გაჭიანურება თავისთავად შეუთავსებელია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს ვალდებულებასთან, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება საეჭვო გარდაცვალების შემთხვევაში.<sup>119</sup>

საქმეზე – *ედგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ (Edzveradze v. Georgia)*<sup>120</sup> – ევროპულმა სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, შეაფასა გამოძიების ხანგრძლივობა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ გამოძიება დაიწყო 2013 წლის 6 ივლისს და დაიხურა 2016 წლის 25 მარტს და, შესაბამისად, გრძელდებოდა ორ წელსა და რვა თვეზე ოდნავ მეტ ხანს, თუმცა არანაირი საგამოძიებო ღონისძიება არ ჩატარებულა 2014 წლის ნოემბრიდან 2016 წლის მარტამდე. მთავრობას არ გაუკეთებია რაიმე განმარტება უმოქმედო პერიოდთან დაკავშირებით.<sup>121</sup> გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებული ამ და სხვა ხარვეზების გამო ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.<sup>122</sup>

საქმეზე – *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*<sup>123</sup> – ევროპულმა სასამართლომ ასევე გაამახვილა ყურადღება გამოძიების ხანგრძლივობაზე. მან აღნიშნა, რომ მოსარჩელის მეუღლის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებულ გამოძიებას, რომელიც 2008 წლის 16 აგვისტოს დაიწყო, 2020 წლამდე არ გაუკეთებია საბოლოო დასკვნა. სასამართლოს აზრით, ასეთი დაუშვებელი გაჭიანურება მიუთითებს ეროვნული ორგანოების უუნარობაზე, დააკმაყოფილონ გამოძიების დროულობისა და გონივრულობის მოთხოვნები. სასამართლოს პოზიციით, მან ვერ დაადგინა რაიმე კონკრეტული მიზეზი ეროვნულ დონეზე გამოძიების გაჭიანურებისათვის. სათანადო გულმოდგინების ნაკლებობა, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, განზრახ გაჭიანურებას ჰგავდა, კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ ამ საქმის განხილვა არ იყო მკაცრი და მოსარჩელეს ართმევდა შესაძლებლობას, აენაზღაურებინა ზიანი. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის ტოლფასია, ვინაიდან უმოქმედობის უმიზეზო პერიოდების არსებობა და სახელმწიფოს მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობა გამოძიებას არაეფექტიანს ხდის, მისი საბოლოო შედეგის მიუხედავად.<sup>124</sup> საბოლოოდ, ევროპულმა სასამარ-

118 63-ე პუნქტი.

119 134-ე პუნქტი.

120 20 იანვარი, 2022 წელი.

121 45-ე პუნქტი.

122 47-ე პუნქტი.

123 19 ნოემბერი, 2020 წელი.

124 36-ე პუნქტი.

თლომ მიიჩნია, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.<sup>125</sup>

საქმე *აკობიანი საქართველოს წინააღმდეგ (Hakobyan v. Georgia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (ს.ა.) მკვლელობის ფაქტის არაეფექტიან გამოძიებას, რომლის ცხედარი 2015 წლის 26 ივლისს აღმოაჩინეს.<sup>126</sup> საქმის მასალების მიხედვით, 2015 წლის 30 ივლისს სამ პირს წარუდგინეს ბრალდება ვინმე გ.ჰ.-ს მიერ ს.ა.-ს მკვლელობის მომზადებისა და ჩადენის შეუტყობინებლობისათვის, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა ს.ა.-ს მოსაკლავად, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ დატოვა ქვეყანა და დასახლდა რუსეთში.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ დაიწყო მკვლელობის ფაქტის გამოძიება და ამისათვის ჩაატარა მრავალი საგამოძიებო მოქმედება მოწმეების დაკითხვისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩათვლით. მოსარჩელეს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, მას ჰქონდა წვდომა საქმის მასალებთან და შეეძლო წარდგინებების გაკეთება.<sup>127</sup>

მართალია, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოები წააწყდნენ სირთულეებს, რომლებიც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მკვლელობის სავარაუდო ჩამდენი და ზოგიერთი მოწმე საქართველოში არ ცხოვრობდნენ, მან ვერ უგულებელყო ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 2015 წლის 30 ივლისს სახელმწიფოს ჰქონდა საკმარისი საფუძველი, ემტკიცებინა, რომ ვ.ჰ. იდგა მოსარჩელის შვილის მკვლელობის უკან. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს იურიდიული დახმარების თხოვნა რუსი სამართალდამცავებისათვის არ გაუგზავნიათ 2017 წლის 2 ივნისამდე, შემთხვევიდან დაახლოებით ორი წლის განმავლობაში და ექვსი თვის განმავლობაში, რაც მთავრობას ეცნობა წინამდებარე სარჩელის შესახებ. იმ დროისთვის რუსეთის ხელისუფლებამ ვერ აღმოაჩინა ვ.ჰ.-ს ადგილმდებარეობა, რომელიც 2017 წლის აპრილში მოსკოვში უცნობ მისამართზე გადავიდა საცხოვრებლად. გარდა ამისა, სახელმწიფომ არ გასცა ვ.ჰ.-ს ძებნის ორდერი. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა 2018 წლიდან 2022 წლამდე, სახელმწიფოს არ მიუწოდებია დამაჯერებელი განმარტება ამ გაჭიანურებისათვის. მაგალითად, გაურკვეველი რჩება, რატომ ჩატარდა დამნაშავეთა ამოცნობა 2022 წლის აპრილში მოწმის მონაწილეობით, რომლის ვინაობა და პოტენციური როლი ცნობილი იყო სახელმწიფოსათვის 2015 წლის 29 ივლისიდან. სასამართლომ ჩათვალა, რომ ზემოაღნიშნული გაჭიანურებები დაუსაბუთებელია, იმის გათვალისწინებით, რომ დროთა განმავლობაში მოწმეების მესხიერება ქრება ან მოწმეები შეიძლება გახდნენ მიუწვდომელნი, ხოლო ეფექტიანი გამოძიების ჩატარების პერსპექტივა სულ უფრო მცირდება.<sup>128</sup> ამ გარემოებების გამო ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.<sup>129</sup>

125 37-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

126 23 მარტი, 2023 წელი.

127 მე-20 პუნქტი.

128 მე-20 პუნქტი.

129 23-ე პუნქტი.

გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვას ასევე ეხება *საქმე საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Sakvarelidze v. Georgia)*.<sup>130</sup> ამ საქმეში მოსარჩელე ასაჩივრებდა მისი შვილისა და დის გარდაცვალებას 2003 წლის 22 ნოემბრის საგზაო შემთხვევის შედეგად, როდესაც ჯავშნიანი სამხედრო მანქანა, რომელიც მოძრაობდა გზის საწინააღმდეგო მხარეს, დაეჯახა მანქანას, რომელშიც მოსარჩელე, მისი შვილი, მისი და და დისშვილები ისხდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება დაიწყო 2003 წლის 23 ნოემბერს და ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის ადგილის დათვალიერება, ექვმიტანილებისა და თვითმხილველების დაკითხვა და შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ევროპული სასამართლოს აზრით, გაუგებარი მიზეზების გამო გამოძიება გაჭიანურდა 2017 წლამდე, კერძოდ, 13 წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში და მაინც ვერ დადგინდა პასუხისმგებელი პირი.<sup>131</sup>

ევროპული სასამართლოს აზრით, ის ვერ ხედავს გამოძიების ასეთი დიდი ხნით გაჭიანურების მიზეზს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირი, რომელიც ჯავშნიან მანქანას მართავდა, იდენტიფიცირებული იყო, მოწმეებს მიცემული ჰქონდათ ჩვენებები და შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა გამოძიების პირველსავე ეტაპზე და, მიუხედავად ამ ყველაფრისა, სახელმწიფომ ვერ შეძლო სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე რაიმე დასკვნის მომზადება. სახელმწიფო არც ამტკიცებდა, რომ ხანგრძლივი გამოძიება გამართლებული იყო პროცესუალური მოქმედებების ჩატარების საჭიროებით, მოსარჩელის მოქმედებით ან რაიმე სხვა შესაბამისი მიზეზით. სხვა საქმეების მსგავსად, სასამართლომ მიუთითა, რომ „დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულების უარყოფაა, რადგან უმოქმედობის არაგონივრული პერიოდების არსებობა და გულმოდგინების ნაკლებობა ხელისუფლების მხრიდან სამართალწარმოების განხორციელებისას გამოძიებას არაეფექტიანს ხდის, მიუხედავად მისი საბოლოო შედეგისა.“<sup>132</sup>

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ამ უმოქმედობის გამო საგამოძიებო ორგანოებმა სამართალწარმოება დააყოვნეს ათ წელზე მეტი ხნით, რამაც გამოიწვია შესაბამისი ხანდაზმულობის ვადის გასვლა და სამართალწარმოების შეწყვეტა ჯავშნიანი მანქანის მძღოლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის გარეშე.<sup>133</sup> ხანდაზმულობის ვადის გასვლის ერთადერთი მიზეზი იყო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობა, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, გამოძიების განზრახ გაჭიანურებას ჰგავდა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.<sup>134</sup>

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს მიერ გონივრული ნაბიჯების გადაუდგმელობას. საქმეზე – ვაზა-

130 6 თებერვალი, 2020 წელი.

131 53-ე პუნქტი.

132 54-ე პუნქტი.

133 54-ე პუნქტი.

134 55-ე პუნქტი.

გაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (*Vazagashvili and Shanava v. Georgia*), რომელიც ეხებოდა პოლიციის მიერ მოსარჩელის შვილის საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილვას და თავად მოსარჩელის მკვლელობას, რომელიც ცდილობდა, თავად დაედგინა მისი შვილის მკვლელები, რათა ისინი მიეცათ პასუხისგებაში, ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა გამოძიების პასიურობის შედეგებზე.<sup>135</sup> კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, „როგორც შესაბამისმა ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინა, პირველი მოსარჩელის მკვლელობა იმ მოწყობილობის აფეთქების შედეგად, რომელიც მოთავსებული იყო მისი შვილის საფლაგზე, განპირობებული იყო პირველი მოსარჩელის განსაკუთრებული საზოგადოებრივი აქტიურობით, რათა გამოეაშკარავებინა იმ პოლიციელების ქმედებები, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ [მისი შვილის] 2006 წლის 2 მაისს მომხდარ მკვლელობაზე. საგამოძიებო როლის საკუთარ თავზე აღებით, რაც, ჩვეულებრივ, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს ვალდებულებაა, პირველმა მოსარჩელემ თავი ჩაიგდო შურისძიების აშკარა საფრთხეში. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მოცემული საქმის ტრაგიკული გაგრძელება არის იმის ნათელი მაგალითი, თუ რამდენად მავნეა ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი გულმოდგინების გამოვლენა სიციოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საქმეებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტება“.<sup>136</sup>

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას. დაგვიანებით გამოძიების დაწყება შეამცირებს მტკიცებულებათა რაოდენობასა და ხარისხს და ეჭვის ქვეშ დააყენებს გამოძიების ჩატარების მცდელობის კეთილსინდისიერებას, რაც, საბოლოოდ გამოიწვევს სიციოცხლის უფლების დარღვევას.

რაც შეეხება გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვისა და უმიზეზო გაჭიანურებისაგან თავის შეკავებას, საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა.

როგორც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან, ისე საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ვლინდება, რომ მრავალ, მათ შორის გახმაურებულ საქმეებზე, გამოძიება გრძელდება უსასრულოდ, ხოლო გამოძიების შედეგები არც საზოგადოებისათვის და არც გარდაცვლილის ნათესავისათვის არ არის ცნობილი.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ჩამოყალიბებული პრაქტიკა არ აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტებს. გამოძიება უნდა ჩატარდეს გონივრული სისწრაფით და თავიდან უნდა იქნეს აცილებული გამოძიების უმიზეზო გაჭიანურება. თუ გამოძიებამ შეგროვებული მტკიცებულებები არ მიიჩნია საკმარისად შესაბამისი პი-

135 18 ივლისი, 2019 წელი.

136 90-ე პუნქტი.

რისათვის სისხლისსამართლებრივი ბრალდების წასაყენებლად, მაშინ გამოძიება უნდა შეწყდეს დანაშაულის არარსებობის გამო. არსებული მდგომარეობის შესწავლამ ასევე ცხადყო, რომ საქართველოს პრაქტიკაში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ შეწყვიტა გამოძიება საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო. გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არ აკმაყოფილებს საპროცესო ვალდებულების მოთხოვნას, თუ საქმის გაჭიანურება გამომწვეულია გამოძიების პასიურობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გატარდეს ღონისძიებები როგორც გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების, ისე მისი გონივრული სისწრაფით წარმართვის უზრუნველყოფისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი გამოძიება, რომელიც არ დაიწყო დაუყოვნებლივ და წარიმართა დაუსაბუთებელი გაჭიანურებით, შეიძლება გახდეს ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი და მის მიერ სიცოცხლის უფლების დარღვევის დადგენის საფუძველი.

## 6. გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლი და გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში

### ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ეფექტიანი გამოძიების აუცილებელი მოთხოვნაა საზოგადოებრივი კონტროლის არსებობა და გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში, რაც ემსახურება იმას, რომ, ზოგადად, საზოგადოებამ და გარდაცვლილის ნათესავებმა იცოდნენ გარდაცვალების მიზეზი და რომ შესაბამის პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა.<sup>137</sup>

გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში ნიშნავს, რომ მას უნდა ჰქონდეს გამოძიებასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია, შეეძლოს, წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები და გარდაცვალებასთან დაკავშირებული მოვლენების საკუთარი ვერსია, იცოდეს გამოძიების მიერ მომზადებული დასკვნებისა და გამოძიებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ, მათ შორის საქმის გამოძიების შეწყვეტისა და მისი მიზეზების შესახებ. გარდაცვლილის ნათესავმა უნდა მიიღოს სათანადო და დროული ინფორმაცია იმაზე, რა ნაბიჯებს დგამს სახელმწიფო საქმის გამოძიების კუთხით, რომლის შედეგებიც მნიშვნელოვანია მისთვის.<sup>138</sup> მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს იმდენ ინფორმაციაზე, რაც თანაზომიერია მისი ინტერესების დასაცავად ეროვნული სამართალწარმოების დროს.<sup>139</sup>

137 ტაგიევა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Tagiyeva v. Azerbaijan*), 7 ივლისი, 2022 წელი, 73-ე პუნქტი.

138 ბოიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (*Boychenko v. Russia*), 12 ოქტომბერი, 2021 წელი, 99-ე პუნქტი.

139 ჰუვანაინენი ფინეთის წინააღმდეგ (*Huohvanainen v. Finland*), 13 მარტი, 2007 წელი, 111-ე პუნქტი.

გამოძიების წარმოება ამ პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის გარეშე ინვესტ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას საპროცესო ნაწილში.<sup>140</sup> სასამართლომ დაადგინა საპროცესო ვალდებულების დარღვევა სხვადასხვა საქმეზე, რომელშიც ნათესავს არ ჰქონდა წვდომა საქმის მასალებზე, რის გამოც მას არ მიეცა უფლება, დაეცვა საკუთარი ინტერესები;<sup>141</sup> გარდაცვლილის ნათესავი საერთოდ არ იყო ინფორმირებული გამოძიების პროგრესის შესახებ, გამოძიების დაწყებიდან მრავალი წლის გასვლის მიუხედავად;<sup>142</sup> გარდაცვლილის ნათესავი არ იყო ჩართული გამოძიების პროცესში გარკვეულ ეტაპებზე, არ იყო ინფორმირებული ამ პროცესში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, მათ შორის საქმის შეწყვეტის შესახებ;<sup>143</sup> ნათესავს არ მიენოდა არსებითი ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გამოძიებამ არ შეატყობინა გარდაცვლილის ნათესავს ყველაზე მნიშვნელოვანი საპროცესო ნაბიჯების შესახებ.<sup>144</sup>

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გარდაცვლილის ნათესავისათვის დაზარალებულის სტატუსის დაგვიანებით მინიჭება, რაც მას ხელს უშლის, ისარგებლოს მინიმალური საპროცესო გარანტიებით, ითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად საპროცესო ნაწილში.<sup>145</sup>

მართალია, გარდაცვლილის ნათესავი უნდა იყოს ჩართული გამოძიების პროცესში, ეს არ უნდა განიმარტოს იმგვარად, თითქოს გამოძიება უნდა იყოს სრულიად საჯარო და თითქოს ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში არ შეიძლება შეიზღუდოს და, ასევე, გამოძიება ვალდებულია, გარდაცვლილის ნათესავს გააცნოს ყველა საგამოძიებო მასალა, დაუკმაყოფილოს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი თხოვნა, გაიაროს მასთან კონსულტაცია ყველა საგამოძიებო მოქმედების შესახებ ან მიაწოდოს მას ინფორმაცია გამოძიების ყველა ნაბიჯის შესახებ.<sup>146</sup>

გამოძიების პროგრესის შესახებ გარდაცვლილის ნათესავის ინფორმირების ვალდებულება შეიძლება შეიზღუდოს უსაფრთხოების ან სხვა მიზეზებით. ერთ-ერთ საქმეზე,

140 *სლიმანი საფრანგეთის წინააღმდეგ (Slimani v. France)*, 27 ივლისი, 2004 წელი, 48-ე-49-ე პუნქტები.

141 *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey)*, დიდი პალატა, 20 მაისი, 1999 წელი, 92-ე-93-ე პუნქტები.

142 *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania)*, დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 349-ე პუნქტი; „1989 წლის 21 დეკემბერი“ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (*Association “21 December 1989” and Others v. Romania*), 24 მაისი, 2011 წელი, 140-ე-141-ე პუნქტები.

143 *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Güleç v. Turkey)*, 27 ივლისი, 1998 წელი, 82-ე პუნქტი.

144 *აბუიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Abuyeva and Others v. Russia)*, 2010 წლის 2 დეკემბერი, 214-ე პუნქტი.

145 *ლულუევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Luluyev and Others v. Russia)*, 9 ნოემბერი, 2006 წელი, მე-100 პუნქტი; *ბოიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (Boychenko v. Russia)*, 12 ოქტომბერი, 2021 წელი, 99-ე პუნქტი.

146 *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 235-ე-236-ე პუნქტები.

რომელშიც წამოიჭრა გარდაცვლილთა ნათესავებისათვის პოტენციური ექვმიტანილების სახელების მიწოდების საკითხი, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: ოჯახის წევრებისათვის პოტენციური ექვმიტანილების სახელების მიწოდებაზე სახელმწიფოს უარი შეიძლება გაამართლოს საფრთხემ, რომ გარდაცვლილის ნათესავი და სხვები ივარაუდებენ, ამ ექვმიტანილებს მიუძღვით ბრალი, ისევე როგორც განაპირობებს საფრთხეს ამ პირების მიმართ პოტენციურად არასასიამოვნო შედეგებით.<sup>147</sup>

თუ სიცოცხლის განზრახ მოსპობის შემთხვევაში ევროპული სასამართლოს მიდგომაა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში, ევროპულმა სასამართლომ უფრო დაბალი სტანდარტი დაანესა განზრახვის გარეშე სიცოცხლის მოსპობის მიმართ, მათ შორის ექიმის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში.<sup>148</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს („დაზარალებულის უფლებამონაცვლე“). გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს უფლება არა აქვთ, უარი უთხრან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს დაზარალებულისათვის მინიჭებული რომელიმე უფლებით სარგებლობაზე.<sup>149</sup>

კოდექსი განსაზღვრავს დაზარალებულის უფლებებს, მათ შორის: ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; ბ) მიიღოს ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების შესახებ; გ) მიიღოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი; დ) მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს; ე) მოთხოვნის შემთხვევაში, მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება.<sup>150</sup>

თუ ინფორმაციის მიღებისა და მასალების გაცნობის თაობაზე დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.<sup>151</sup> ამ მუხლში მითითებულ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში პროკუ-

147 გურტეკინი და სხვები კვიპროსის წინააღმდეგ (*Gurtekin and Others v. Cyprus*), გადაწყვეტილება, 11 მარტი, 2014 წელი, 29-ე პუნქტი.

148 გრეი გერმანიის წინააღმდეგ (*Gray v. Germany*), 22 მაისი, 2014 წელი, 88-ე პუნქტი.

149 კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

150 კოდექსის 57-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

151 კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

რორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება. დაზარალებულს უფლება აქვს, ეს დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.<sup>152</sup>

კოდექსი ასევე ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, პროკურორი იღებს დადგენილებას გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რომლის ასლს 1 კვირის ვადაში უგზავნის დაზარალებულს. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია, დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ.<sup>153</sup>

დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობა, იმავე კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეა.<sup>154</sup>

ევროპულ სტანდარტებთან კოდექსის ამ დებულებების შესაბამისობის განხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გარდაცვლილის ნათესავის (დაზარალებულის უფლებამონაცვლე) ისეთ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპული სტანდარტებით.

დაზარალებულთა უფლებების ეფექტიანად დაცვას ისახავს მიზნად საქართველოს პროკურატურაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – სიციოცხლის მოსპობის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო.<sup>155</sup> საბჭო უფლებამოსილია, გამოითხოვოს და შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმის მასალები, გამოითხოვოს და მიიღოს საკითხის გადაწყვეტისთვის აუცილებელი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი.<sup>156</sup> ასევე სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც დადგენილია ხარვეზების არსებობის ფაქტი, საბჭო აწესებს ზედამხედველობას, მასზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.<sup>157</sup>

დაზარალებულის ჩართულობას გამოძიების პროცესში ხელს უწყობს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში 2023 წელს მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს

152 კოდექსის 57-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

153 კოდექსის 106-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

154 კოდექსის 106-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

155 საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება N33 „საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს – სიციოცხლის მოსპობის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“, 17 ნოემბერი, 2022 წელი, იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5617923?publication=0>.

156 დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

157 დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

შექმნა.<sup>158</sup> ამ სამმართველოს ფუნქციებს განეკუთვნება: ა) დაზარალებულთან შეხვედრა და მის მიერ საკუთარი უფლებების სარგებლობის ხელშეწყობა, მათ შორის: საქმის მასალების გაცნობის ან/და მასალების ასლების გადაცემის პროცესის დაგეგმვა/ორგანიზება და გაცნობის/გადაცემის უზრუნველყოფა;<sup>159</sup> და ბ) დაზარალებულისთვის ისეთი საპროცესო მოქმედებების შესახებ ინფორმაციის მოწოდების უზრუნველყოფა, როგორცაა წარმოდგენს მათ შორის, გამოძიების დაწყება, ბრალდებულის დაკავება, საქმის სასამართლოში გადაგზავნა და სხვ.<sup>160</sup>

## ბ) პრაქტიკა

გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისა და გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, გამოვლინდა რამდენიმე საყურადღებო ფაქტი. ერთ-ერთია ინფორმაცია 2015 წლის 24 ოქტომბერს გორში შეიარაღებული ძალების მე-5 ბრიგადის სამხედრო ტერიტორიაზე, ჰაერსაწინააღმდეგო ასეულის I კლასის რიგითის, 33 წლის თამაზ თამარაშვილის გარდაცვალების შესახებ. სახალხო დამცველის ინფორმაციით, ამ საქმეზე გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რადგან მომხდარიდან 3 წლის შემდეგაც დაღუპული ჯარისკაცის ოჯახის წევრები არ იყვნენ ცნობილი დაზარალებულად.<sup>161</sup>

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც პრაქტიკაში პრობლემური აღმოჩნდა, არის დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ხელმისაწვდომობა. გავრცელებული ინფორმაციით, რაჭაში (შოვეში) 2023 წლის 3 აგვისტოს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულების უფლებამონაცვლებს არ მიეცათ სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიღების შესაძლებლობა. ეს საკითხი პრობლემურია როგორც ევროპული სასამართლოს, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლებიც მოითხოვენ, რომ საქმის მასალებზე წვდომის უფლება უნდა იყოს პრაქტიკული და არა თეორიული. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა ერთ-ერთ საქმეზე:

„მხედველობაში მისაღებია, რომ სისხლის სამართლის მასალები წარმოდგენს სწორედ იმგვარ ინფორმაციას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ერთი მხრივ, დიდი მოცულობისაა, ხოლო, მეორე მხრივ, საჭიროებს კომპლექსურ შესწავლას, სკრუპულოზურ

158 სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანება N16 „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 ივნისის N9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, 27 მაისი, 2023 წელი, იხ.: [<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5760917?publication=0>]; ასევე იხ.: სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2023, 17, [[https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?cat\\_id=86](https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?cat_id=86)].

159 დებულების მე-17<sup>1</sup> მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

160 დებულების მე-17<sup>1</sup> მუხლის 1-ელი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

161 ნ. არაბული, „თვითმკვლელობა ქართულ ჯარში – უპასუხო კითხვები“, 19 იანვარი, 2024 წ., სტატია ხელმისაწვდომია რადიო თავისუფლების ინტერნეტგვერდზე: [<https://www.radiotavisupleba.ge>], [ნანახია: 11 სექტემბერი, 2024 წ.].

გამოკვლევასა და ანალიზს, აგრეთვე, სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას, სათანადო დარგობრივი კომპეტენციის ექსპერტის, იურისტის განმარტებასა თუ შეფასებას. შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ დაზარალებულმა საქმის მასალების ადგილზე ნაკითხვის დროს დამოუკიდებლად ვერ შეძლოს შესაბამისი ინფორმაციის მართებულად, ადეკვატურად აღქმა, გააზრება, ინტერპრეტირება და, ამის გამო, ჩამოაყალიბოს არასწორი დასკვნები გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ან სრულებითაც ვერ შეძლოს ინფორმაციის მიზნობრივად გამოყენება. მაშინ, როდესაც, თუ მას ხელთ ექნებოდა დოკუმენტების ასლები, შეძლებდა, სხვა დროსაც, უფრო მშვიდ გარემოში, განმეორებით გასცნობოდა მათ და მიეღო კვალიფიციური განმარტებები თუ კონსულტაციები. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქმის მასალების მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, მათი გაცნობა, ზოგჯერ, შესაძლოა, მოითხოვდეს საკმაოდ ხანგრძლივ დროს, მათ შორის, მრავალსაათიან შრომასა და ყურადღების კონცენტრაციას. ისევე, როგორც სავსებით დასაშვებია, რომ საქმის დიდი მოცულობის შემთხვევაში დაზარალებულმა ვერ მოახერხოს ყველა იმ ინფორმაციის ამოწერა, რომელიც მნიშვნელოვნად მიაჩნია. ამდენად, სისხლის სამართლის მასალების მართოდენ ადგილზე გაცნობის და თუნდაც წერილობითი ჩანაწერების ხელით გაკეთების შესაძლებლობა დაინტერესებული პირისათვის (დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლისათვის) ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის ეფექტიანი, სრულფასოვანი გაცნობის შესაძლებლობას, აკნინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალურ შინაარსს, ხოლო, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, სრულიად აზრს მოკლებულს ხდიდეს მას“.<sup>162</sup>

ამ საქმის საფუძველზე, საია-მ დაასკვნა, რომ, „მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული განმარტებისა, პროკურატურა კვლავ განაგრძობს არაკონსტიტუციურ პრაქტიკას და ქმნის პროცესუალურ ბარიერებს დაზარალებულთათვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში ჩართულობა ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც ასევე დასტურდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. ეს, მათ შორის, გულისხმობს გამოძიებისა და მისი შედეგების საზოგადოებრივ ზედამხედველობასა და გამჭვირვალობას, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს პრაქტიკულ ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს.“<sup>163</sup>

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ, საყურადღებოა რამდენიმე საქმე: საქმეზე – *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia)* – მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ ისინი შეზღუდულად

162 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის No1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე – „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; II, 21-ე პუნქტი.

163 „ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ“, საია, 2023 წ., იხ.: [https://gyla.ge/], 33-34.

იყვნენ ჩართულნი გამოძიების პროცესში.<sup>164</sup> ამისათვის ევროპულმა სასამართლომ განიხილა, იყვნენ თუ არა ისინი საკმარისად ჩართულნი გამოძიების პროცესში, რათა დაეცვათ საკუთარი ინტერესები.<sup>165</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელებს, ადვოკატის მეშვეობით, ჰქონდათ რეგულარული წვდომა გამოძიების მასალებთან. ზოგიერთი მათი მოთხოვნა დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ დაკმაყოფილდა. მაგ., მათი თხოვნით ჩატარდა ანტიტერორისტული დეპარტამენტის უფროსისა და მისი მოადგილის, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილისა და სუს-ის ოფიცრების დაკითხვა. მიუხედავად ამისა, მოსარჩელებს მხოლოდ 2020 წლის იანვარში, როდესაც სამართალწარმოების შეწყვეტამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, მიეცათ წვდომა სუს-ის სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების დაკითხვის მასალებზე. ორი წლის განმავლობაში წვდომის არქონამ შეუზღუდა მოსარჩელებს შესაძლებლობა, ეფექტიანად ჩართულიყვნენ გამოძიებაში, რადგან მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ ერთადერთ პირდაპირ მტკიცებულებას ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპების შესახებ.<sup>166</sup>

რაც შეეხება პირველი მოსარჩელისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმას, სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მოსარჩელებს მიეცათ უფლება, განეხორციელებინათ საპროცესო უფლებები დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გარეშე. სასამართლოს შეფასებით, მართალია, მოსარჩელებს ჰქონდათ წვდომა გამოძიების მასალებზე და მათ დაუკმაყოფილეს საპროცესო მოთხოვნები, ის ვერ დახუჭავს თვალს იმაზე, რომ მოსარჩელებმა, დაზარალებულის სტატუსის არქონის გამო, ვერ გაასაჩივრეს პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ. სასამართლოს აზრით, იგივე საკითხი წამოიჭრა საქართველოს წინააღმდეგ სხვა გადაწყვეტილებებში, რაც ხაზს უსვამს ამ პრობლემის სისტემურ ხასიათს.<sup>167</sup> ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი მოსარჩელისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარმა ხელი შეუშალა მოსარჩელებს, განეხორციელებინათ კანონით გათვალისწინებული საპროცესო უფლება.<sup>168</sup>

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ ხარვეზებმა განაპირობა სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნების შეუსრულებლობა, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.<sup>169</sup>

164 19 იანვარი, 2023 წელი.

165 93-ე პუნქტი.

166 93-ე პუნქტი.

167 95-ე პუნქტი. მათ შორის საქმეები: *ედგვერადე საქართველოს წინააღმდეგ (Edzggeradze v. Georgia)*, 20 იანვარი, 2022 წ., 46-ე პუნქტი; *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)*, 20 აპრილი, 2020 წელი, 134-ე პუნქტი; *შავადე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*, 19 ნოემბერი, 2020 წ., 35-ე პუნქტი; *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*, 10 თებერვალი, 2022 წ., 44-ე პუნქტი.

168 96-ე პუნქტი.

169 97-ე პუნქტი.

გამოძიების პროცესში გარდაცვლილთა ნათესავების ჩართულობაზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე საქმეზე – *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)*. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც დაიწყო დამოუკიდებელი გამოძიება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ არათანაზომიერი ძალის გამოყენების შესახებ, მოსარჩელებს არ მინიჭებიათ დაზარალებულის სტატუსი, რის გამოც მათ ვერ ისარგებლეს საპროცესო უფლებებით.<sup>170</sup> ამდენად, სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელები და საზოგადოება, ფაქტობრივად, არ იყვნენ ჩართულნი გამოძიების პროცესში.<sup>171</sup>

საქმე *ედგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ (Edzgeradze v. Georgia)* ეხებოდა მოსარჩელის ქმრის (მ.მ.-ს) თვითმკვლელობას, პოლიციაში მისი მოწმის სახით დაკითხვის შემდეგ, ხოლო მისი დაკითხვა უკავშირდებოდა მისი ერთ-ერთი მეგობრის (გ.მ.) დაკავებას კანაფის სავარაუდო ფლობის ფაქტზე.<sup>172</sup> თვითმკვლელობამდე იგი ამტკიცებდა, რომ პოლიციელებმა სცემეს და, მისი თქმით, აიძულეს, რომ მიეცა ჩვენება მეგობრის წინააღმდეგ. ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ აღკვეთა მისი მეუღლის თვითმკვლელობა და რომ ამ ფაქტზე არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი როგორც არსებით, ისე საპროცესო ნაწილში.

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მოსარჩელის ჩართულობაზე გამოძიების პროცესში და აღნიშნა: მართალია, მას ერთჯერადად მიეცა საგამოძიებო მასალის გაცნობის შესაძლებლობა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს არ შეეძლო, დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გარეშე, გაესაჩივრებინა პროკურატურის გადაწყვეტილება. შესაბამისად, გამოძიებამ საკმარისად ვერ უზრუნველყო მ.მ.-ს ოჯახის წევრის კანონიერი ინტერესის დაცვა.<sup>173</sup> გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებული ამ და სხვა ხარვეზების გამო, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.<sup>174</sup>

საქმეზე – *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*– ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა გამოძიების ადეკვატურობაზე, რეგიონის პროკურატურისათვის საქმის გადაბარების (2008 წლის 18 აგვისტო) მომდევნო პერიოდში.<sup>175</sup> როგორც სასამართლომ აღნიშნა, ის შეშფოთებულია სახელმწიფოს აუხსნელი, დაუინებელი და, შესაბამისად, შეიძლება განზრახი უარით, მიენიჭებინა მოსარჩელისათვის დაზარალებულის სტატუსი, რომლის გარეშეც მოსარჩელეს არ შეეძლო რაიმე სახის საპროცესო უფლებით სარგებლობა. კერძოდ, მას არ შეეძლო ინფორმაციის მოპოვება გამოძიების

170 20 აპრილი, 2020 წელი.

171 134-ე პუნქტი.

172 20 იანვარი, 2022 წელი.

173 46-ე პუნქტი.

174 47-ე პუნქტი.

175 19 ნოემბერი, 2020 წელი.

შესახებ და არ ჰქონდა უფლება, გასცნობოდა გვამის გაკვეთის შედეგად მომზადებულ დასკვნას.<sup>176</sup>

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მოსარჩელებისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმაზე, საქმეზე – *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*.<sup>177</sup>

გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისა და გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საქართველოში დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა არ არის პრაქტიკული და ეფექტიანი.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის, ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით.

გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ რამდენიმე შემთხვევაში გარდაცვლილის ნათესავებს არ მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიანიჭ ჰქონდათ წვდომა გამოძიების მასალებზე. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, გარდაცვლილის ნათესავს ფაქტობრივად ჰქონდა თუ არა წვდომა გამოძიების მასალებზე და მას დაუკმაყოფილეს თუ არა საპროცესო მოთხოვნები, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი ხელს უშლის მას, განახორციელოს საპროცესო უფლებები. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ეს საკითხი წამოიჭრა საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე გადაწყვეტილებაში, რაც მიუთითებს მის სისტემურ ხასიათზე.<sup>178</sup>

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები გარდაცვლილის ნათესავისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების უზრუნველსაყოფად, რაც მისცემს მას შესაძლებლობას, სრულყოფილად ისარგებლოს საპროცესო უფლებებით. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ „არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ სახელმძღვანელო დოკუმენტის დამტკიცება, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საქმის

176 35-ე პუნქტი.

177 10 თებერვალი, 2022 წელი. 44-ე პუნქტი.

178 95-ე პუნქტი. მათ შორის საქმეები: *ედგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ (Edzgvradze v. Georgia)*, 20 იანვარი, 2022 წ., 46-ე პუნქტი; *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)*, 20 აპრილი, 2020 წელი, 134-ე პუნქტი; *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*, 19 ნოემბერი, 2020 წ., 35-ე პუნქტი; *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*, 10 თებერვალი, 2022 წ., 44-ე პუნქტი.

მასალებთან წვდომის გაადვილებას.<sup>179</sup> სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა, მიუთითებს, რომ „დანაშაულის შესაძლო მსხვერპლის ჩართვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება ეფექტური, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტია.“<sup>180</sup>

დოკუმენტის მიხედვით, „სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, წინამდებარე რეკომენდაციაში მოცემულია არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის<sup>181</sup> გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმირებასა და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით დადგენილი ვადები და წესები, ამასთან მსხვერპლისათვის გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმირება ან/და საქმის მასალების გაცნობა უნდა იყოს სავალდებულო წესი, ხოლო მისი შეზღუდვა – გამონაკლისი, განპირობებული შესაბამისი აუცილებლობით. საქმის მასალების და ინფორმაციის გაცნობის მიზანშეწონილობა, ასევე გადასაცემი მასალის/ინფორმაციის მოცულობა უნდა შეფასდეს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში როგორც გამოძიების ინტერესების, ისე საქმეში არსებული სხვა პირთა პირადი ცხოვრების, პერსონალური მონაცემების დაცულობის თუ პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.“<sup>182</sup>

სახელმძღვანელო დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის წესს, ინფორმაციის მიწოდების პროცედურასა და ვადებს, ადგენს სისხლის სამართლის საქმის მასალებისა და ინფორმაციის ჩამონათვალს, რომლის გაცნობის შესაძლებლობაც უნდა მიეცეს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლს და განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლების შეზღუდვის შემთხვევებსა და პროცედურას, ისევე როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლების სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვის გასაჩივრების წესსა და პროცედურას.

179 სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანება N01/165, 27 ივლისი, 2022 წელი. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წერილი (დანართითურთ) SIS 4 24 00018028, 26 სექტემბერი, 2024 წ.; ასევე იხ.: „სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა აკადემიური წრის წარმომადგენლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტი წარუდგინა“, 30 ივნისი, 2022 წ., იხ.: [<https://sis.gov.ge/media/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-akademiuri-wris-warmomadgenlebs-adamianis-uflebata-evropuli-sasamartlos-rekomendaciebis-safudzvelze-shemushavebul-axali-saxelmdgbanelo-dokumenti-warudgina>].

180 იქვე, 3.

181 სახელმძღვანელო დოკუმენტი, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლად მიიჩნევა პირი: რომელიც უთითებს, რომ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ჩადენის შედეგად მას მიადგა მორალური და ფიზიკური ზიანი; რომლის მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულის თაობაზე მიმდინარეობს გამოძიება; გარდაცვლილი ოჯახის წევრი ან ნათესავი.

182 იქვე, 6.

მართალია, ეს დოკუმენტი ამოქმედდა შედარებით მცირე დროის წინ და ვერც მას-მედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და ვერც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ვერ შეფასდება მისი პრაქტიკული გავლენა გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობაზე, ასეთი დოკუმენტის მიღება თავის თავად დადებითად უნდა შეფასდეს.

ამ დოკუმენტის მაგალითის საფუძველზე მსგავსი სახელმძღვანელო დოკუმენტის მიღება, რომელიც მიმართული იქნება გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის უზრუნველყოფისაკენ, მიზანშეწონილია, განიხილონ სხვა შესაბამის-მა სახელმწიფო უწყებებმა, რომლებიც ანარმოებენ გამოძიებას.

## 7. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან სიცოცხლის უფლების დაცვის პროცედურული ვალდებულების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა და გამოითქვას რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. კერძოდ:

ა) გამოძიების წარმოების ინიციატივის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეესაბამება ევროპული სტანდარტს, რომლის მიხედვით, გამოძიების წარმოების ინიციატივა ეკუთვნის სახელმწიფოს და არ არის დამოკიდებული გარდაცვლილის ნათესავის საჩივარზე.

რაც შეეხება საქართველოს პრაქტიკას გამოძიების დაწყების ინიციატივის შესახებ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია პირის სიცოცხლის მოსპობის ფაქტის შესახებ, რომელმაც შეიძლება წამოჭრას შეუსაბამოების საკითხი ევროპული კონვენციის შესაბამის სტანდარტსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის. გამოძიების დაწყების ინიციატივის შესახებ ვერც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად აღმოჩენილა რაიმე პრობლემა.

ბ) ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გამოძიება რომ ჩაითვალოს ეფექტიანად, მას უნდა ანარმოებდეს იმ პირისაგან იერარქიულად, ინსტიტუციურად და პრაქტიკულად დამოუკიდებელი პირი, რომლის ქმედებამ, სავარაუდოდ, გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება. საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, კანონით სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ შექმნილია მექანიზმი, რომლის მიხედვით, გამოძიება უნდა ანარმოოს იმ პირისაგან იერარქიულად, ინსტიტუციურად და პრაქტიკულად დამოუკიდებელმა გამოძიებელმა, რომლის ქმედებამ, სავარაუდოდ, გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტს გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ.

რაც შეეხება საქართველოში გამოძიების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პრაქტიკას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შემთხვევები, რომლებმაც ეჭვის ქვეშ დააყენა გამოძიების დამოუკიდებლობა. საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ცხადყო გამოძიების დამოუკიდებლობის პრობლემურობა საქართველოში, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს საქმეები, ძირითადად, ეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დაარსებამდე მომხდარ ფაქტებს. ვინაიდან უკვე ფუნქციონირებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ საქართველოში გამოძიების დამოუკიდებლობის შესახებ ევროპულ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობა შემცირდება. აუცილებელია, რომ გატარდეს ღონისძიებები გამოძიების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, რისთვისაც აუცილებელია, ზედმინევით შესრულდეს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, კანონი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ.

ვინაიდან ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ პირველადი საგამოძიებო მოქმედებები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარებისათვის, მნიშვნელოვანია, თუ ნათელი გახდა, რომ სიციცხლის მოსპობა ჩაიდინა პოლიციის თანამშრომელმა, გამოძიება თავიდანვე დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ნაცვლად შსს-სა. ამ შემთხვევაში პოლიციამ შეიძლება მხოლოდ უზრუნველყოს დანაშაულის ადგილის დაცვა, რათა არ დაიკარგოს ან განადგურდეს შესაბამისი მტკიცებულებები.

გ) გამოძიების ადეკვატურობის მიმართ ევროპული კონვენციის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ითვალისწინებს საგამოძიებო მოქმედებების მთელ რიგს, რომელთა მიზანია საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს.

რაც შეეხება საქართველოში გამოძიების ადეკვატურობის უზრუნველყოფის პრაქტიკას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის, სახალხო დამცველის ანგარიშებისა და საქართველოს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა ადეკვატური გამოძიების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევები, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებების მიღებისა და მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებული ხარვეზები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები საქართველოში ადეკვატური გამოძიების ჩატარებისა და ევროპული სტანდარტების ზედმინევით შესრულების უზრუნველსაყოფად.

დ) გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებისა და გონივრული სისწრაფით წარმართვის შესახებ ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანა-

ლიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების ვალდებულებას. რაც შეეხება გონივრული სისწრაფით გამოძიების წარმართვის ევროპულ სტანდარტს, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება მას.

რაც შეეხება გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების პრაქტიკას, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას. რაც შეეხება გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვისა და უმიზეზო გაჭიანურებისაგან თავის შეკავებას, საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. როგორც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან, ისე საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ვლინდება, მრავალ, მათ შორის გახმაურებულ საქმეებზე, გამოძიება გრძელდება უსასრულოდ, ხოლო გამოძიების შედეგები არც საზოგადოებისათვის და არც გარდაცვლილის ნათესავისათვის არ არის ცნობილი.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ჩამოყალიბებული პრაქტიკა არ აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტებს. გამოძიება უნდა ჩატარდეს გონივრული სისწრაფით და თავიდან უნდა იქნეს აცილებული გამოძიების უმიზეზო გაჭიანურება. თუ გამოძიებამ შეგროვებული მტკიცებულებები არ მიიჩნია საკმარისად შესაბამისი პირისათვის სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენებისათვის, მაშინ გამოძიება უნდა შეწყდეს დანაშაულის არარსებობის გამო. არსებული მდგომარეობის შესწავლამ ასევე ცხადყო, რომ საქართველოს პრაქტიკაში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ შეწყვიტა გამოძიება საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო. გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არ აკმაყოფილებს საპროცესო ვალდებულების მოთხოვნას, თუ საქმის გაჭიანურება გამომწვეულია გამოძიების პასიურობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები როგორც გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების, ისე მისი გონივრული სისწრაფით წარმართვის უზრუნველყოფისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი გამოძიება, რომელიც არ დაიწყო დაუყოვნებლივ და წარიმართა დაუსაბუთებელი გაჭიანურებით, შეიძლება გახდეს ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი და მის მიერ სიცოცხლის უფლების დარღვევის დადგენის საფუძველი.

ე) საქართველოში გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისა და გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გარდაცვლილის ნათესავის (დაზარალებულის უფლებამონაცვლე) ისეთ უფლებებს,

რომლებიც გათვალისწინებულია ევროპული სტანდარტებით და, აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.

რაც შეეხება საქართველოში გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისა და გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის პრაქტიკას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გავეთვლინოთ, რომ საქართველოში დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა არ არის პრაქტიკული და ეფექტიანი. კერძოდ, გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ რამდენიმე შემთხვევაში გარდაცვლილის ნათესავებს არ მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი სტატუსის მინიჭების გარეშეც, მათ მაინც ჰქონდათ წვდომა გამოძიების მასალებზე. ამიტომ აუცილებელია, რომ გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები გარდაცვლილის ნათესავისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების უზრუნველსაყოფად, რაც მისცემს მას შესაძლებლობას, სრულყოფილად ისარგებლოს საპროცესო უფლებებით. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ „არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ სახელმძღვანელო დოკუმენტის დამტკიცება, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საქმის მასალებთან წვდომის გაადვილებას. მართალია, ეს დოკუმენტი ამოქმედდა შედარებით მცირე დროის წინ და ვერც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და ვერც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ვერ შეფასდება მისი პრაქტიკული გავლენა გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობაზე, ასეთი დოკუმენტის მიღება თავისთავად დადებითად უნდა შეფასდეს. ამ დოკუმენტის მაგალითის საფუძველზე მსგავსი სახელმძღვანელო დოკუმენტის მიღება, რომელიც მიმართული იქნება გამოძიების პროცესში გარდაცვლილი ნათესავის ჩართულობის უზრუნველყოფისაკენ, მიზანშეწონილია, განიხილონ სხვა შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის, ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით.

# ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი და მისი გავლენა ადამიანის უფლებებზე

ქეთევან კუკავა

## 1. შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიები ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ტექნოლოგიურ მიღწევებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვნური ინტელექტი, რომელიც ტრანსფორმაციულ ცვლილებებს იწვევს საზოგადოებაში, საჯარო მმართველობასა და ბიზნესის საქმიანობაში.

ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ადამიანებს, გააუმჯობესოს საჯარო პოლიტიკის წარმოების პროცესი, ასევე ხელი შეუწყოს ბიზნესის კონკურენტუნარიანობას. ამავდროულად, ამგვარი სისტემების გამოყენებას თან ახლავს მნიშვნელოვანი რისკებიც, რაც მათი ეფექტიანი რეგულირებისა და სათანადო სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის აუცილებლობას განაპირობებს.

ციფრულ ეპოქაში მონაცემების, როგორც უნივერსალური რესურსის, ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ხელოვნური ინტელექტის სისტემების ოპერირება დიდი ოდენობით მონაცემებს, მათ შორის, პერსონალურ მონაცემებს ეფუძნება, რაც მათ ფართომასშტაბიან შეგროვებას, შენახვას და დამუშავებას ახალისებს. ამგვარი პრაქტიკა გავლენას ახდენს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებაზე.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ხელოვნური ინტელექტის სისტემების გაუმჭვირვალობა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ახსნის სირთულე ან შეუძლებლობა, რასაც ხშირად „შავი ყუთის“ პრობლემას უწოდებენ.<sup>1</sup> ამგვარი ბუნდოვანება შეიძლება ეფექტიანი ანგარიშვალდებულების დამაბრკოლებელი ფაქტორი იყოს.<sup>2</sup>

ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, თანამედროვე მსოფლიოში მთავარი საზრუნავია ტექნოლოგიური პროგრესის სარგებლის ეფექტიანად გამოყენება იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ზიანი და უარყოფითი გავლენა ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიაზე და სამართლის უზენაესობაზე. სამწუხაროდ, „მსოფლიო საზოგადოებამ ხელიდან გაუშვა ამგვარი სისტემების შექმნის, განვითარებისა და გამოყენების პრევენციული რეგულირების შანსი.“<sup>3</sup>

1 Report of the United Nations High Commissioner for Human Rights, The Right to Privacy in the Digital Age, A/HRC/48/31, 2021, §20.

2 იქვე.

3 ს. ელიზბარაშვილი, ადამიანის უფლებების დაცვა ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში: ხელოვნური ინტელექტის რეგულირების დასაწყისი, კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები“, რედაქტორი კ. კორკელია, თბილისი, 2023, 90.

ამავე დროს, 2024 წელს ევროკავშირის მიერ 2024/1689 რეგულაციის<sup>4</sup> (შემდგომში – „რეგულაცია“ ან „ხელოვნური ინტელექტის აქტი“) მიღებამ, ხოლო ევროპის საბჭოს მიერ ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის შესახებ ჩარჩო კონვენციის<sup>5</sup> შემუშავებამ დაადასტურა, რომ ევროპა ხელოვნური ინტელექტის რეგულირების თვალსაზრისით წინა ხაზზე დგას.

ხელოვნური ინტელექტის სისტემების რეგულირება აღქმულ უნდა იქნეს არა როგორც ტექნოლოგიური პროგრესის შემაფერხებელი ბარიერი, არამედ როგორც მუდმივი განვითარებისა და ინოვაციის მამოძრავებელი ფაქტორი. ამასთან, მნიშვნელოვანია, სამართლებრივმა ჩარჩომ გაითვალისწინოს არა მხოლოდ არსებული გამოწვევები, არამედ სამომავლო პოტენციური საფრთხეებიც, რადგან „ტექნოლოგიების სოციალურ ზემოქმედებას ძალიან ხშირად მათი იმგვარი გამოყენება განაპირობებს, რაც ტექნოლოგიის შექმნისას გათვალისწინებული არ ყოფილა.“<sup>6</sup>

წინამდებარე სტატიის მიზანია, განიხილოს ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტით გათვალისწინებული ძირითადი სიახლეები და შეაფასოს ამ რეგულაციის პოტენციური გავლენა ადამიანის უფლებებზე.

## 2. ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი – მიზანი და მოქმედების ფარგლები

ევროკავშირმა სამწლიანი განხილვის შემდეგ, 2024 წელს მიიღო „ხელოვნური ინტელექტის აქტი“, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ერთგვაროვან სამართლებრივ ჩარჩოს და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროდუქტებისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას წევრ სახელმწიფოებში, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის შიდა ბაზარზე მხოლოდ იმგვარი ხელოვნური ინტელექტის სისტემების დაშვებას, რომლებიც ევროპულ ღირებულებებთან თანხვედრაშია.

ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით, ხელოვნური ინტელექტის სისტემა მანქანურ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სისტემაა, რომელიც ავტონომიურობის სხვადასხვა ხარისხით ოპერირებს, ახასიათებს ადაპტირების უნარი და შეყვანილი მონაცემების საფუძველზე ადგენს, თუ როგორ დააგენერიროს პროგნოზები, შინაარსი, რეკომენდაციები ან გადაწყვეტილებები, რასაც ფიზიკურ ან ვირტუალურ გარემოზე გავლენის მოხდენა შეუძლია.<sup>7</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი უფრო მეტად პროდუქტის უსაფრთხოების რეგულირების მსგავსია, ვიდრე ადამიანის უფლებების

4 ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2024 წლის 13 ივნისის 2024/1689 რეგულაცია ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით ჰარმონიზებული წესების დადგენის შესახებ.

5 ევროპის საბჭოს კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 2024 წლის 5 სექტემბერს.

6 C. Djeflal, The EU AI Act at a crossroads: generative AI as a challenge for regulation, European Law Blog, 2023, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/wvbi3> [19.07.2024].

7 ხელოვნური ინტელექტის აქტი, მე-3(1) მუხლი.

დაცვის ტრადიციული ინსტრუმენტისა. რეგულაციის პრეამბულაში მითითებული სამართლებრივი საფუძველი – ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 114-ე მუხლი – ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებლობის მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს.<sup>8</sup> შესაბამისად, ამ რეგულაციის მიღება ძირითადად ბაზრის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების და ბაზრის მოთამაშეებისთვის სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფის აუცილებლობით არის განპირობებული.<sup>9</sup>

გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის აქტის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-16 მუხლი, რომელიც ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საკანონმდებლო უფლებამოსილებას ანიჭებს. ეს საფუძველი მიემართება რეგულაციით გათვალისწინებულ მხოლოდ სამ საკითხს: სამართალდაცვითი მიზნებით ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენებას დისტანციურად ბიომეტრიული იდენტიფიკაციისთვის, ფიზიკური პირების რისკების შეფასებისა და ბიომეტრიული კატეგორიზაციისთვის.<sup>10</sup> სხვა დანარჩენი ნორმების სამართლებრივი საფუძველი კი ზემოაღნიშნული 114-ე მუხლია.

საკითხის ამგვარი გადანაცვლება ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს: ევროკავშირის შეუძლია, იმოქმედოს მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მიერ მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.<sup>11</sup> ძირითად უფლებათა ქარტია კი ევროკავშირის დამატებით უფლებამოსილებას და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში კანონმდებლობის მიღების კომპეტენციას არ ანიჭებს.<sup>12</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის აქტი ასევე ემსახურება საჯარო ინტერესებს – ძირითადი უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დაცვას,<sup>13</sup> რეგულაცია ამას უმეტესად ამ ღირებულებების პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებზე თანდართვის გზით ახორციელებს.<sup>14</sup> შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის აქტის ერთ-ერთ მთავარ ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ძირითადი უფლებების დაცვა ხორციელდება პროდუქტის უსაფრთხოების ინსტრუმენტებით, რამაც შეიძლება, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების უგულებელყოფა გამოიწვიოს.<sup>15</sup>

მნიშვნელოვანია ამ რეგულაციის მოქმედების ფარგლებიც. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის აქტი შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, მას ექსტრატერიტორიული გავლენაც ექნება: ის ასევე ვრცელდება ევროკავშირის ფარგლებს გარეთ დაფუძნებულ იმ მიმწოდებლებზე, რომ-

8 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება, 114-ე მუხლი.

9 ხელოვნური ინტელექტის აქტი, პრეამბულის მე-3 პუნქტი.

10 იქვე.

11 ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება, მე-5(2) მუხლი.

12 ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, 51(2)-ე მუხლი.

13 ხელოვნური ინტელექტის აქტი, პრეამბულის 1-ლი პუნქტი.

14 M. Almada, A. Radu, The Brussels Side-Effect: How the AI Act Can Reduce the Global Reach of EU Policy, German Law Journal, 2024, 16.

15 M. Almada, A. Radu, The Brussels Side-Effect: How the AI Act Can Reduce the Global Reach of EU Policy, German Law Journal, 2024, 7.

ლებიც ხელოვნური ინტელექტის სისტემებს ევროკავშირის ბაზარზე ათავსებენ;<sup>16</sup> ასევე იმ შემთხვევებზეც, როდესაც ხელოვნური ინტელექტის სისტემის მიერ შექმნილი პროდუქტი ევროკავშირში გამოიყენება.<sup>17</sup>

ევროკავშირის რეგულაცია არ ვრცელდება ხელოვნური ინტელექტის სისტემებზე, რომლებიც ექსკლუზიურად სამხედრო, თავდაცვის ან ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისთვის გამოიყენება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი დაწესებულება ახორციელებს ამ ღონისძიებებს.<sup>18</sup> ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამონაკლისი ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების საკითხი თითოეული წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა.<sup>19</sup> სამხედრო და თავდაცვითი ღონისძიებების კონტექსტში ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება კი უფრო მეტად საერთაშორისო საჯარო სამართლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება.<sup>20</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი სისტემები ხელოვნური ინტელექტის აქტის რეგულირების მიღმა რჩება.

### 3. რისკზე დაფუძნებული მიდგომა

ხელოვნური ინტელექტის რეგულირებისას ევროკავშირმა რისკზე დაფუძნებული მიდგომა აირჩია. ხელოვნური ინტელექტის სისტემების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გამართლებულია. ერთგვაროვანი მოთხოვნების დადგენა ცალკეული სისტემების გადაჭარბებულ რეგულირებას გამოიწვევდა, ხოლო ნაწილი კი არასაკმარის რეგულირებას დაექვემდებარებოდა. ევროკავშირის მიერ შერჩეული მოდელით კი რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო მკაცრია რეგულირება.

ხელოვნური ინტელექტის აქტის მიხედვით, დაუშვებელი რისკის კატეგორიას მიკუთვნებული ცალკეული სისტემები სრულად აკრძალულია, კერძოდ: მიზანმიმართულად მანიპულაციური ტექნიკები; პირის ან პირთა კონკრეტული ჯგუფის მონყვლადობის გამოყენება მათი ქცევის არსებითი ცვლილების მიზნით; დანაშაულის პროგნოზირების სისტემები; სახის ამომცნობი მონაცემთა ბაზის შექმნის ან გაფართოების მიზნით სახის გამოსახულებების არამიზნობრივი შეგროვება; ემოციის ამომცნობი სისტემები სამუშაო ადგილსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გარდა სამედიცინო ან უსაფრთხოების მიზნით მათი გამოყენებისა; ბიომეტრიული კატეგორიზაციის სისტემები; სამართალდაცვითი მიზნებით რეალურ დროში დისტანციურად ბიომეტრიული იდენტიფიკაცია საჯაროდ ხელმისაწვდომ სივრცეში.<sup>21</sup>

16 ხელოვნური ინტელექტის აქტი, მე-2 (1) (ა) მუხლი.

17 იქვე, მე-2 (1) (გ) მუხლი.

18 იქვე, მე-2 (3) მუხლი.

19 ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება, მე-4 (2) მუხლი.

20 ხელოვნური ინტელექტის აქტი, პრეამბულის 24-ე პუნქტი.

21 იქვე, მე-5 (1) მუხლი.

ამავე დროს, რეალურ დროში ბიომეტრიული მონაცემებით დისტანციურად იდენტიფიცირება საჯარო სივრცეში დაშვებულია გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია ერთ-ერთი შემდეგი მიზნის მისაღწევად:

- ა) გატაცების, ტრეფიკინგის ან სექსუალური ექსპლუატაციის კონკრეტული მსხვერპლებისა და დაკარგული პირების ძებნა;
- ბ) ადამიანების სიცოცხლისა და ფიზიკური უსაფრთხოებისთვის კონკრეტული, არსებითი და იმწუთიერი საფრთხის, ასევე რეალური და მიმდინარე ან რეალური და განქვრეტი ტერორისტული აქტის საფრთხის თავიდან აცილება;
- გ) რეგულაციის II დანართით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების ადგილმდებარეობის დადგენა ან მათი იდენტიფიცირება.<sup>22</sup>

რეგულაციის მიზნებისთვის ცნება „საჯაროდ ხელმისაწვდომი სივრცე“ ფართოდ განიმარტება. ის გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ სივრცეს, რომელიც პირთა განუსაზღვრელი რაოდენობისთვის არის ხელმისაწვდომი, მიუხედავად იმისა, ის კერძო თუ სახელმწიფო საკუთრებაა. ეს ტერმინი მოიცავს მაღაზიებს, რესტორნებს, ბანკებს, სტადიონებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტს, რკინიგზის სადგურებს, აეროპორტებს, კინოთეატრებს, მუზეუმებს, საკონცერტო დარბაზებს, სკვერებს და სხვ.<sup>23</sup> სივრცე საჯაროდ მიიჩნევა მაშინაც, როდესაც ის ხელმისაწვდომია წინასწარ განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, როგორიც არის, მაგალითად, ბილეთის შეძენა, წინასწარი რეგისტრაცია ან გარკვეული ასაკის მიღწევა.<sup>24</sup>

დაუშვებელი რისკის კატეგორიის განსაზღვრა არსებულ საფრთხეებზე დროულ, მაგრამ არა საკმარის რეაგირებად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის რეგულაცია ემოციების ამომცნობ სისტემებს კრძალავს, ეს აკრძალვა შემოიფარგლება მხოლოდ სამუშაო ადგილითა და საგანმანათლებლო დაწესებულებებით. სამართალდამცავ და საზღვრის მართვის სფეროში ამგვარი სისტემების გამოყენებამ კი შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაცია და ზიანი. გარდა ამისა, განსაკუთრებით საფრთხის შემცველია რეალურ დროში სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენება საჯარო სივრცეში, რაც გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებ პრაქტიკად მიიჩნევა. ეს საკითხი დეტალურად განხილულია 3.1. ქვეთავში.

### 3.1. რეალურ დროში დისტანციურად ბიომეტრიული იდენტიფიკაცია საჯარო სივრცეში და მისი გავლენა ადამიანის უფლებებზე

მნიშვნელოვანი პოტენციალის და სიზუსტის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, სახის ამომცნობი სისტემების გამოყენება მიმზიდველია როგორც კერძო, ისე საჯარო

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე, პრეამბულის მე-19 პუნქტი.

<sup>24</sup> იქვე.

რო სექტორისთვის, თუმცა ამგვარი ტექნოლოგიის გამოყენება უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე. დისტანციურად ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე ფიზიკური პირების იდენტიფიცირება მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფოს მიერ ადამიანების სისტემატიური მეთვალყურეობის შესაძლებლობას საჯარო სივრცეში.<sup>25</sup>

დიდი ოდენობით პერსონალური მონაცემების, განსაკუთრებით სახის გამოსახულებების, დამუშავებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას დემოკრატიას, რადგან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება და სხვა ძირითადი უფლებებით სარგებლობის წინაპირობაა.<sup>26</sup>

ტექნოლოგიის განვითარების პარალელურად, მონაცემთა დამუშავება უფრო და უფრო კომპლექსური გახდა, რამაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის აუცილებლობა მნიშვნელოვნად გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სამართალი პერსონალურ მონაცემთა დაცვას დამოუკიდებელ უფლებად აღიარებს. მას ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-16 მუხლი განამტკიცებს. გარდა ამისა, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია ერთმანეთისგან მიჯნავს, ერთი მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას<sup>27</sup> და, მეორე მხრივ, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.<sup>28</sup>

სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენება ბიომეტრიული მონაცემების მოპოვებას და დამუშავებას ეფუძნება. ევროკავშირის სამართლის მიხედვით, „ბიომეტრიული მონაცემი“ სპეციალური ტექნიკური დამუშავების შედეგად მოპოვებული პერსონალური მონაცემია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევით მახასიათებლებთან, რაც ამ ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.<sup>29</sup>

ვინაობის დადასტურებისგან განსხვავებით, იდენტიფიცირების მიზნით სახის გამო-სახულების დამუშავებისას ძირითად უფლებებში ჩარევის რისკი უფრო მაღალია. შე-

25 Report of the United Nations High Commissioner for Human Rights, The Right to Privacy in the Digital Age, A/HRC/48/31, 2021, § 27.

26 European Union Agency for Fundamental Rights, Facial recognition technology: fundamental rights considerations in the context of law enforcement, 2019, 4.

27 ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, მე-8 მუხლი.

28 იქვე, მე-7 მუხლი.

29 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის, ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის და 95/46/EC დირექტივის გაუქმების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016/679 რეგულაცია (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია), მე-4 (14) მუხლი;

უფლებამოსილი ორგანოების მიერ დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, გამოვლენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასჯელის აღსრულების მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016/680 დირექტივა, მე-3 (13) მუხლი.

საბამისად, ამგვარი დამუშავება აუცილებლობისა და თანაზომიერების უფრო მკაცრ ტესტს უნდა დაექვემდებაროს.<sup>30</sup>

ბიომეტრიული მონაცემები განსაკუთრებულ კატეგორიას განეკუთვნება და დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობს. სამართალდამცავ სფეროში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება ევროკავშირის 2016/680 დირექტივით რეგულირდება.<sup>31</sup> ხელოვნური ინტელექტის აქტის ჩანაწერი, რომელიც, ცალკეული გამოწვევის შემთხვევების გარდა, კრძალავს საჯარო სივრცეში რეალურ დროში ბიომეტრიული მონაცემებით ადამიანთა დისტანციურად იდენტიფიცირებას, მოქმედებს როგორც სპეციალური ნორმა ამ დირექტივის მე-10 მუხლთან მიმართებით.<sup>32</sup> დირექტივის ეს მუხლი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებას არეგულირებს.

საჯარო სივრცეში, რეალურ დროში სახის ამომცნობი სისტემის გამოყენება უფლების შელახვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოშობს. სხვა ბიომეტრიული მონაცემებისგან განსხვავებით (მაგალითად, თითის ანაბეჭდები), ადამიანს არ შეუძლია, თავი აარიდოს საჯარო სივრცეში მისი სახის გამოსახულების აღბეჭდვას და მონიტორინგს.<sup>33</sup> ადამიანების ამგვარად იდენტიფიცირება „ზრდის სახელმწიფოს შესაძლებლობას, სისტემატურად აკონტროლოს პირთა გადაადგილება, რაც პირდაპირ ხელყოფს ადამიანის უფლებას, იცხოვროს მუდმივი კონტროლისგან თავისუფალ გარემოში.“<sup>34</sup>

სახის გამოსახულებების რეალურ დროში დამუშავებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების ქცევის შეცვლა და მათი მხრიდან იმ საჯარო ადგილების სტუმრობისგან თავშეკეება, სადაც მეთვალყურეობა ხორციელდება.<sup>35</sup> სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენებას შეიძლება ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი და ადამიანებს უზიდავს, არ მიიღონ მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციებში. კონკრეტული შეკრების საჯარო ხასიათი არ გულისხმობს იმას, რომ მონაწილეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ

30 European Union Agency for Fundamental Rights, Facial recognition technology: fundamental rights considerations in the context of law enforcement, 2019, 33.

31 უფლებამოსილი ორგანოების მიერ დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, გამოვლენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასჯელის აღსრულების მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016/680 დირექტივა, მე-10 მუხლი.

32 ხელოვნური ინტელექტის აქტი, პრეამბულის 38-ე პუნქტი.

33 European Union Agency for Fundamental Rights, Facial recognition technology: fundamental rights considerations in the context of law enforcement, 2019, 5.

34 ს. ელიზბარაშვილი, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების მიერ: თანამედროვე საფრთხე ადამიანის უფლებებისთვის, კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, რედაქტორი კ. კორკელია, თბილისი, 2022, 29.

35 European Union Agency for Fundamental Rights, Facial recognition technology: fundamental rights considerations in the context of law enforcement, 2019, 20.

შეიძლება დაირღვეს.<sup>36</sup> შეკრებებზე სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევაში ადამიანის უფლებებში ჩარევას მასობრივი და ფართომასშტაბიანი ხასიათი აქვს, რადგან გროვდება და მუშავდება ყველა იმ ადამიანის სახის გამოსახულება, ვინც კამერის ხედვის არეალში ხვდება.<sup>37</sup>

გარდა ამისა, ბოლო წლებში სიზუსტის კუთხით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, სახის ამომცნობი ტექნოლოგია კვლავ არის შეცდომისკენ მიდრეკილი. ამგვარი სისტემების ადამიანთა დიდი რაოდენობის მიმართ გამოყენებისას, შეცდომის თუნდაც დაბალმა კოეფიციენტმა, შეიძლება ასობით ფიზიკური პირის არასწორად იდენტიფიცირება გამოიწვიოს.<sup>38</sup>

მიუხედავად იმისა, რომ რეგულაცია გარკვეულ გარანტიებს ითვალისწინებს, მაგალითად, ძირითად უფლებებზე გავლენის შეფასებას,<sup>39</sup> ევროკავშირის მონაცემთა ბაზაში სისტემის რეგისტრაციას,<sup>40</sup> სასამართლოს ან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემას,<sup>41</sup> ამგვარი ტექნოლოგიის გამოყენება ძირითად უფლებებს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის. რეალურ დროში ადამიანის იდენტიფიცირება მუდმივი მეთვალყურეობისა და მონიტორინგის განცდას აჩენს. სამართალდამცავი ორგანოებისთვის ამ შესაძლებლობის მინიჭება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და თვითნებობის რისკს წარმოშობს. ეს რისკი განსაკუთრებით მაღალი იქნება იმ არანაწილ სახელმწიფოებში, რომლებიც ეროვნულ დონეზე ხელოვნური ინტელექტის სისტემების რეგულირებისას ევროკავშირის სტანდარტით იხელმძღვანელებენ, თუმცა თვითნებობის საწინააღმდეგო გარანტიების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებას არ უზრუნველყოფენ.

მიუხედავად რეალურ დროში სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევების ამომწურავი რეგულირებისა და ცალკეული გარანტიების განსაზღვრისა, საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ ადამიანის უფლებათა დამცველების მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა, რადგან „აკრძალვა სამი გამონაკლისით ყველაფერია, გარდა სრული აკრძალვისა; ის სახელმძღვანელოა იმ ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ, რომლის ადგილი დემოკრატიულ, უფლებებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში არ არის.“<sup>42</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, თავად ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ორგანოები – მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭო და ევროპის

36 United Nations, Human Rights Committee, General comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), 2020, § 62.

37 Report of the United Nations High Commissioner for Human Rights, Impact of new technologies on the promotion and protection of human rights in the context of assemblies, including peaceful protests, A/HRC/44/24, 2020, § 33.

38 იქვე, § 31.

39 ხელოვნური ინტელექტის აქტი, მე- 5 (2) მუხლი; 27-ე მუხლი.

40 იქვე, მე-5 (2) მუხლი; 49-ე მუხლი.

41 იქვე, მე-5 (3) მუხლი.

42 Access Now, Human rights protections... with exceptions: what's (not) in the EU's AI Act deal, 2023, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/0l63M> [19.07.2024].

მონაცემთა დაცვის ზედამხედველი მოითხოვდნენ საჯარო სივრცეში ადამიანის მახასიათებლების ავტომატურად ამომცნობი ხელოვნური ინტელექტის სისტემების ზოგად აკრძალვას.<sup>43</sup>

სახის ამომცნობი ტექნოლოგიების რეგულირების კუთხით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკაც. 2023 წლის 4 ივლისს საქმეში – *გლუხინი რუსეთის წინააღმდეგ (Glukhin v. Russia)* – ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენება მომჩივნის მიმართ, რომელიც კონვენციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობდა, შეუთავსებელი იყო დემოკრატიული საზოგადოების იდეალებსა და ღირებულებებთან.<sup>44</sup> კანონის ნორმა, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებისას ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას ითვალისწინებდა, სასამართლომ ფართოდ ფორმულირებულად მიიჩნია.<sup>45</sup> ამავე დროს, კანონი არ ითვალისწინებდა პროცედურულ გარანტიებს, მაგალითად: ნებართვის გაცემას, მონაცემების გამოკვლევის, გამოყენების, შენახვის პროცედურებს, კონტროლის მექანიზმს და სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.<sup>46</sup> სასამართლოს თანახმად, მნიშვნელოვნად ინვაზიური სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებით მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეების იდენტიფიცირებას და დაკავებას შეიძლება, მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სარგებლობაზე.<sup>47</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში – *გლუხინი რუსეთის წინააღმდეგ (Glukhin v. Russia)* – სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლების დარღვევა დაადგინა, თავშეკავებული მიდგომის გამო ამ გადანყევტილებამ კრიტიკაც დაიმსახურა.<sup>48</sup> სამწუხაროდ, სახის ამომცნობი ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ თავის პირველ გადანყევტილებაში ევროპულმა სასამართლომ სათანადო სიმკაცრე არ გამოავლინა და საჯარო სივრცეში, რეალურ დროში ამგვარი სისტემების გამოყენებაზე მკაფიო შეზღუდვა არ დაადგინა. ჩნდება განცდა, რომ ეს გადანყევტილება უპირატესობას ანიჭებს სახის ამომცნობი ტექნოლოგიის რეგულირებას, ნაცვლად მისი აკრძალვისა,<sup>49</sup> რაც ასევე ემთხვევა ევროკავშირის ინსტიტუტების საბოლოო შეთანხმების შედეგს.

43 EDPB-EDPS Joint Opinion 5/2021 on the proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council laying down harmonised rules on artificial intelligence (Artificial Intelligence Act), 2021, 2, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/hT0iJ> [19.07.2024].

44 *გლუხინი რუსეთის წინააღმდეგ (Glukhin v. Russia)*, 2023 წლის 4 ივლისი, 90-ე პუნქტი.

45 იქვე, 83-ე პუნქტი.

46 იქვე.

47 იქვე, 88-ე პუნქტი.

48 I.N. Rezende, *Glukhin and the EU regulation of facial recognition: Lessons to be learned?* European Law Blog, 2023, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/5dTOg> [19.07.2024].

49 იქვე.

### 3.2. მაღალი რისკის ხელოვნური ინტელექტის სისტემები

ხელოვნური ინტელექტის აქტის თანახმად, მაღალი რისკის კატეგორიას შემდეგი სფეროები განეკუთვნება: ნებადართული ბიომეტრიკა; კრიტიკული ინფრასტრუქტურა; განათლება და პროფესიული სწავლება; დასაქმება, დასაქმებულთა მართვა და თვითდასაქმებაზე წვდომა; მნიშვნელოვან კერძო და საჯარო სერვისებზე წვდომა და სარგებლობა; სამართალდამცავი სფერო; მიგრაციის, თავშესაფრის ძიების პროცესისა და საზღვრის კონტროლის მართვა; მართლმსაჯულების განხორციელება და დემოკრატიული პროცესები.<sup>50</sup>

მაღალი რისკის ხელოვნური ინტელექტის სისტემებიდან მომდინარე საფრთხეების შესამცირებლად ევროკავშირის რეგულაცია მნიშვნელოვან გარანტიებს ითვალისწინებს, კერძოდ: რისკის მართვის სისტემას,<sup>51</sup> მონაცემთა მართვას,<sup>52</sup> ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას,<sup>53</sup> ლოგების ავტომატურად აღრიცხვას,<sup>54</sup> სისტემის ოპერირების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას,<sup>55</sup> ადამიანების მხრიდან ზედამხედველობის უზრუნველყოფას<sup>56</sup> და სხვ.

გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის აქტი ითვალისწინებს გარკვეულ შემთხვევებში ძირითად უფლებებზე გავლენის შეფასებას,<sup>57</sup> რაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაცია იყო.<sup>58</sup> ასევე დადებითად უნდა შეფასდეს ახსნა-განმარტების მიღების უფლება, როდესაც ინდივიდუალური გადაწყვეტილება მაღალი რისკის ხელოვნური ინტელექტის სისტემის მიერ გენერირებული შედეგის საფუძველზე მიიღება.<sup>59</sup>

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეგულაციის ნორმების შესრულება ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიმწოდებლების მხრიდან მნიშვნელოვან ინტერპრეტაციულ ძალისხმევას მოითხოვს და ისინი *დე ფაქტო* პასუხისმგებელი არიან იმაზე, თუ როგორ გადაითარგმნება სამართლებრივი მოთხოვნები პროგრამულ საშუალებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებში.<sup>60</sup>

50 ხელოვნური ინტელექტის აქტი, დანართი III.

51 ხელოვნური ინტელექტის აქტი, მე-9 მუხლი.

52 იქვე, მე-10 მუხლი.

53 იქვე, მე-11 მუხლი.

54 იქვე, მე-12 მუხლი.

55 იქვე, მე-13 მუხლი.

56 იქვე, მე-14 მუხლი.

57 იქვე, 27-ე მუხლი.

58 A. Müller, M. Spielkamp, AI Act deal: Key safeguards and dangerous loopholes, Algorithm Watch, 2023, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/HEKC8> [19.07.2024].

59 ხელოვნური ინტელექტის აქტი, 86-ე მუხლი.

60 M. Almada, A. Radu, The Brussels Side-Effect: How the AI Act Can Reduce the Global Reach of EU Policy, German Law Journal, 2024, 7.

#### 4. დასკვნა

თანამედროვე ტექნოლოგიის, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. ტექნოლოგიის დადებითი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და, ამავე დროს, რისკების თავიდან აცილება ციფრული ეპოქის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

ევროკავშირის ყოვლისმომცველი რეგულაციის – ხელოვნური ინტელექტის აქტის მიღება გარდამტეხი მომენტია თანამედროვე ტექნოლოგიების რეგულირების ისტორიაში. ეს რეგულაცია ქმნის ერთგვაროვან და თანმიმდევრულ სამართლებრივ ჩარჩოს, რაც ბაზრის მოთამაშეებისთვის სამართლებრივ სიცხადეს უზრუნველყოფს.

ხელოვნური ინტელექტის აქტით შემოთავაზებული რისკზე დაფუძნებული მიდგომა და უსაფრთხოების სტანდარტები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ხელოვნური ინტელექტის სისტემებიდან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებაში. ამავე დროს, თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებისას არსებითად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, ევროკავშირმა ამ რეგულაციით ძირითადი უფლებების დაცვის მყარი გარანტიები სრულყოფილად ვერ უზრუნველყო. ხელოვნური ინტელექტის აქტის „ბრიუსელის ეფექტის“ გვერდითი ეფექტი შეიძლება იყოს იმგვარი ნორმების გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც არასაკმარისად იცავენ ევროკავშირის ღირებულებებს.

ხელოვნური ინტელექტის აქტის საბოლოო ვერსიაში არსებული ცალკეული ხარვეზები შეიძლება „ინდუსტრიისა და სამართალდამცავი ორგანოების წინაშე დათმობად“ ჩაითვალოს. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართალდაცვითი მიზნებით, გამონაკლის შემთხვევებში, რეალურ დროში დისტანციურად ბიომეტრიული იდენტიფიკაციის შესაძლებლობა საჯარო სივრცეში.

მიუხედავად იმისა, რომ სახის ამომცნობ სისტემას შეუძლია, ხელი შეუწყოს სამართალდაცვითი მიზნების მიღწევას, ამავე დროს, მისი გამოყენება ტოტალური თვალთვალისა და ადამიანების მასობრივი კონტროლის საფრთხეს ქმნის. ამგვარი სისტემების გამოყენება უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის არაერთ უფლებაზე, მათ შორის: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებაზე, მიმოსვლის თავისუფლებაზე.

საბოლოო ჯამში, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ხელოვნური ინტელექტის აქტის მიღება დროულ, მაგრამ არასაკმარის ძალისხმევად შეიძლება ჩაითვალოს. დრო აჩვენებს, რამდენად უზრუნველყოფს ეს რეგულაცია ადამიანებზე ორიენტირებული და ევროკავშირის ღირებულებების შესაბამისი ხელოვნური ინტელექტის განვითარებას.

# თანაზომიერების პრინციპი და მისი გამოყენება საქართველოში

ბესო ლოლაძე

## 1. შესავალი. თანაზომიერების პრინციპის არსი და მნიშვნელობა

ძირითად უფლებათა ეფექტიანი დაცვის საკითხი მუდმივად აქტუალურია სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში. კონსტიტუციური პრინციპები აძლიერებს ინდივიდის სუბექტურსამართლებრივ პოზიციებს, ადამიანის, როგორც კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგის მთავარი ფასეულობის, ავტონომიური და ღირსეული სუბიექტის, პატივისცემასა და დაცვას. ამიტომაც გაუსვა ხაზი საკონსტიტუციო სასამართლომ გასაჩივრებული აქტის გადამოწმების აუცილებლობას არა მხოლოდ კონსტიტუციის ნორმებთან, არამედ ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით, და, ამ კუთხით, მსჯელობის ერთიან კონტექსტში წარმართვის მნიშვნელობას. ადამიანის უფლებაში ჩარევა უნდა შეფასდეს არა იზოლირებულად კონსტიტუციის რომელიმე კონკრეტულ დანაწესთან მიმართებით, არამედ მთლიანობაში, კონსტიტუციურსამართლებრივ წესრიგთან თავსებადობის თვალსაზრისით.<sup>1</sup>

კონსტიტუციურ პრინციპს ძირითად უფლებათა გარანტირების გაძლიერების პოტენციალს უმცირებს და ხანდახან უკარგავს კიდევ მისი არსის არასწორი ან არასრული გაგება. არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მცდარად ინტერპრეტირებული კონსტიტუციური პრინციპი ინდივიდისა და მისი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ იარაღადაც კი შეიძლება გადაგვარდეს. ამის კლასიკური მაგალითია სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური გაგება და მისი მატერიალური მხარის იგნორირება, რაც, სამწუხაროდ, დღესაც ხშირად ხდება. არავინ დავობს კანონის უზენაესობის, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური ელემენტის, მნიშვნელობაზე, თუმცა თვით კანონი უნდა შეესაბამებოდეს მატერიალურსამართლებრივ მოთხოვნებს.<sup>2</sup> თუ ეს სტანდარტი დაკმაყოფილებული არ არის, კანონის უზენაესობა სხვა არაფერია, თუ არა უსამართლო კანონისათვის უპირატესობის მინიჭება თავისუფლებასთან მიმართებით. ამ პირობებში სამართლებრივი სახელმწიფო დეგრადირდება „კანონების სახელმწიფოდ“, სადაც კანონს შეუძლია ნებისმიერი, მათ შორის უსამართლო, შინაარსის მიღება.<sup>3</sup> ამგვარი ვითარების მთავარი მსხვერპლი ინდივიდია, რომლისგანაც ხელისუფ-

1 საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II-3.

2 B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015, 42.

3 K. Stern, Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band I – Grundbegriffe und

ლება სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობის სახელით (კანონ)მორჩილებას მოითხოვს.

სწორედ თანაზომიერების პრინციპია ის ძირითადი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ადამიანი იცავს თავს მატერიალურად უსამართლო სამართლისაგან, საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი თვითნებური და არაკონსტიტუციური აქტისა თუ მოქმედებისაგან.<sup>4</sup> ის სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას ეფუძნება,<sup>5</sup> ითვლება მისი ძირითადი ბირთვის ნაწილად<sup>6</sup> და „გადამწყვეტ მატერიალურ განზომილებად“.<sup>7</sup> სწორედ

---

Grundlagen des Staatsrechts, Strukturprinzipien der Verfassung, 2., völlig neu bearbeitete Auflage, München, 1984, 773.

- 4 შეაღ., მაგ., ა. ფირცხალაშვილი, ბ. ლოლაძე, ძირითადი უფლებები. კომენტარი, თბილისი, 2023, 174.
- 5 მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393, 397 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეხოხია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I; საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-13.
- 6 დაწვრილებით იხ.: P. Badura, Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, München 2010, 377; B. Grzeszick(Bearb.), Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 108;H. D. Jarass (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012, Rn. 80; M. Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, in: Schmidt-Aßmann, Eberhard/Sellner, Dieter/Hirsch, Günter/Kemper, Gerd-Heinrich/Lehmann-Grube, Hinrich (Hrsg.): Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht, Köln u. a. 2003, 329 (329); P. Kunig, Das Rechtsstaatsprinzip. Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland, Tübingen 1986, 350 ff.; I. v. Münch (Begr.), U. Mager (Bearb.), Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht unter Berücksichtigung der europarechtlichen Bezüge, 7., völlig neu bearbeitete Auflage, Stuttgart 2009, 359; G. Robbers, Kommentar zum Art. 20 GG (Aktualisierung Oktober 2009), in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), Heidelberg seit 1950, Rn. 1876; M. Sachs (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 146; U. Scheuner, Die neuere Entwicklung des Rechtsstaats in Deutschland, in: Forstthoff, Ernst (Hrsg.), Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 461 (496); K. Sobota, Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte, Tübingen 1997, 253;C. Starck, Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 285; R. Zippelius, T. Würtenberger, Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch, 32. Auflage, München 2008, 106, 123;BVerfGE 76, 256 (359); 111, 54 (82).
- 7 B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 107; T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit im engeren Sinne – das unbekannte Wesen, Juristische Ausbildung, 7 (2009), 511(512).

თანაზომიერების პრინციპია ერთ-ერთი მთავარი განსხვავება სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალურ და მატერიალურ გაგებებს შორის. მან სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ადამიანზე, მისი თავისუფლების დაცვაზე ორიენტირებული გახადა და ის ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ცენტრში მოაქცია.<sup>8</sup>

სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია ძირითადი უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ამ ბოჭვას თანაზომიერების პრინციპი განამტკიცებს და აძლიერებს.<sup>9</sup> ის უფლებათა შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემომწმების მთავარი მატერიალური მასშტაბია, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო ხელისუფლება გათავისუფლდებოდა ადამიანის უფლებებში ჩარევისას მატერიალური სტანდარტების დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან.<sup>10</sup> ცხადია, ამით, ფაქტობრივად, აზრი დაეკარგებოდა ძირითადი უფლებებით სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვას,<sup>11</sup> ხოლო უფლებები უშუალოდ მოქმედი სამართლიდან დეკლარაციულ და პროგრამულ დებულებებად დეგრადირდებოდა და გაუფასურდებოდა.<sup>12</sup>

თანაზომიერების პრინციპის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მისი გამოყენების არეალი დიდი ხანია, რაც გასცდა ცალკეული სახელმწიფოების ფარგლებს. ის წამყვან როლს ასრულებს არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო სასამართლოების, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.<sup>13</sup>

დაუშვებელია სახელმწიფოს შეუზღუდავი და დაუსაბუთებელი მოქმედება, რაც ადამიანს მისი თვითნებობის მსხვერპლად აქცევს.<sup>14</sup> ამ თვითნებობისაგან ინდივიდის დაცვისათვის თანაზომიერების პრინციპის მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს

8 შეად., მაგ., E. Benda, Der soziale Rechtsstaat, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 719 (725).

9 შეად. N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, I.

10 შეად. N2/1/415 გადაწყვეტილება, II-13.

11 დაწვრილებით იხ.: B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.), Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Bd. II, Tübingen 2001, 445 (446).

12 შეად.: H. Dreier (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG (Grundrechtsbindung), in: Dreier, Horst (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, Tübingen 2013, Rn. 58; K. Hesse, Bedeutung der Grundrechte, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 127 (157).

13 შეად. მაგ.: M. Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (329 ff.); B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 311; G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1887; M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 145; B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (445); R. Zippelius, Deutsches Staatsrecht, 123.

14 მაგ., B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 107.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.<sup>15</sup> ის კატეგორიულად უარყოფს ანტიპრინციპს, რომლის მიხედვითაც, მიზანი ამართლებს საშუალებას.<sup>16</sup>

სახელმწიფოს არ მოეთხოვება მხოლოდ ძირითად უფლებებში არათანაზომიერი ჩარევისაგან და, ამ კუთხით, გადამეტებული ღონისძიებების გამოყენებისაგან თავის შეკავება. ის ხშირად უფლებებს არღვევს უმოქმედობით ან არასათანადო და არაეფექტიანი მოქმედებით. თანაზომიერების სტანდარტებით შეფასებას, ნეგატიურ ვალდებულებებთან ერთად, სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შესრულებაც ექვემდებარება. პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შემონმებისას თანაზომიერების პრინციპი გარდაიქმნება უმოქმედობის/არასაკმარისი ზომების აკრძალვის მოთხოვნად.<sup>17</sup> ამ მოთხოვნის საფუძველიც გადამეტებული ზომების აკრძალვის მსგავსია – საშუალების მიზანთან თანაზომიერი მიმართების იდეა.<sup>18</sup>

## 2. თანაზომიერების პრინციპის ელემენტები

თანაზომიერების პრინციპის დარღვევის შემონმება გულისხმობს იმის შეფასებას, ხომ არ ხელყოფს სახელმწიფოს აქტი ან მოქმედება მის რომელიმე ელემენტს. პირველ რიგში, გასარკვევია, ემსახურება თუ არა ძირითადი უფლების შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, ხოლო ამის შემდეგ თანამიმდევრულად უნდა შემონმდეს მისი გამოსადეგობა (მიზნის მისაღწევად გამოსადეგობის პრინციპი), აუცილებლობა (ჩარევის მინიმალურობის პრინციპი) და შესატყვისობა (პროპორციულობის პრინციპი).<sup>19</sup>

თანაზომიერების პრინციპის თითოეული ელემენტი ცალ-ცალკე და ერთობლიობაში ქმნის იმგვარ ფილტრს, რომელიც, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი გამოყენების შემთხვევაში, ფაქტობრივად, გამორიცხავს ძირითადი უფლების თვითნებურ და გადამეტებულ შეზღუდვას. მათი თანამიმდევრობა ლოგიკურადაა დალაგებული და თითოე-

15 მაგ., N2/1/415 გადაწყვეტილება, II-13.

16 საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის N1/1/374, 379 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები: შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ, III.

17 შეად., მაგ.: B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 126 ff.; L. Michael, Die drei Argumentationsstrukturen des Grundsatzes der Verhältnismäßigkeit – Zur Dogmatik des Über- und Untermaßverbotes und der Gleichheitssätze, Juristische Schulung, 2 (2001), 148 (151 f.); M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 147; BVerfGE 88, 203 (254 f.). განსხვავებული პოზიცია იხ.: B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (462 ff.).

18 შეად., G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1882.

19 B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 110; D. Jarass, GG, Art. 20, Rn. 83; P. Kunig, Rechtsstaatsprinzip, 354; U. Mager, Staatsrecht I, 359; L. Michael, Die Argumentationsstrukturen, 148 (148); T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1897, 1914; F. E. Schnapp, Die Verhältnismäßigkeit des Grundrechtseingriffs, Juristische Schulung, 11 (1983), 850 (852); C. Starck, GG, Art. 1, Rn. 278; M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 149 ff.

ული მოთხოვნა მომდევნოსათვის განმსაზღვრელია,<sup>20</sup> ანუ, თუ უფლებაში ჩარევა არ შეესაბამება თანაზომიერების პრინციპის რომელიმე ელემენტს, ის მომდევნო ელემენტის ან ელემენტების სტანდარტებსაც ვერ დააკმაყოფილებს და აღარ არსებობს შემონმების გაგრძელების საჭიროება.

ძირითად უფლებაში ჩარევა უნდა დაექვემდებაროს თანაზომიერების სრულფასოვან და თანამიმდევრულ შეფასებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მცდარი დასკვნების გამოტანის რისკი.<sup>21</sup> სამწუხაროდ, პრაქტიკაში ეს მოთხოვნა ყოველთვის არ იყო დაცული. მაგალითად, არის შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ არ იმსჯელა ძირითადი უფლების შეზღუდვის გამოსადეგობასა და აუცილებლობაზე, თუმცა მაინც დაადგინა თანაზომიერების პრინციპის დარღვევა.<sup>22</sup> შეიძლება საპირისპირო მაგალითის მოშველიება, როდესაც სასამართლომ დაცულად ჩათვალა თანაზომიერების პრინციპი, თუმცა მხოლოდ ლეგიტიმურ მიზანს შეეხო და ყურადღება არ გაამახვილა თანაზომიერების სხვა ელემენტებზე.<sup>23</sup>

### 3. ლეგიტიმური მიზანი

დემოკრატიულ კონსტიტუციურ წესრიგსა და ადამიანის უფლებების უპირატესობასთან შეუთავსებელია, რომ სახელმწიფოს ამოძრავებდეს ძირითადი უფლების შეზღუდვის (თვით)მიზანი. შეზღუდვა ყოველთვის უნდა იყოს საშუალება მიზნის მისაღწევად, სხვაგვარად ვერც თანაზომიერების შემონმება განხორციელდება, რადგანაც ის საშუალების, მიზნისა და მათი ურთიერთმიმართების სხვადასხვა ასპექტის ანალიზზეა დაფუძნებული. უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის იდენტიფიცირების გარეშე ვერ დადგინდება მისი შესაბამისობა თანაზომიერების პრინციპის სხვა მოთხოვნებთან, რომლებზეც მთავარ ზეგავლენას სწორედ მიზანი ახდენს.<sup>24</sup> აღსანიშნავია, რომ საბოლოო მიზნის გამართლების შეუძლებლობისას მისი მიღწევის საშუალების გამართლებას გამოორიცხავს *ჰანს კელზენი*.<sup>25</sup> აქედან გამომდინარე, მიზნის არარსებობა ან მისი არალეგიტიმურობა აზრს უკარგავს თანაზომიერების შემონმების გაგრძელებას<sup>26</sup> და ცალსახად მეტყველებს ჩარევის არაკონსტიტუციურობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლო დაუშვებლად, თვითნებურად და თვითმიზნურად თვლის ძირითადი უფლების ნებისმიერ შეზღუდვას, თუ განსაზღვრული არაა მისი ლე-

20 R. Schmidt, Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen 2007, 81.

21 შეად., მაგ., B. Lölödz, Das Rechtsstaatsprinzip, 314 f.

22 N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II.

23 საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული აღასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-67-76.

24 შეად., მაგ., P. Kunig, Rechtsstaatsprinzip, 358.

25 H. Kelsen, Was ist Gerechtigkeit? Wien 1953, 16.

26 G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1915.

გატიმური მიზანი.<sup>27</sup> დაუშვებელია უფლებაში ისეთი ჩარევაც, როდესაც მიზანი ფორმალურად დასახელებულია, თუმცა, მატერიალური თვალსაზრისით, ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპებს.<sup>28</sup> გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს, რომ ლეგიტიმური მიზანი იყოს არსებითად ღირებული,<sup>29</sup> ჰქონდეს შესაბამისი უფლების შეზღუდვის გამართლების უნარი.<sup>30</sup>

ლეგიტიმურ მიზანზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ლოგიკური კავშირის არსებობაზე ძირითადი უფლების შეზღუდვასა და შეზღუდვის მიზანს შორის.<sup>31</sup> თუ ეს კავშირი არ არსებობს, მიზანი ლეგიტიმურად არ ითვლება.<sup>32</sup> ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ შეზღუდვასა და მის ლეგიტიმურ მიზანს შორის ლოგიკური კავშირის შემოწმება, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, გადამწყვეტ როლს ასრულებს ჩარევის გამოსადეგობის შეფასებისას. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ ლეგიტიმური მიზნის განხილვისას სასამართლომ უკვე დაინახა ლოგიკური კავშირი მასა და შეზღუდვას შორის, ხომ არ დაკარგავს აზრს გამოსადეგობაზე მსჯელობისას ამ საკითხთან ხელმეორედ დაბრუნება?

- 27 შეად., მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე – *რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-24; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე – *საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი)*, საქართველოს მოქალაქეები – *ერასტი ჯაკობია და კარინე შახპა-რონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადაგეიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი)* საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-196; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე – *საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-22, 23.
- 28 საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/5/626 გადაწყვეტილება საქმეზე – *საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-48-50.
- 29 საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N2/5/556 გადაწყვეტილება საქმეზე – *საქართველოს მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-30.
- 30 მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს N2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე – *საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-17.
- 31 საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე – *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-44; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე – *„შპს „მეტალინგესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-40; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე – *საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-25.
- 32 N2/2/558 გადაწყვეტილება, II-26-28; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის N2/4/532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე – *საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-147.

ამდენად, საჭიროა გარკვეული მიჯნის გავლება. ლოგიკური კავშირის თემა შეიძლება იმ კონტექსტში გახდეს აქტუალური, რამდენად აქვს ლეგიტიმურ მიზანს შესაბამისი უფლების შეზღუდვის გამართლების უნარი და სწორედ ამ დროს შეფასდეს, არსებობს თუ არა ამგვარი კავშირი ზოგადად. თუ დასახელებულ მიზანსა და შეზღუდულ უფლებას შორის ზოგადი მიმართებაც კი არ არის, ცხადია, ის მოკლებული იქნება ამ უფლებაში საერთოდ რაიმე სახის ჩარევის გამართლების უნარს.

ძირითადი უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრისას ხელისუფლების სხვადასხვა შტოს დისკრეციის ხარისხი განსხვავებულია. თავისუფალი მიხედულების სხვებზე უფრო ფართო სფერო აქვს საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელიც დამოუკიდებლად, მაგრამ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს ლეგიტიმურ მიზანსა<sup>33</sup> და მისი რეალიზაციის მასშტაბებს.<sup>34</sup> ეს განპირობებულია კანონმდებლის უშუალო დემოკრატიული ლეგიტიმაციითა და შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების ნორმატიული მოწესრიგების უფლებამოსილებით. სამართალმემოქმედებით საქმიანობას გარკვეულ შემთხვევებში აღმასრულებელი ხელისუფლებაც ახორციელებს, თუმცა, კანონის უზენაესობიდან გამომდინარე, ის შეზღუდულია კანონმდებლის მიერ დადგენილი მიზნებით.<sup>35</sup> ამ მიზნებს ვერ გასცდება სასამართლო ხელისუფლებაც სამართალშეფარდებისას.

ლეგიტიმურ მიზანს ხშირად თვით ძირითადი უფლების დამდგენი კონსტიტუციური ნორმა ითვალისწინებს. მაგალითად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.<sup>36</sup> როგორც წესი, კონსტიტუცია უფლებათა შეზღუდვის მიზნებს ზოგადი ფორმულირებების სახით აყალიბებს. არ არის აუცილებელი, რომ კანონმდებელმა სიტყვასიტყვით გაიმეოროს კონსტიტუციაში მითითებული რომელიმე მიზანი. იმავდროულად, კანონში უშუალოდ მითითებული ან ნაგულისხმები კონკრეტულ მიზანი უნდა თავსდებოდეს კონსტიტუციით განსაზღვრული ზოგადი მიზნის ფარგლებში. კანონმდებელი ვერ შექმნის კონსტიტუციით დადგენილისაგან განსხვავებულ, არსებითად ახალ მიზნებს.<sup>37</sup>

როგორც აღინიშნა, მიუხედავად ფართო დისკრეციისა, საკანონმდებლო ხელისუფლება ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრისას შეუზღუდავი არ არის. გარდა კონსტიტუციის ფორმალური ჩარჩოებისა, ამ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ გარემო-

33 შეად.: P. Badura, Staatsrecht, 377; T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (450).

34 შეად.: R. Alexy, Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL, Berlin/New York 2002, 7 (17).

35 B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 111; T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (450); F. E. Schnapp, Die Verhältnismäßigkeit, 850 (855).

36 საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

37 შეად., მაგ.: N1/1/468 გადაწყვეტილება, II-30; B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (448).

ებებს, როგორებიცაა: ძირითად უფლებებში ჩარევის ფორმა, არსი და სიმძიმე. მაგალითად, კანონმდებლის დისკრეცია ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრისას მნიშვნელოვნად ვინროვდება, როდესაც ის ახდენს აზრის თავისუფლების შინაარსობრივ შეზღუდვას.<sup>38</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში, კონსტიტუცია პირდაპირ არ მიუთითებს რომელიმე უფლების შეზღუდვის შესაძლებლობაზე, რაც *a priori* არ ნიშნავს, რომ ეს უფლება აბსოლუტური ხასიათისაა. მაგალითად, კონსტიტუციის მე-12 მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.“ ეს უფლება, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, არ განეკუთვნება აბსოლუტური უფლებების კატეგორიას და მასზე ვრცელდება ე.წ. შიდაკონსტიტუციური ზღვარი. ამგვარ შემთხვევებში ჩარევის მიზანი შეიძლება იყოს კონსტიტუციური სიკეთეების ან სხვათა უფლებების დაცვა. ლეგიტიმურ მიზნად გამოდგება არა ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ინტერესის ან უფლების, არამედ მხოლოდ დაპირისპირებული კონსტიტუციური ფასეულობებისა და უფლებების დაცვა.<sup>39</sup> შესაძლებელია, კონკრეტული ფასეულობა პირდაპირ არ იყოს ასახული კონსტიტუციაში, მაგრამ გამომდინარეობდეს მისი ფუნდამენტური პრინციპებიდან.<sup>40</sup>

ლეგიტიმურ მიზანზე მსჯელობა და შეფასება ობიექტურად შეუძლებელია მისი იდენტიფიცირების გარეშე. ლოგიკურია, რომ მიზანი დაასახელოს თვით იმ სუბიექტმა, რომელიც შეზღუდვას ახორციელებს. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ის არ მიუთითებს ან არასწორად მიუთითებს ლეგიტიმურ მიზანს და ამ საკითხის გარკვევა საკონსტიტუციო სასამართლოს უნევს.<sup>41</sup> ამგვარი მიდგომა გამართლებულია, რადგანაც საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს აქვს ობიექტური, კონსტიტუციური მართლწესრიგის დაცვის ფუნქცია, რაც მას საკითხის ყოველმხრივ შესწავლა-გამოკვლევას ავალდებულებს.

კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით უფლებებში ჩარევისას ლეგიტიმური მიზნის დადგენა შეიძლება განხორციელდეს განმარტების ისტორიული მეთოდის გამოყენებით, ანუ იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავდა ნორმის მიმღები/გამომცემი სუბიექტურად მისი მიღებისას/გამოცემისას. ამასთან, დროთა განმავლობაში შესაძლებელია, ვითარება შეიცვალოს და პრაქტიკაში დამკვიდრდეს ნორმის გამოყენება სხვა მიზნით ან მიზნებითაც. ამ შემთხვევაში, არსებით მნიშვნელობას იძენს კანონის ობიექტური განმარტება, მისი გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებით.<sup>42</sup> საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლის ნების გარკვევისა და შეფასებისათვის ზოგჯერ ნორმის ისტორიული

38 საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482, 483, 487, 502 გადაწყვეტილება საქმეზე – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგური და ჯაბა ჯიშყარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-28.

39 შეად., მაგ., L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (150).

40 B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 319.

41 მაგალითად იხ. N3/5/626 გადაწყვეტილება, II-55.

42 D. Jarass, GG, Art. 20, Rn. 83; B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 319; L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (148).

განმარტების მეთოდს მიმართავს.<sup>43</sup> მიუხედავად ამისა, მისთვის პრიორიტეტული მაინც კანონის ნების ანალიზია. სასამართლო არ გამოირიცხავს, რომ კანონმდებელმა მისი ნება გასაგებად და სრულყოფილად ვერ გამოხატოს, რაც იწვევს ნორმის ტექსტის შინაარსობრივ დისტანცირებას კანონმდებლის რეალური განზრახვისაგან.<sup>44</sup>

ლეგიტიმური მიზნის კონტექსტში, თანაზომიერებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების კვეთის წერტილია ნორმათა სინამდვილის მოთხოვნა. სინამდვილე ნორმათა სიცხადის პრინციპის ნაწილად განიხილება<sup>45</sup> და გულისხმობს, რომ გასაგები და აღქმადი უნდა იყოს მათი ნამდვილი მიზანი. არ უნდა მოხდეს ნორმის მიმღების/გამომცემის მიერ მისი ნამდვილი განზრახვის შენიღბვა.<sup>46</sup> თუ გაირკვევა, რომ ძირითადი უფლების მზღლდავი ნორმა რეალურად არა მითითებულ, არამედ სხვა მიზანს ემსახურება, დიდი ალბათობით, ის თვითმიზნური და თვითნებური იქნება. ალოგიკურია, რომ ნორმის მიმღების/გამომცემი დარწმუნებული იყოს მიზნის ლეგიტიმურობაში და, იმავდროულად, მის დაფარვას ცდილობდეს.

პრინციპული მოთხოვნაა ძირითადი უფლების შეზღუდვის მიზნის ლეგიტიმურობა.<sup>47</sup> ლეგიტიმურად არ ითვლება მიზანი, რომელიც არაკონსტიტუციური ან, ზოგადად, არამართლზომიერია.<sup>48</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ ლეგიტიმურად არ მიიჩნია მიზანი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა პლურალისტური, დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს და კონსტიტუციის სულისკვეთებას.<sup>49</sup>

მიზნის ლეგიტიმურობის შემოწმებისას განსხვავებული მიდგომაა იმის მიხედვით, თუ ხელისუფლების რომელი შტო ახორციელებს უფლებაში ჩარევას. საკანონმდებლო ხელისუფლების შემთხვევაში მოქმედებს მიზნის ლეგიტიმურობის, მართლზომიერების პრეზუმფცია. განსხვავებულია მიდგომაა აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული შეზღუდვებისადმი – ამ შემთხვევაში მიზნის მართლზომიერება დასაბუთებას საჭიროებს.<sup>50</sup>

43 მაგ., N2/2-389 გადაწყვეტილება, II-7.

44 საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-17.

45 მაგ.: G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 2320; M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 125; BVerfGE 107, 218 (256); 108, 1 (20); 114, 196 (236 f.).

46 G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 2322; BVerfGE 17, 306 (318).

47 მაგ.: D. Jarass, GG, Art. 20, Rn. 83a; R. Zippelius, Deutsches Staatsrecht, 123.

48 შეად., მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე – შპს „უნიტერვისის“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2; M. Klopfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (334); L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149); T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1897, 1915.

49 საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დარჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-45, 47.

50 B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (450).

#### 4. გამოსადეგობა (მიზნის მისაღწევად გამოსადეგობის პრინციპი)

სამართლებრივი სახელმწიფო კრძალავს თვითნებობას. სწორედ თვითნებობის აკრძალვის პრინციპში ხედავენ გამოსადეგობის საფუძველს.<sup>51</sup> დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ისეთი აქტებისა თუ ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც აშკარად გამოუსადეგარია საფრთხეში მყოფი სამართლებრივი სიკეთის ქმედითი დაცვისათვის.<sup>52</sup>

გამოსადეგობის შემონმებისას საკონსტიტუციო სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ლოგიკური, გონივრული კავშირის არსებობას ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმით დადგენილ შეზღუდვას შორის.<sup>53</sup> ამგვარი კავშირის არარსებობა ნორმასა და მის მიზანს შორის მას გამოუსადეგარ საშუალებად აქცევს.<sup>54</sup> ეს მიდგომა მართებულია, რადგანაც ლოგიკური კავშირის გარეშე მიზნის მიღწევა თეორიულადაც გამოირიცხება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ძირითადი უფლების შეზღუდვა გამოსადეგად ითვლება, თუ ის ხელს უწყობს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას,<sup>55</sup> ქმნის ამის შესაძლებლობას.<sup>56</sup> იმავდროულად, გამოსადეგობის კრიტერიუმში არ მოითხოვს, რომ ძირითად უფლებაში კონკრეტული ჩარევა იყოს მიზნის მიღწევის გარანტია<sup>57</sup> და საუკეთესო საშუალება.<sup>58</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, გამოსადეგობა არ ნიშნავს ყველაზე ეფექტიანი საშუალების არჩევას.<sup>59</sup> ძირითად უფლებაში ჩარევა ვერ აკმაყოფილებს გამოსა-

51 შეად., მაგ., U. Mager, Staatsrecht I, 359.

52 შეად.: T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1899; C. Starck, GG, Art. 1, Rn. 278; BVerfGE 30, 250 (262 ff.).

53 მაგალითად იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-48; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის N2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე – შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-14, 17.

54 საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე – დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-65; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-52.

55 B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 112; L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149); M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 150; R. Schmidt, Staatsorganisationsrecht, 114; F. E. Schnapp, Die Verhältnismäßigkeit, 850 (852); R. Zippelius, Deutsches Staatsrecht, 123.

56 მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II-71; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-48; BVerfGE 96, 10 (23).

57 M. Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (334); T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513).

58 G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1916.

59 საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-40.

დეგობის კრიტერიუმს, თუ ის აშკარად არაეფექტიანია.<sup>60</sup> ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას ვერ შექმნის ისეთი საშუალება, რომელიც გამორიცხავს მიზნის მიღწევას,<sup>61</sup> ან რომლის იგნორირებაც აშკარად შესაძლებელია.<sup>62</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა გამოსადეგობასთან დაკავშირებით ყოველთვის არ არის ერთგვაროვანი. მაგალითად, N1/3/534 გადაწყვეტილებაში სასამართლო ჯერ აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო რეგულირება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს და ამაზე იყოს ორიენტირებული. იქვე ვხვდებით წინააღმდეგობრივ მოსაზრებას, რომ ძირითად უფლებაში ჩარევას მიზნის მიღწევა „გარდაუვალად“ და „ნამდვილად“ უნდა შეეძლოს.<sup>63</sup> მსგავსი ფორმულირება გვხვდება №1/4/557,571,576 გადაწყვეტილებაშიც.<sup>64</sup> ეს პოზიცია ზედმეტად ამკაცრებს გამოსადეგობის სტანდარტს, რადგანაც, ფაქტობრივად, მოითხოვს, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვა, როგორც საშუალება, ქმნიდეს მიზნის მიღწევის გარანტიას.<sup>65</sup>

გამოსადეგობის კონტექსტში, კანონმდებელს მოქმედების, შეფასებისა და პროგნოზის მოქმედების ფართო სფერო აქვს.<sup>66</sup> შემონეშებას, ძირითადად, ის ექვემდებარება,

60 N2/482, 483, 487, 502 გადაწყვეტილება, II-49.

61 საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-36; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-31.

62 N3/1/512 გადაწყვეტილება, II-67.

63 N1/3/534 გადაწყვეტილება, II-30.

64 საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელაზიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-23.

65 შეად. B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 321.

66 შეად., მაგ.: B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 122; T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (514); M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 150 f.; R. Zippelius, Deutsches Staatsrecht, 124; BVerfGE 25, 1 (12 f.); 103, 293 (307); 104, 337 (347 f.); 105, 17 (34); 109, 133 (157); 110, 141 (158); 110, 177 (194); 110, 226 (262); 115, 276 (308); 116, 202 (224).

მაგ.: BVerfGE 16, 147 (181); 17, 306 (315); 39, 210 (230).

M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 151; G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1924; BVerfGE 30, 250 (263); 77, 84 (108).

G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1924; BVerfGE 53, 135 (145).

B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 321; T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (515).

D. Jarass, GG, Art. 20, Rn. 85; L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149); Starck, GG, Art. 1, Rn. 278; BVerfGE 100, 226 (241); 110, 1 (28).

შეად. T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513).

მაგ.: T. Reuter, იქვე; M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 152.

B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 116.

B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 322; L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149).

P. Badura, Staatsrecht, 377; B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit),

რამდენად იყო მისი პროგნოზი აშკარად მცდარი<sup>67</sup> ან ზედაპირული.<sup>68</sup> საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებელს განსაკუთრებით ფართო თავისუფლებას ანიჭებს, როდესაც ძირითად უფლებაში ჩარევა მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალებაა.<sup>69</sup> კანონმდებლის დისკრეცია, ბუნებრივია, გულისხმობს არჩევანის გაკეთებას მიზნის მიღწევის რამდენიმე საშუალებას შორის. აქედან გამომდინარე, თუ უფლების შეზღუდვა მიზნის მიღწევის ერთადერთი გამოსადეგი საშუალებაა, ე.ი. კანონმდებელს არ აქვს ამგვარი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და, შესაბამისად, თავისუფალი მოქმედების სფეროც.<sup>70</sup>

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამომცემი სუბიექტების დისკრეციის სფერო გაცილებით შეზღუდულია. მათ უნდა იმოქმედონ კანონით დადგენილი ფარგლებში.<sup>71</sup> კიდევ უფრო ვიწროვდება სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების სფერო ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების გამოცემისა და ღონისძიებების განხორციელებისას. ამ დროს ეჭვი წყდება ადმინისტრაციული ორგანოს საზიანოდ.<sup>72</sup>

## 5. აუცილებლობა (ჩარევის მინიმალურობის პრინციპი)

ძირითად უფლებაში ჩარევა არ უნდა აღემატებოდეს იმ ზომას, რაც ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვისაა საჭირო.<sup>73</sup> აუცილებლობის მოთხოვნა შეზღუდვას უდგენს ფარგლებს საგნობრივი, სივრცობრივი, ხანგრძლივობისა და ადრესატების თვალსაზრისით.<sup>74</sup> მხედველობაში მიიღება შესაბამისი უფლების სპეციფიკა, მასში ჩარევის ინტენსივობა, შედეგები და დაზარალებულთა რაოდენობა.<sup>75</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ჩარევის ინტენსივობა უკავშირდება არა აუცილებლობას, არამედ ვიწრო გაგებით პროპორციულობას.<sup>76</sup> ცხადია, სიკეთეთა შედარება და, შესაბამისად, პროპორციულობის შეფასება წარმოუდგენე-

Rn. 114; U. Mager, Staatsrecht I, 359; G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1918; M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 152; B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (453); R. Schmidt, Staatsorganisationsrecht, 115; F. E. Schnapp, Die Verhältnismäßigkeit, 850 (852).

შეად. მაგ.: G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1900; BVerfGE 68, 193 (219); 90, 145 (172).

67 მაგ.: BVerfGE 16, 147 (181); 17, 306 (315); 39, 210 (230).

68 M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 151; G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1924; BVerfGE 30, 250 (263); 77, 84 (108).

69 N2/482, 483, 487, 502 გადანყევტილება, II-59.

70 შეად. B. Lölödz, Das Rechtsstaatsprinzip, 321.

71 G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1924; BVerfGE 53, 135 (145).

72 B. Lölödz, Das Rechtsstaatsprinzip, 321; T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (515).

73 D. Jarass, GG, Art. 20, Rn. 85; L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149); C. Starck, GG, Art. 1, Rn. 278; BVerfGE 100, 226 (241); 110, 1 (28).

74 შეად. T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (513).

75 მაგ.: T. Reuter, იქვე; Sachs, GG, Art. 20, Rn. 152.

76 B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 116.

ლია შეზღუდვის ინტენსივობის „გაზომვის“ გარეშე, მაგრამ ეს ასევე საჭიროა უფლებაში ჩარევის, როგორც სახელმწიფოს მიერ არჩეული საშუალებისა, და ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ალტერნატიული საშუალების შედარებისას.<sup>77</sup> ჩარევის ინტენსივობის ფაქტორი გასათვალისწინებელია ორივე შემთხვევაში, ოღონდ განსხვავებული მიზნებისათვის.

აუცილებლობის შემონემების ფორმულის მიხედვით, ეს კრიტერიუმი დარღვეულია, თუ ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელია უფრო მსუბუქი და მსგავსად ქმედითი ალტერნატიული საშუალებით.<sup>78</sup> საკონსტიტუციო სასამართლო არკვევს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალების შერჩევის მართებულობას და ნაკლებად მზლუდავი საშუალებით ამ მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.<sup>79</sup> თუ ამგვარი შესაძლებლობა არსებობს, უფლების შეზღუდვა არათანაზომიერად ითვლება.<sup>80</sup>

„უფრო მსუბუქში“ იგულისხმება ისეთი საშუალება, რომელიც უფლებაში არ ჩაერევა ან მას გაცილებით ნაკლებად შეზღუდავს.<sup>81</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრდა ტერმინი „ყველაზე ნაკლებად მზლუდავი“.<sup>82</sup> ის გარემოება, რომ არსებობს მიზნის მიღწევის „უფრო მსუბუქი“ საშუალება, ლოგიკურად მეტყველებს იმაზე, რომ შერჩეული საშუალება „ყველაზე ნაკლებად მზლუდავი“ არ არის. კანონმდებლისათვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის კონკრეტული და უალტერნატივო საშუალების განსაზღვრა სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს, თუმცა მან უნდა გააანალიზოს მიზნის მიღწევის შესაძლო გზები და არაკონსტიტუციურად ცნოს

77 B. Loladze, *Das Rechtsstaatsprinzip*, 322; L. Michael, *Argumentationsstrukturen*, 148 (149).

78 P. Badura, *Staatsrecht*, 377; B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114; U. Mager, *Staatsrecht I*, 359; G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1918; M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 152; B. Schlink, *Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit*, 445 (453); R. Schmidt, *Staatsorganisationsrecht*, 115; F. E. Schnapp, *Die Verhältnismäßigkeit*, 850 (852).

79 მაგ., N2/2/558 გადაწყვეტილება, II-52.

80 მაგ.: N1/1/468 გადაწყვეტილება; II-56; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-78.

81 მაგ.: BVerfGE 68, 193 (219); 90, 145 (172). შეად., ასევე, Robbers, GG, Art. 20, Rn. 1900.

82 შეად. მაგ.: N 2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-13, 172; N2/1/536 გადაწყვეტილება, II-38; N2/2/558 გადაწყვეტილება, II-31; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-44; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე – ა(ა)იპ „აღამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-23; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-30; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე – სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-17; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-26; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/8/734 გადაწყვეტილება საქმეზე – ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-41.

ნორმა, რომელიც ყველაზე ნაკლებად არ ზღუდავს უფლებას.<sup>83</sup> ამასთან, ის გარემოება, რომ არჩეული საშუალება ყველაზე ნაკლებად მზღუდავია, ავტომატურად არ გულისხმობს მის კონსტიტუციურობას, თუ ის არღვევს სხვა კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებს.<sup>84</sup>

ალტერნატიული საშუალება „მსგავსად ქმედითა“, როდესაც ის ქმნის ლეგიტიმური მიზნის წარმატებით მიღწევის აშკარად მსგავს პერსპექტივას და არსებითად ანალოგიური შედეგის დადგომას უზრუნველყოფს.<sup>85</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ალტერნატიულ საშუალებას უნდა ჰქონდეს „რესურსი, ისევე ეფექტურად უზრუნველყოს საჯარო ინტერესის დაცვა, როგორც სადავო რეგულაციას“,<sup>86</sup> სხვა შემთხვევაში, აუცილებლობის კრიტერიუმი დარღვევულად არ ითვლება.<sup>87</sup> ალტერნატიულ საშუალებაზე მსჯელობისას მხედველობაშია ასევე მისაღები, თუ რამდენად ამძიმებს ან აზიანებს ის მესამე პირთა მდგომარეობას ან საზოგადოებრივ ინტერესებს,<sup>88</sup> მაგალითად, ხომ არ იწვევს არაპროპორციულად მაღალ ფინანსურ ტვირთს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.<sup>89</sup>

## 6. შესატყვისობა (პროპორციულობის პრინციპი)

თანაზომიერების პრინციპის ბოლო მოთხოვნის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინს იყენებენ – „შესატყვისობა“, <sup>90</sup> „თანაზომიერება ვიწრო გაგებით“, <sup>91</sup> „გადამეტებული ზომების აკრძალვა“, <sup>92</sup> „დასაშვებობა“, <sup>93</sup> „პროპორციულობა“, <sup>94</sup> „სიკეთეთა ანონ-დანონა“. <sup>95</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრდა ტერმინი „პროპორ-

83 N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება, II-31.

84 საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 საქმეზე – საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-42.

85 B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114; BVerfGE 25, 1 (20); 30, 292 (319); 77, 84 (109 ff.); 81, 70 (91); 100, 313 (375).

86 საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-23.

87 იქვე, II-27, 28.

88 D. Jarass, GG, Art. 20, Rn. 85; L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149); T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1918; B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (457); BVerfGE 103, 172 (183 f.); 113, 167 (259).

89 D. Jarass, GG, Art. 20, Rn. 85; G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1918; M. Sachs, GG, Art. 20, Rn. 152; BVerfGE 77, 84 (110 f.); 81, 70 (91 f.); 116, 96 (127). კრიტიკული პოზიცია იხ.: B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114.

90 მაგ.: D. Jarass, GG, Art. 20, Rn. 86; L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149).

91 მაგ.: B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 117; BVerfGE 104, 337 (349).

92 მაგ.: BVerfGE 90, 145 (173); 105, 17 (36).

93 მაგ., R. Schmidt, Staatsorganisationsrecht, 115.

94 მაგ., C. Starck, GG, Art. 1, Rn. 278.

95 K. Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 516.

ციულობა ვიწრო გაგებით“. <sup>96</sup> ამგვარ ტერმინოლოგიურ მრავალფეროვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც ჩამოთვლილი ცნებები შინაარსობრივად ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება. <sup>97</sup>

ნებისმიერი ტერმინის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია, რომ არსებობდეს შესატყვისი, პროპორციული ურთიერთმიმართება, დაცულ იქნეს გონივრული და სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, ძირითად უფლებაში ჩარევას, როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას, და, მეორე მხრივ, ლეგიტიმურ მიზანს შორის. <sup>98</sup> შესატყვისობის მოთხოვნა შესრულებულად ითვლება, როდესაც ჩარევით მიყენებული ზიანი იმავე სიდიდისა ან მხოლოდ უმნიშვნელოდ აღემატება მის შედეგად მიღებულ სიკეთეს. <sup>99</sup> შეიძლება მტკიცება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ საკითხს უფრო მკაცრად უდგება – „უფლებისათვის მიყენებული ზიანი არ უნდა აღემატებოდეს იმ ინტერესს, რომლის დაცვისათვისაც ის იზღუდება“. <sup>100</sup>

შესატყვისობის შემოწმება სამი საფეხურისაგან შედგება: <sup>101</sup> პირველ რიგში, ირკვევა, თუ რა (ნეგატიურ) გავლენას ახდენს ჩარევა ძირითად უფლებაზე, რა დროსაც გაითვალისწინება მისი სახე, სიძლიერე, ინტენსივობა და მასშტაბები. <sup>102</sup> საკონსტიტუციო სასამართლო, ინტენსივობასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს ჩარევის ხანგრძლივობასა <sup>103</sup>

96 მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება N2/4/665, 683 საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ; საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე – ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/1/877 გადაწყვეტილება საქმეზე – „შპს ალტა“, „შპს ოქეი“, „შპს ზუმერი ჯორჯია“, „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და „შპს სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის N1/2/1248 გადაწყვეტილება საქმეზე – ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ; საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის N1/3/1377 გადაწყვეტილება საქმეზე – დიმიტრი ღონღაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

97 B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 323; G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1901.

98 შეად. მაგ.: N2/6/264 გადაწყვეტილება, 2, 4; N3/1/512 გადაწყვეტილება, II-70; N2/482, 483, 487, 502 გადაწყვეტილება, II-116; N1/5/826 გადაწყვეტილება, II-30; B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 323; T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513).

99 მაგ.: R. Zippelius, Deutsches Staatsrecht, 124.

100 საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე – „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-62.

101 დანვრილებით იხ.: R. Alexy, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, 7 (19 f.); D. Jarass, GG, Art. 20, Rn. 86a; L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (150); T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (515 ff.).

102 BVerfGE 92, 277 (327); 100, 313 (376); 113, 63 (80).

103 N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-52, 57.

და შეზღუდული უფლების წონაზე;<sup>104</sup> მეორე საფეხურზე დგინდება, რა (პოზიტიური) მნიშვნელობა აქვს უფლებაში ჩარევას ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის და რა წონა აქვს თვით ამ მიზანს. ამ დროს მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორებიცაა ჩარევით დასაცავი სამართლებრივი სიკეთის რანგი და მის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის მასშტაბები;<sup>105</sup> შესატყვისობის შემონების ბოლო ეტაპია დაპირისპირებულ სიკეთეთა შედარება და აწონ-დაწონა ე.წ. „რაც უფრო, მით უფრო ფორმულის“ (Je-desto-Formel)<sup>106</sup> ფორმულის საფუძველზე – რაც უფრო მძიმეა ჩარევა ძირითად უფლებაში, მით უფრო წონადი უნდა იყოს მისი მიზანი.<sup>107</sup> ალსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მსგავს ფორმულას ხშირად იყენებს.<sup>108</sup>

მნიშვნელოვანია აწონ-დაწონის ფარგლებისა და, ამ კუთხით, კანონმდებლის მიხედულების ფარგლების საკითხი. ერთი მხრივ, საშუალებასა და მიზანს შორის ურთიერთმომართების განსაზღვრისას კანონმდებელს დისკრეციის ფართო სფერო აქვს და საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ისეთი დარღვევების გამოვლენით უნდა შემოიფარგლოს, როდესაც შეზღუდული ინტერესი აშკარად წონადია, ვიდრე ის მიზნები, რომელთაც შეზღუდვა ემსახურება. ამით ხდება აწონ-დაწონის პროცესში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მხრიდან არაპროგნოზირებადი და სუბექტური მიდგომების პრევენცია; მეორე მხრივ, შესატყვისობის შემონება ყოველთვის ვერ შემოიფარგლება აშკარა დარღვევების გამოვლენით. ძირითად უფლებაში ჩარევის ინტენსივობისა და შეზღუდული უფლების მნიშვნელობის კვალობაზე, შეიძლება აუცილებელი გახდეს არსებითი გარემოებების ყოველმხრივი აწონ-დაწონა.<sup>109</sup> საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებელს, პროპორციულობის კონტექსტში, მიხედულების ფართო სფეროს ანიჭებს.<sup>110</sup> კანონმდებლის დისკრეცია მით უფრო იზრდება, რაც უფრო მაღალია იმ საფრთხის ხარისხი, რომელიც ემუქრება შეზღუდულ უფლებასთან დაპირისპირებულ სიკეთეს.

## 7. თანაზომიერების პრინციპის გამოყენების სფერო

ძირითადი უფლებები ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოს. ამ კუთხით, რაიმე გამონაკლისს არც თანაზომიერების პრინციპი უშვებს. ის გრცელდება ნებისმიერ აქტსა და მოქმედებაზე სამართალშემოქმედების, სამართალგამოყენებისა თუ სამართალშეფარდების სფეროში, რომლითაც ხდება ძირითად უფლებაში ჩარევა.

104 N2/1/415 გადაწყვეტილება, II-15.

105 შეად., მაგ.: N1/3/407 გადაწყვეტილება, II-12; BVerfGE 113, 63 (80); 120, 274 (327).

106 R. Alexy, *Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit*, 7 (19); F. E. Schnapp, *Die Verhältnismäßigkeit*, 850 (852); R. Zippelius, *Deutsches Staatsrecht*, 124.

107 მაგ.: BVerfGE 118, 168 (195).

108 მაგ.: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-15.

109 დანვრილებით იხ.: B. Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 118 ff.; B. Loldze, *Das Rechtsstaatsprinzip*, 325; L. Michael, *Argumentationsstrukturen*, 148 (149 f.); T. Reuter, *Die Verhältnismäßigkeit*, 511 (514); G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1919f.

110 შეად., მაგ.: N2/2-389 გადაწყვეტილება, II-24; N1/1/468 გადაწყვეტილება, II-81.

თანაზომიერების პრინციპის ძირითადი ადრესატი კანონმდებელია. თანაზომიერების სტანდარტების გაუფრცვლელობა საკანონმდებლო საქმიანობაზე მას, ფაქტობრივად, გაათავისუფლებდა საკონსტიტუციო კონტროლისაგან. იმავდროულად, საკანონმდებლო ხელისუფლებას აქვს თავისუფალი მოქმედების სივრცე, რომლის მასშტაბები და, შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის ინტენსივობა დამოკიდებულია შეზღუდული უფლების მნიშვნელობაზე, სფეროზე, რომელშიც ხორციელდება შეზღუდვა, და კანონმდებლის მიერ სიტუაციის შესატყვისად შეფასების შესაძლებლობაზე.<sup>111</sup> კანონის უზენაესობის პრინციპი აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს საკანონმდებლო დანაწესებით ზღუდავს, თუმცა არ ათავისუფლებს მათ თანაზომიერების დაცვის ვალდებულებისაგან თავიანთი დისკრეციის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას.<sup>112</sup>

**2017-2018** წლების საკონსტიტუციო რეფორმამდე თანაზომიერების პრინციპი კონსტიტუციაში პირდაპირ არ იყო მოხსენიებული. მას სახელდებით არც კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია იყენებს, თუმცა არის ნორმა, რომელიც ასახავს თანაზომიერების არსს.<sup>113</sup> 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება“. გასათვალისწინებელია, რომ ეს ნორმა თანაზომიერებას ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის კონტექსტში შეეხება, რაც არ გამოორიცხავს ამ პრინციპის გამოყენებას სხვა სფეროებშიც. თანაზომიერების პრინციპის სხვადასხვა მოთხოვნა ასახულია საქართველოს კანონმდებლობაშიც. ქვემოთ მოტანილია რამდენიმე მაგალითი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს ვალდებულებას, დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც ეს უფლებამოსილება მიენიჭა.<sup>114</sup> ამით იკრძალება ადმინისტრაციული ორგანოს თვითმიზნური, თვითნებური მოქმედება. თანაზომიერების პრინციპის, კერძოდ კი (ვიწრო გაგებით) პროპორციულობის გამოხატულებაა კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას დაუშვებელია ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც ეს აქტი გამოიცა.

თანაზომიერების პრინციპის გამოხატულებად შეიძლება სისხლის სამართლის კოდექსის დებულების მიჩნევა, რომელიც შეეხება სასჯელის დანიშვნას. სასჯელის უფრო მკაცრი სახის დანიშვნა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.<sup>115</sup>

თანაზომიერების პრინციპის სხვადასხვა ელემენტია ასახული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. აუცილებლობის კრიტერიუმიდან გამომდინარე, კოდექსის მი-

111 K. Hesse, *Bedeutung der Grundrechte*, 127 (1956).

112 G. Robbers, *GG, Art. 20, Rn.* 1968.

113 შეად. ა. ფიცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 176.

114 მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი.

115 53-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ხედვით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.<sup>116</sup> საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის განწევას დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება.<sup>117</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.<sup>118</sup> კოდექსი იქვე განმარტავს, როდისაა ფარული საგამოძიებო მოქმედება აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში<sup>119</sup> და ადგენს ამგვარი მოქმედების პროპორციულობის მოთხოვნას.<sup>120</sup> სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, რომ მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის პრევენცია ვერ მოხდება სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.<sup>121</sup>

თანაზომიერების პრინციპის ელემენტებს შეიცავს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.<sup>122</sup> ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუ მისი განხორციელება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა.<sup>123</sup> კანონი მოითხოვს პროპორციულ ურთიერთმიმართებას, ერთი მხრივ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების ფარგლებსა და მათ შედეგად მოპოვებულ მონაცემებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ღონისძიებების ლეგიტიმურ მიზანს შორის.<sup>124</sup>

„პოლიციის შესახებ“ კანონი თანაზომიერებას პოლიციის საქმიანობის ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპად აცხადებს.<sup>125</sup> კანონის მე-12 მუხლი სრულად ეძღვნება თანა-

116 მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი.

117 111-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

118 143<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილი.

119 143<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილი.

120 143<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილი.

121 171-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

122 მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

123 მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

124 მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი.

125 მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

ზომიერების პრინციპს, სათანადოდ განმარტავს მის არსსა და თითოეულ ელემენტს. პოლიციელი იზღუდება თანაზომიერების პრინციპით დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას,<sup>126</sup> ასევე იძულების ღონისძიებების გამოყენებისას.<sup>127</sup> ამ კანონში სხვა კანონებზე უფრო სრულყოფილადაა ასახული თანაზომიერების პრინციპის არსი.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი შეკრების თავისუფლების შეზღუდვის სტანდარტებიდან უმრავლესობა კავშირშია თანაზომიერების პრინციპთან. პირველ რიგში, შეზღუდვა უნდა იყოს მიმართული კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით დაცული სიკეთების მიღწევისაკენ, ანუ მისი ლეგიტიმური მიზანი უნდა იყოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, სხვათა უფლებების დაცვა, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება ან სასამართლოს დამოუკიდებლობისადამი მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, შეკრების თავისუფლებაში ჩარევა უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი, პროპორციულად შემზღუდველი და მისი გამოყენებით დაცული სიკეთე აღემატებოდეს იმ ზიანს, რაც მან გამოიწვია. კანონი მოითხოვს, რომ ჩარევა იყოს მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ნაკლებად შემზღუდველი საშუალება, ხოლო უფრო მეტადი ზომების გამოყენება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ლეგიტიმური მიზნის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია.<sup>128</sup>

გამართული კანონმდებლობა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვები. კანონმდებლობა, რომელიც ადგენს ძირითად უფლებებში ჩარევის შესაძლებლობას, სრულყოფილად და მკაფიოდ უნდა ანესრიგებდეს შეზღუდვის თანაზომიერებასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ეს შეამცირებდა სახელმწიფოს თვითნებობის რისკს და სასამართლოებს მისცემდა მათთვის შედარებით ადვილად აღქმად ორიენტირებს სასამართლო კონტროლის განხორციელებისას და კონკრეტული დავების განხილვა-გადანყვეტისას. მიუხედავად ამისა, მხოლოდ კანონმდებლობა არ ქმნის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თანაზომიერების დაცვის აბსოლუტურ გარანტიას. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სათანადო აღსრულება და ეფექტიანი სასამართლო კონტროლი ამ პროცესზე.

დღეისათვის თანაზომიერების პრინციპი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში წამყვან როლს ასრულებს. ამ მოცემულობის დამკვიდრებას უფრო ევოლუციური ხასიათი ჰქონდა. პირველად თანაზომიერების პრინციპი საკონსტიტუციო სასამართლომ დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ასხენა.<sup>129</sup> ამგვარი დაგვიანება, სავარაუდოდ, იმ

126 მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

127 31-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები.

128 მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

129 საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის N1/1/103, 117, 137, 147-48, 152-53 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები – (1) ვალიდა დარბაიძე, ნათელა ციმაკურიძე და ნანა მირველაშვილი, (2) ნატალია ოკუჯავა, (3) მაია მელაძე, (4) მარი მიქიაშვილი, (5) დავით ადამიძე, ნანა სარაშვილი, გიორგი ოკუჯავა და სხვები (სულ 54 მოქალაქე), (6) ჟუჟუნა ბერიანიძე და (7) მარია ვარამაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, VII.

ფორმალისტური მიდგომებით იყო განპირობებული, რაც შეიმჩნეოდა განვითარების საწყის ეტაპზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში. სწორედ თანაზომიერების პრინციპის უგულვებლყოფა იყო მათი უმრავლესობის შინაარსობრივი სიმწირის ძირითადი მიზეზი.<sup>130</sup> უდავოდ პოზიტიური მოვლენაა, რომ ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებებში თანაზომიერების პრინციპთან სადავო ნორმების შეფასება მკაფიოდ არის სტრუქტურირებული და გასაგებია, თუ მის რომელ ელემენტზე მსჯელობს საკონსტიტუციო სასამართლო.

თავისუფლების ძირითადი უფლებების დარღვევის შემონმებისაგან განსხვავდება თანასწორობის ძირითად უფლებებში ჩარევის კონსტიტუციურობის შემონმება. თანაზომიერების კონტროლი ამ შემთხვევაშიც ხორციელდება,<sup>131</sup> თუმცა მას გარკვეული თავისებურება ახასიათებს. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს თვითნებობისა და თანაზომიერების შემონმებას.<sup>132</sup> იმას, თუ რომელი გზა იქნება არჩეული, ძირითადად, განაპირობებს ორი კრიტერიუმი – უთანასწორო მოპყრობის პერსონალურ ნიშნებზე ორიენტირების ხარისხი და უთანასწორო მოპყრობის სიმძიმე.<sup>133</sup> დიფერენცირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომაც.<sup>134</sup> თანაზომიერების სრულყოფილი შემონმება მკაცრი შეფასების ტესტის ფარგლებში ხორციელდება. რაც შეეხება რაციონალური დიფერენციაციის ტესტს, საკონსტიტუციო სასამართლო აანალიზებს, თუ რამდენად არსებობს რაციონალური კავშირი დიფერენციაციის ობიექტურ საფუძველსა და მის მიზანს შორის. ამასთან, ჩარევა უნდა იყოს მაქსიმალურად რეალისტური, გარდაუვალი და აუცილებელი.<sup>135</sup> მთლიანობაში, ეს ძალიან ჰგავს უთანასწორო მოპყრობის თვითნებობის კონტროლს.<sup>136</sup>

მკაცრი შეფასების ტესტის „გადაღახვა“ უფრო რთულია, რაც განპირობებულია სწორედ თანაზომიერების სრულყოფილი შემონმებით, ამიტომ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე ხდება კონკრეტული დიფერენციაციის შემონმება ამ ტესტის გამოყენებით. შეფასების მკაცრი ტესტს *a priori* ექვემდებარება უთანასწორო მოპყრობა ე.წ. „კლასიკური ნიშნების“ საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, კლასიკური ნიშნები იცავს ჯგუფებს, „რომელთა მიმართ დისკრიმინაციის საფრთხე ისტორიულად ძალიან მაღალია“.<sup>137</sup> ამგვარ მიდგომას ლოგიკურად უნდა მოსდევდეს ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეული ჯგუფის მოწყვლადობის ხარისხის თუნდაც მოკლე შეფასება ისტორიულ კონტექსტში, თუმცა დიფერენციაციის ნიშნის

130 B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 311 f.

131 დაწვრილებით იხ.: L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (152 ff.); G. Robbers, GG, Art. 20, Rn. 1912 f.

132 მაგ., BVerfGE 88, 87 (96).

133 L. Michael, Argumentationsstrukturen, 148 (152).

134 მაგ.: N2/1/536 გადაწყვეტილება, II-27; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-107.

135 მაგ., საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის N2/3/522, 553 გადაწყვეტილება საქმეზე – სპს „გრძმა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-15.

136 B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip.

137 N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-109.

„კლასიკურად“ მიჩნევისათვის გადამწყვეტად ითვლება მისი ფორმალური ასახვა კონსტიტუციის ტექსტში.<sup>138</sup> სავარაუდოდ, ეს პოზიცია ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ კონსტიტუციის მიღებისას ან მასში ცვლილებების შეტანისას კანონმდებელმა უკვე იფიქრა დისკრიმინაციის საფრთხის ხარისხზე ისტორიულ ჭრილში. ეს რომ თუნდაც ასე იყოს, ყურადღების მიღმა ვერ დარჩება ძირითადი უფლებების სფერო, და, ზოგადად, თანამედროვე ეპოქის დინამიკა. ვერ გამოირიცხება, რომ გამოჩნდნენ გარკვეული ნიშნის მქონე ჯგუფები, რომელთა დისკრიმინაციის საფრთხე არანაკლები ხარისხის იქნება, ვიდრე კონსტიტუციაში პირდაპირ დასახელებული ნიშნების მიხედვით დიფერენცირებული ჯგუფებისა.

მკაცრი შეფასების ტესტის გამოყენებისა და მაშასადამე, თანაზომიერების შემოწმების მეორე კრიტერიუმია დიფერენციაციის ინტენსივობა.<sup>139</sup> ამ საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში მიიღება დიფერენციაციის ბუნება და სფერო, თუმცა გადამწყვეტია მისი სიმძიმე და სიმწვავე – „...ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობისაგან.“<sup>140</sup> ამგვარი „დაცილების“ შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლო სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს: რამდენად აქვს პირს გარკვეული უფლება სრულად ჩამორთმეული და რჩება თუ არა მისი რეალიზაციის გონივრული შესაძლებლობა;<sup>141</sup> როგორია დიფერენცირების მოქმედების ხანგრძლივობა;<sup>142</sup> რამდენად დიფერენცირების ნიშნის შეცვლა დამოკიდებული უთანასწორო მოპყრობას დაქვემდებარებულ პირზე,<sup>143</sup> აქვს თუ არა მას ნეგატიური სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისა<sup>144</sup> და საკუთარი ძალისხმევით დიფერენციაციის ხარისხის შემცირების ან აღმოფხვრის შესაძლებლობა<sup>145</sup> და ა.შ.

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის „ირელევანტურია, რამდენად მაღალი სტანდარტით არის დაცული კონკრეტული უფლება, რომლის ფარგლებშიც მხარეს აქვს თანასწორად მოპყრობის ინტერესი. უფრო მეტიც, შეიძლება, ამგვარი უფლება არც იყოს დაცული კონსტიტუციით... უფლებაში ჩარევის ინტენსივობა განისაზღვრება არსებითად თანასწორი პირების მიერ კონკრეტული უფლებით სარგებლობისა თუ სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილების საშუალების შესაძლებლობებს შორის განსხვავებით.

138 N2/1/536 გადაწყვეტილება, II-28; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-112.

139 საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-6; N2/1/536 გადაწყვეტილება, II-30.

140 N1/1/493 გადაწყვეტილება, II-5; N2/3/522, 553 გადაწყვეტილება, II-13.

141 N2/3/522, 553 გადაწყვეტილება, II-14.

142 საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N1/11/629, 652 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-25-29.

143 N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-133.

144 N2/5/556 გადაწყვეტილება, II-27.

145 N1/4/557, 571, 576 გადაწყვეტილება, II-19.

ამგვარად, ცალკე აღებული საკითხის სენსიტიურობა დიფერენცირების ინტენსივობის დასაბუთების არგუმენტი *a priori* ვერ იქნება.<sup>146</sup> აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის უთანასწორო მოპყრობის ინტენსივობის დადგენის კონტექსტში არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, ძირითადი უფლების რეალიზაციას უშლის ხელს უთანასწორო მოპყრობა, თუ სხვა რომელიმე უფლების. ეს მიდგომა მცდარია თუნდაც იმიტომ, რომ უფლების კონსტიტუციით გარანტირება მიუთითებს მის განსაკუთრებულ წონაზე. ძირითადი უფლების რეალიზაციისათვის ხელშეშლა უკვე თავისთავად მეტყველებს დიფერენციაციის ინტენსივობის მაღალ ხარისხზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თანაზომიერების პრინციპის ინტენსიური გამოყენების მიუხედავად, მისი კონტროლის მიღმა დარჩენილი ის შემთხვევები, როდესაც უფლებების შეზღუდვა ნორმატიული აქტით არ ხდება. ეს ვაკუუმი უნდა შეავსონ საერთო სასამართლოებმა. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ზოგიერთი უფლების შეზღუდვას თვით საერთო სასამართლოები ახდენენ (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით). ამ დროს მათ მკაცრად უნდა დაიცვან თანაზომიერების პრინციპის სტანდარტები.

საერთო სასამართლოების სისტემაში თანაზომიერების პრინციპის გამოყენების სრულყოფილი სურათის შექმნა კოლოსალური რაოდენობის სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსობრივ ანალიზს მოითხოვს. ამ სტატიას არ აქვს აღნიშნული ამოცანა და ობიექტურად შეუძლებელიცაა, რომ ეს მხოლოდ ერთი მკვლევრის მიერ განხორციელდეს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი განიხილება.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>147</sup> უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება და შეეხო საბაჟო კოდექსის საფუძველზე პირისათვის დაკისრებული სანქციის თანაზომიერების საკითხს. არადეკლარირებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის გამო, სამართალდამრღვევს ჩამოერთვა სხვა პირის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ის ახორციელებდა ტვირთის ტრანსპორტირებას. მოსარჩელე მიუთითებდა თავის ასაკზე, უმუშევრობასა და მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე და აცხადებდა, რომ ვერ მოახერხებდა ავტომანქანის მესაკუთრისათვის სხვა ავტომანქანის შეძენას. აქედან გამომდინარე, ის მოითხოვდა სანქციის შეცვლას უფრო მსუბუქი სანქციით – საქონლის საბაჟო ღირებულების 100 %-ით დაჯარიმებით. პალატის პოზიციით, სანქცია უკავშირდებოდა საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას და უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში თანაზომიერების პრინციპთან. ამ პრინციპის მოთხოვნებისაგან ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებდა ის გარემოება,

146 საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/4/603 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-11, 12.

147 საქმე N1655-1627 (კ-11), 11.04.2012.

რომ იგი მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. სასამართლოს აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მკაცრი სანქციის გამოყენებით დაირღვა ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის. ამასთან, არ იყო დასაბუთებული, თუ რატომ ვერ იქნებოდა მიღწეული ლეგიტიმური მიზანი უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილული ერთ-ერთი დავა შეეხებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ სასამართლოს თავმჯდომარისა და სისხლის სასამართლოს საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან.<sup>148</sup> სასამართლომ უარი განაცხადა გათავისუფლების მიზანშეწონილობის შემოწმებაზე იმ მოტივით, რომ საქმე შეეხებოდა კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების შინაარსი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ „მიზანშეწონილობაში“ სასამართლომ „თანაზომიერება“ იგულისხმა. როგორც აღინიშნა, თანაზომიერების პრინციპის დაცვის მოთხოვნისაგან არ არის გათავისუფლებული არცერთი, მათ შორის კოლეგიური, ორგანო. აქედან გამომდინარე, საერთო სასამართლოებმა არ უნდა აარიდონ თავი ამ კატეგორიის ორგანოთა მიერ მიღებული აქტების თანაზომიერებაზე მსჯელობას. სხვა საქმეში<sup>149</sup> დისციპლინური წესით მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე თანაზომიერების პრინციპის მიხედვით შეფასებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ უარი განაცხადა იმის გამო, რომ ეს იქნებოდა ჩარევა ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის დისკრეციაში საშტატო ერთეულზე პირის დანიშვნა-გათავისუფლებასთან დაკავშირებით. თანაზომიერების პრინციპის გამოყენებაზე უარი მწვანე შუქს უნთებს ადმინისტრაციულ ორგანოთა თვითნებობას, სასამართლო კონტროლს აცლის მატერიალურ მდგენელს და დაყავს იგი მხოლოდ ფორმალურსამართლებრივ შემოწმებამდე.

## 8. თანაზომიერების პრინციპის გამოყენება ძირითადი უფლებების სფეროს მიღმა

მართალია, თანაზომიერების პრინციპის მთავარი დანიშნულება ძირითად უფლებათა დაცვაა, თუმცა მისი მოქმედების სფერო ამით არ იზღუდება.<sup>150</sup> ამ პრინციპის საფუძველი არ არის მხოლოდ ძირითადი უფლებები,<sup>151</sup> თუნდაც იმიტომ, რომ ის, ისტორიული თვალსაზრისით, უფრო ძველია.<sup>152</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს,

148 საქმე N3/2222-16, 05.10.2016.

149 საქმე N3/9140-16, 19.10.2017.

150 B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 312 f.

151 M. Klopfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (331); T. Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (512); K. Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 252; K. Stern: Staatsrecht I, 862.

152 B. Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (448); K. Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 251.

რომ არა მარტო ძირითადი უფლებების შეზღუდვა, არამედ სახელმწიფოს სხვა ნებისმიერი აქტი თუ მოქმედება თანაზომიერი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, თანაზომიერების პრინციპი გამოიყენება სხვა სფეროებშიც, მაგალითად, სახელმწიფო მოწყობის სამართალში.<sup>153</sup>

ზემოაღნიშნული უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერმა სახელმწიფო ორგანომ, მათ შორის, განსაკუთრებით, საკონსტიტუციო სასამართლომ. მაგალითად, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო დავობს ადგილობრივი თვითმმართველობის რომელიმე კონსტიტუციური გარანტიის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ამ შეზღუდვის მატერიალური კონსტიტუციურობის საზომი სწორედ თანაზომიერების პრინციპი უნდა იყოს. იგივეს აღნიშვნა შეიძლება იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის გადაყენებაზე, რაც უნდა აკმაყოფილებდეს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.<sup>154</sup>

სამუხაროდ, იმპიჩმენტის პროცედურის კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ კონსტიტუციის დარღვევის ფორმალური კონსტატაციით და თავი აარიდა იმ საკითხზე მსჯელობას, ხომ არ ხელყოფდა კონკრეტული დარღვევის გამო პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება გამეტყულებული ზომების აკრძალვისა და, შესაბამისად, თანაზომიერებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. სასამართლომ თანაზომიერების საკითხი პოლიტიკური მიზანშეწონილობის სფეროსა და პარლამენტის დისკრეციას მიაკუთვნა და, პარალელურად, შეეცადა გარკვეული სტანდარტების დადგენას პარლამენტისათვის.<sup>155</sup> აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა არ გაიზიარა და წონადი კონტრარგუმენტები წარმოადგინა მოსამართლეთა ნაწილმა.<sup>156</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ პოზიციასთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას რამდენიმე არსებითი შენიშვნა. პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების ეტაპზე მხედველობის მიღმა დარჩა იმპიჩმენტთან დაკავშირებით დასკვნის კომპეტენციის სუბსიდიური ხასიათი. ეს ხასიათიც თანაზომიერების პრინციპის გამოძახილია, რადგანაც გულისხმობს

153 B. Schlink, *Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit*, 445 (445 f., 448 f.); R. Zippelius, *Deutsches Staatsrecht*, 125.

154 დაწვრილებით იხ.: ბ. ლოლაძე, ზ. მაჭარაძე, ა. ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2022, 767.

155 დაწვრილებით იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქმეზე – საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე, II-20-23.

156 დაწვრილებით იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით, 2, 38-61.

ამ კომპეტენციის ფარგლებში საკითხის განხილვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს იმპიჩმენტს დაქვემდებარებული პირის ქმედებისა თუ აქტის კონსტიტუციურობის სხვა უფლებამოსილების ჩარჩოებში განხილვა-გადაწყვეტის შესაძლებლობა, რასაც არ მოჰყვება ისეთი მიმღე სამართლებრივი შედეგი, როგორიც თანამდებობიდან გადაყენებაა.<sup>157</sup> პრეზიდენტს პარლამენტის წევრები ედავებოდნენ მთავრობის კონსტიტუციურ უფლებამოსილებაში შეჭრაზე და ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მთავრობის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე, უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლო წარდგინების არსებითი განხილვა-გადაწყვეტისას, ფაქტობრივად, შემოიფარგლა კონსტიტუციის ტექსტის მხოლოდ ფორმალური განმარტებით და მსჯელობა არ წარმოადგენს ერთიან კონტექსტში, კონსტიტუციის როგორც ნორმების, ასევე პრინციპების (მათ შორის, თანაზომიერების პრინციპის) გათვალისწინებით. ამის გარეშე შეუძლებელია კონსტიტუციის ნორმათა სრულფასოვანი განმარტება და მათი დარღვევის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა.<sup>158</sup> ამით საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა იმპიჩმენტის პროცესში მასშტაბილიზებული როლის შესრულებაზე, რაც შესაძლებელი იყო საკითხის როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კონსტიტუციურსამართლებრივი შეფასებითა<sup>159</sup> და, სულ მცირე, დასკვნის სამოტივაციო ნაწილში მაინც პოზიციის დაფიქსირებით, თუ რამდენად თანაზომიერი იქნებოდა პრეზიდენტის გადაყენება კონსტიტუციის კონკრეტული დარღვევისათვის.<sup>160</sup>

იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების თანაზომიერების საკითხის გადაწყვეტის პარლამენტისათვის გადაბარებით, საკონსტიტუციო სასამართლო შეეცადა პოლიტიკური საკითხის დოქტრინაზე დაყრდნობას. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ვერ წყვეტს საკითხს სამართლებრივი მასშტაბების მიხედვით.<sup>161</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა სრული შესაძლებლობა, რომ იმპიჩმენტის საკითხზე ემსჯელა მატერიალურსამართლებრივი კუთხით, თუმცა მან თავი აარიდა ამ მგრძნობიარე საკითხის განხილვას, რაც პოლიტიკური საკითხის შესახებ დოქტრინის არასათანადოდ გამოყენების ერთ-ერთი ფორმაა.<sup>162</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი დასკვნით, სამომავლოდ შექმნა კონსტიტუციის ნებისმიერი ფორმალური დარღვევის გამო თანამდებობის პირის გადაყენების შესაძლებლობა და მოხსნა მატერიალური კონსტიტუციურსამართლებრივი ბარიერი. ამით განუზომლად იზრდება იმპიჩმენტის პროცედურის პოლიტიკური მიზნებით არათანაზო-

157 იმპიჩმენტთან დაკავშირებით დასკვნის სუბსიდიური ბუნების თაობაზე დანვრელებით იხ.: ბ. ლოლაძე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 760-761; ჯ. ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 173-174.

158 ბ. ლოლაძე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 766.

159 შეად., მაგ.: ბ. ლოლაძე, იქვე, 745; B. Loladze, Das Rechtsstaatsprinzip, 215.

160 შეად. ბ. ლოლაძე, იქვე, 767.

161 მაგ., ბ. ლოლაძე, სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, ლადო ჭანტურია 60, თბილისი, 2023, 329.

162 შეად. ბ. ლოლაძე, იქვე, 329-330.

მიერი და თვითნებური გამოყენების რისკები. ამ რისკებს ვერ დააზღვევს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის წევრებისათვის გადაწყვეტილების მიღების გარკვეული სტანდარტების დადგენა. ამ სტანდარტებს არ აქვთ ფაქულტატიურ რჩევებზე მეტი წონა, რადგანაც პარლამენტის წევრი თავისუფალი მანდატითა და იდენიტიტით სარგებლობს. მას ვერავინ გაუკონტროლებს, თუ რა სტანდარტებზე დაყრდნობით მიიღებს გადაწყვეტილებას და ვერც იმპიჩმენტის საკითხთან დაკავებული პოზიციისა თუ გამოხატული მოსაზრებების გამო დაეკისრება პასუხისმგებლობა.

## 9. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი აცხადებს, რომ საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო. რეალურად სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება არა უკვე მიღწეული, არამედ მუდმივი ამოცანაა, რომლის რეალიზაცია და, რაც მთავარია, მიღწეულის შენარჩუნება უწყვეტ, თანამიმდევრულ და მასშტაბურ ძალისხმევას მოითხოვს. ამ პროცესში თუნდაც მცირედმა მოღუწებამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს თავისუფალ, დემოკრატიულ კონსტიტუციურ წესრიგსა და ადამიანს, როგორც მის მთავარ ფასეულობას. თანაზომიერების პრინციპი და მისი მოთხოვნები, სამართლებრივი სახელმწიფოს სხვა ელემენტებთან ერთად, ხელს უწყობს მოვლენათა ამგვარი განვითარების პრევენციასა და დაშვებული შეცდომების გამოსწორებას.

თანაზომიერების პრინციპი დროთა განმავლობაში თანდათანობით დამკვიდრდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი გამოწვევა, რომელთა დაძლევა აუცილებელი იქნება, რათა ის რეალურად იქცეს სახელმწიფო ხელისუფლების სახელმძღვანელო პრინციპად.

# ევროპული კავშირის კომისიის რეკომენდაცია მამხილებლის დაცვის გაძლიერებაზე და მამხილებლის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

ნანა მჭედლოძე

## 1. შესავალი

ევროპული კავშირის კომისიის მიერ საქართველოსთვის ევროპული კავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის განსაზღვრის მიზნით 2022 წლის 17 ივნისს გაცემული 12 პრიორიტეტიდან მეოთხე ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერებას უკავშირდება და ამ მიზნით მამხილებლის ინსტიტუტის დაცვის გაუმჯობესებას მოითხოვს. კომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები ეფუძნება ევროპული კავშირის ღირებულებებსა და სტანდარტებს, კერძოდ, დემოკრატიასა და სამართლის უზენაესობის პრინციპს, რაც ხორციელდება, მათ შორის, სასამართლო სისტემისა და საჯარო მმართველობის რეფორმირებით და ადამიანის უფლებების დაცვით.

საქართველოს კანონმდებლობაში მამხილებლის შესახებ დებულებები პირველად 2009 წელს იქნა გათვალისწინებული. 2014-2017 წლებში მამხილებლის ინსტიტუტის რეგლამენტაციაში ზოგიერთი ცვლილება შევიდა. საკანონმდებლო ცვლილებები საჭირო გახდა საჯარო სამსახურში მხილების პროცედურის მოქნილობის უზრუნველსაყოფად და მამხილებლისთვის სამართლებრივი გარანტიების გასაზრდელად, რასაც საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებები ითვალისწინებს. კერძოდ, ევროპულ კავშირსა და საქართველოს შორის ვიზალიზებული პოლიტიკის პროცესის სამოქმედო გეგმა მამხილებელთა დაცვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას ითხოვს. კანონმდებლობაში დამატებითი ცვლილებები შევიდა კომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნის შემდეგ მეოთხე პრიორიტეტის შესასრულებლად. საქართველოს ზემოაღნიშნული ძალისხმევის მიუხედავად, ევროპული კავშირის კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის დასკვნის თანახმად, მამხილებლის დაცვა დამატებით გაძლიერებას საჭიროებს.

ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია (შემდგომში – „ქარტია“) ითვალისწინებს უფლებებს, რომლებიც შეესატყვისება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (შემდგომში – „ევროპული კონვენცია“ ან „კონვენცია“) გარანტირებულ უფლებებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – „ევროპული სასამართლო“) პრაქტიკაც ქარტით არის განმტკიცებული. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მამხილებლის გამოხატვის თავისუფლებასა და დამსაქმებლის ინტერესებს შორის სამართლიანი წონასწორობის დადგენის შესახებ არის ის სტანდარტი, რითაც უნდა შეფასდეს საქართველოს მიერ კომისიის რეკომენდაციის შესრულება.

დასაქმებული პირის გამოხატვის თავისუფლების დაცვა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული სტანდარტია. ეს სტანდარტი, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განვითარების შედეგად, გულისხმობს, ერთი მხრივ, გარკვეული მოთხოვნების დაცვას მამხილებლის მიერ და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მკაფიო და ცალსახა ვალდებულებას, გარკვეულ პირობებში უზრუნველყოს კონკრეტული დაცვა იმ პირების მიმართ, რომლებიც უწყების წესების დარღვევით სამუშაო ადგილიდან მოპოვებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას ამხელენ.

წინამდებარე სტატიაში განხილულია მამხილებლის ინსტიტუტის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესატყვისი გადაწყვეტილებები, სტანდარტის განვითარება და მისი სხვადასხვა ასპექტი; ამას გარდა, სტატიაში გადმოცემულია ინფორმაცია კერძო სექტორში დასაქმებული მამხილებლის დაცვის შესახებაც. გამოკვეთილია ის ასპექტები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს ევროპული კომისიის რეკომენდაციის შესრულებას მამხილებლის დაცვის გაუმჯობესებისა და ევროპულ სტანდარტთან დაახლოების შესახებ.

### 1.1. ევროპული კავშირის კომისიის დასკვნა საქართველოში მამხილებლის დაცვაზე

2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროპულ კავშირს წევრობის თაობაზე განაცხადით მიმართა. ამ განაცხადის შეტანა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიულ ომს უკავშირდება. 2022 წლის 7 მარტს ევროპული კავშირის საბჭომ კომისიას განაცხადზე დასკვნა მოსთხოვა, რომელიც კომისიამ იმავე წლის 17 ივნისს გამოსცა.<sup>1</sup> 2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ ევროპული კავშირის წევრობის თაობაზე საქართველოს განაცხადი განიხილა და დაადგინა, რომ მზად იყო, საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭებინა მას შემდეგ, რაც საქართველო კომისიის დასკვნაში განსაზღვრულ პრიორიტეტებს შეასრულებდა.<sup>2</sup>

კომისიის მიერ საქართველოს განაცხადის შეფასება ემყარება კოპენჰაგენის კრიტერიუმებს, რომელთა ჭრილობიც განიხილება, *inter alia*, განმცხადებელი სახელმწიფოს დემოკრატიის უზრუნველყოფი ინსტიტუტების სტაბილურობა, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და უმცირესობების დაცვა.<sup>3</sup>

სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფის ნაწილში, კერძოდ, კორუფციასთან ბრძოლის კონტექსტში, კომისიამ 2022 წლის დასკვნაში დადებითად აღნიშნა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეფორმები აქვს განხორციელებული ევროპული კავშირის კანონთა კრებულსა (EU *acquis*) და საერთაშორისო ნორმებთან დასაახლოებლად. საქართველო მონაწილეობს ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმ-

1 Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Brussels, 17.6.2022, COM(2022) 405 final, 2.

2 European Council Conclusions, Brussels, 24 June 2022, EUCO 24/22.

3 Treaty on European Union (Consolidated version 2016), C 326/15, 49-ე მუხლი.

დედ მეზობლ სახელმწიფოთა ჯგუფში (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციულ ქსელში (OECD/ACN). საქართველო არის ყველა ძირითადი ანტიკორუფციული საერთაშორისო კონვენციის ხელშემკვერელი მხარე, მათ შორის, გაერთიანებული ერების ფარგლებში მიღებული კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის (UNCAC) მონაწილე.<sup>4</sup>

კომისიამ, აგრეთვე, აღნიშნა საქართველოს მიღწევა, უწინარესად, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კორუფციულ გარიგებებში მონაწილე დაბალი და საშუალო რანგის თანამდებობის პირების წინააღმდეგ წარმატებით განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით. საქართველოში დანერგილია საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების სისტემა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა და მამხილებელთა დაცვა კანონმდებლობით რეგულირდება.<sup>5</sup>

ამ უკანასკნელში იგულისხმება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>6</sup> გათვალისწინებული დებულებები მამხილებლის დაცვის შესახებ. საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონით აღნიშნულ კანონს დაემატა V<sup>1</sup> თავი, რომელიც მამხილებლის დაცვას შეეხება და მასში დამატებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს 2014 წლის 2 აპრილის კანონით, საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონით და საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონით.<sup>7</sup> საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის მიხედვით, „ცვლილებების საჭიროება განპირობებული იყო საჯარო სამსახურში მხილების პროცედურის მოქნილობის უზრუნველყოფის, მამხილებლისათვის სამართლებრივი გარანტიების გაზრდისა და საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობით – ევროპულ კავშირსა და საქართველოს შორის ვიზალიზებული პოლიტიკის პროცესის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მამხილებელთა დაცვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას.“<sup>8</sup> ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ მომზადებული 2017-2018 წლების საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის თანახმად, „არსებული შეფასებები ცხადყოფს, რომ ეროვნული საკანონმდებლო ბაზა შესაბამისობაშია არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.“<sup>9</sup>

4 Commission Opinion on Georgia's Application for Membership of the European Union, Brussels, 17.6.2022, COM(2022) 405, 8.

5 Idem.

6 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს 2022 წლის 30 ნოემბრის კანონმდებლობით იწოდებოდა როგორც „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

7 იხ. <https://matsne.gov.ge/>.

8 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №443 „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, დანართი 2 – „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია“, 57.

9 Idem.

მიუხედავად ამისა, კომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნაში მამხილებლის ინსტიტუტის საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებასთან დაკავშირებით განსხვავებული შეფასებაა ასახული. კომისიის დასკვნის თანახმად, „უნდა გაძლიერდეს მამხილებელთა დაცვა“, ასევე, „არ არსებობს არცერთი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო, რომელიც დამოუკიდებლად იმუშავებდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ინტერესთა კონფლიქტი, ქონების დეკლარაციების შემოწმება, პოლიტიკური პარტიების ხარჯების აუდიტი და მამხილებელთა დაცვა.“<sup>10</sup>

აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში, რის შედეგადაც შეიქმნა სსიპ ანტიკორუფციული ბიურო, როგორც „ანტიკორუფციული პოლიტიკის მაკოორდინებელი დამოუკიდებელი ორგანო“.<sup>11</sup> ბიუროს ფუნქციებს შორისაა, *inter alia*, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა მამხილებლის დაცვის ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ წინადადებების შემუშავება და მამხილებლის დაცვის საკითხებზე რეკომენდაციების გაცემა.<sup>12</sup>

2023 წლის 8 ნოემბერს ევროპული კავშირის კომისიამ გამოსცა ანგარიში, რომელიც კომისიის პირველი წლიური გაფართოების ანგარიშია საქართველოზე და რომელმაც მანამდე არსებული წლიური ასოციაციის იმპლემენტაციის ანგარიშები ჩაანაცვლა. ევროპული საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე, ამ ანგარიშში დეტალურად შეფასდა საქართველოს მიერ კომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნაში განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესრულება.<sup>13</sup>

მე-4 პრიორიტეტის შესრულების კონტექსტში, კომისიამ აღნიშნა პარლამენტის მიერ ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის შესახებ კანონმდებლობის მიღება და მისი ფუნქციები მამხილებლის დაცვასთან მიმართებით.<sup>14</sup> კომისიამ აღნიშნა, რომ ანტიკორუფციულ ბიუროს საგამოძიებო ფუნქციები არ გააჩნია და შესატყვისი საკანონმდებლო ცვლილებები ვენეციის კომისიას არ გაგზავნია დასკვნის მისაღებად 2023 წლის სექტემბრამდე, მაშინ, როდესაც ანტიკორუფციული ბიურო მუშაობას შეუდგა 2023 წლის 1 სექტემბერს.<sup>15</sup> კომისიამ ასევე მიუთითა ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მწვავე კრიტიკაზე, რაც ბიუროს დამოუკიდებლობასა და ქმედითობასთან დაკავშირებით გამოითქვა.<sup>16</sup> აღინიშნა, რომ 2022 წელს მამხილებლებმა

10 Commission Opinion on Georgia's Application for Membership of the European Union, Brussels, 17.6.2022, COM(2022) 405, 8.

11 იხ. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №66, „საჯარო მმართველობის რეფორმის 2023–2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023–2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, დანართი 1 – „საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია“, 2023–2026, 36.

12 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 20<sup>15</sup>, პირველი პუნქტი, „ზ“ ქვეპუნქტი.

13 Georgia 2023 Report, Brussels, 8.11.2023, SWD(2023) 697 final, 3.

14 Ibid., 10.

15 Ibid., 26–27.

16 Ibid., 26.

30 განაცხადი ატვირთეს მთავრობის მიერ შექმნილ სპეციალურ ონლაინპლატფორმაზე, თუმცა ამ განაცხადებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია დასკვნის მომზადების დროისთვის ხელმისაწვდომი არ იყო.<sup>17</sup>

საბოლოო ჯამში, კომისიამ დაასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მამხილებელთა დაცვას, მაგრამ საქართველომ მამხილებელთა დაცვა უნდა გააძლიეროს. კომისიის შეფასებით, დაცვა შესაბამისობაში მოსაყვანია ევროპული კავშირის კანონთა კრებულთან (*EU acquis*).<sup>18</sup>

2023 წლის დეკემბერში, ისტორიული გადაწყვეტილებით, საქართველოს მიენიჭა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი იმ საფუძველზე, რომ საქართველომ კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციაში განსაზღვრული ღონისძიებები განახორციელა. ამ ისტორიული გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოში ცალსახად უარყოფითი მოვლენების განვითარების შედეგად, რაშიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 28 მაისის კანონის მიღება იგულისხმება, ევროპულმა საბჭომ კანონი კომისიის რეკომენდაციისგან გადახვევად შეაფასა, რაც საქართველოს ევროპულ კავშირში მიღების პროცესის *de facto* შეჩერებას გამოიწვევდა,<sup>19</sup> თუმცა ეს წინამდებარე კვლევის საგანი არ არის, სტატია მამხილებლის ინსტიტუტის დაცვის საკითხზე კონცენტრირებული.

ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ძირითადი უფლებები, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით, და რომლებიც ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან გამომდინარეობენ, კავშირის სამართლის ძირითად პრინციპებს შეადგენს.<sup>20</sup> ამასთან, რამდენადაც ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია ითვალისწინებს უფლებებს, რომლებიც შეესატყვისება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, ამ უფლებების შინაარსი და მოცულობა იგივეა, რაც ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს აქვს.<sup>21</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც განმტკიცებულია ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების ქარტით.<sup>22</sup>

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული მამხილებლის უფლება და მამხილებლის დაცვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა არის ის სტანდარტი, რითაც უნდა შეფასდეს საქართველოს მიერ კომისიის რეკომენდაციის შესრულება მამხილებლის ინსტიტუტის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

17 Ibid., 26.

18 Ibid., 27.

19 იხ. <https://www.consilium.europa.eu/en/policies/enlargement/georgia/#application>.

20 Treaty on European Union (Consolidated version 2016), C 326/15, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

21 Charter of Fundamental Rights of the European Union, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

22 Ibid, პრეამბულა.

## 2. საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა გამოსატყვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება სამუშაო ადგილზეც ვრცელდება და დასაქმებულ პირებს, მათ შორის, საჯარო სექტორში დასაქმებულ მოხელეებს, გამოსატყვის თავისუფლება აქვთ.<sup>23</sup> დასაქმებულ პირებს დამსაქმებლის მიმართ ერთგულების, თავშეკავებისა და კეთილგონიერების გამოჩენის ვალდებულება ეკისრებათ.<sup>24</sup> ეს, განსაკუთრებით, საჯარო მოხელეებს ეხებათ, ვინაიდან საჯარო სამსახურის არსი მოითხოვს, რომ საჯარო მოხელე ერთგულებასა და თავშეკავებას იჩენდეს.<sup>25</sup>

გასათვალისწინებელია, რომ, როცა საქმე გამოსატყვის თავისუფლებას ეხება, თუნდაც ისეთ გამოკვეთილ ჯგუფთან მიმართებით, როგორიც საჯარო სექტორში დასაქმებული პირები არიან, მამხილებლის ქმედების შეფასება შეიძლება დასაქმების სპეციფიკით განსხვავდებოდეს. მაგალითად, სასამართლო სისტემაში დასაქმებული პირების გამოსატყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო ითვალისწინებს, თუ რა გამორჩეული ადგილი უკავია სასამართლო სისტემას დემოკრატიულ საზოგადოებაში და რომ სასამართლო ხელისუფლება ჩვეულებრივი საჯარო სექტორის ნაწილი არ არის. შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს მოლოდინი სასამართლო სისტემაში დასაქმებული პირების მიმართ, რომ მათ თავშეკავება გამოიჩინონ გამოსატყვის თავისუფლების რეალიზებისას, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა შეიძლება დაზიანდეს.<sup>26</sup> დიპლომატების გამოსატყვის კონტექსტში, ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ, საზოგადოებაში დიპლომატების როლის გათვალისწინებით, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ლეგიტიმური მიზანია საჯარო მოხელეთა პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანოს არსებობა, დიპლომატიური კორპუსის ჩათვლით.<sup>27</sup> ამასთან, ზოგიერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს განსაკუთრებული ისტორიის გათვალისწინებით, ამ სახელმწიფოს ეროვნულმა ხელისუფლებამ შეიძლება, დემოკრატიის კონსოლიდაციისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, საჭიროდ ჩათვალოს კონსტიტუციური გარანტიები ამ მიზნის მისაღწევად, საჯარო მოხელეების პოლიტიკურ საქმიანობაში თავისუფლების შეზღუდვის გზით.<sup>28</sup>

საზოგადოებას მოლოდინი აქვს, რომ საჯარო მოხელეები დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების მუშაობას არ დააბრკოლებენ. აქედან გამომდინარე, საჯარო სექტორში დასაქმებული პირების ერთგულებისა და თავშეკავების ვალდებულება განსა-

23 *ემინაოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Eminağaoğlu v. Turkey)*, 2021 წლის 9 მარტი, 120-ე პუნქტი.

24 *სოარესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Soares v. Portugal)*, 2016 წლის 21 ივნისი, 41-ე პუნქტი.

25 *გუჯა მოლდოვის წინააღმდეგ (Guja v. Moldova)*, დიდი პალატა, 2008 წლის 12 თებერვალი, 70-ე პუნქტი.

26 *ემინაოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Eminağaoğlu v. Turkey)*, 2021 წლის 9 მარტი, 121-ე პუნქტი.

27 *კარაპეტიანი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ (Karapetyan and Others v. Armenia)*, 2016 წლის 17 ნოემბერი, 49-ე პუნქტი.

28 *რეკვენი უნგრეთის წინააღმდეგ (Rekvényi v. Hungary)*, 1999 წლის 20 მაისი, 46-ე პუნქტი.

კუთრებულ დატვირთვას იძენს.<sup>29</sup> ვინაიდან საჯარო მოხელეებს, მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად აქვთ წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც დამსაქმებელს, სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნის გამო, შეიძლება უნდოდეს, კონფიდენციალური დარჩეს, მოხელის ვალდებულება, გამოიჩინოს კეთილგონიერება, როგორც წესი, მკაცრია.<sup>30</sup>

საჯარო სფეროში დასაქმებული პირის მიერ სამუშაო ადგილას უკანონო ქმედების ან დაუშვებელი ქცევის შესახებ ინფორმაციის გამხელა, გარკვეულ შემთხვევებში, დაცული უნდა იყოს, მაგალითად, როდესაც მხოლოდ მოცემულ პირს აქვს წვდომა კონკრეტულ ინფორმაციაზე და მას შეუძლია საჯარო ინტერესებში მოქმედება იმით, რომ დამსაქმებელი ან ფართო საზოგადოება გააფრთხილოს.<sup>31</sup> პროფესიული კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების მქონე პირის გამოხატვის თავისუფლების საპირწონედ არსებობს დამსაქმებლის უფლება, მართოს თავისი პერსონალი, რაც ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზანია დასაქმებული პირის გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდავად. ინფორმაცია, პირველ რიგში, უნდა მიეწოდოს დასაქმებული პირის ხელმძღვანელს, სხვა უფლებამოსილ თანამდებობის პირს ან უწყებას. მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის გაკეთება აშკარად არაპრაქტიკულია, ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს ფართო საზოგადოებას. გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვის თანაზომიერების შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, ფლობდა თუ არა განმცხადებელი სხვა რაიმე ქმედით შესაძლებლობას, გამოესწორებინა არამართებული ქმედება, რომლის გამოაშკარავებაც მას განზრახული ჰქონდა.<sup>32</sup>

მამხილებლის დეფინიცია და დაცვის შესახებ გარანტიები გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციით,<sup>33</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით,<sup>34</sup> ევროპული კავშირის დირექტივით,<sup>35</sup> თუმცა საკითხი, უნდა ისარგებლოს თუ არა პირმა მე-10 მუხლით შეთავაზებული მამხილებლის დაცვით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ფასდება. წლების განმავლობაში ევროპული სასამართლო მამხილებლებზე პრაქტიკას სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე

29 იხ. ნ. მჭედლიძე, შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბ., 2019, 45 *et seq.*

30 *სლოვაკეთის რესპუბლიკის პოლიციის პროფესიული კავშირი და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ (Trade Union of the Police in the Slovak Republic and Others v. Slovakia)*, 2012 წლის 25 სექტემბერი, 57-ე პუნქტი და *გუჯა მოლდოვის წინააღმდეგ (Guja v. Moldova)*, დიდი პალატა, 2008 წლის 12 თებერვალი, 71-ე პუნქტი.

31 *გუჯა მოლდოვის წინააღმდეგ (Guja v. Moldova)*, დიდი პალატა, 2008 წლის 12 თებერვალი, 73-ე პუნქტი.

32 *მატუზ ჰუნგარიის წინააღმდეგ (Matúz v. Hungary)*, 2014 წლის 21 ოქტომბერი, 34-ე პუნქტი.

33 The Council of Europe Parliamentary Assembly Resolution 1729 (2010) on Protection of "Whistle-Blowers", 2010 წლის 29 აპრილი.

34 The Council of Europe Committee of Recommendation Recommendation CM/Rec(2014)7, 2014 წლის 30 აპრილი.

35 Directive (EU) 2019/1937 of the European Parliament and of the Council on the Protection of Persons Who Report Breaches of Union Law, 2019 წლის 23 ოქტომბერი.

ავითარებდა.<sup>36</sup> 2008 წელს საქმეზე – *გუჯა მოლდოვის წინააღმდეგ (Guja v. Moldova)* – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ჩამოაყალიბა კრიტერიუმები იმის შესამოწმებლად, იყო თუ არა სამართლიანი წონასწორობა ამ ინტერესებს შორის. 2023 წლის საქმეზე – *ჰალე ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Halet v. Luxembourg)* – დემოკრატიულ საზოგადოებაში მამხილებლის როლის განსამტკიცებლად და მათი დაცვის საერთაშორისო და ევროპული ნორმატიული ბაზის განვითარების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საჭიროდ ჩათვალა, ეს კრიტერიუმები დაეზუსტებინა.

## 2.1. მამხილებლის დაცვის თავდაპირველი ტესტი – *გუჯა მოლდოვის წინააღმდეგ (Guja v. Moldova)*<sup>37</sup>

განმცხადებელი იყო გენერალური პროკურატურის პრესის დეპარტამენტის უფროსი, რომელმაც 2003 წელს გაზეთს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ გენერალური პროკურორისთვის გაგზავნილი წერილები მიაწოდა. წერილებში პროკურატურაზე განხორციელებული პოლიტიკური ზეწოლა ჩანდა, რაც ძალის გადამეტებისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პოლიციელების საქმეს უკავშირდებოდა. ამ საკითხზე საგაზეთო სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, პროკურატურის პრესის დეპარტამენტის წესდების დარღვევის საფუძველით, განმცხადებელი სამსახურიდან გაათავისუფლეს. განმცხადებელი ეროვნულ სასამართლოში წარუმატებლად ამტკიცებდა, რომ ინფორმაციის გამხელისას ის კეთილსინდისიერად მოქმედებდა და მისი ქმედება კორუფციასთან ბრძოლის მიზანს ემსახურებოდა. ეროვნულმა სასამართლოებმა, იმ საფუძველით, რომ განმცხადებელმა კონფიდენციალურობის მოთხოვნა დაარღვიო და წერილების გასაჯაროებამდე საკითხი სხვა დეპარტამენტების უფროსებთან არ შეათანხმა, ძალაში დატოვეს დამსაქმებლის გადაწყვეტილება.

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ საჯარო მოხელის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის ქრილში უნდა შეფასებულიყო. ეს ფაქტორებია: 1) იყო თუ არა ინფორმაციის გამხელა უკიდურესი ღონისძიება; 2) გამხელილი ინფორმაციის მიმართ საზოგადოების ინტერე-

36 იხ., მაგალითად: *ვოიტას-კალეტა პოლონეთის წინააღმდეგ (Wojtas-Kaletka v. Poland)*, 2009 წლის 16 ივლისი. დეტალურად საქმის მიმოხილვა იხ.: ნ. მჭედლიძე, შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბ., 2019, 52-53; *ფუენტეს ბობო ესპანეთის წინააღმდეგ (Fuentes Bobo v. Spain)*, 2000 წლის 29 თებერვალი. დეტალურად საქმის მიმოხილვა იხ.: ნ. მჭედლიძე და ა. მუხიგულაშვილი, გამომხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, თბ., 2021, 187.

37 იხ. *გუჯა მოლდოვის წინააღმდეგ (Guja v. Moldova)*, დიდი პალატა, 2008 წლის 12 თებერვალი, იხ. ფაქტები, ეროვნული სამართალწარმოება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება.

სი; 3) გამხელილი ინფორმაციის ავთენტურობა; 4) ზიანი, რომელიც უწყებას მიადგა ინფორმაციის გამხელის შედეგად; 5) მოტივი, რომელიც მამხილებელს ამოძრავებდა და 6) დაკისრებული სანქციის სიმკაცრე.

გენერალურ პროკურორს რეაგირება არ ჰქონია სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის არასათანადო კომუნიკაციაზე და, პირიქით, ჩანდა, რომ ის პოლიტიკურ ზემოქმედებას დამორჩილდა. შესაბამისად, უწყების შიგნით მექანიზმის გამოყენება აზრს მოკლებული იყო და გამართლებული იყო პრესისთვის მიმართვა. განმცხადებლის მიერ გასაჯაროებული წერილები დემოკრატიისთვის უმნიშვნელოვანეს შემდეგ საკითხებს ეხებოდა: ხელისუფლების დანაწილებას, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების არასათანადო ქცევასა და პოლიციის მიერ ძალის გადამეტების მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებას. შესაბამისად, ინფორმაციის გასაჯაროების მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა. ამასთან, გამხელილი ინფორმაციის ავთენტურობა სადავო არ ყოფილა. მიუხედავად იმ უარყოფითი ზეგავლენისა, რაც ინფორმაციის გამხელამ უდავოდ მოახდინა პროკურატურაზე, უწყებაზე არასათანადო ზეწოლის შესახებ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად მაღალი იყო, რომ გადაამეტა უწყებისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნების ლეგიტიმურ მიზანს. აგრეთვე, არ არსებობდა საფუძველი ვარაუდისთვის, რომ განმცხადებელი მოტივირებული იყო პირადი სარგებლის მიღების სურვილით, ან სხვა ფარული მოტივი ჰქონდა ინფორმაციის გამხელისას. განმცხადებელი დაექვემდებარა ყველაზე მკაცრ სანქციას – სამსახურიდან დათხოვნას. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო საერთო მსუსხავი ეფექტი, რაც სანქციას შეიძლება ჰქონოდა სხვა მამხილებლებისათვის. ამ მსჯელობის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩაირევა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლად არ მიიჩნია და უფლების დარღვევა დაადგინა. განმცხადებლისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის სახელმწიფოს 10 000 ევროს გადახდის ვალდებულება დაეკისრა.

## 2.2. მამხილებლის დაცვის დაზუსტებული ტესტი – ჰალე ლუქსემბურგის წინააღმდეგ (*Halet v. Luxembourg*)<sup>38</sup>

განმცხადებელი დასაქმებული იყო კომპანია PwC-ში, რომელიც კლიენტებს საგადასახადო საკითხებზე რჩევებს აძლევდა და აუდიტისა და ბიზნესის მართვის მომსახურებას უწევდა, მათი სახელით საგადასახადო დეკლარაციების შედგენის ჩათვლით. 2011 წელს კომპანიის ყოფილმა თანამშრომელმა A.D.-მ 45 000-გვერდიანი მასალა გადასცა ჟურნალისტს, რომელმაც ამ თემაზე სატელევიზიო გადაცემა მოამზადა. 2012 წელს განმცხადებელმა იმავე ჟურნალისტს 16 დამატებითი დოკუმენტი გადასცა. ეს მასალა

38 იხ. ჰალე ლუქსემბურგის წინააღმდეგ (*Halet v. Luxembourg*), დიდი პალატა, 2023 წლის 14 თებერვალი, იხ. ფაქტები, ეროვნული სამართალწარმოება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება.

ჟურნალისტმა გამოიყენა თავის მეორე გადაცემაში, რომელიც პირველიდან ერთი წლის შემდეგ გავიდა ეთერში. განმცხადებელი სამსახურიდან დაითხოვეს და სისხლის სამართლის წესით დასაჯეს. A.D.-ისგან განსხვავებით, მას ეროვნულ სამართალწარმოებაში მამხილებლის სტატუსი არ მიენიჭა. 2012-2014 წლებში მედიასაშუალებებმა კომპანიის ასეულობით კონფიდენციალური დოკუმენტი გამოაქვეყნეს. ეს დოკუმენტები საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდა PWC-სა და საგადასახადო ორგანოებს შორის დადებულ ხელსაყრელ საგადასახადო შეთანხმებებზე.

განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, სულ მცირე, ერთ ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ, სხვათა (PWC) რეპუტაციისა და უფლებების დაცვას. რაც შეეხება უფლებაში ჩარევის აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, დაედასტურებინა და დაეზუსტებინა გუჯას საქმეში შეჯერებული ექვსი კრიტერიუმი.

პირველი გარემოება, რასაც ამონმებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და სუბსიდიურობის პრინციპის ძალით უნდა შეაფასოს ეროვნულმა სასამართლომ, არის ინფორმაციის გასაჯაროების საშუალება. კერძოდ, უნდა დადგინდეს ინფორმაციის გასაჯაროების საუკეთესო არხი, როგორც უკიდურესი საშუალება, როცა აშკარაა, რომ მამხილებელს არ შეუძლია სხვა გზა აირჩიოს. შიდა იერარქიული მექანიზმი, ძირითადად, საუკეთესო გზაა უწყების შიგნით არსებული პრობლემის მოსაგვარებლად, თუმცა არა ყოველთვის, და ზოგჯერ გამართლებულია გარე მექანიზმის გამოყენება, კერძოდ: როცა შიდა მექანიზმი საიმედო ან ქმედითი არაა; როცა, შესაძლოა, მამხილებელი შურისძიებას დაექვემდებაროს; ან ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებაც მამხილებელს სურს, დამსაქმებლის საქმიანობის არსს შეადგენს.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს ეროვნული სასამართლოს მიერ მამხილებლის გამოხატვის თავისუფლებისა და დამსაქმებლის ინტერესების შეფასებას, არის გასაჯაროებული ინფორმაციის ავთენტურობა. ინფორმაციის გასაჯაროებისას მამხილებელს არ მოეთხოვება, დაადგინოს გამხელილი ინფორმაციის ავთენტურობა. მამხილებელს მე-10 მუხლით დაცვაზე უარი არ უნდა ეთქვას მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ინფორმაცია შემდგომში არასწორი აღმოჩნდა. და მაინც, მამხილებლებს მოეთხოვებათ, იმოქმედონ პასუხისმგებლობის გრძნობით და შეძლებისდაგვარად ეცადონ ინფორმაციის გადამოწმებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეროვნული სასამართლოსგან ითხოვს, შეაფასოს მამხილებლის კეთილსინდისიერება. უნდა შემოწმდეს, განმცხადებელს ამოძრავებდა საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედების სურვილი თუ რამე პირადი ინტერესი.

მეოთხე მნიშვნელოვან გარემოებად განისაზღვრა საზოგადოების ინტერესი გამხელილ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლო ითხოვს, შემოწმდეს, ხომ არ იყო საზოგადოების ინტერესი გამხელილ ინფორმაციასთან მიმართებით ისე მაღალი, რომ გადაეძალა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. საზოგადოების ინტერესი შეიძლება არსებობდეს ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, შეუფერებელ საქციელს, უკანონო ქმედებასა თუ გადაცდომას და ხარვეზებს უწყების მუშაობაში, საეჭვო, სადა-

ვო ქმედებებსა და პრაქტიკას.

ქმედებები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია შეიძლება გამხელელი იყოს, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, დიდმა პალატამ შემდეგნაირად დააჯგუფა: 1) უკანონო ქმედება, პრაქტიკა ან საქციელი სამუშაო ადგილას; 2) ქმედება, პრაქტიკა, საქციელი, რომელიც კანონიერია, მაგრამ გასაკიცხია; და 3) ინფორმაცია, რომელიც ეხება საჯარო ხელისუფლების ფუნქციონირებას დემოკრატიულ საზოგადოებაში და გამოიწვია საჯარო დებატები და აზრთა სხვაობა და ამით წარმოშვა საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი ამ ინფორმაციის მიმართ, რათა შეიქმნას ინფორმირებული აზრი იმასთან დაკავშირებით, ხომ არ ექმნება საფრთხე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინტერესებს. საზოგადოების ინტერესის წონა/მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, ინფორმაცია ხვდება პირველ, მეორე თუ მესამე კატეგორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, ძირითადად, ეხება საჯარო ხელისუფლებას ან საჯარო დაწესებულებებს, არ არის გამორიცხული, რომ ის, ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, ეხებოდეს კერძო აქტორების ქცევას, როგორებიცაა კომპანიები. კერძოდ, ამ კატეგორიაში ხვდება მათი ქმედებები, სამეწარმეო პრაქტიკა, კომპანიების დირექტორების პასუხისმგებლობა, საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობა და, ზოგადად, კომპანიების ეკონომიკური საქმიანობა.

მეხუთე გარემოებად ევროპული სასამართლო აფასებს მიყენებულ ზიანს. კერძოდ, დამსაქმებლისთვის მიყენებული ზიანი უნდა შეუპირისპირდეს გასაჯაროებული ინფორმაციის მიმართ არსებულ საზოგადოების ინტერესს. კერძო ინტერესები შეიძლება ასევე იყოს ჩართული, რაშიც იგულისხმება მესამე მხარისთვის მიყენებული ფინანსური თუ რეპუტაციული ზიანი. იმავდროულად, შეიძლება დაზიანდეს საჯარო ინტერესიც, საერთო ეკონომიკური კეთილდღეობა, საკუთრება, საგადასახადო საკითხების კონფიდენციალურობა, პროფესიული კონფიდენციალურობა, მოქალაქეთა ნდობა სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის სამართლიანობაში. ყველა საპირწონე ინტერესი უნდა შეფასდეს, სუბსიდიურობის პრინციპის ძალით, უნინარეს ყოვლისა, ეროვნული სასამართლოს მიერ და კომპლემენტარულად, ევროპული სასამართლოს მიერ.

ბოლო მნიშვნელოვანი ასპექტია მამხილებელზე დაკისრებული სანქციის სიმკაცრე. მამხილებელი შეიძლება დაექვემდებაროს დისციპლინურ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ჰალეს საქმეზე, გაფრთხილების გარეშე სამსახურიდან დათხოვნა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველაზე მძიმე სანქცია იყო, რამაც განმცხადებლისთვის უალრესად ნეგატიური შედეგი გამოიწვია და მსუსხავი ეფექტი მოახდინა მამხილებლების დაცვის თვალსაზრისით. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, ზოგჯერ სისხლის სამართლის სანქცია გამართლებული იყოს, აგრეთვე, დასაშვებია კუმულაციური სანქციები. ცხადია, სანქციის თანაზომიერება ყოველთვის ყველა ზემოაღნიშნული გარემოების ჭრილში ფასდება.

წინამდებარე საქმის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი გარემოება იყო ის, რომ მესამე მხარეს უკვე გასაჯაროებული ჰქონდა ინფორმაცია იმავე დამსაქმებლის საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ გარემოების გამო განმცხადებელს ეროვნულ დონეზე მამხილებლის სტატუსი არ მიენიჭა.

ამასთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ განმარტა, რომ მამხილებლის მიზანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის გამხელა და ყურადღების მიქცევა, არამედ იმ სიტუაციის შეცვლა, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხებოდა. ზოგჯერ საჭიროა განგაშის რამდენჯერმე ატეხა იმავე თემაზე, სანამ პრობლემა ქმედითად არ განიხილება. ლუქსემბურგში გადასახადებისთვის თავიდან აცილების პრაქტიკაზე დებატები უკვე მიმდინარეობდა, მაგრამ ეს სადავო დოკუმენტების გასაჯაროების ინტერესს არ ამცირებდა. ეროვნულმა სასამართლომ შეზღუდვითად განმარტა საზოგადოებრივი ინტერესი მოცემულ საქმეში. აგრეთვე, ზიანის მიყენება მხოლოდ განხილული იყო მხოლოდ PWC-ის მიერ განცდილი ზიანის თვალსაზრისით. ეროვნულ სასამართლოს აგრეთვე არ შეუფასებია მსუსხავი ეფექტი, რაც განმცხადებლის სამსახურიდან დათხოვნას და მსჯავრდებას შეიძლებოდა ჰქონოდა სხვა მამხილებლებისთვის. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არათანაზომიერი იყო და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ საქმეში მორალური ზიანისთვის სახელმწიფოზე დაკისრებულმა თანხამ 15 000 ევრო შეადგინა.

### 2.2.1. არაკეთილსინდისიერების კომპონენტი

როგორც აღინიშნა, მამხილებლისა და დამსაქმებლის ინტერესების შეპირისპირებისას ევროპული სასამართლოს პრაქტიკით იდენტიფიცირებული ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც, სუბსიდიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა მიაქციონ ყურადღება და შეაფასონ, არის კეთილსინდისიერების კომპონენტი. უნდა შეფასდეს, განმცხადებელს ამოძრავებდა პირადი ინტერესები დამსაქმებლის წინააღმდეგ, თუ მის ქმედებებს რაიმე სხვა ფარული მოტივი ჰქონდა. მაგალითად, მამხილებელს შეიძლება ამოძრავებდეს შურისძიების მოტივი დამსაქმებლის წინააღმდეგ წარსულში მის წინააღმდეგ განხორციელებული რაიმე ქმედების გამო, ან, ასეთი ქმედების გარეშე, პირადი ანტიპათიის გამო ესხმოდეს თავს დამსაქმებელს მგრძნობიარე ინფორმაციის გამჟღავნებით.<sup>39</sup> შეიძლება, განმცხადებელს, დამსაქმებლისთვის ზიანის მიყენების პირდაპირი განზრახვის გარეშე, უბრალოდ, საზოგადოების ყურადღების მიქცევა სურდეს ან ფინანსური თუ რამე სხვა დაინტერესება ჰქონდეს.<sup>40</sup>

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ზოგადად, მოტივის დადგენა რთულია. ამ თვალსაზრისით, ერთი შესაძლო ინდიკატორი მამხილებლის კონტექსტში, მაგალითად, არის, თუ რამდენად ეცადა დასაქმებული პირი სიტუაციის გამოსწორებას უწყების შიგნითვე, ან რამდენად ეცადა ინფორმაციის გადამონმებას. მართალია, ეს უფრო სხვა კრიტერიუმების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მაინც მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად პასუხისმგებლობით იქცევა მამხილებელი. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ *გაელიკის* საქმეში, თუმცა განმცხადებელმა, შესაძლებლობის მიუხედავად, ელექტრონული ფაილების ინფორმაცია დამატებით საქალალდეებში არ გადაამონმა, მაინც ჩათვალა,

39 *მატუზე უნგრეთის წინააღმდეგ (Matúz v. Hungary)*, 2014 წლის 21 ოქტომბერი, 47-ე პუნქტი.

40 *ჰაინიში გერმანიის წინააღმდეგ (Heinisch v. Germany)*, 2011 წლის 21 ივლისი, 86-ე პუნქტი.

რომ ის საზოგადოების ინფორმირების მიზნით და კეთილსინდისიერად მოქმედებდა.<sup>41</sup> სამაგიეროდ, *სოარესის* საქმეში არ ჩაითვალა, რომ განმცხადებელი, რომელმაც ბრალდებები მხოლოდ მთავრულ ხმებს დააფუძნა, კეთილსინდისიერად მოქმედებდა.<sup>42</sup>

მოტივის დადგენა რთულია, რადგან, როგორც წესი, მამხილებელი ამტკიცებს, რომ ინფორმაციის გადაცემისას საზოგადოების ინტერესებში მოქმედებდა და ეროვნულ სასამართლოებს ეს საკითხი სათანადო ყურადღებით არ აქვთ განხილული. ამიტომ, რაც არ უნდა საეჭვო იყოს ინფორმაციის გამხელის გარემოებები, ევროპული სასამართლოც ეთანხმება მამხილებელს, რომ ის ალტრუისტული და კეთილსინდისიერი მოტივებით ხელმძღვანელობდა.

ერთი შემთხვევა, როცა კეთილსინდისიერება აშკარად გამორიცხული იყო საჯარო მოხელის მიერ პრესისთვის ინფორმაციის მიწოდებაში, ევროპულმა სასამართლომ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განიხილა. საქმეზე *ნორმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Norman v. the United Kingdom)* დადგენილი ფაქტების თანახმად, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი წლების განმავლობაში გასამრჯელოს სანაცვლოდ ციხის შესახებ ინფორმაციას ყვეთელი პრესის ჟურნალისტს აძლევდა. ბ-ნი ნორმანი სამსახურიდან დაითხოვეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.<sup>43</sup> ბევრ შემთხვევაში, ჟურნალისტისთვის გადაცემული ინფორმაცია საზოგადოების ინტერესის არმქონე იყო. ეროვნულ დონეზე სასამართლო განხილვის დროს დადგინდა, რომ განმცხადებელი ფულით და პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიმართ მძაფრი უარყოფითი დამოკიდებულებით იყო მოტივირებული. ინფორმაციის გამხელის ამდაგვარი მოტივების გამო ევროპულმა სასამართლომ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნა მამხილებლის დაცვის ტესტით არ განიხილა.<sup>44</sup>

### 3. კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა გამონაცხის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მხილებული შეიძლება მხოლოდ საჯარო მოხელე იყოს.<sup>45</sup> სხვა რეგლამენტაციას კანონმდებლობა არ იცნობს. ასეთი შეზღუდვითი მიდგომა მამხილებლის ინსტიტუტთან მიმართებით დაუშვებელია, რადგან მნიშვნელოვანი დარღვევები, რომელთა შესახებ სამართალდამცავმა ორგანოებმა თუ საზოგადოებამ უნდა იცოდნენ, შეიძლება სამოქალაქო სექტორშიც ხდებოდეს, ამ ინფორმაციის მამხილებელი კი შესატყვისი დაცვით უნდა სარგებლობდეს. ისიც უნდა აღინიშნოს,

41 გავლიკი *ლიხტენშტაინის წინააღმდეგ (Gawlik v. Liechtenstein)*, 2021 წლის 16 თებერვალი, 83-ე პუნქტი.

42 *სოარესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Soares v. Portugal)*, 2016 წლის 21 ივნისი, 46-ე პუნქტი.

43 *ნორმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Norman v. the United Kingdom)*, 2021 წლის 6 ივლისი, მე-4-მე-10 პუნქტები.

44 *Ibid.*, 89-ე პუნქტი.

45 იხ. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20<sup>1</sup> თავი.

რომ, თუმცა ერთგულების ვალდებულება შეიძლება უფრო გამოხატული იყოს საჯარო სექტორში დასაქმებული პირების შემთხვევაში, ერთგულების ვალდებულება ახასიათებს კერძო სექტორში არსებულ შრომით ურთიერთობებსაც.<sup>46</sup>

საქმის – გავლიკი ლიხტენშტაინის წინააღმდეგ (*Gawlik v. Liechtenstein*) – ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი იყო ლიხტენშტაინის კლინიკის ექიმი და კლინიკის დირექტორის მოადგილე.<sup>47</sup> განმცხადებელი სამსახურიდან იქნა დათხოვნილი კოლეგის, კლინიკის დირექტორის წინააღმდეგ კეთილსინდისიერი, თუმცა დაუსაბუთებელი საჩივრის შეტანის გამო. კერძოდ, სამედიცინო ელექტრონული ფაილების შემოწმებისას ბ-ნ გავლიკს გაუჩნდა ეჭვი, რომ მთავარი ექიმი პაციენტების მიმართ აქტიურ ევთანაზიას ეწეოდა. მან დაუყოვნებლივ შეიტანა საჩივარი პროკურატურაში. ორი მოწვეული ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, აქტიური ევთანაზია კატეგორიულად გამოირიცხა და კლინიკის დირექტორის წინააღმდეგ გამოძიება შეწყდა. განმცხადებელი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

განმცხადებელმა კლინიკის წინააღმდეგ წარუმატებლად იჩივლა ეროვნულ სასამართლოში, რის შემდეგაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ადმინისტრაციულ უწყებაში საჩივრის შეტანა გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციაა. გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციაა ასევე დასაქმებული პირის მიერ დანესებულების შიგნიდან ინფორმაციის გატანა (დანაშაულებრივ ან მორალურად გასაკიცხ საქმიანობაზე) და პროკურატურისთვის, პრესისთვის ან უშუალოდ საზოგადოებისთვის მიწოდება. შესაბამისად, აღნიშნულის გამო ბ-ნი გავლიკის სამსახურიდან დათხოვნამ მის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა შეადგინა.

უფლებაში ჩარევა ეფუძნებოდა კანონს და ლეგიტიმურ მიზნად ისახავდა საავადმყოფოს ბიზნესრეპუტაციისა და ექიმის რეპუტაციის დაცვას. ევროპული სასამართლოს მიერ შესამოწმებელი ცენტრალური საკითხი იყო უფლებაში ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეჭვი მოწყვლადი და დაუცველი პაციენტების მკვლელობაზე და ამ დანაშაულის განმეორების რისკი გამხელილ ინფორმაციას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვნად აქცევდა და მასთან დაკავშირებით საზოგადოების ინტერესი ცალსახად დადგინდა, თუმცა ეს მნიშვნელობა შემცირდა გაჟღერებული ინფორმაციის სინამდვილისა და სიზუსტის თვალსაზრისით არსებული პრობლემების გამო. კლინიკის დირექტორს არ შეუშინებია სამედიცინო ისტორიების ფაილები, რაც სრულ ინფორმაციას იძლეოდა. მოწვეული ექსპერტების კატეგორიული დასკვნების თანახმად, პაციენტებს მიღებული ჰქონდათ ყველა საჭირო და სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებული პალიატიური მკურნალობა.

46 ჰაინიში გერმანიის წინააღმდეგ (*Heinisch v. Germany*), 2011 წლის 21 ივლისი, 64-ე პუნქტი.

47 გავლიკი ლიხტენშტაინის წინააღმდეგ (*Gawlik v. Liechtenstein*), 2021 წლის 16 თებერვალი, იხ. ფაქტები, ეროვნული სამართალწარმოება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება.

ეროპულიმა სასამართლომ განმარტა, რომ მამხილელის უფლებები დაცულია მე-10 მუხლით მაშინაც, თუნდაც ინფორმაცია აღმოჩნდეს მცდარი, ან ვერ მოხერხდეს მისი დამტკიცება. პირს, რომელიც ჩივის საგამოძიებო ორგანოში, გონივრულად ვერ მოეთხოვება, განსაზღვროს, რამდენად დადგება მოცემულ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი. მიუხედავად ამისა, მამხილებელი პროფესიული ეთიკის შესაბამისად უნდა მოქმედებდეს, ბნ გავლიც კი დამსაქმებლის მიმართ ერთგულების ვალდებულება ჰქონდა. შესაბამისად, პროკურატურისთვის მიმართვამდე მას უნდა გადაემონმებინა ინფორმაციის სიზუსტე. თავისი თანამდებობიდან გამომდინარე, განმცხადებელს ნებისმიერ დროს შეეძლო ენახა საქალაქდები, რაც დიდ დროს არ ნაილებდა.

აქტიური ევთანაზიის შესახებ ბრალდება საკმაოდ მძიმეა და, მართალია, დირექტორის მოადგილეს თავად საჯაროდ არ განუცხადებია ინფორმაცია, საჩივრის შეტანის შემდეგ ფართო საზოგადოებამ შეიტყო ამ ბრალდებების შესახებ. ვინაიდან განმცხადებელს ეჭვები სათანადოდ არ გადაუმონმებია საჩივრის შეტანამდე, ასეთი ინფორმაციის მიღებაზე საზოგადოების ინტერესი ვერ გადაძალავდა რეპუტაციის დაცვაზე დამსაქმებლისა და ექიმის ინტერესებს.

ეროპულიმა სასამართლომ რეაგირების ალტერნატიული არხების შეფასებისას აღნიშნა, რომ კლინიკაში ანონიმური საჩივრების შიდა მექანიზმი მოქმედებდა და მხოლოდ დირექტორი არ იხილავდა სისტემაში უნესრიგობის შესახებ შეტანილ ანონიმურ განცხადებებს, თუმცა სასამართლომ მაინც ღიად დატოვა საკითხი – განმცხადებელს აუცილებლად უნდა მიემართა თუ არა ამ მექანიზმისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდოდ დამნაშავე უშუალო ხელმძღვანელი იყო და ისიც იქნებოდა ჩართული ანონიმური განცხადებების განხილვაში.

ეროვულიმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს რაიმე ფარული პირადი მოტივი ბნ გავლიკის საქციელში. შესაბამისად, ეროპულიმა სასამართლომ ეჭვი ვერ შეიტანა ამ დასკვნაში და დადგინდა, რომ ინფორმაციის გამხელისას განმცხადებელი საზოგადოების ინტერესების ფარგლებში მოქმედებდა.

სამსახურიდან დათხოვნა უმკაცრესი დისციპლინური სახდელია, რომელსაც განმცხადებლის შემთხვევაში ის დამატებითი მძიმე უარყოფითი შედეგი ახლდა, რომ მას და მის ოჯახს ლიხტენშტაინის დატოვება მოუხდა. მან ბინადრობის უფლება დაკარგა და დარჩა უმუშევარი. მიუხედავად ამისა, ეროპულიმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა თანაზომიერი იყო და კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

### 3.1. კომერციული საიდუმლოების დაცვის სახელშეკრულებო ვალდებულება

ზემოთ განხილული საქმის მიმართ საზოგადოების ინტერესი არსებობდა პაციენტების სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით, რაც პოლიტიკურ გამოხატვად ითვლება და დაცვის მომეტებული ხარისხით სარგებლობს. კერძო სექტორში დასაქმებულმა პირმა შეიძლება, სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევით კომერციული საიდუმლო

გამხილოს. მართალია, ასეთ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხი იკლებს, მაგრამ ძალაში მაინც რჩება ეროვნული სასამართლოს მიერ საპირწონე ინტერესების შეპირისპირებისა და მათ შორის სამართლიანი წონასწორობის დამყარების ვალდებულება. ეს ვალდებულება მნიშვნელოვანი და საკმარისი გარემოებების სათანადო შეფასებითა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებით ხორციელდება და აქაც მამხილებლის დაცვის სტანდარტებია გასათვალისწინებელი.

საქმის – *ჰერბაი უნგრეთის წინააღმდეგ (Herbai v. Hungary)* – განმცხადებელი 2006 წლიდან მუშაობდა ბანკში ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტად.<sup>48</sup> მის ფუნქციებში შედიოდა პერსონალის მართვა, ხელფასის კალკულაცია და ანაზღაურების პოლიტიკის რეფორმის შემუშავებაში მონაწილეობა. ეთიკის კოდექსი კრძალავდა ბანკის თანამშრომლების მიერ ოფიციალურად თუ არაოფიციალურად დამსაქმებლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, რაც განმცხადებელზეც ვრცელდებოდა. 2011 წელს ადამიანური რესურსების შესახებ ცოდნის გაზიარების ვებგვერდზე განმცხადებელმა გამოაქვეყნა თავისი პრეზენტაცია (სურათითურთ) და ორი სტატია. მას მითითებული ჰქონდა, რომ მუშაობდა ბანკში (სახელწოდების გარეშე). მომდევნო თვეს განმცხადებელი სამსახურიდან დაითხოვეს.

დათხოვნის საფუძველად მითითებული იყო ის, რომ განმცხადებლის საგანმანათლებლო საქმიანობამ მისი დამსაქმებლის ეკონომიკური ინტერესები დაარღვია. განმცხადებელს, მისი თანამდებობიდან გამომდინარე, ჰქონდა ინფორმაცია, რომლის გამოქვეყნებაც ბანკის ბიზნესინტერესებს არღვევდა.

კომერციულ გამოხატვასთან მიმართებით სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ფართოა და ევროპული სასამართლო ნაკლებად მკაცრად აფასებს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. ამ შემთხვევაშიც, შრომითი ურთიერთობები ნდობას უნდა ემყარებოდეს, თუმცა ეს მოთხოვნა აბსოლუტურად არ უნდა იქნეს დაცული. ზოგადად, დამსაქმებელს აქვს ფართო დისკრეტია იმ სანქციის განსაზღვრისთვის, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება შრომითი დისციპლინის დარღვევას. პირის სამსახურიდან დათხოვნა ძალზე მკაცრი ღონისძიებაა იმ შედეგების გამო, რაც დათხოვნას მოჰყვება პირის რეპუტაციისა და შესაძლებლობისთვის, გაჰყვეს იმ პროფესიას, რაშიც მან განათლება მიიღო და უნარ-ჩვევები და გამოცდილება შეიძინა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მამხილებლის კონტექსტი არ ყოფილა, თუმცა სასამართლომ ზემოთ განხილული ექვსი კრიტერიუმი მაინც გამოიყენა.

გამოხატვის თავისუფლებით მხოლოდ იმდენად არის დაცული ინფორმაცია, რომელიც პირმა დასაქმების პერიოდში შეიტყო, რამდენადაც ეს საზოგადოების ინტერესის მქონე საკითხებს შეეხება. მოცემულ საქმეში გამხელილი ინფორმაცია სპეციფიკური პროფესიული ინფორმაცია იყო. შრომით სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციაც დაცულია გამოხატვის თავისუფლებით და, შესაბამისად, მასზე მე-10 მუხლის მოქმედება ვრცელდება.

48 *ჰერბაი უნგრეთის წინააღმდეგ (Herbai v. Hungary)*, 2019 წლის 5 ნოემბერი, იხ. ფაქტები, ეროვნული სამართალწარმოება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება.

დამსაქმებლისთვის მიყენებული ზიანის ნაწილში ევროპული სასამართლო დაეთანხმა ეროვნული სასამართლოების შეფასებას, რომ განმცხადებლის მიერ გაზიარებული ინფორმაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის პროფესიულ ფუნქციებთან, თუმცა ეროვნული სასამართლოების დასკვნა იყო ავტომატური და, აქედან გამომდინარე, დაირღვა დამსაქმებლის ინტერესი. არც დამსაქმებელს და არც ეროვნულ სასამართლოს არ დაუსაბუთებია, ზიანი კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა.

დაკისრებული სანქციის სიმკაცრის ნაწილში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველაზე მძიმე დისციპლინური სანქციის გამოყენება მოხდა ნაკლებად მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების შესაძლებლობის განხილვის გარეშე. სრულიად დაუსაბუთებელი იყო, თუ რატომ არ ვრცელდებოდა გამოხატვის თავისუფლება ამ შემთხვევაში. აქცენტი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევაზე და არ განხილულა დასაქმებული პირის უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეროვნული სასამართლოს მიერ დაუსაბუთებელი გადანყევითლების მიღების გამო, კონფლიქტურ ინტერესებს შორის სამართლიანი წონასწორობა არ იყო დამყარებული და განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დარღვევად შეფასდა. მორალური ზიანისთვის განმცხადებელმა 10 000 ევროს ოდენობით კომპენსაცია მიიღო.

#### 4. „მიუღებელი“ მამხილებლის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა

შეიძლება პრაქტიკაში წამოიჭრას პრობლემები, როცა დამსაქმებელს უნევს მიუღებელი თანამშრომლის კვლავ სამსახურში აყვანა, მამხილებლის უფლების დარღვევაზე ევროპული სასამართლოს გადანყევითლების აღსასრულებლად, ან, უკეთეს შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლოს ჩართულობის გარეშე, თავად ეროვნული სასამართლოს გადანყევითლების ძალით. ასეთი პრობლემები შეექმნა ზემოთ განხილულ ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელს, როცა ის თავდაპირველ სამუშაოს დაუბრუნდა.

გუჯას საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ ზემოთ განხილული გადანყევითლების გამოტანის შემდეგ განმცხადებელმა ეროვნულ დონეზე პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა მოითხოვა, რაც დაკმაყოფილდა,<sup>49</sup> თუმცა მისი მტკიცებით, მას არ გამოეყო სამუშაო ოთახი და არ მიეცა საშვი შენობაში შესასვლელად. ყოველ დილას მას პროკურატურის შენობის გარეთ ლოდინი უნევდა, ვიდრე საშვს დაუმევბდნენ. ვინაიდან ოთახი არ გამოუყვეს, განმცხადებელი ბიბლიოთეკაში ან პრესის ოთახში იჯდა, მაგრამ, პრესის ოთახიდან ყველა თანამშრომლის გასვლის შემთხვევაში, ისიც უნდა გასულიყო, რის შემდეგაც კარს გარედან უკეტავდნენ. აღნიშნულის მიზეზად სახელდებოდა ის, რომ განმცხადებელს საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება არ ჰქონდა. განმცხადებელს არანაირ დავალებას არ აძლევდნენ. აღდგენიდან 10

49 გუჯა მოლდოვის წინააღმდეგ (*Guja v. Moldova*) (no. 2), 2018 წლის 27 თებერვალი, იხ. ფაქტები, ეროვნული სამართალწარმოება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება.

დღეში განმცხადებელი ფორმალისტური საფუძვლით დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საკმარისად მყარი საფუძველი არსებობდა ვარაუდისთვის – განმცხადებლის თანამდებობიდან მეორე დათხოვნა ჩვეულებრივი შრომითი დავა არ იყო და მას პირველი დათხოვნის მსგავსი შურისძიების ნიშნები ახასიათებდა.

ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია საჭიროდ, განეხილა, ეს ჩარევა იყო თუ არა „კანონით გათვალისწინებული“ და ისახავდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს. რაც შეეხება „დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობას“, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებული დასკვნის მისაღებად საფუძველს ვერ ხედავდა. ევროპული სასამართლოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ეროვნულ სასამართლოებს საერთოდ არ მიუქცევიათ ყურადღება განმცხადებლის არგუმენტისთვის, რომ მისი დათხოვნა იყო ხელისუფლების მცდელობა, თავიდან მოეშორებინა თანამშრომელი, რომელიც 2003 წელს განვითარებული მოვლენების გამო მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეროვნულ სასამართლოებს არ განუხილავთ, შეადგენდა თუ არა განმცხადებლის სამსახურიდან დათხოვნა მის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას.

იმის ნაცვლად, რომ შეესრულებინათ კონვენციით მათთვის მინიჭებული თავიანთი უპირატესი დანიშნულება და შეეფასებინათ კონვენციის კონტექსტში ცენტრალური და არსებითი მნიშვნელობის ფაქტორები, რაც პირის მამხილებლობას უკავშირდებოდა, ეროვნულმა სასამართლოებმა მხოლოდ განიხილეს პირის სამსახურიდან დათხოვნის ფორმალური საფუძვლები.

განმცხადებელმა მორალური ზიანისთვის 10 000 ევრო მიიღო. ამას გარდა, ცხადია, პირველი საქმის მსგავსად, გადაწყვეტილების აღსასრულებლად საჭირო იქნებოდა სახელმწიფოს მიერ განმცხადებლის თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენის უზრუნველყოფა.

## 5. „მიუღებელი“ მამხილებლის დევნა სამუშაო ადგილას

ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში, მამხილებელი სამსახურიდან იქნა დათხოვნილი. მიუხედავად იმისა, შეიძლება არსებობდეს ისეთი შემთხვევები, როცა მამხილებელს სამსახურში ტოვებენ და ოფიციალურად მის მიმართ არანაირი ღონისძიება არ იქონიან განხორციელებული, თუმცა არაოფიციალურად ის შევიწროებასა და ბულინგს ექვემდებარებოდეს.

სამუშაო ადგილას მამხილებლის შევიწროება და ბულინგი განხილულ იქნა საქმეში – *შპადიჯერი მონტენეგროს წინააღმდეგ (Špadijer v. Montenegro)*.<sup>50</sup> განმცხადებელი

50 *შპადიჯერი მონტენეგროს წინააღმდეგ (Špadijer v. Montenegro)*, 2021 წლის 9 ნოემბერი, იხ. ფაქტები, ეროვნული სამართალწარმოება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება.

პენიტენციურ დაწესებულებაში ინსპექტორ-კონტროლიორად მუშაობდა. მან ხუთი თანამშრომლის უხამსი ქმედების შესახებ იჩივლა, რასაც ისინი ქალი პატიმრების მიმართ სჩადიდნენ. თანამშრომლები დისციპლინურ პასუხისმგებლობას დაექვემდებარნენ, ხოლო განმცხადებლის წინააღმდეგ კოლეგების მხრიდან სისტემატიური აქტიური და პასიური ბუღინგი დაიწყო. ამის შესახებ ქ-ნმა სპადიჯერმა წარუმატებლად იჩივლა ეროვნულ სასამართლოში. ეროვნულ სამართალწარმოებაში დადგინდა, რომ ქ-ნ სპადიჯერს მართლაც შეექმნა პრობლემები სამსახურში და რომ ბუღინგმა ზემოქმედება მოახდინა მის შრომისუნარიანობაზე. დადგინდა მიზეზობრივი კავშირი, ერთი მხრივ, თანამშრომლების ქმედებებსა და სახელმწიფოს უუნარობას და, მეორე მხრივ, განმცხადებლის ფსიქოლოგიურ პრობლემებს შორის. ეროვნულმა სასამართლომ, მართალია, დაადგინა მიზეზობრივი კავშირის არსებობა, მაგრამ განმცხადებელს მოსთხოვა მტკიცებულებების წარდგენა ინციდენტებთან დაკავშირებით, კერძოდ, ყოველკვირეულად რა ქმედებები ხორციელდებოდა მის წინააღმდეგ ექვსი თვის განმავლობაში. განმცხადებელმა მხოლოდ რამდენიმე ინციდენტის დადასტურება შეძლო. ეს ინციდენტები ეროვნულმა სასამართლომ იზოლირებულად განიხილა და არა სისტემური ბუღინგის კონტექსტში, რასაც განმცხადებელი, როგორც მამხილებელი, დაექვემდებარა. ქ-ნმა სპადიჯერმა ევროპულ სასამართლოში იჩივლა სამუშაო ადგილას მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზემოქმედების თაობაზე და რომ სახელმწიფომ მისი დაცვა ვერ შეძლო.

ევროპულმა სასამართლომ ეროვნული სამართალწარმოების ზემოაღნიშნული ხარვეზების გამო მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა და მორალური ზიანის კომპენსაციის თანხად 4 500 ევრო განსაზღვრა.

## 6. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან

სუბსიდიურობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა ისარგებლონ მამხილებლის დაცვის ზემოთ განხილული სტანდარტებით, რათა უზრუნველყონ გამოხატვის თავისუფლების დაცვა ევროპული კონვენციის შესაბამისად, თუმცა საქართველოს კანონმდებლობის ზოგიერთი ხარვეზი იმდენად საგულისხმოა, რომ, მიუხედავად ევროპული კონვენციის საქართველოს სამართლის სისტემაში უშუალო მოქმედების ძალისა და თვით კონსტიტუციის მიმართ უპირატესობისა,<sup>51</sup> საკანონმდებლო რეგლამენტაციის ზემოაღნიშნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა მაინც აუცილებელია.

51 იხ. თ. ზარანდია და ნ. მჭედლიძე, საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თ. ზარანდია და ბ. ზოიძე (რედ.), 2023, 200-201.

საქართველოს კანონმდებლობის ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი უკვე აღინიშნა – კერძო სექტორში მამხილებლის დაცვა არ არის უზრუნველყოფილი. რაც შეეხება საჯარო სექტორში მამხილებლის დაცვას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მამხილებლის დეფინიციის დიდი პალატის მიერ გუჯას საქმეში დადგენილ და ჰალეს საქმეში შეჯერებულ კრიტერიუმებსა და, ზოგადად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან შედარებისას ერთგვარი შეუსაბამობა იკვეთება.

კერძოდ, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მხილება არის „პირის (მამხილებლის) მიერ განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან/და საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმირება...“. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „მხილებად ჩაითვლება აგრეთვე მამხილებლის მიერ ... სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადანაცვეტილების მიღების შემდეგ“.<sup>52</sup>

გუჯას და ჰალეს საქმეებში, მამხილებლებმა პირდაპირ მიმართეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და მოახდინეს მათი ინფორმირება. ევროპული სასამართლო, ორივე საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, დაეთანხმა, რომ შიდაუწყებრივი და კომპანიის შიგნით არსებული მექანიზმების გამოყენება აზრს მოკლებული იყო და, შესაბამისად, პირდაპირ საინფორმაციო საშუალებებისთვის მიმართვა გამართლებულად მიიჩნია.

ამისგან განსხვავებით, ზემოთ ციტირებული საკანონმდებლო დებულება პირისთვის მსგავს შესაძლებლობას გამორიცხავს და, შესაბამისად, დასაქმებული პირი მამხილებლის დაცვით ვერ ისარგებლებს, თუ პირდაპირ მიმართა საინფორმაციო საშუალებებს. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იმისთვის, რომ პირი მამხილებლად ჩაითვალოს, მან უნდა მოახდინოს თავდაპირველად „განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან/და საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმირება“. გარე დამოუკიდებელი მექანიზმებისთვის მიმართვის შესაძლებლობის მინიჭება უდავოდ დადებითი ასპექტია, მაგრამ ის გარემოება, რომ მამხილებელს სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება შეუძლია მხოლოდ „განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადანაცვეტილების მიღების შემდეგ“, არაგონივრულად ზღუდავს „საზოგადოებრივი მოდარაჯისთვის“ მიმართვის უფლებას და არც ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტს არ შეესაბამება.

52 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლი, 1-ელი პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი.

## 7. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხილულია მამხილებლის ინსტიტუტის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტი, რისი საჭიროებაც საქართველოს ევროპული კავშირის წევრობაზე განაცხადმა და ევროპული კავშირის კომისიის მიერ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის კონტექსტში განხორციელებული ღონისძიებების შეფასებამ გამოიწვია. ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან შესაბამის უფლებებს ითვალისწინებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას განამტკიცებს. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მამხილებლის გამოხატვის თავისუფლებასა და დამსაქმებლის ინტერესებს შორის სამართლიანი წონასწორობის დადგენის შესახებ არის ის სტანდარტი, რითაც უნდა შეფასდეს საქართველოს მიერ კორუფციასთან ბრძოლის თაობაზე კომისიის რეკომენდაციის შესრულება, თუმცა სტატია გასცდა საჯარო სექტორში მამხილებლის დაცვას და კერძო სექტორში დასაქმებული პირების მიერ სამუშაო ადგილას მოპოვებული ინფორმაციის გასაჯაროების საკითხიც განიხილა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში პირველად მამხილებლის დაცვის ტესტი სისტემურად ჩამოყალიბდა საქმეში – *გუჯა მოლდოვის წინააღმდეგ (Guja v. Moldova)*. დიდმა პალატამ სასამართლოს პრაქტიკაში მანამდე გაბნეული ელემენტები შეაჯამა და ჩამოაყალიბა იმ გარემოებების სახით, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ეს კრიტერიუმები დადასტურდა და დაიხვეწა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადანაცვლებებში საქმეზე – *ჰალე ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Halet v. Luxembourg)* და შემდეგი კრიტერიუმების სახით არის წარმოდგენილი: 1) გამხელილი ინფორმაციის გასაჯაროების საშუალება, 2) გამხელილი ინფორმაციის ავთენტიკურობა, 3) მამხილებლის კეთილსინდისიერება, 4) საზოგადოების ინტერესი გამხელილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, 5) ინფორმაციის გამხელით მიყენებული ზიანი და 6) მამხილებელზე დაკისრებული სანქციის სიმკაცრე.

თავშეკავებულობის ვალდებულებიდან გამომდინარე, რაც თანამშრომელს დამსაქმებლის მიმართ აქვს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, პირველ რიგში, მონმდება, არის თუ არა ინფორმაციის გასაჯაროება უკიდურესი ღონისძიება მას შემდეგ, რაც ის მიენოდა ზემდგომ ან სხვა უფლებამოსილ უწყებას, თუმცა, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობით გამორიცხულია უშუალოდ „საზოგადოებრივი მოდარაჯისთვის“ ინფორმაციის მიწოდება, ვიდრე შიდა და გარე მექანიზმების მიერ შესატყვისი გადანაცვლებები არ იქნება მიღებული. მსგავსი რეგლამენტაცია გაუმართლებლად ზღუდავს მამხილებლის შესაძლებლობებს, მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება.

მეორე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზი, რაც სტატიაში იქნა იდენტიფიცირებული, არის კანონმდებლობით სამოქალაქო სექტორში დასაქმებული პირისთვის მამხილებლის დაცვის გარანტიების გაუთვალისწინებლობა მაშინ, როდესაც ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დაცულია კერძო სექტორში დასაქმებული პირის პოლიტიკუ-

რი გამოხატვაც და კომერციული გამოხატვაც. კერძო სექტორში დასაქმებულმა პირმა შეიძლება სახელმეკრულებო ვალდებულებების დარღვევით კომერციული საიდუმლო გაამხილოს. მართალია, ასეთ შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხი იკლებს, მაგრამ ძალაში მაინც რჩება ეროვნული სასამართლოს მიერ საპირწონე ინტერესების შეპირისპირებისა და მათ შორის სამართლიანი წონასწორობის დამყარების ვალდებულება. ეს ვალდებულება მნიშვნელოვანი და საკმარისი გარემოებების სათანადო შეფასებითა და დასაბუთებული გადანყვეტილების მიღებით ხორციელდება და აქაც მამხილებლის დაცვის სტანდარტებია გასათვალისწინებელი.

სტატიაში ევროპული სასამართლოს საქმეების მიმოხილვა საგულისხმო ინფორმაციას ითვალისწინებს ეროვნული სასამართლოს მიერ დამსაქმებლის ინტერესებსა და მამხილებლის გამოხატვის თავისუფლებას შორის სამართლიანი წონასწორობის დასადგენად. ეს უკავშირდება, მათ შორის, კეთილსინდისიერების შემონახვის ვალდებულებას. კეთილსინდისიერების კომპონენტი განსაკუთრებით რთული დასადგენია ევროპული სასამართლოსთვის, როცა ამ საკითხს ეროვნული სასამართლოები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან. როცა ინფორმაციის გამხელისას გამორიცხულია კეთილსინდისიერების კომპონენტი და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების ალტრუისტული და სხვა კეთილშობილური მოტივები არ არსებობს, შესაძლებელია, ინფორმაციის გამხელის არასათანადო მოტივების გამო ევროპულმა სასამართლომ მამხილებლის დაცვის ტესტის გამოყენებაზე საერთოდ უარი თქვას და, ზოგადად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერება შეაფასოს.

სტატია მნიშვნელოვან ინფორმაციას ითვალისწინებს ისეთ პრაქტიკულ პრობლემებზე, როცა დამსაქმებლისთვის მიუღებელი მამხილებელი პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენილია, ან ის სამსახურიდან არ გაუთავისუფლებიათ, მაგრამ ექვემდებარება შევიწროებასა და ბუღინგს. ამ შემთხვევაში, ეროვნულმა სასამართლომ გაუმართლებელი ტვირთი არ უნდა დააკისროს დასაქმებულ პირს და მამხილებლობის კონტექსტში უნდა განიხილოს სამსახურში შექმნილი პრობლემები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი პრაქტიკის მიმოხილვით, სტატიის მიზანია, ხელი შეუწყოს საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორებასა და შრომით დავებში მამხილებლის სათანადოდ იდენტიფიცირებისა და ევროპული სტანდარტის შესაბამისად დაცვის უზრუნველყოფას.

# ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული კლიმატის სამართალწარმოება ევროპულ სასამართლოში: მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა

თამარ ონიანი

## 1. შესავალი

კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის არაერთ უფლებაზე, განსაკუთრებით კი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებებზე.<sup>1</sup> ამას მოწმობს ისიც, რომ 2015 წლიდან მთელი მსოფლიოს ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლოებში კლიმატის ცვლილებაზე დაფუძნებული ოთხმოცზე მეტი საქმეა შეტანილი.<sup>2</sup> 2024 წლის 9 აპრილს ევროპულმა სასამართლომ თავისი არსებობის ისტორიაში პირველი გადაწყვეტილება გამოიტანა კლიმატის ცვლილების საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით.<sup>3</sup> საქმე „კლიმასენიორინები“ *შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland)*<sup>4</sup> იწვევს იმით, რომ სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა სამართლით დადგენილ ვალდებულებად განესაზღვრა სათბურის აირების (GHG) ემისიების შეზღუდვა.<sup>5</sup>

- 1 UN Special Rapporteur on Human Rights and Environment, Report: Safe Climate, A/74/161, 2019, 17-24.
- 2 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები *შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland)*, 2024 წლის 9 აპრილი; გლობალური მართლმსაჯულების კლინიკის, კლიმატის სამართალწარმოების აქსელერატორისა და პროფესორ კრისტიან ვოიგტის (ოსლოს უნივერსიტეტი), სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, 394-ე პუნქტი.
- 3 აღსანიშნავია მანამდე სასამართლოში შეტანილი ორი საქმე, რომლებიც სწორედ 2024 წლის 9 აპრილს, დაუშვებლად იქნა ცნობილი, თუმცა, ერთიანობაში, შვეიცარიის წინააღმდეგ საქმესთან ერთად, ქმნის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სტანდარტს. ესენია: *კარემი საფრანგეთის წინააღმდეგ (Carême v. France)*, 2024 წლის 9 აპრილი (დაუშვებლად იქნა ცნობილი მსხვერპლის სტატუსის არარსებობის გამო, ვინაიდან მომჩივანი აღარ ცხოვრობდა საფრანგეთში), და *დუერტე აგოსტინიო და სხვები პორტუგალიის და 32 სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ (Duarte Agostinho and Others v. Portugal and 32 Others)*, 2024 წლის 9 აპრილი (დაუშვებლად იქნა ცნობილი 32 სხვა სახელმწიფოსთან მიმართებით ტერიტორიული იურისდიქციის არარსებობის გამო, ხოლო პორტუგალიასთან მიმართებით, უფლების დაცვის შიდა საშუალებების არამოწურვის გამო).
- 4 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები *შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland)*, 2024 წლის 9 აპრილი.
- 5 D. Lupin, M.A. Tigre, N.U.Gutiérrez, KlimaSeniorinnen and Gender, VerfBlog, 2024/5/09, <https://verfassungsblog.de/klimaseniorinnen-and-gender/>, DOI: 10.59704/ed143b1f3605ebcc, [01.09.2024].

ამ გადანყევტილებას კონცეპტუალური კავშირი აქვს ევროკავშირის მიერ ახალმოდებული (2024 წლის 25 ივლისი) დირექტივასთანაც (კორპორაციული მდგრადობის სათანადო გულმოდგინება (CSDDD))<sup>6</sup> და იგი მნიშვნელოვანია, ვინაიდან კლიმატის ცვლილების პოლიტიკა განგრძობადად მნიშვნელოვანია და, როგორც სასამართლო აღნიშნავს, იგი, გულისხმობს „თაობათაშორისი ტვირთის განაწილებას“.<sup>7</sup> შესაბამისად, ვინაიდან კლიმატის ცვლილება და მისგან მომდინარე შედეგები ეხება საზოგადოების ყველა წევრს, ჩნდება კითხვა, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს უფლებამოსილ პირად, მსხვერპლის სტატუსით აწარმოოს ამგვარი დავა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სასამართლოში. სწორედ შვეიცარიის წინააღმდეგ ამ გადანყევტილების გამოტანამდე საკვანძო საკითხი იყო, შეეძლო თუ არა ფიზიკურ პირს, ედავა კონკრეტული და ინდივიდუალური ზიანის თაობაზე, იმის მიღმა, რაც მან განიცადა, როგორც ფართო საზოგადოების წევრმა, რათა მიჩნეული ყოფილიყო კონვენციის მიზნებისთვის მსხვერპლის სტატუსის მქონედ.<sup>8</sup>

წინამდებარე სტატიის მიზანია, განიხილოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული კლიმატის სამართალწარმოების სტრატეგია მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით კლიმასენიორინების საქმის მაგალითზე და გამოკვეთოს ამ კუთხით საკვანძო მიდგომები. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ძალიან ხშირად სწორედ სამართალწარმოების სტრატეგიაზე დამოკიდებული საქმის წარმატება, ხოლო, თავის მხრივ, საქმის წარმატება ვერ გაიზომება მხოლოდ დარღვევის დადგენით ან/და ფულადი კომპენსაციის მინიჭებით. ისეთ საქმეებში, რომლებსაც, თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე, შესწევთ ძალა, შექმნან პრეცედენტი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, სასამართლო რა განზომილებით დაინახავს პრობლემურ გარემოებას, და, შესაბამისად, თავის ტექსტში, პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს იმ ზოგად ღონისძიებებზე, რომლებიც სამომავლოდ მსგავსი პრობლემების თავიდან ასარიდებლად უნდა განახორციელოს მოპასუხე სახელმწიფომ. ამასთან, ამგვარი პრეცედენტი არა მარტო მოპასუხეს აკისრებს გადანყევტილების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულებას, არამედ ქმნის პრეცედენტს კონვენციის სხვა მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის.

შესაბამისად, საქართველოსთვისაც, როგორც სახელმწიფოსთვის, რომელიც არის ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, და, სადაც სულ უფრო ხშირად ხდება, მათ შორის, სავარაუდოდ, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი

6 Directive (EU) 2024/1760 of the European Parliament and of the Council of 13 June 2024 on corporate sustainability due diligence and amending Directive (EU) 2019/1937 and Regulation (EU) 2023/2859, <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2024/1760/oj>, [02.09.2024].

7 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 419-ე პუნქტი.

8 R. Spano, Recent developments in Climate Change Litigation, Webinar Recording, 16:00-16:24, [https://www.39essex.com/events/recent-developments-climate-change-litigation?fbclid=IwY2xjawFCKD5leHRuA2FibQlXMAABHTOCROk0ebMJLMQeo7ozPCqNZF1IHn2h5AKZ2gpNF74SSLpa2pRAYNjHNg\\_aem\\_5C1kbpNbKFy57DOAzudSSw](https://www.39essex.com/events/recent-developments-climate-change-litigation?fbclid=IwY2xjawFCKD5leHRuA2FibQlXMAABHTOCROk0ebMJLMQeo7ozPCqNZF1IHn2h5AKZ2gpNF74SSLpa2pRAYNjHNg_aem_5C1kbpNbKFy57DOAzudSSw), [02.09.2024].

კატასტროფები,<sup>9</sup> არსებითია ევროპული სტანდარტის სწორი ინტერპრეტაცია, მათ შორის, საქართველოს ეროვნული სასამართლოების, როგორც საერთო, ისე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.<sup>10</sup>

სტატიის მოსამზადებლად გაანალიზდა არა მხოლოდ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, არამედ დამატებით დეტალურად იქნა შესწავლილი საქმის – „კლიმასენიორინები“ შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*) (საჩივარი, მასში მოყვანილი არგუმენტაციის ლოგიკა, მათ შორის, მოხმობილი წყაროების ანალიზის შედეგად, და, მასთან დაკავშირებით, შვეიცარიის მთავრობისა და მომჩივანი მხარის დამატებითი წერილობითი პოზიციები, რომლებიც მათ ამ საქმის წარმოების დროს ევროპულ სასამართლოში წარადგინეს, ასევე, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები.<sup>11</sup>

9 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ – საადვოკაციო დოკუმენტი, 2023, 7, ციტ.: გარემოს ეროვნული სააგენტო, „2023 წლის 3 აგვისტოს მდ. ბუბისწყლის ხეობაში (მდ. ჭანჭახის აუზი) განვითარებული სტიქიური მოვლენების პირველადი შეფასება“, 2023, 5. ამ დასკვნის თანახმად, 2023 წელს შოვეში, რაჭაში განვითარებულ სტიქიურ, გეოლოგიურ და ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებს „[...] ხელი შეუწყო ბოლო პერიოდში მომატებულმა ჰაერის ტემპერატურულმა ფონმა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა მყინვარების ინტენსიურმა დნობამ და თანმდევა ატმოსფერულმა ნალექებმა.“

10 აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილების სამართალწარმოების საქმეებში საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების შედარებითი ანალიზი სამ განსხვავებულ მიდგომას ავითარებს ძალაუფლების გამოიჯვრის საკითხთან დაკავშირებით: (1) სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლო განხილვა, როდესაც მთავრობის ქმედება ან უმოქმედობა საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებს; (2) სასამართლოები უფლებამოსილნი იყვნენ, განეხილათ მთავრობის ქმედებების ან უმოქმედობის კანონიერება, მაგრამ მთავრობებს ჰქონდათ დიდი დისკრეტია კლიმატის საბოლოო მიზნების დადგენისას; (3) სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მათ არ შეუძლიათ უკარნახონ კონკრეტული სტანდარტები ან საშუალებები სახელმწიფოს შემარბილებელი ქმედებების მიზანშეწონილობის საკითხებზე (ან მის არარსებობაზე), მაშინაც კი, როდესაც სასამართლომ შეიძლება დანიშნოს გარკვეული სახის დეკლარაციული ღონისძიებები – იხ. *შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland)*, 2024 წლის 9 აპრილი, 407-ე პუნქტი, კოლუმბიის სამართლის სკოლაში კლიმატის ცვლილების სამართლის საბინის ცენტრის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

11 დოკუმენტები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი: [https://climatecasechart.com/non-us-case/union-of-swiss-senior-women-for-climate-protection-v-swiss-federal-council-and-others/#:~:text=The%20Court%20found%20that%20Switzerland,or%20national%20GHG%20emissions%20limitations., \[02.09.2024\].](https://climatecasechart.com/non-us-case/union-of-swiss-senior-women-for-climate-protection-v-swiss-federal-council-and-others/#:~:text=The%20Court%20found%20that%20Switzerland,or%20national%20GHG%20emissions%20limitations., [02.09.2024].)

## 2. „კლიმასენიორინები“ შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*) – საჩივრის სტრატეგიის შესახებ

### 2.1. ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი დასაბუთების მოკლე მიმოხილვა

საჩივარი ევროპულ სასამართლოში შვეიცარიულმა ასოციაციამ შეიტანა, რომელიც 1800-ზე მეტ ხანდაზმულ ქალბატონს აერთიანებდა, მათგან 4 კი ასაკით 78-იდან 89 წლამდე იყვნენ, ასევე, ინდივიდუალურ მომჩივნებს, რომლებიც დავობდნენ, რომ მათი სიცოცხლის უფლებასა და პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებებზე პირდაპირ გავლენას ახდენდა კლიმატით გამოწვეული სიცხეები, იმის გამო, რომ შვეიცარიას არ უზრუნია სათბურის აირების შემცირებაზე.<sup>12</sup> სასამართლოს რეგლამენტის 41-ე მუხლის თანახმად, მომჩივნებმა, ასევე, მიმართეს სასამართლოს თხოვნით, დაეჩქარებინა საჩივრის განხილვა, რადგანაც მისი შინაარსი ასახავდა სასამართლოს პრიორიტეტიზაციის პოლიტიკის I, II და III კატეგორიებს.<sup>13</sup> ამას მომჩივნები საჩივრის უკიდურესი აქტუალობისა და განმცხადებლების ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ღირსების მიმართ არსებული საფრთხეებით ასაბუთებდნენ. მომჩივანთა მტკიცებით, კლიმატის ცვლილება, ალბათ, ყველაზე აქტუალური საგანგებო მდგომარეობაა კაცობრიობის წინაშე. მომჩივნებმა, ასევე, დაასაბუთეს, რომ საჩივრის დროულ გადანყევტას შეიძლება მოეხდინა მნიშვნელოვანი გავლენა შიდასამართლებრივ სისტემებსა და, ზოგადად, ევროპულ სისტემაზე.

12 იხ. საჩივრის ელექტრონული ვერსია: <https://shorturl.at/fkfEv>, [02.09.2024].

13 ECtHR, The Court's Priority Policy, chrome-extension://efaidnbmnnnnbpccajpcgiclfndmkaj/[https://prd-echr.coe.int/documents/d/echr/Priority\\_policy\\_ENG](https://prd-echr.coe.int/documents/d/echr/Priority_policy_ENG), [02.09.2024]. პირველი კატეგორია ეხება გადაუდებელ საჩივრებს (განსაკუთრებით, როდესაც არის განმცხადებლის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის რისკი, განმცხადებლის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სავარაუდო დარღვევის პირდაპირი შედეგია თავისუფლების აღკვეთა, სხვა გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია განმცხადებლის პირად ან ოჯახურ მდგომარეობასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სადავო ბავშვის კეთილდღეობა, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის გამოყენება); მეორე კატეგორია ეხება საჩივრებს, რომლებიც აჩენს კითხვებს, რომლებსაც შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ კონვენციის სისტემის ეფექტიანობაზე (კერძოდ, სტრუქტურული ან ენდემური სიტუაცია, რომელიც სასამართლოს ჯერ არ განუხილავს, საპილოტე გადანყევტილების პროცედურა) ან საჩივრები, რომლებიც ეხება საერთო ინტერესის მნიშვნელოვან საკითხს (კერძოდ, სერიოზული კითხვა, რომელსაც შეუძლია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს შიდასამართლებრივ სისტემებზე ან ევროპულ სისტემაზე); მესამე კატეგორია ეხება საჩივრებს, რომელთა მთავარი საკითხებიც ეხება კონვენციის მე-2, მე-3, მე-4 ან 5 § 1 მუხლებს („ძირითადი უფლებები“), განურჩევლად იმისა, არის თუ არა ისინი განმეორებადი და გამოიწვია თუ არა ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლებისთვის პირდაპირი საფრთხე.

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ საშუალო წლიური ტემპერატურა შვეიცარიაში დაახლოებით 2,1°-ით გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1864 წლიდან იგი იზომება,<sup>14</sup> და, სავარაუდოდ, კვლავ განაგრძობს ზრდას. 2003, 2015, 2018 და 2019 წლების ზაფხულები კი 4 ყველაზე ცხელი ზაფხული იყო, რაც კი შვეიცარიაში ოდესმე დაფიქსირებულა, და სიცხეს თან ახლდა სიცხესთან დაკავშირებული სიკვდილის ფაქტები, განსაკუთრებით კი ასაკოვან ქალბატონებში. მოსარჩელე მხარემ მტკიცებულებად მოიხმო კლიმატის ცვლილების შესახებ სამთავრობათაშორისო პანელის (IPCC) შეფასება, რომ სიცხის დროს გაზრდილი სიკვდილიანობა ადამიანის მიერ გამოწვეული გლობალური დათბობის შედეგია.<sup>15</sup> ამასთან, მათ მოიყვანეს სამეცნიერო წყარო, რომლის თანახმადაც, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სიცხე ახდენს ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას და დაიმონმეს თავად მოპასუხე სახელმწიფოს მონაცემები უკანასკნელ ზაფხულებში სიცხესთან დაკავშირებული გაზრდილი სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებლის შესახებ.<sup>16</sup>

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ისინი მიეკუთვნებიან ნაკლებად დაცულ ჯგუფს მათი ასაკისა და გენდერის გამო. სიცხესთან დაკავშირებული სიკვდილიანობა კი უფრო ხშირად ხანდაზმულ ადამიანებში ხდება და 75 წელს ზემოთ ქალბატონები, შედარებით საზოგადოების სხვა წევრებთან, განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ არიან, დაკარგონ სიცოცხლე, ან სიცოცხლესა და ოჯახურ თუ პირად ცხოვრებაზე მძიმე შედეგები იწვნონ. მომჩივნებს, რომლებიც იყვნენ ფიზიკური პირები, ჰქონდათ სხვადასხვა მიზეზი, რის გამოც ისინი თავს საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილ პირებად მიიჩნევდნენ. კერძოდ, ყველა ასეთი მომჩივანი ამტკიცებდა, რომ გადაიტანა, ან განგრძობადად აწუხებდა სიცხესთან დაკავშირებული ავადმყოფობები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ ცხოვრების დაგეგმვა ამინდის შესაბამისად უწევთ, რის გამოც გამუდმებით თვალს ადევნებდნენ ამინდის პროგნოზს. ხშირად რჩებოდნენ სახლში, ჩაბნელებულ ფანჯრებში, რაც მათ დღის სინათლესა და სუფთა ჰაერზე წვდომას უზღუდავდა. თავის მხრივ კი, სახლში დარჩენა და საჯარო ღონისძიებებს მოწყვეტა აღრმავებდა მათ მარტოობას, სევდასა და შფოთვის. ამ ყოველივედან გამომდინარე კი, იზრდებოდა მათი ნაადრევი სიკვდილის რისკი. მომჩივნები მიუთითებდნენ, რომ მოსალოდნელია მსგავსი სიცხის პერიოდების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა, და თავიანთ საჩივარში ციტირებდნენ მოპასუხე სახელმწიფოს განცხადებას, რომ „ცხელი ზაფხულები მოსალოდნელია, გახდეს ნორმა კლიმატის ცვლილების გამო“.<sup>17</sup>

საჩივარი მიუთითებდა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო კლიმატის საერთაშორისო სამართლის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაცია.<sup>18</sup> კერძოდ, შვეიცარიამ 1993 წელს მოახდინა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) რატიფიცირება,

14 იხ. საჩივრის ელექტრონული ვერსია: <https://shorturl.at/fkfEv>, [02.09.2024], ციტ. Federal Office of Meteorology and Climatology MeteoSwiss, Climate Change in Switzerland.

15 იქვე, საჩივრის დამატებითი ინფორმაცია, 1-ელი პუნქტი, ციტ. IPCC, Fifth Assessment Report 2014 (AR5), Impacts, Adaptation, and Vulnerability, 720 (doc. 25, 716).

16 იქვე, საჩივრის დამატებითი ინფორმაცია, მე-2 პუნქტი.

17 იქვე, მე-4-მე-13 პუნქტები.

18 იქვე, მე-14-22-ე პუნქტები.

რათა ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის სტაბილიზაცია განხორციელებულიყო იმ დონემდე, რომ გამორიცხული ყოფილიყო კლიმატზე ანთროპოგენური ზეგავლენა. მომჩივნები დავობდნენ, რომ, UNFCCC-ის მხარეებმა აღიარეს, 2010 წლისთვის პრინციპულ ზღვარზე 2<sup>o</sup>-ით მეტი აღარ მიჩნეულიყო უსაფრთხოდ, ხოლო 2015 წლიდან მხარეები, მათ შორის შვეიცარია, შეუერთდა პარიზის შეთანხმებას, რომელიც ისწრაფვის ტემპერატურის ზრდის 1,5<sup>o</sup>-ამდე შეზღუდვისკენ. მომჩივანთა მტკიცებით, სახელმწიფო რომ ამ ნიშნულს იცავდეს, წელიწადში 1550 სიცხესთან დაკავშირებული სიკვდილის (უმეტესად, მომჩივანთა მსგავსად, ქალების) თავიდან არიდება იქნებოდა შესაძლებელი. მომჩივნებს სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის მტკიცებულებად თავად სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციაც მოჰყავდა, სადაც, აღიარებული იყო აღნიშნული.

თავდაპირველად მომჩივნებს ეროვნულ დონეზე უარი ეთქვათ საჩივრის განხილვაზე დაზარალებულის სტატუსის უქონლობის გამო.<sup>19</sup> სახელმწიფოს მტკიცებით, „CO<sub>2</sub> ემისიების შემცირება მიზნად არის დასახული, არა მარტო, მომჩივნების უფლებრივი მდგომარეობისთვის, არამედ, მსოფლიოში არსებული სიტუაციისთვის“. ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომაც უარი უთხრა მომჩივნებს საჩივრის განხილვაზე იმ არგუმენტით, რომ ისინი კონკრეტული შედეგების მიხედვით საზოგადოებისაგან განკერძოებულნი არ იყვნენ. ამასთანავე, უზენაესი სასამართლოს დასაბუთებით, მომჩივნებს, ისევე როგორც დანარჩენ საზოგადოებას, „სათანადო ინტენსივობით“ არ უქადდა საფრთხეს მოპასუხე სახელმწიფოს ემისიები. სასამართლოს თანახმად, ჯერ კიდევ იყო დრო და გლობალური დათბობის ლიმიტი 2040 წლამდე ვერ იქნებოდა მიღწეული. ამის საპირისპიროდ, მომჩივნები საჩივარში ამტკიცებდნენ, რომ CO<sub>2</sub>-ის ატმოსფეროში კონცენტრაციის ეს განგრძობადი სიტუაცია ქმნიდა კლიმატის გამოუსწორებელ და უკონტროლო ვითარებას.

მომჩივნები დავობდნენ: ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლზე, იმ არგუმენტით, რომ სასამართლომ გულმოდგინედ არ შეისწავლა საქმე; კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებზე, რადგან სახელმწიფო ეფექტიანად არ იცავდა მომჩივნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას იმით, რომ არ შემოიღო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო მათი სიცოცხლისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დასაცავად; ამასთან, ისინი უთითებდნენ, რომ სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში შეზღუდული იყო, რადგან საქმე ეხებოდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას; ფუნდამენტურ უფლებებს (მე-2 და მე-8 მუხლები) და შეუქცევადი ზიანის დადგომის გარდაუვალობას. ამ უფლებებთან კავშირში, საჩივრის ავტორები ასევე დავობდნენ კონვენციის მე-13 მუხლზე (უფლების დაცვის ქმედითი საშუალების უფლება), რადგან ეროვნულ დონეზე არცერთ ინსტიტუტსაც მათი საჩივარი გულმოდგინედ არ შეუსწავლია.

### მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით განმცხადებლების არგუმენტაცია

ყველა მომჩივანი, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები, მიუთითებდა, რომ ჰქონდათ პირდაპირი მსხვერპლის სტატუსი, და აღნიშნულს საფუძვლად ედო მოპასუხე სახელმწიფოს მიერ პარიზის შეთანხმების თანახმად სათბურის აირების უსაფრთხო

19 იქვე, 24-ე-28-ე პუნქტები.

ზომამდე შემცირების ვალდებულების შეუსრულებლობა. ქვემოთ მოცემულია მათი დასაბუთების ძირითადი ასპექტები.

ა) ფიზიკური პირები ამტკიცებდნენ, რომ ისინი საჩივრის მიზნებისთვის პირდაპირ მსხვერპლებად ითვლებოდნენ შემდეგი 4 მიზეზის გამო:

მომჩივანმა ფიზიკურმა პირებმა განიცადეს და განგრძობადად განიცდიან სიცხესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფორმის ზიანს. კერძოდ, მეორე მომჩივანი ატარებდა კარდიოსტიმულატორს, მესამე მომჩივანს კი ჰქონდა კარდიოვასკულარული დაავადება. სიცხიან ზაფხულებში მას არ შეეძლო საცხოვრებლის დატოვება და მოწყვეტილი იყო გარესამყაროს; მეოთხე მომჩივანიც ჩიოდა, რომ განსაკუთრებული სიცხე მის ასთმასა და ქრონიკულ ობსტრუქციულ ფილტვისმიერ დაავადებას აუარესებდა; მეხუთე მომჩივანსაც, ასევე, ჰქონდა ასთმა. ისინი საჩივარზე დართულ დეტალურ ჩვენებებში განმარტავდნენ თავიანთ ინდივიდუალურ მდგომარეობას. მათ დამატებით წარადგინეს, ასევე, სამედიცინო დოკუმენტებიც, სადაც მითითებული იყო, რომ, მაგალითად, დაკარგეს გონი ზაფხულში სიცხის დროს.

ყოველი სიცხის დროს მომჩივანი ფიზიკური პირები (განსაკუთრებით ისინი, ვისაც რესპირატორული დაავადებები აწუხებდათ) იყვნენ და კვლავაც არიან სიკვდილიანობისა და ავადობის რეალური და სერიოზული რისკის ქვეშ, ვიდრე ზოგადად მოსახლეობა. ამ არგუმენტის გასამყარებლად მათ მოიხმეს ევროპული სასამართლოს მიერ 2008 წელს გადამწყვეტილი საქმე *ბარდენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Burden v. the United Kingdom)*.<sup>20</sup> ამ საქმეში ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ იმისათვის, რათა პირმა შეძლოს საჩივრის შეტანა კონვენციის 34-ე მუხლის<sup>21</sup> შესაბამისად, პირს, არასამთავრობო ორგანიზაციას ან პირთა ჯგუფს უნდა შეეძლოს, გააცხადოს პრეტენზია, რომ იგი არის კონვენციაში გათვალისწინებული უფლების/უფლებების დარღვევის მსხვერპლი, ხოლო ამისთვის პირს სადავო ღონისძიება პირდაპირ უნდა ეხებოდეს.<sup>22</sup> ამრიგად, კონვენცია არ ითვალისწინებს *actio popularis* საჩივრის შეტანის შესაძლებლობას, შესაბამისად, ისეთ ინტერპრეტაციას, რომ კონვენცია უფლებას აძლევს ინდივიდებს, იჩივლონ ეროვნული კანონმდებლობის დებულებებზე მხოლოდ იმიტომ, რომ, მათი აზ-

20 *ბარდენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Burden v. the United Kingdom) [GC]*, 2008 წლის 29 აპრილი, 33-ე-35-ე პუნქტები.

21 ევროპული კონვენციის 34-ე მუხლი ინდივიდუალური საჩივრის უფლებას განსაზღვრავს და იგი შემდეგნაირია: „საჩივრით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ ან ცალკეულ პირთა ჯგუფმა, რომელსაც მიაჩნია, რომ მსხვერპლია რომელიმე მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევისა. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით დააბრკოლონ ამ უფლების სრულად განხორციელება.“

22 *ბარდენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Burden v. the United Kingdom) [GC]*, 2008 წლის 29 აპრილი, 33-ე პუნქტი, ციტ.: *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom)*, 1978 წლის 18 იანვარი, 23940 პუნქტები; *ეკლა გერმანიის წინააღმდეგ (Eckle v. Germany)*, 1982 წლის 15 ივლისი, 66-ე პუნქტი; *კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (Klass and Others v. Germany)*, 1978 წლის 6 სექტემბერი, 33-ე პუნქტი.

რით, ეს ნორმები ეწინააღმდეგება კონვენციას, იმის დადასტურების გარეშე, რომ სადავო ღონისძიებები მათზე პირდაპირ ახდენს გავლენას.<sup>23</sup> ამასთანავე, პირს შეუძლია განაცხადოს, რომ ეროვნული სამართალი არღვევს მის უფლებებს, ინდივიდუალური ღონისძიების არარსებობის შემთხვევაშიც კი, თუ მას მოეთხოვება, შეცვალოს თავისი ქვეყა ან არის სისხლისსამართლებრივი დევნის საფრთხის წინაშე,<sup>24</sup> ან, თუ ის არის იმ ადამიანთა ჯგუფის წევრი,<sup>25</sup> რომლებიც კანონმდებლობის პირდაპირი ზეგავლენის რისკის ქვეშ არიან.<sup>26</sup>

ფიზიკური პირები ამტკიცებდნენ, რომ ისინი საჩივრის მიზნებისთვის პირდაპირ მსხვერპლებად ითვლებოდნენ, ასევე, ყველა იმ შედეგის „კუმულაციური ეფექტის“ გამო, რომლებიც განმცხადებლებმა უკვე განიცადეს და განიცდიან მომავალში. ამ არგუმენტის გასამყარებლად მომჩივნებმა მოიხმეს ევროპული სასამართლოს ორი გადაწყვეტილება, საქმეებზე: გრიმოვსკაია უკრაინის წინააღმდეგ (*Grimkovskaya v. Ukraine*,<sup>27</sup> და ფადეიევა რუსეთის წინააღმდეგ (*Fadeyeva v. Russia*).<sup>28</sup> ამ საქმეებში სასამართლომ სწორედ სხვადასხვა გარემოების კუმულაციურ ეფექტზე მიუთითა, როდესაც საჩივარში დაყენებული მოთხოვნების კონვენციის მე-8 მუხლთან თავსებადობას ამოწმებდა. კერძოდ, უკრაინის წინააღმდეგ საქმეში ავტომაგისტრალის მიერ წარმოქმნილი ხმაურის, ვიბრაციის, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების კუმულაციურმა ეფექტმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მომჩივნის მიერ კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა,<sup>29</sup> ხოლო რუსეთის წინააღმდეგ საქმეში სასამართლო უთითებს, რომ არაპირდაპირი მტკიცებულებებისა და ვარაუდების ძალიან ძლიერი კომბინაცია იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ მომჩივნის ჯანმრთელობა გაუარესდა ფოლადის ქარხნის

23 ბარდენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Burden v. the United Kingdom*) [GC], 2008 წლის 29 აპრილი, 33-ე პუნქტი, ციტ.: ნორისი ირლანდიის წინააღმდეგ (*Norris v. Ireland*), 1988 წლის 26 ოქტომბერი, 31-ე პუნქტი.

24 ბარდენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Burden v. the United Kingdom*) [GC], 2008 წლის 29 აპრილი, 34-ე პუნქტი, ციტ.: ნორისი ირლანდიის წინააღმდეგ (*Norris v. Ireland*), 1988 წლის 26 ოქტომბერი, 31-ე პუნქტი; ბოუმენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Bowman v. the United Kingdom*), 1992 წლის 29 ოქტომბერი.

25 მაგალითად, საქმეში, მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (*Marckx v. Belgium*), 1979 წლის 13 ივნისი: მომჩივნები იყვნენ მარტოხელა დედა და მისი ხუთი წლის „არაკანონიერი“ ქალიშვილი. ისინი ჩაითვალნენ პირდაპირ მსხვერპლებად, ვინაიდან, იმ დროისათვის ბელგიაში მოქმედი კანონმდებლობა, *inter alia*, ზღუდავდა ბავშვის უფლებას, დედის გარდაცვალების შემდეგ მიეღო ქონება მემკვიდრეობით, ვინაიდან კანონი ავტომატურად მოქმედებდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ყველა ბავშვზე.

26 ბარდენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Burden v. the United Kingdom*) [GC], 2008 წლის 29 აპრილი, 34-ე პუნქტი, ციტ.: ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (*Johnston and Others v. Ireland*), 1986 წლის 18 დეკემბერი, 42-ე პუნქტი; ოუფენ დორ და დაბლინ ველ უომენი ირლანდიის წინააღმდეგ (*Open Door and Dublin Well Woman v. Ireland*), 1992 წლის 29 ოქტომბერი.

27 გრიმოვსკაია უკრაინის წინააღმდეგ (*Grimkovskaya v. Ukraine*), 2011 წლის 21 ივლისი.

28 ფადეიევა რუსეთის წინააღმდეგ (*Fadeyeva v. Russia*), 2005 წლის 9 ივნისი.

29 გრიმოვსკაია უკრაინის წინააღმდეგ (*Grimkovskaya v. Ukraine*), 2011 წლის 21 ივლისი, 61-ე პუნქტი.

სამრეწველო ემისიების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად. მაშინაც კი, თუ ივარაუდება, რომ დაბინძურებამ არ გამოიწვია რაიმე თვლადი ზიანი მის ჯანმრთელობაზე, მან აუცილებლად გახადა მომჩივანი უფრო დაუცველი სხვადასხვა დაავადების მიმართ. უფრო მეტიც, ეჭვგარეშეა, რომ ამან უარყოფითად იმოქმედა მის მიერ საკუთარ სახლში ცხოვრების ხარისხზე. მაშასადამე, სასამართლო აღიარებს, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ფაქტობრივმა დაზიანებამ მიაღწია საკმარის დონეს, რათა ის კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში მოქცეულიყო.<sup>30</sup>

მომჩივნები უთითებდნენ, რომ ეს საჩივარი, თავისი არსით, არ ეხებოდა გარემოს ზოგად დეგრადაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით, მომჩივნებმა მოიყვანეს სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *კორდელა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Cordella and others v. Italy)*, რომელშიც დადგინდა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გადამწყვეტი ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს, არის თუ არა გარემოსდაცვითი ზიანი მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტით გარანტირებული ერთ-ერთი უფლების დარღვევის საფუძველი, არის არასასურველი ეფექტის არსებობა ადამიანის პირად ან ოჯახურ სფეროზე და არა უბრალოდ გარემოს ზოგადი დეგრადაცია.<sup>31</sup>

ბ) ფიზიკური პირები ამტკიცებდნენ, რომ ისინი საჩივრის მიზნებისთვის პოტენციურ მსხვერპლებად ითვლებოდნენ.

ამ არგუმენტის გასამყარებლად, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მარცხი, შეემცირებინა სათბურის გაზების ემისიები პარიზის ლიმიტის შესაბამისად, მნიშვნელოვნად ზრდიდა მათ სიცხესთან დაკავშირებული სიკვდილიანობისა და ავადობის რისკს. მომჩივნები ამისთვის მტკიცებულებად უთითებდნენ ეპიდემიოლოგიურ მონაცემებსა და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობით ასაბუთებდნენ მათი უფლებების შემდგომი დარღვევის ალბათობას. აქ მომჩივნები უთითებდნენ მსგავსი სამართალწარმოების სტრატეგიაზე, რომელიც გამოყენებული იყო მომჩივნების მიერ საქმეში – *კორდელა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Cordella and others v. Italy)*.<sup>32</sup>

გ) მომჩივანი იურიდიული პირი (არასამთავრობო ორგანიზაცია) ამტკიცებდა, რომ ის საჩივრის მიზნებისთვის იყო პირდაპირი მსხვერპლი, შემდეგი საფუძველებით:

პირველი მომჩივანი, როგორც იურიდიული პირი (არასამთავრობო ორგანიზაცია), ამტკიცებდა, რომ იგი იყო პირდაპირი მსხვერპლი, ვინაიდან ასოციაციის მიზანი იყო საშიში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ჯანმრთელობის საფრთხეების პრევენცია. აქედან გამომდინარე, მის მიერ დასახული მიზნების მიღწევაზე პირდაპირ გავლენას ახდენდა მოპასუხე სახელმწიფოს უმოქმედობა, შეეზღუდა სათბურის გაზების ემისიები უსაფრთხო

30 *ფადეიევა რუსეთის წინააღმდეგ (Fadeyeva v. Russia)*, 2005 წლის 9 ივნისი, 88-ე პუნქტი.

31 *კორდელა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Cordella and others v. Italy)*, 2019 წლის 24 იანვარი, 101-ე პუნქტი; იხ., ასევე, *ფადეიევა რუსეთის წინააღმდეგ (Fadeyeva v. Russia)*, 2005 წლის 9 ივნისი, 88-ე პუნქტი.

32 *კორდელა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Cordella and others v. Italy)*, 2019 წლის 24 იანვარი, 104-ე-107-ე პუნქტები.

დონეზე, პარიზის შეთანხმებისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი მეცნიერული მიდგომების შესაბამისად. მომჩივანი უთითებდა საქმეზე, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ, თუ ეროვნული სამართალი თავისთავად არღვევს პირის უფლებებს, მიუხედავად იმისა, განხორციელდება ინდივიდუალური ღონისძიება მათ წინააღმდეგ თუ არა, თუ პირებს ემუქრებათ უშუალო ზემოქმედების რისკი, მაშინ აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს.<sup>33</sup>

მომჩივნის მტკიცებით, ასოციაცია უზრუნველყოფდა განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფის მიერ თავიანთი უფლებების გრძელვადიან პერსპექტივაში დაცვას, მიუხედავად მისი ზოგიერთი წევრის ბუნებრივ ასაკთან დაკავშირებული პენსიაზე გასვლისა. ამასთან, ასოციაციის მტკიცებით, მისი ბევრი წევრისთვის სწორედ ორგანიზაცია იყო უფლების დაცვის ერთადერთი ეფექტიანი საშუალება. მომჩივანი ამ არგუმენტის გასამყარებლად დაეყრდნო საქმეს – *გორაიზ ლიზარაგა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (Gorraiz Lizarraga and Others v. Spain)*, რომელშიც სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი ასოციაცია შეიქმნა კაშხლის მშენებლობის გარემოსა და მათ სახლებზე ზემოქმედებისგან თავისი წევრების ინტერესების დასაცავად. გარდა ამისა, ასოციაციის მეშვეობით სამართალწარმოება შიდა სასამართლოებში ეხებოდა არა მხოლოდ დავას მინისტრის ბრძანების კანონიერების შესახებ, რომელიც კაშხლების მშენებლობის სამუშაოების ნებართვას გასცემდა მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, არამედ, ასევე, ითვალისწინებდა დავას, პროექტის გავლენაზე ასოციაციის წევრების ქონებრივ უფლებებსა და ცხოვრების წესზე მათი საცხოვრებელი ადგილის ცვლილების გამო. თავის საჩივრებში ეროვნულ დონეზე მომჩივანი ასოციაცია თავისი წევრების სახელით არაერთხელ ხაზგასმით უთითებდა, რომ კაშხლის მშენებლობა გამოიწვევდა რამდენიმე პატარა სოფლის დატბორვას, სადაც განმცხადებლებს ჰქონდათ საოჯახო სახლები. სასამართლო უთითებს, რომ, მართალია, განმცხადებლები არ იყვნენ სადავო პროცესის მხარეები ეროვნულ დონეზე საკუთარი სახელით (და დავობდნენ ასოციაციის შუამავლობით), თუმცა, კონვენციის სხვა დებულებების მსგავსად, ტერმინი „მსხვერპლი“ 34-ე მუხლში ასევე უნდა იქნეს განმარტებული ევოლუციურად თანამედროვე საზოგადოების პირობების გათვალისწინებით. „კლიმასენიორინების“ საჩივარში ლიზარაგას საქმიდან შემდეგი სიტყვებია ციტირებული: „და მართლაც, თანამედროვე საზოგადოებებში, როდესაც მოქალაქეები განსაკუთრებით რთული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების წინაშე დგანან, კოლექტიური ორგანოებისთვის მიმართვა, როგორიცაა ასოციაციები, არის ერთ-ერთი ხელმისაწვდომი საშუალება, ზოგჯერ ერთადერთი საშუალება, რომლითაც მათ შეუძლიათ თავიანთი კონკრეტული ინტერესების ეფექტიანად დაცვა. უფრო მეტიც, ასოციაციების უფლებამოსილება, აღძრას სასამართლო პროცესი მათი წევრების ინტერესების დასაცავად, აღიარებულია ევროპის ქვეყნების უმეტესობათა კანონმდებლობით. სასამართლოს არ შეუძლია, უგულებელყოს ეს ფაქტი „მსხვერპლის“ ცნების ინტერპრეტაციისას. ამ კონცეფციის ნებისმიერი სხვა, ზედმეტად ფორმალისტური,

33 *ოუფენ დორ და დაბლინ ველ ეუმენი ირლანდიის წინააღმდეგ (Open Door and Dublin Well Woman v. Ireland)*, 1992 წლის 29 ოქტომბერი, 44-ე პუნქტი, იხ., ასევე, *ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland)*, 1986 წლის 18 დეკემბერი, 42-ე პუნქტი.

ინტერპრეტაცია კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვას არაეფექტიანსა და მოჩვენებითს გახდის.<sup>34</sup> მომჩივნებმა, ასევე, მიუთითეს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) გაეროს კონვენციაზე, რომელიც რეკომენდაციას გასცემს, რომ „ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ ხანდაზმული ქალების მონაწილეობას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის გადწყვეტილების მიღებაში“.<sup>35</sup>

ასოციაცია, ასევე, უთითებდა, რომ მას ემღებოდა ხელი მისი წევრების, როგორც ყველაზე დაუცველი ჯგუფის, ინტერესების სამართალწარმოების გზით დაცვაში. მომჩივანთა მტკიცებით, კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლები არის ის ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სასამართლოს წინაშე ისეთ გარემოსდაცვით ზიანზე დავა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. მომჩივანთა მტკიცებით, არასამთავრობო ორგანიზაცია და მისი წევრები არ უნდა იყვნენ მოკლებული კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებით გარანტირებულ დაცვის გარანტიებს მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ მომჩივანი არის იურიდიული პირი. მათი თქმით, ეს იქნებოდა ზედმეტად ფორმალისტური მიდგომა და უგულებელყოფდა იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებაში.

დამატებით, ყველა მომჩივანთან მიმართებით, საჩივარი მიუთითებდა, რომ განმცხადებლებისთვის მსხვერპლის სტატუსზე უარი არ უნდა ეთქვათ მხოლოდ იმიტომ, რომ საერთო საზოგადოებრივი ინტერესი თანაარსებობდა<sup>36</sup> მათ კონკრეტულ ინტერესებთან ერთად. ამისთვის მათ დაიმოწმეს სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, კერძოდ, ნაგულისხმევი საჯარო ინტერესი არ გამორიცხავდა განმცხადებლების საჩივარს საქმეში – *თათარი რუმინეთის წინააღმდეგ (Tatar v. Romania)*,<sup>37</sup> რომელიც ეხებოდა, გარდა მომჩივანთა უფლებებზე გავლენისა, მდინარეების დაბინძურებას სერბეთსა და უნგრეთში, არც *დი სარნო იტალიის წინააღმდეგ (Di Sarno v. Italy)*,<sup>38</sup> რომლის მიხედვით, ნარჩენების შეგროვების დისფუნქციური სისტემა ისე მოქმედებდა, რომ მთელ ქალაქზე ახდენდა გავლენას. საქმეში – *აქსუ თურქეთის წინააღმდეგ (Aksu v Turkey)*<sup>39</sup> – სასამართლომ აღიარა, რომ სასკოლო წიგნში რასისტული გამონათქვამებიდან ბევრი, თუმცა ბოშას მიმართ იყო მიმართული, პირდაპირ ეხებოდა მომჩივანს ამ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წევრობის გამო, ამიტომაც აღნიშნული საჩივრები არ წარმოადგენდა *actio popularis* საქმეებს.

34 გორაიზ ლიზარაგა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*), 2004 წლის 27 აპრილი, 38-ე პუნქტი.

35 იხ. Committee on Elimination of Discrimination Against Women, General recommendation No. 27 on older women and protection of their human rights, CEDAW/C/GC/27, 35-ე პუნქტი.

36 იხ. ბურსა ბაროსუ ბაშკანლიგი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Bursa Barosu Başkanlığı and Others v. Turkey*), 2018 წლის 9 ივნისი, 128-ე პუნქტი: „შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლების მიერ ამ საქმეში დაცული საერთო ინტერესების მიუხედავად, მათი საჩივრები არ შეიძლება გაიგივებული იყოს *actio popularis* ტიპის საჩივრებთან [...]“.

37 თათარი რუმინეთის წინააღმდეგ (*Tatar v. Romania*), 2009 წლის 27 იანვარი, 24-ე პუნქტი.

38 დი სარნო იტალიის წინააღმდეგ (*Di Sarno v. Italy*), 2012 წლის 10 იანვარი, 81-ე პუნქტი.

39 აქსუ თურქეთის წინააღმდეგ (*Aksu v Turkey*), 2012 წლის 15 მარტი, 50-ე, 53-ე-54-ე პუნქტები.

შესაბამისად, „კლიმასენიორინების“ საქმეში მომჩივნებმა მიუთითეს, რომ, ვინაიდან კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ინდივიდუალურ უფლებებსა და, ზოგადად, საზოგადოებაზე, მსხვერპლის სტატუსისთვის მაღალი ბარიერის დაწესება ზედმეტად ფორმალისტური, არათანამედროვე მიდგომა იქნებოდა.

რაც შეეხება ეროვნულ სამართალწარმოებაში ასოციაციის ჩართულობას, მომჩივნებმა მიუთითეს, რომ, ვინაიდან შვეიცარიას რატიფიცირებული ჰქონდა ორჰუსის კონვენცია,<sup>40</sup> ამით მან აღიარა იურიდიული პირების მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის ადეკვატური გარემოს დასაცავად.<sup>41</sup>

### 3. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებები კლიმატის სამართალწარმოებაში მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით

საქმეზე – „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein Klima-Seniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*) – სასამართლოს მეგობრის მოსაზრება<sup>42</sup> წარადგინეს სხვა ქვეყნების მთავრობებმა,<sup>43</sup> საერთაშორისო ორგანიზაციის,<sup>44</sup> არასამთავრობო ორგანიზაციების,<sup>45</sup> აკადემიის წარმომადგენლებმა<sup>46</sup> და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულმა ქსელმა (ENNHRI).

40 კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვლებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მიღებულია ორჰუსში, დანია, 1998 წლის 25 ივნისი, ძალაშია 2001 წლიდან.

41 იქვე, პრეამბულა.

42 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 366-409-ე პუნქტები.

43 ავსტრიის, ირლანდიის, იტალიის, ლატვიის, ნორვეგიის, პორტუგალიის, რუმინეთისა და სლოვაკეთის მთავრობებმა.

44 გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა მომხსენებლებმა ტოქსიკურ ნივთიერებებსა და ადამიანის უფლებებზე; ადამიანის უფლებებისა და გარემოს შესახებ; და დამოუკიდებელმა ექსპერტმა ხანდაზმული პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის შესახებ.

45 იურისტთა საერთაშორისო კომისიამ (ICJ) და ICJ შვეიცარიის სექციამ (ICJ-CH); ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო ქსელმა (ESCR-Net); ClientEarth; Germanwatch, Greenpeace Germany and Scientists for Future.

46 გენტის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრმა; პროფესორებმა: ეველინ შმიდმა და ვერონიკ ბოილემ (ლოზანის უნივერსიტეტი); პროფესორებმა: სონია ი. სენევირატნემ და ანდრეას ფიშლინმა (შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ციურიხი); გლობალური მართლმსაჯულების კლინიკამ, კლიმატის სამართალწარმოების აქსელერატორმა და პროფესორმა კრისტიან ვოიგტმა (ოსლოს უნივერსიტეტი); ბერნის უნივერსიტეტის აკადემიკოსთა ჯგუფმა (პროფესორები კლაუს ბეისბარტი, თომას ფროლიხერი, მარტინ გროსჟანი, კარინ ინგოლდი, ფორტუნატ ჯოოსი, იორგ კუნცლი, კ. კრისტოფ რაიბლე, თომას შტოკერი, რალფ ვინკლერი და

რამდენიმე მოსაზრებაში, სხვა საკითხებს შორის, ყურადღება გამახვილებული იყო მსხვერპლის სტატუსზე. მნიშვნელოვანია, გარდა სასამართლო პრაქტიკისა, გაანალიზდეს ეს პოზიციები, ვინაიდან, საკითხის აქტუალობა სხვა სახელმწიფოების იურისდიქციებშიც იჩენს თავს, და, შესაბამისად, არსებითია ევროპის საბჭოს სახელმწიფოებისათვის სხვა დაინტერესებული მხარეების პოზიციის იდენტიფიცირება.

ირლანდიის მთავრობა მიიჩნევდა, რომ ასოციაციას, როგორც იურიდიულ პირს, არ შეეძლო მოეთხოვა მსხვერპლის სტატუსი მე-2 და მე-8 მუხლების მიხედვით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის გამო და რომ ასაკობრივი ფაქტორი არ შეიძლება ყოფილიყო საკმარისი იმისათვის, რათა განმცხადებელთა ჯგუფი განხილულიყო კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მსხვერპლად. გარდა ამისა, ირლანდიის მთავრობამ მიუთითა იმ მაღალ ბარიერზე, რომელიც აუცილებელია ამ კონტექსტში მე-2 და მე-8 მუხლების გამოსაყენებლად. მათ ასევე აქცენტი გააკეთეს სუბსიდიურობის პრინციპსა და თავისუფალი შეფასების ფართო ზღვარზე, და სასამართლოს მთავარი როლი გარემოსდაცვითი საჩივრების მიმართ უნდა ყოფილიყო გადამწყვეტილების მიღების პროცესის პროცედურული შეფასება და მხოლოდ „გამონაკლის გარემოებებში“ უნდა შეეფასებინა სასამართლოს არსებითად გარემოსდაცვითი პოლიტიკა.<sup>47</sup>

იტალიის მთავრობის პოზიციით, იმისთვის, რომ მომჩივნებმა მოითხოვონ მსხვერპლის სტატუსი გარემოს ზიანსა და რისკთან დაკავშირებით, მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოხდა და დარღვევის უბრალო ვარაუდი არ არის საკმარისი. იტალიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ, იმისათვის, რათა მე-2 მუხლით სასამართლოში დაეა იყოს შესაძლებელი, სიცოცხლე უნდა დადგეს რისკის ქვეშ და მე-8 მუხლის პერსპექტივიდან გარემოს დაბინძურების მავნე ზემოქმედებამ უნდა მიაღწიოს სერიოზულობის გარკვეულ მინიმალურ დონეს. ნებისმიერ შემთხვევაში, რთულ და ტექნიკურ სფეროებში სახელმწიფო სარგებლობდა თავისუფალი შეფასების ფართო ზღვარით.<sup>48</sup>

პორტუგალიის მთავრობის შეფასებით, იმისთვის, რათა დადგინდეს, პირი აკმაყოფილებს თუ არა მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნებს კონვენციის მიზნებისთვის, აუცილებელია, წარმოდგენილი იყოს მტკიცებულებები იმისთვის, რათა მათზე პირდაპირ იმოქმედა კლიმატის ცვლილების კონტექსტში გასაჩივრებულმა ღონისძიებამ. ამგვარად, პორტუგალიის პოზიციით, განმცხადებლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფს, უნდა ეჩვენებინათ, რომ: ა) იყო ფაქტობრივი უმოქმედობა ხელისუფლების მხრიდან, ბ) ასეთი უმოქმედობა ან დაუდევრობა რეალურად განსხვავებულად შეეხო მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებს ან სეგმენტებს, და გ) ეს უმოქმედობა გაუტოლდა კლიმატის ცვლილების ეფექტისგან ჯეროვანი დაცვის უუნარობას.<sup>49</sup>

ჯუდიტ უიტენბახი, და დოქტორები: ანა მ. და შარლოტა ბლატნერი); საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ცენტრმა და დოქტორმა მარგარეტა ვევერინკე-სინგმა; კოლუმბიის სამართლის სკოლაში კლიმატის ცვლილების სამართლის საბინის ცენტრმა.

47 იქვე, 367-ე პუნქტი.

48 იქვე, 370-ე პუნქტი.

49 იქვე, 373-ე პუნქტი.

სლოვაკეთის მთავრობის პოზიციით, კონვენციური უფლებები არ იყო შექმნილი სპეციალურად გარემოს, როგორც ასეთის, ზოგადი დაცვის უზრუნველსაყოფად. კლიმატის ცვლილების საფრთხის გლობალური ხასიათისა და მისი შედეგების გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო მსხვერპლის სტატუსის კონცეფციის ინტერპრეტაცია კონვენციის 34-ე მუხლით ისე, რომ მას მოეცვა ყველა პოტენციურად დაუცველი ჯგუფი. ასეთი მიდგომა იქნებოდა შეუსაბამო და შეიძლება გამოენვია არაზუსტი შედეგი, თუ სასამართლო სტატისტიკური მონაცემების შედეგად შეეცდებოდა, დაესკვნა ჯგუფისთვის კონკრეტული რისკის არსებობა ან სხვაგვარად განეზოგადებინა კლიმატის ცვლილების ეფექტი, როგორიცაა გლობალური დათბობა. სლოვაკეთის პოზიციითაც, სახელმწიფოებს უნდა ჰქონოდათ შეფასების ფართო ზღვარი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას.<sup>50</sup>

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პოზიციით, კლიმატის ცვლილების საქმეებში საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის განვითარება მოწმობდა, რომ საგარეუდო მსხვერპლზე ზემოქმედების რისკი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა, თუმცა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი დაზარალდა კლიმატის ცვლილების გამო, არ გამორიცხავდა განმცხადებლებისთვის ინდივიდუალურ ზემოქმედებასაც. გარდაუვალი ზიანის კრიტერიუმი ასევე უნდა ყოფილიყო განხილული ჰოლისტურად, იმის გათვალისწინებით, რომ ისეთი ნელა დანაშაული ზემოქმედებები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ეფექტიანი რემედიაციისთვის საჭირო ხანგრძლივი ვადების გათვალისწინებით, შეუქცევადად გამოუსწორებელს ხდიდა რისკებს. ამ მხრივ მსხვერპლის სტატუსის სამართლებრივ შეფასებას უნდა გაეთვალისწინებინა მეცნიერული დასკვნებიც.<sup>51</sup>

იურისტთა საერთაშორისო კომისიის (ICJ) და ICJ შვეიცარიის სექციის (ICJ-CH) მოსაზრების თანახმად, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მხარს უჭერდა მსხვერპლის სტატუსის აღიარების შესაძლებლობას მაშინ, როდესაც პირები დაბინძურების ზოგად შედეგებს განიცდიდნენ და, შესაბამისად, არ მოითხოვდა უშუალო სიახლოვის, ინდივიდუალური შედეგის, ელემენტს. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანი იყო ასოციაციების, როგორც იურიდიული პირების, შესაძლებლობის აღიარება კლიმატის ცვლილების შესახებ საჩივრების წარდგენის თაობაზე სასამართლოში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ისეთ სფეროში, როგორც არის კლიმატის ცვლილება (დანახარჯებისა და სამეცნიერო მტკიცებულებების თვალსაზრისით), ასოციაციები ცალსახად იყვნენ უნიკალურ პოზიციაში, ეწარმოებინათ ასეთი საქმეები. ნებისმიერ შემთხვევაში, კლიმატთან დაკავშირებულ საქმეებში, რომლებიც ეხებოდა პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებს, როგორიცაა „კაცობრიობის საერთო საზრუნავი“, მსხვერპლის სტატუსის შეფასება საჭიროებდა დოკუმენტირებულ სამეცნიერო მტკიცებულებებს და მჭიდროდ იყო საჩივრის არსებით მხარესთან დაკავშირებული.<sup>52</sup>

50 იქვე, 375-ე პუნქტი.

51 იქვე, 376-ე პუნქტი.

52 იქვე, 380-ე პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) პოზიციით, ხანდაზმული ქალები განსაკუთრებით იყვნენ კლიმატით გამოწვეული სიცხის რისკის ქვეშ. ამ კონტექსტში, როგორც ეს აღიარებულია ორპუსის კონვენციაში, გარემოსდაცვითი ასოციაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. მათი მსხვერპლის სტატუსის შესწავლისას მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინება, რომ ფიზიკური პირების მიერ ამგვარი დავების წარმოება დიდწილად შესაძლოა, დამოკიდებული ყოფილიყო გარემოსდაცვითი ასოციაციების შესაძლებლობაზე, ედავათ სასამართლოს წინაშე.<sup>53</sup>

პროფესორების: ეველინ შმიდისა და ვერონიკ ბოილეს (ლოზანის უნივერსიტეტი) მოსაზრებით, კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით, მსხვერპლის სტატუსის საკითხის ინტერპრეტაციისას მნიშვნელოვანი იქნებოდა, პირველ რიგში, მე-2 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების შესწავლა, შემდეგ კი ამ კონტექსტში სავარაუდო ხარვეზებსა და რეალურ განმცხადებლებს შორის კავშირის დანახვა. უფრო მეტიც, მსხვერპლის სტატუსის საკითხი უნდა განიხილებოდეს პრევენციისა და სიფრთხილის პრინციპების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, კლიმატის ცვლილების საერთაშორისო ინიციატივით ნაკისრი ვალდებულებების აღებით, სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ შეზღუდეს კლიმატის რისკებთან დაკავშირებით მათი თავისუფალი შეფასების ზღვარი.<sup>54</sup>

გლობალური მართლმსაჯულების კლინიკის, კლიმატის სამართალწარმოების აქსელერატორისა და პროფესორ კრისტიან ვოიგტის (ოსლოს უნივერსიტეტი) აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განმარტოს მსხვერპლის სტატუსის კონცეფცია გარკვეული მოქნილობით. მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ გასაჩივრებულმა ქმედებამ ან უმოქმედობამ გავლენა მოახდინა მოსახლეობის დიდ ნაწილზე, ან, თუნდაც, თითქმის მთელ მოსახლეობაზე, არ უნდა დააბრკოლოს სასამართლოს მიერ კონკრეტული განმცხადებლების მსხვერპლის სტატუსის აღიარება.<sup>55</sup>

კოლუმბიის სამართლის სკოლაში კლიმატის ცვლილების სამართლის საბინის ცენტრის მოსაზრებით, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების არსებული პრეცედენტული სამართალი აჩვენებს, რომ სასამართლოს მიერ მსხვერპლის სტატუსის არსებობის შეფასება საქმის არსებითი მხარის გამოკვლევის ეტაპზე უნდა მომხდარიყო. იქ, სადაც მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არსებობდა, სასამართლოები, ძირითადად, განმცხადებლებს აძლევდნენ შესაძლებლობას, დაემტკიცებინათ, რომ სახელმწიფოს მიერ კლიმატის ცვლილების შერბილების საკითხში სავარაუდო უმოქმედობამ გამოიწვია ცალკეული ინდივიდუალური ზიანი.<sup>56</sup>

53 იქვე, 383-ე პუნქტი.

54 იქვე, 390-ე პუნქტი.

55 იქვე, 394-ე პუნქტი.

56 იქვე, 406-ე პუნქტი.

## 4. ევროპული სასამართლოს მიდგომა მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით

პროცედურული თვალსაზრისით, სასამართლოს სამგვარად შეუძლია გადაწყვეტოს მსხვერპლის სტატუსი საქმეში:<sup>57</sup>

- I. ის შეიძლება განიხილებოდეს როგორც ცალკე წინასწარი საკითხი საქმეში;<sup>58</sup>
- II. ის შეიძლება განიხილებოდეს კონვენციის შესაბამისი დებულების გამოყენებადობის (მიმართების) შეფასების კონტექსტში;<sup>59</sup>

- III. ან შეიძლება ჩაითვალოს „მჭიდროდ დაკავშირებულად“ არსებითად განსახილველ საკითხებთან და, შესაბამისად, შეუერთდეს საჩივრის არსებითად განხილვას.<sup>60</sup>

ევროპულმა სასამართლომ მსხვერპლის სტატუსის დასადგენად „კლიმასენიორინების“ საქმეში ზემოხსენებული მეორე მიდგომა აირჩია და საკითხის განხილვა მე-2 და მე-8 მუხლების მიმართების გადაწყვეტას დაუკავშირა.<sup>61</sup>

სასამართლო უთითებს, რომ კლიმატის ცვლილების შესახებ დავების სპეციფიკა, კლასიკურ გარემოსდაცვით შემთხვევებთან შედარებით, გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი ეხება არა ერთ ადგილობრივ პრობლემას, არამედ არის უფრო რთული გლობალური საკითხი. სახელმწიფოების წინააღმდეგ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საჩივრების კონტექსტში, მიზეზობრიობის საკითხები წამოიჭრება სხვადასხვა კუთხით, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან და გავლენას ახდენს როგორც მსხვერპლის სტატუსის შეფასებაზე, ისე კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის არსებით ასპექტებზე.<sup>62</sup> სასამართლოს შეფასებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

### 4.1. სასამართლოს ზოგადი მიდგომა მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით

ზოგადად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ტერმინი „მსხვერპლი“ ავტონომიური ცნებაა<sup>63</sup> და, შესაბამისად, მისი განმარტება დამოკიდებული არ არის შიდასახელმწიფოებრივ დეფინიციებზე ან მიდგომებზე, როგორც არის, მაგალითად, ინტერესი ან მოქმედე-

57 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 458-ე პუნქტი.

58 ს.ა.ს. საფრანგეთის წინააღმდეგ (*S.A.S. v. France*) [GC], 2014 წლის 1 ივლისი, 52-ე-58-ე პუნქტები.

59 გრინფიისი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (*Greenpeace e.V. and Others v. Germany*) (dec.), 2009 წლის 12 მაისი.

60 ჰეარსი ჯამაა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (*Hirsi Jamaa and Others v. Italy*) [GC], 2012 წლის 23 თებერვალი, 111-ე პუნქტი.

61 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 459-ე პუნქტი.

62 იქვე, 424-ე პუნქტი.

63 აქსუ თურქეთის წინააღმდეგ (*Aksu v. Turkey*) [GC], 2012 წლის 15 მარტი, 52-ე პუნქტი.

ბის შესაძლებლობა.<sup>64</sup> ევროპული კონვენციის მიზნებისთვის, მსხვერპლის სტატუსის დადგენა მოითხოვს დარღვევის არსებობას,<sup>65</sup> რომელიც საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას უნდა გადაწყდეს. პირმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ ან პირთა ჯგუფმა საჩივრის შეტანა რომ შეძლოს ევროპულ სასამართლოში, უნდა დამტკიცდეს, რომ „იყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლი [...]“. იმისათვის, რომ მოითხოვოს დარღვევის მსხვერპლის სტატუსი, პირს უშუალოდ უნდა შეეხო სადავო ღონისძიება,<sup>66</sup> თუმცა სასამართლო მკაფიოდ განმარტავს, რომ „ეს კრიტერიუმი არ უნდა იქნეს გამოყენებული ხისტი, მექანიკური და მოუქნელი გზით,<sup>67</sup> არამედ მის მიმართ ევოლუციური განმარტების მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>68</sup> ამასთან, კონვენცია არ ითვალისწინებს *actio popularis* ინსტიტუტს. სასამართლოს ამოცანაა, როგორც წესი, არ განიხილოს შესაბამისი კანონი და პრაქტიკა *in abstracto*, არამედ დაადგინოს, მისმა გამოყენებამ ან ზემოქმედებამ გამოიწვია თუ არა კონვენციური უფლების დარღვევა.<sup>69</sup>

#### (ა) სასამართლოს ზოგადი მიდგომები ფიზიკური პირების მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით

ევროპული სასამართლოს მიერ „კლიმასენიორინების“ საქმეში მოხმობილი პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, შემდეგნაირია ფიზიკური პირების მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით ზოგადი სტანდარტები:<sup>70</sup>

მსხვერპლის სტატუსისთვის მომჩივნამ უნდა დაამტკიცოს, რომ მასზე პირადად და უშუალოდ იმოქმედა (იმის მიუხედავად, იყო თუ არა ის კონკრეტული ღონისძიების სამიზნე<sup>71</sup>) კონვენციის სავარაუდო დარღვევამ. ზემოქმედება შეიძლება გამონეწეული იყოს ქმედებით, უმოქმედობით, კონკრეტული სამართლებრივი აქტის იმპლემენტაციით სახელმწიფოს მიერ ან, ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო პირების მიერ მომჩივნის კონვენციური უფლებების დარღვევით.<sup>72</sup>

64 გორაიზ ლიზარაგა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*), 2004 წლის 27 აპრილი, 35-ე პუნქტი.

65 ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Brumărescu v. Romania*), 1999 წლის 28 ოქტომბერი, 50-ე პუნქტი.

66 ბარდენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Burden v. the United Kingdom*) [GC], 2008 წლის 29 აპრილი, 33-ე პუნქტი.

67 მიქალე მალტის წინააღმდეგ (*Micallef v. Malta*), [GC], 2009 წლის 15 ოქტომბერი, 45-ე პუნქტი; კარნერ ავსტრიის წინააღმდეგ (*Karner v. Austria*), 2003 წლის 24 ივლისი, 25-ე პუნქტი.

68 გორაიზ ლიზარაგა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*), 2004 წლის 27 აპრილი, 38-ე პუნქტი.

69 რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (*Roman Zakharov v. Russia*) [GC], 2015 წლის 4 დეკემბერი, 164-ე პუნქტი.

70 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 465-ე-472-ე პუნქტები.

71 აქსუ თურქეთის წინააღმდეგ (*Aksu v. Turkey*), 2012 წლის 15 მარტი, 51-ე-54-ე პუნქტები.

72 იქვე, იხ., ასევე, ბერგერ-კრალი და სხვები სლოვენის წინააღმდეგ (*Berger-Krall and Others v. Slovenia*), 2014 წლის 12 ივნისი, 258-ე პუნქტი.

არაპირდაპირი მსხვერპლის სტატუსისთვის საჭიროა სავარაუდო დარღვევის შედეგად შექმნილი ე.წ. „რიკოშეტის ეფექტის“ ჩვენება, რომელიც გავლენას ახდენს ერთი პირის (პირდაპირი მსხვერპლის) კონვენციურ უფლებებზე მეორე პირის (ირიბი მსხვერპლი) მიმართ, რათა ამ უკანასკნელმა დაასაბუთოს მიყენებული ზიანი ან მართებული პირადი ინტერესი საჩივრის მიმართ.<sup>73</sup>

პოტენციური მსხვერპლის სტატუსი შეიძლება ორ შემთხვევაში<sup>74</sup> მიიღოს ფიზიკურმა პირმა. კერძოდ:

- I. ამჟამინდელი ეფექტი: მომჩივნებს შეუძლიათ მოითხოვონ პოტენციური მსხვერპლის სტატუსი, თუ ისინი ამტკიცებენ, რომ ზოგადი საკანონმდებლო ღონისძიება პირდაპირ გავლენას ახდენს მათზე, თუნდაც ინდივიდუალური განხორციელების ღონისძიების გარეშე. ეს ეხება ისეთ შემთხვევას, თუ ისინი მიეკუთვნებიან იმ ჯგუფს, რომელსაც ეხება კანონმდებლობის გავლენის რისკი ან თუ მათ სჭირდებათ, შეცვალონ თავიანთი ქცევა სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან ასაცილებლად.<sup>75</sup>
- II. სამომავლო ეფექტი: მომჩივნებს შეუძლიათ მოითხოვონ პოტენციური მსხვერპლის სტატუსი სამომავლო დარღვევების რისკის საფუძველზე, მაგრამ სასამართლო ასეთ პრეტენზიებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იღებს. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს დამაჯერებელი და გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ დარღვევამ შეიძლება მათზე პირადად იმოქმედოს სამომავლო დროის გარკვეულ მონაკვეთში. მხოლოდ ეჭვი ან სპეკულაცია არასაკმარისია.<sup>76</sup>

ფიზიკური მსხვერპლის სტატუსი გარემოსდაცვით საქმეებში: „კლიმასენიორინები“ საქმემდე სასამართლოს სტანდარტის თანახმად, ზოგადი გარემოსდაცვითი ზიანი არასაკმარისია მსხვერპლის სტატუსისთვის. კრიტერიუმები, რომლებსაც სასამართლო დაეყრდნო მსხვერპლის სტატუსის დასადგენად, მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ზიანის სიმძიმის მინიმალური დონე, მისი ხანგრძლივობა და საკმარისი კავშირის არსებობა მომჩივნებთან, მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, გეოგრაფიული სიახლოვე განმცხადებელსა და სადავო გარემოს ზიანს შორის.<sup>77</sup>

73 ვალიანატოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Vallianatos and Others v. Greece*), 2013 წლის 7 ნოემბერი, 47-ე პუნქტი.

74 იხ. შპს სენატორი ლაინსი ავსტრიის, ბელგიის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდის, პორტუგალიის, ესპანეთის, შვედეთისა და გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Senator Lines GmbH v. Austria, Belgium, Denmark, Finland, France, Germany, Greece, Ireland, Italy, Luxembourg, the Netherlands, Portugal, Spain, Sweden and the United Kingdom*) (dec.) [GC], 2004 წლის 10 მარტი.

75 თანასე მოლდოვის წინააღმდეგ (*Tănase v. Moldova*) [GC], 2010 წლის 27 აპრილი, 104-ე პუნქტი.

76 ასელბორგი და სხვები ლუქსემბურგის წინააღმდეგ (*Asselbourg and Others v. Luxembourg*) (dec.), 1999 წლის 29 მაისი.

77 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 472-ე პუნქტი.

**ბ) სასამართლოს ზოგადი მიდგომები იურიდიული პირების  
*locus standi*-სთან დაკავშირებით**

უპირველესად, აღსანიშნავია, სასამართლო განმარტავს, რომ მსხვერპლის სტატუსის საკითხი განსხვავებულია *locus standi*-ის საკითხისგან. ეს უკანასკნელი ეხება (პირდაპირი) მსხვერპლთა საჩივრების სასამართლოში წარდგენის საკითხებს. ამიტომ მას ასევე შეიძლება ეწოდოს „წარმომადგენლობა“. <sup>78</sup> შემდეგი დასკვნები <sup>79</sup> შეიძლება გაკეთდეს სასამართლოს ზოგად მიდგომებთან დაკავშირებით:

- I. ზოგადად, ასოციაციებს არ შეუძლიათ, მოითხოვონ მე-8 მუხლის დარღვევა ჯანმრთელობის ან სხვა ისეთი საკითხების საფუძველზე, რომლებიც ეხება მხოლოდ ფიზიკურ პირებს;<sup>80</sup>
- II. სასამართლო კრძალავს *actio popularis* საქმეებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასოციაციას ან მისი წევრებზე სადავო ღონისძიების პირდაპირი გავლენა არსებობს. ასოციაციებს არ შეუძლიათ კონვენციით გათვალისწინებული გარკვეული უფლებების განხორციელება, როგორებიცაა: მე-2, მე-3 და მე-5 მუხლები, რომლებიც დაცულია ცალკეული ფიზიკური პირებისთვის;<sup>81</sup>
- III. განსაკუთრებულ გარემოებებში სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს ასოციაციები განმცხადებლებად, როდესაც ისინი წარმოადგენენ ინდივიდებს, მაშინაც კი, თუ რაიმე ღონისძიება პირდაპირ გავლენას არ ახდენს თავად ასოციაციაზე. ასეთი მიდგომა გამოვლინდა საქმეში, როდესაც სასამართლომ უფლება მისცა ასოციაციას, ემოქმედა პირდაპირი მსხვერპლის სახელით შესაბამისი რწმუნებულების გარეშე.<sup>82</sup>

78 იხ. სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ კამპეანუს სახელით (Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu), 2014 წლის 17 ივლისი, 102-ე-103-ე პუნქტები.

79 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 473-ე-477-ე პუნქტები.

80 ბესო და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (*Besseau and Others v. France*) (dec.), 2006 წლის 7 თებერვალი.

81 იუსუფელის რაიონის სილამაზისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ასოციაცია თურქეთის წინააღმდეგ (*Yusufeli İlçesini Güzelleştirme Yaşatma Kültür Varlıklarını Koruma Derneği v. Turkey*), 2021 წლის 7 დეკემბერი, 41-ე პუნქტი.

82 იხ.: სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ კამპეანუს სახელით (Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu), 2014 წლის 17 ივლისი; ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია რუმინეთში – ჰელსინკის კომიტეტი იონელ გარსიას სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (*Association for the Defence of Human Rights in Romania – Helsinki Committee on behalf of Ionel Garcea v. Romania*), 2015 წლის 24 მარტი, 42-ე-46-ე პუნქტები.

## 4.2. სასამართლოს დასკვნები კლიმატის სამართალწარმოების საქმეებში მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით

ა) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ დავებში მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა დამოკიდებულია თითოეული საქმის გარემოებების ანალიზზე და არ არსებობს წინასწარ დადგენილი მკაცრი *conditio sine qua non* მოთხოვნები. გარემოზე მავნე ზემოქმედების საქმეებთან დაკავშირებით თავის პრეცედენტულ სამართალში ევროპულ სასამართლოს ხშირად გაუერთიანებია მსხვერპლის სტატუსის შემოწმება მე-8 მუხლთან მიმართებით საქმის არსებითი განხილვის ეტაპთან. ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების ცნება, რამდენადაც ეს ეხება პოზიტიურ ვალდებულებებს, შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს საქმეების მიხედვით, უფლებებზე ზეგავლენის სიმძიმისა და იმ ტვირთის ზომის მიხედვით, რასაც ეს ვალდებულება დააკისრებს სახელმწიფოს, თუმცა, ცხადია, რომ რისკსა და პოზიტიური ვალდებულების სავარაუდო შეუსრულებლობას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, ამიტომ აუცილებელია ამ საკითხებთან სასამართლოს მიდგომის შემდგომი ადაპტირება, კლიმატის ცვლილების პრობლემის განსაკუთრებული თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის რისკის სიმძიმის მიხედვით გამოიწვევს სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულებების გაჩენას.<sup>83</sup>

ბ) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საჩივრებში მსხვერპლის სტატუსისთვის ფიზიკურმა პირმა უნდა დაამტკიცოს ზიანის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური ზემოქმედება და დაცვის გადაუდებელი (მწვავე) საჭიროება სახელმწიფოს არაჯეროვანი ქმედების გამო. სასამართლო ასკვნის, რომ არსებობს ძლიერი სამეცნიერო მტკიცებულება, რომლის მიხედვით, კლიმატის ცვლილებამ უკვე გაზარდა ზიანის მოცულობა, განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფებთან მიმართებით. სახელმწიფოებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კლიმატის ცვლილებაზე, აიღეს ვალდებულება შერბილებისა და ადაპტაციის მცდელობებზე. ეს ქმნის სამართლებრივ ურთიერთობას სახელმწიფო ქმედებებს (ან უმოქმედობას) და პირთა მიერ განცდილ ზიანს შორის.<sup>84</sup> კლიმატის ცვლილება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ადამიანთა ფართო, განუსაზღვრელ ჯგუფზე, რაც ართულებს მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრას. სასამართლომ უნდა დააბალანსოს ორი გამონევა: 1) თავიდან აიცილოს *actio popularis* საჩივრები და 2) უზრუნველყოს, რომ პირთა კონვენციის უფლებები არ დაირღვეს სასამართლო კონტროლის გარეშე.<sup>85</sup> სასამართლო აღიარებს, რომ მსხვერპლის სტატუსი უნდა განიმარტოს თანამედროვეობის, მათ შორის, კლიმატის

83 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 437-ე-440-ე პუნქტები.

84 იქვე, 478-ე პუნქტი.

85 იქვე, 479-ე-485-ე პუნქტები.

ცვლილების კონტექსტში, თუმცა იგი, ასევე, აღნიშნავს, რომ კლიმატის ცვლილებაზე შეიძლება გავლენა გარკვეულწილად ყველაზე მოახდინოს, ამიტომ მსხვერპლის სტატუსის ფართო ინტერპრეტაციამ შესაძლოა, გამოიწვიოს სასამართლო სისტემის გადატვირთულობა და კონსტიტუციური პრინციპების დარღვევა.<sup>86</sup> სასამართლო ადგენს, რომ იმისათვის, რათა ფიზიკურმა პირმა მოითხოვოს კლიმატის ცვლილების საქმეებში მსხვერპლის სტატუსი კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, მომჩივანმა უნდა აჩვენოს, რომ მას პირადად და უშუალოდ შეეხო სადავო საკითხი. ეს მოითხოვს, სასამართლოს მხრიდან მომჩივნის მდგომარეობასთან დაკავშირებით დადგინდეს შემდეგი გარემოებები:<sup>87</sup>

- I. განმცხადებელი უნდა ექვემდებარებოდეს კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების მაღალ ინტენსივობას, ანუ სახელმწიფო ქმედებების ან უმოქმედობის უარყოფითი შედეგების დონე და სიმძიმე, რომელიც გავლენას ახდენს განმცხადებელზე, უნდა იყოს მნიშვნელოვანი;
- II. უნდა არსებობდეს განმცხადებლის ინდივიდუალური დაცვის უზრუნველყოფის მწვავე საჭიროება, ზიანის შესამცირებლად რაიმე გონივრული ღონისძიებების არარსებობის ან არაადეკვატურობის გამო.

სასამართლო მკაფიოდ უსვამს ხაზს, რომ ამ კრიტერიუმების შესრულების ბარიერი განსაკუთრებით მაღალია და იგი დამოკიდებულია საქმის კონკრეტული გარემოებების ფრთხილად შეფასებაზე.<sup>88</sup> ამასთან დაკავშირებით, სასამართლო სათანადოდ გაითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა: გაბატონებული ადგილობრივი პირობები, ინდივიდუალური სპეციფიკა და დაუცველობა (მონყვლადობა). სასამართლოს შეფასება ასევე მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი საკითხებით, რომლებიც დაკავშირებულია: განმცხადებლის საჩივრის ბუნებასა და ფარგლებთან, კლი-

86 იქვე, 482-ე-484-ე პუნქტები.

87 *შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland)*, 2024 წლის 9 აპრილი, 487-ე პუნქტი.

88 თავის მხრივ, სასამართლო აღნიშნულ შეფასებას შემდეგი ფაქტორების ანალიზის შედეგად გააკეთებს: შეისწავლის და შეაფასებს სამეცნიერო მტკიცებულებებს, ამასთან, გარემოსდაცვით საქმეებში, შესაბამისი გამოწვევების გათვალისწინებით, მტკიცების მოქნილ სტანდარტს იყენებს, აღიარებს რა, რომ პრინციპების – *affirmanti, non neganti, incumbit probatio* – განხორციელება შეუძლებელია; იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო ვერ აკმაყოფილებდა შიდა გარემოსდაცვით სტანდარტებს, თავისთავად არასაკმარისია კონვენციის დარღვევის დასამტკიცებლად, მაგრამ სასამართლო მხედველობაში იღებს ამგვარი ფაქტის არსებობას საქმის გადაწყვეტისას; გარემოსდაცვითი საკითხების საერთაშორისო სტანდარტები, როგორებიცაა IPCC ანგარიშები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისა და რისკების შეფასებისთვის; ასევე, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს შიდა სასამართლოების დასკვნებს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მათგან გადახვევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შიდა სამართალწარმოება არ უზრუნველყოფს ინტერესთა თანაზომიერ ბალანსს. იხ. *შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland)*, 2024 წლის 9 აპრილი, 427-ე-430-ე პუნქტები.

მატის ცვლილების დროში კონკრეტული უარყოფითი ზემოქმედების აქტუალურობა/ დაშორებასთან და/ან ალბათობასთან, განმცხადებლის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე ან კეთილდღეობაზე ზემოქმედებით, მავნე ზემოქმედების მასშტაბსა და ხანგრძლივობასთან, რისკის ფარგლებსა (ლოკალიზებული ან ზოგადი) და განმცხადებლის დაუცველობის ბუნებასთან.<sup>89</sup>

ტესტის მისადაგება კონვენციის მე-2 მუხლთან: იმისათვის, რომ მე-2 მუხლი გავრცელდეს კლიმატის ცვლილების შემთხვევებზე, უნდა არსებობდეს სიცოცხლისთვის „რეალური და გარდაუვალი“ საფრთხე. ეს ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს სერიოზული, მკაფიო და მჭიდრო საფრთხე სიცოცხლისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ კლიმატის ცვლილება ხშირად იწვევს მძიმე და ხანგრძლივ ზიანს. თუ ინდივიდი აღიარებულია მსხვერპლად ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით, კლიმატის ცვლილების გამო სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი შემცირება შეიძლება ასევე გახდეს კონვენციის მე-2 მუხლის მიმართების საფუძველი.<sup>90</sup>

ტესტის მისადაგება კონვენციის მე-8 მუხლთან: კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქმეებში ფიზიკური პირებისთვის მე-8 მუხლის მიხედვით მსხვერპლის სტატუსის დასადგენად მომჩივანმა უნდა აჩვენოს სახელმწიფოს ღონისძიების პირდაპირი და არსებითი გავლენა. ეს მოითხოვს კლიმატის ცვლილების მავნე ზემოქმედების მაღალი დონის დემონსტრირებას და დაცვის აუცილებლობას სახელმწიფოს მიერ არასაკმარისად ჩატარებული ღონისძიებების გამო. კონკრეტულად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს იმგვარი სერიოზული, იმნუთიერი ჩარევის მტკიცებულება მათ პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში, ან საცხოვრებელი ადგილით სარგებლობის უფლებაში, როგორებიცაა გარემოს ძლიერი დაბინძურება ან ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მნიშვნელოვანი საფრთხე. სასამართლო აფასებს ამ პრეტენზიებს ჩარევის ინტენსივობისა და ხანგრძლივობის, მომჩივანზე კონკრეტული ზემოქმედებისა და საერთო სერიოზულობის შესწავლით. თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად ფასდება, კონკრეტული გარემოებებისა და არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა მე-8 მუხლთან მიმართება.<sup>91</sup>

„კლიმასენიორინების“ საქმეში ინდივიდუალური მომჩივნები არ ჩაითვალნენ მსხვერპლებად.<sup>92</sup> კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუმცა აღიარებულია, ხანდაზმული ქალები განსაკუთრებით დაუცველები არიან სიცხის მიმართ, მომჩივანთა მიერ მოწოდებული მტკიცებულებები არ აკმაყოფილებდა მსხვერპლის სტატუსის დასადგენად აუცილებელ მაღალ კრიტერიუმებს. ინდივიდებმა სასამართლოს წინაშე დაამტკიცეს, რომ სიცხის ტალღები გავლენას ახდენს მათი ცხოვრების ხარისხზე, მაგრამ, სასამართლოს შეფასებით, ზემოქმედების ეს დონე ან რისკი არ არის იმდენად ძლიერი, რომ საჭიროებდეს გადაუდებელ დაცვას მე-8 მუხლის მიხედვით. გარდა ამისა, სასამართლო

89 იქვე, 488-ე პუნქტი.

90 იქვე, 513-ე პუნქტი.

91 იქვე, 514-ე-520-ე პუნქტები.

92 იქვე, 624-ე-625-ე პუნქტები; იმავე დასაბუთებით, როგორც მე-8 მუხლთან დაკავშირებით, მომჩივნები, ასევე, არ ჩაითვალნენ მსხვერპლებად კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის.

შენიშნავს, რომ არ არსებობდა რაიმე მითითება, რომ მათი პირადი სამედიცინო მდგომარეობა კრიტიკულად გაუარესდა სიცხის გამო, იმის მიღმა, რაც შეიძლებოდა მართულიყო ხელმისაწვდომი ადაპტაციის ღონისძიებებით.<sup>93</sup>

- ა) სასამართლო აღიარებს, რომ ასოციაციებს შეუძლიათ იდავონ დაზარალებული ფიზიკური პირების სახელით კლიმატის ცვლილების საქმეებში, თუ ეს ორგანიზაციები კანონიერად დაარსებულნი არიან და ახორციელებენ შესაბამის საწესდებო, მათ შორის, სასამართლოებში წარმომადგენლობით მიზნებს. იმისთვის, რომ ასოციაციამ სასამართლოში იდავოს, აუცილებელი არ არის მისი წევრების ინდივიდუალური მსხვერპლის სტატუსის დადასტურება. სასამართლოს შეფასებით, ასოციაციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ისეთი რთული საკითხის გადაჭრისას, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ფართო ჯგუფებზე და შეიძლება აღემატებოდეს ცალკეული პირების შესაძლებლობებს. ეს აღიარებულია ორპუნქტის კონვენციითაც,<sup>94</sup> რომელიც მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციების როლს გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. იმავეს უჭერს მხარს ევროკავშირის სამართალიც.<sup>95</sup> ამასთან, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ გარემოს დაცვის გაერთიანებებს წარმომადგენლობით უფლებებს, და, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის საჭირო კრიტერიუმები განსხვავდება, სახელმწიფოების უმეტესობა ასოციაციებს აძლევს კლიმატის ცვლილების თაობაზე სამართალწარმოების შესაძლებლობას.<sup>96</sup> ევროპული სასამართლოს თანახმად, ასოციაციის მსხვერპლად მიჩნევისთვის სამსაფეხუროვანი კრიტერიუმი შემდეგნაირია:<sup>97</sup>
- I. ასოციაცია კანონიერად დაარსებულია შესაბამისი სახელმწიფოს იურისდიქციაში, ან აქვს უფლება, იქ განახორციელოს საქმიანობა;
  - II. ასოციაციას შეუძლია დამტკიცოს, რომ ის მიზანმიმართულად ახორციელებს საწესდებო ამოცანებს, მისი წევრების ან სხვა დაზარალებული პირების უფლებების დაცვისთვის შესაბამისი იურისდიქციის ფარგლებში, იქნება ეს შეზღუდული ან/და მათ შორის კოლექტიური ქმედებებით ამ უფლებების დასაცავად კლიმატის ცვლილების შედეგად წარმოქმნილი საფრთხეების წინააღმდეგ;
  - III. ასოციაციას შეუძლია აჩვენოს, რომ ის შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად კვალიფიციურ და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირად იმ წევრების ან სხვა დაზარალებული პირების სახელით იურისდიქციის ფარგლებში, რომლებიც არიან კონკრეტული საფრთხეების პირისპირ ან კლიმატის ცვლილება უარყოფით გავლენას ახდენს მათს სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე ან კეთილდღეობაზე, როგორც ეს დაცულია ევროპული კონვენციით.

93 იქვე, 521-ე-537-ე პუნქტები.

94 შვეიცარიის ასოციაცია „კლიმასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 489-ე პუნქტი.

95 იქვე, 490-ე-492-ე პუნქტები.

96 იქვე, 493-ე-494-ე პუნქტები.

97 იქვე, 502-ე პუნქტი.

ისეთ შემთხვევებში, თუ ქვეყნის იურისდიქციაში შეზღუდულია ასოციაციების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ევროპულმა სასამართლომ შეიძლება განიხილოს ასოციაციის ცალკეული წევრების მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ სამართალწარმოებებში.<sup>98</sup>

ტესტის მისადაგება „კლიმასენიორინების“ საქმეში მომჩივან ასოციაციასთან მიმართებით: საქმეში არსებობდა სამივე კრიტერიუმი. ასოციაცია საქმიანობდა მოპასუხე სახელმწიფოში, როგორც არაკომერციული იურიდიული პირი, და ჰყავდა 1800-ზე მეტი წევრი, ძირითადად ხანდაზმული ქალები, რომლებიც დაუცველნი იყვნენ კლიმატის ცვლილების ისეთი უარყოფითი შედეგების მიმართ, როგორიცაა სიცხე;<sup>99</sup> ასოციაციას ჰქონდა სანესდებო მიზნები და შესაძლებლობა, დაეცვა წევრების უფლებები კლიმატის ცვლილებისგან გამონეწეული საფრთხისგან.<sup>100</sup>

ამრიგად, შეეცარიის წინააღმდეგ გამოტანილი გადანეწეტილება მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით ორ მიდგომას აყალიბებს: მეტწილად ტრადიციულს, ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით, ხოლო ინოვაციურს, იურიდიულ პირებთან დაკავშირებით.<sup>101</sup> გადანეწეტილების მიხედვით, ფიზიკური პირების მიერ მსხვერპლის სტატუსის მისაღებად კლიმატის ცვლილების საქმეებში ბარიერი სამართლებრივ რუბიკონს უტოლდება, და, ფაქტობრივად, გადაულახავია, ხოლო იურიდიული პირებისთვის – პირიქით.

„კლიმასენიორინების“ საქმეში პირველად იქნა სასამართლოს ისტორიაში მეტი სიცხადით აღიარებული ასოციაციების წარმომადგენლობითი სტატუსი, რაც საშუალებას აძლევს იურიდიულ პირებს, განაცხადონ პრეტენზიები მაშინაც კი, როდესაც ცალკეული წევრების მიერ მსხვერპლის სტატუსი *prima facie* დადასტურებული არ არის.<sup>102</sup> შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს სასამართლოს პირველი ცხადი განმარტებაა ასოციაციების წარმომადგენლობითი როლთან დაკავშირებით (რომლის ანალოგიც წინა პრეცედენტულ სამართალში არ მოიძებნება) და ეს მიდგომა, შეიძლება, გამართლებული იყოს კლიმატის ცვლილების თაობაზე სამართალწარმოების თავისებურებებით,<sup>103</sup> რაც მნიშვნელოვნად წახალისებს არასამთავრობო ორგანიზაციების როლს კლიმატის სამართალწარმოებაში.<sup>104</sup>

98 იქვე, 503-ე პუნქტი.

99 იქვე, 521-ე პუნქტი.

100 იქვე, 524-ე პუნქტი.

101 J. Letwin, *Klimaseniorinnen: the Innovative and the Orthodox*, 17.04.2024, <https://www.ejiltalk.org/klimaseniorinnen-the-innovative-and-the-orthodox/>, [02.09.2024].

102 R. Spano, *Recent developments in Climate Change Litigation*, Webinar Recording, 20:23-21:20, [https://www.39essex.com/events/recent-developments-climate-change-litigation?fbclid=IwY2xjawFCkD5leHRuA2FibQlXMAABHTOCROk0ebMJLMQeo7ozPCqNZF1IHn2h5AKZ2gpNF74SSLpa2pRAYNjHNg\\_aem\\_5C1kbpNbKFy57DOAzudSSw](https://www.39essex.com/events/recent-developments-climate-change-litigation?fbclid=IwY2xjawFCkD5leHRuA2FibQlXMAABHTOCROk0ebMJLMQeo7ozPCqNZF1IHn2h5AKZ2gpNF74SSLpa2pRAYNjHNg_aem_5C1kbpNbKFy57DOAzudSSw), [02.09.2024].

103 J. Letwin, *Klimaseniorinnen: the Innovative and the Orthodox*, 17.04.2024, <https://www.ejiltalk.org/klimaseniorinnen-the-innovative-and-the-orthodox/>, [02.09.2024].

104 L.A. Sicilianos, M.L. Deftou, *Breaking New Ground: Climate Change before the Strasbourg Court*, 12.04.2024, <https://www.ejiltalk.org/breaking-new-ground-climate-change-before-the-strasbourg-court/>, [02.09.2023].

მიუხედავად ამისა, იმავდროულად, სამეცნიერო წრეებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასამართლოს მიდგომა ასოციაციებსა და ინდივიდუალურ პირებთან მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე პარადოქსულია.<sup>105</sup> ამის მიზეზად ის სახელდება, რომ სასამართლომ ნება დართო ასოციაციას, ეწარმოებინა საქმე კლიმატის ცვლილების შედეგად დაზარალებული პირების წარმომადგენლობით, მაშინ, როდესაც თავად ცალკეულ განმცხადებლებს არ მიანიჭა მსხვერპლის სტატუსი.<sup>106</sup> თუ დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლი, როგორც ეს სასამართლომ მიიღო, ჩნდება კითხვა – ვინ არის ფაქტობრივი მსხვერპლი?!<sup>107</sup>

ამასთან კავშირში, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების მიღება არსებითაა, შეფასდეს ის სამართალწარმოების სტრატეგია, რომელსაც მომჩივნებმა მიმართეს. ამ საქმეში, ინდივიდუალური პირების მიმართ მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება, გასაკვირი არ იყოს განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების გათვალისწინებით. კერძოდ, მომჩივნები ეროვნულ სახელმწიფო დონეზე ცდილობდნენ კლიმატის პოლიტიკის ცვლილებას, რომელიც მოგებიანი იყო მთელი მოსახლეობისთვის, და არა იმგვარი ღონისძიებების გატარების მოთხოვნას, რომლებიც კონკრეტულად შეეხებოდა მათთვის ასაკისა და სქესის გამო მიყენებულ ზიანს.<sup>108</sup> აღნიშნული მიდგომაც გაკრიტიკებულია იმ არგუმენტით, რომ, თუ კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ბევრზე, ის არსებითად არ არღვევს *actio popularis* აკრძალვას.<sup>109</sup> თავის მხრივ კი, ასოციაციებისთვის ამგვარი ფართო წარმომადგენლობითი უფლების მინიჭებაც, ერთი მოსაზრებით, შეიძლება, ზუსტად იმას გაუტოლდეს, რისი თავიდან არიდებაც სასამართლოს ასე ძალიან უნდა – *actio popularis*,<sup>110</sup> ვინაიდან ასოციაციებისთვის დანესებული კრიტერიუმების გადალახვა ძალიან დაბალი ბარიერის მდგენელია.

## 5. დასკვნა

კლიმატის ცვლილების სამართალწარმოების საქმეზე – *შვეიცარიის ასოციაცია „კლიმატის მასენიორინები“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland)* მიღებული გადაწყვეტილების შედეგად მსხვერპლის სტა-

105 G. Letsas, Did the Court in Klimaseniorinnen create an actio popularis? 13.05.2024, <https://www.ejiltalk.org/did-the-court-in-klimaseniorinnen-create-an-actio-popularis/>, [02.09.2024].

106 იქვე.

107 იქვე.

108 D. Lupin, M.A. Tigre, N.U.Gutiérrez, Klimaseniorinnen and Gender, VerfBlog, 2024/5/09, <https://verfassungsblog.de/klimaseniorinnen-and-gender/>, DOI: 10.59704/ed143b1f3605ebcc, [01.09.2024].

109 G. Letsas, Did the Court in Klimaseniorinnen create an actio popularis? 13.05.2024, <https://www.ejiltalk.org/did-the-court-in-klimaseniorinnen-create-an-actio-popularis/>, [02.09.2024].

110 J. Letwin, Klimaseniorinnen: the Innovative and the Orthodox, 17.04.2024, <https://www.ejiltalk.org/klimaseniorinnen-the-innovative-and-the-orthodox/>, [02.09.2024].

ტუსთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები ამ ტიპის საქმეების ევროპულ სასამართლოში წარმოების მიზნებისთვის:

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ დავებში მსხვერპლის სტატუსი ავტომატურად ვერ განისაზღვრება წინასწარ დადგენილი მკაცრი *conditio sine qua non* მოთხოვნების შესაბამისად, ამიტომ საჭიროა თითოეული საქმის გარემოებების ანალიზი. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, მსხვერპლის ინდივიდუალური სტატუსი ძალიან ვიწროდ არის განსაზღვრული, რაც გაართულებს პირთა უმეტესობისთვის აუცილებელი ბარიერის დაკმაყოფილებას. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საჩივრებში, კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, მსხვერპლის სტატუსისთვის ფიზიკურმა პირმა უნდა დაამტკიცოს ზიანის მნიშვნელოვანი პიროვნული ზემოქმედება და დაცვის გადაუდებელი (მწვავე) საჭიროება სახელმწიფოს არაფეროვანი ქმედების გამო, *actio popularis* საჩივრისა და ეფექტიანი სასამართლო კონტროლის ურთიერთბადასწრით.

ფიზიკური პირების ნაცვლად კი, ასოციაციები, სავარაუდოდ, გახდებიან ძირითადი მოქმედი პირები, რომლებიც წარმართავენ კლიმატის ცვლილების სამართალწარმოებას ეროვნულ დონეზე, როდესაც საქმე ეხება ფუნდამენტურ უფლებებს. ასოციაციებს შეუძლიათ წარმოადგინონ დაზარალებული პირები კლიმატის ცვლილების საქმეებში, თუ ისინი კანონიერად დაარსებულნი არიან, ახორციელებენ შესაბამის საწესდებო მიზნებს და არიან ჭეშმარიტად წარმომადგენლობითი ორგანიზაციები. ასოციაციას არ სჭირდება მათი წევრების *prima facie* ინდივიდუალური მსხვერპლის სტატუსის დადასტურება, მაგრამ უნდა აკმაყოფილებდეს სპეციფიკურ პირობებს, რათა თავიდან აიცილონ *actio popularis*.

ვინაიდან ასოციაციებისთვის დაწესებული ერთ-ერთი კრიტერიუმი მოპასუხე სახელმწიფოში რეგისტრირება ან მასში საქმიანობაა, არსებითია, რომ სახელმწიფოში არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გარემო თანხვედრაში იყოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ სტანდარტებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ განხორციელდება არა მარტო, სტრატეგიული სამართალწამოება, არამედ, ზოგადად, მთავრობის საზოგადოებრივი კონტროლი, მათ შორის, მის მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების კუთხით.

# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შედარებითი ანალიზი გარემოსდაცვითი უფლებების უზრუნველყოფის კონტექსტში

მარიამ ონიანი

## 1. შესავალი

თანამედროვე ეკოლოგიურმა გამოწვევებმა დაადასტურა, რომ ადამიანის უფლებები და გარემოსდაცვითი საკითხები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული.<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, სადავოა, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად ფუნდამენტურ უფლებათა ეკოლოგიურ ელემენტებზე კონცენტრირება იქნება უფრო ეფექტიანი თუ ახალი გარემოსდაცვითი უფლებების აღიარება.<sup>2</sup> შესაბამისად, დღესდღეობით, ეკოლოგიური უფლებების ცალსახად მონესრიგების პარალელურად,<sup>3</sup> საჭიროებისამებრ მათი არაპირდაპირ, სხვა ფუნდამენტური უფლებების მეშვეობით (*par ricochet*-ის პრინციპზე დაყრდნობით) დაცვაც ხდება.<sup>4</sup>

მართალია, საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ ითვალისწინებს გარემოსდაცვით უფლებებს, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (შემდგომში – ECHR ან კონვენცია) მათ არაპირდაპირ უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, სტატიის მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა (შემდგომში – ევროპული სასამართლო ან ECtHR) და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (შემდგომში – საკონსტიტუციო სასამართლო) მიერ ეკოლოგიური უფლებების დაცვის კონტექსტში ჩამოყალიბებული პრაქტიკის შედარებითი ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა. კვლევის მიზნებისთვის ECtHR-ის პრეცედენტების შერჩევა განაპირობა, ერთი მხრივ, ევროპული სასამართლოს განსაკუთრებულმა ცნობადობამ საქართველოში, ხოლო, მეორე მხრივ, იმან, რომ მისი გარემოსდაცვითი პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით მიღებულ გადანყვებულობასაც მოიცავს. სტატიის მიზნის მისაღწევად მიმოხილული იქნება როგორც ეკოლოგიური უფლებების კლასიფიკაციასა და განმარტებასთან დაკავშირებული დოქტრინული დილემები, ისე მათი პრაქტიკულად უზრუნველყოფის პრობლემური ასპექტები.

1 ა. ბერიძე, გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები, თბ., 2021, 4.

2 M. Adebawale et al., Environment and Human Rights: A New Approach to Sustainable Development, 2002, 2, [https://bit.ly/3WKdAeo].

3 UNGA Res. 76/300, The Human Right to a Clean, Healthy and Sustainable Environment, 28 July 2022, UN Doc. A/RES/76/300, paras. 1-2.

4 მ. ბითაძე, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, თბ., 2021, 216.

კერძოდ, სტატიის პირველი თავი გარემოსდაცვითი უფლებების კატეგორიების, მარეგულირებელი ჩარჩოებისა და აღსრულების სირთულეების მიმოხილვას დაეთმობა; მეორე თავის ფარგლებში გაანალიზდება ECtHR-ის სათანადო პრეცედენტები; ხოლო მესამე თავის ფარგლებში დაზუსტდება, რამდენად შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომები ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს; დასკვნაში შეჯამდება სტატიის ძირითადი მიგნებები და გამოითქმება რეკომენდაციები.

## 2. ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებების დაცვა საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე

### 2.1. მატერიალური და პროცედურული გარემოსდაცვითი უფლებები

ეკოლოგიური უფლებები აერთიანებს გარემოს კონკრეტულ ხარისხთან დაკავშირებულ ნებისმიერ უფლებას და ისინი ორ ძირითად კატეგორიად იყოფიან:<sup>5</sup> ერთი მხრივ, მატერიალური გარემოსდაცვითი უფლებები მოიცავს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების,<sup>6</sup> სუფთა ჰაერზე,<sup>7</sup> წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობის,<sup>8</sup> სიცოცხლისა<sup>9</sup> და სხვა უფლებებს;<sup>10</sup> მეორე მხრივ, პროცედურული გარემოსდაცვითი უფლებებით<sup>11</sup> განმტკიცებულია ინფორმაციის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა და დისკრიმინაციის აკრძალვა.<sup>12</sup>

5 UNEP, Global Climate Litigation Report: 2023 Status Review, Nairobi, 2023, 26-27.

6 ს. ფიფია, დ. ჯაიანი, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების შინაარსი საერთაშორისო სამართალსა და საქართველოს კონსტიტუციაში, ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2018, 261-290.

7 თ. გობეჯიშვილი, ა. ნოზაძე, სუფთა ჰაერზე ხელმისაწვდომობის უფლების დაცვა, როგორც საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2023, 247-261.

8 მ. ნუცუბიძე, წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობა, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება, ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2022, 218-234.

9 ა. ბერიძე, სიცოცხლის უფლება კლიმატის ცვლილების კონტექსტში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, I, გ. დგებუაძე (რედ.), ბათუმი, 2021, 235-252.

10 ა. ბერიძე, კლიმატის ცვლილება და ადამიანის უფლებები, თბ., 2022, 14-19.

11 ა. ბერიძე, გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებები, თბ., 2021, 4-20.

12 UNEP, Environmental Rule of Law: First Global Report, 2019, Nairobi, 16, 25.

## 2.2. გარემოსდაცვით უფლებათა კლასიფიკაციასა და განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემები

ეკოლოგიური უფლებების განვითარების ისტორიამ ცხადყო მათი განმარტებისა და კლასიფიკაციის პრობლემურობა.

მკვლევართა ნაწილის აზრით, გარემოსდაცვითი უფლებები პირველი თაობის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებად უნდა განიმარტოს, ვინაიდან ისინი ეკოლოგიურ პოლიტიკასაც არეგულირებენ და სახელმწიფოთათვის სიცოცხლის, პირადი ცხოვრებისა და ეკოლოგიური ზიანისგან საკუთრების დაცვის მინიმალურ სტანდარტებსაც ადგენენ.<sup>13</sup> ამასთანავე, ფართოდ აღიარებულმა სამოქალაქო და პოლიტიკურმა უფლებებმა შეიძლება უზრუნველყოს გარემოსდაცვით ინფორმაციასა თუ მართლმსაჯულებაზე წვდომა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა.<sup>14</sup>

მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ უმჯობესია, გარემოსდაცვითი უფლებები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სისტემას მიეკუთვნოს. ამ მიდგომის ამოსავალი წერტილი გარემოს პრიორიტეტულ დაცვის ობიექტად აღიარების იდეაა, თუმცა, კოლიზიის შემთხვევაში, გამორიცხული არაა, ეკოლოგიური მისწრაფებები ეკონომიკური განვითარების უფლებამ გადაწონოს.<sup>15</sup> შესაბამისად, შეიძლება, ეს პოზიცია პრაქტიკულად ნაკლებად ეფექტიანი იყოს.

ალტერნატიულად, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვითი უფლებები მესამე თაობის სოლიდარულ უფლებებად უნდა განიმარტოს. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული კოლექტიური უფლებები<sup>16</sup> შეიძლება გარემოსდაცვით ელემენტებს მოიცავდეს, ეკოლოგიური უფლებებით სარგებლობა ინდივიდებსაც შეუძლიათ,<sup>17</sup> რაც მათი კოლექტიური ინტერესის საგნად<sup>18</sup> კატეგორიზაციას გამორიცხავს.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან გარემოსდაცვითი უფლებები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ტრადიციული კლასიფიკაციის მოდელში ვერ ექცევა, პრაქტიკულად მნიშვნელოვანია, მათი განმარტება და განვითარება, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, ინოვაციურად მოხდეს.

13 მ. ბითაძე, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, თბ., 2021, 196.

14 A. Boyle, Environment and Human Rights, Max Planck Encyclopedia of Public International Law [MPEPIL], 2009, para. 3.

15 Ibid., paras. 3-4.

16 მაგალითად, უმცირესობათა და მკვიდრი ხალხების კულტურის დაცვის უფლება.

17 A. Boyle, Environment and Human Rights, Max Planck Encyclopedia of Public International Law [MPEPIL], 2009, paras. 3-4.

18 ს. ფიფია, დ. ჯაიანი, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების შინაარსი საერთაშორისო სამართალსა და საქართველოს კონსტიტუციაში, ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2018, 269.

## 2.3. გარემოსდაცვითი უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი მონესრიგება

გარემოსდაცვითი უფლებები პირდაპირ ძირითადად საერთაშორისო სამართლის არასავალდებულო წყაროებითაა დაცული.<sup>19</sup> 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველი პრინციპის შესაბამისად, „ადამიანს აქვს თავისუფლების, თანასწორობისა და ცხოვრების ადეკვატური პირობების ძირითადი უფლება ისეთ გარემოში, რომელიც იძლევა ღირსეული და კარგი ცხოვრების საშუალებას...“ ამ პრინციპმა მყისიერი გავლენა ვერ მოახდინა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ჩამოყალიბებაზე, ვინაიდან 1992 წლის რიოს დეკლარაცია ინდივიდების მდგრადი განვითარების ცენტრში მოქცეულია და „ბუნებასთან ჰარმონიაში, ჯანსაღი და პროდუქტიული ცხოვრების“ უფლების დაკონკრეტებით შემოიფარგლა.<sup>20</sup>

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით უფლება სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე და მისი ურთიერთკავშირი სხვა უფლებებთან უკვე აღიარებულია როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის, ისე ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციებით.<sup>21</sup> ზემოხსენებულ რეზოლუციებზე დაყრდნობით, ბავშვის უფლებათა კონვენციის (შემდგომში – CRC) 26-ე ზოგადი კომენტარის ფარგლებში, შესაბამისმა კომიტეტმა ასევე განმარტა, რომ ბავშვთა უფლებებით სრული სარგებლობისთვის აუცილებელია „სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე“ უფლების უზრუნველყოფა.<sup>22</sup>

მიუხედავად არასავალდებულო წყაროთა მრავალფეროვნებისა, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სავალდებულო ხელშეკრულებები, ძირითადად, არაპირდაპირ აწესრიგებს გარემოსდაცვით უფლებებს.<sup>23</sup> ამ მხრივ გამორჩეულია აფრიკის ადამიანისა და ხალხთა უფლებების დაცვის ქარტიის 24-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ „ყველა ხალხს აქვს უფლება, იცხოვროს მისი განვითარებისათვის ხელსაყრელ და დამაკმაყოფილებელ გარემოში.“ როგორც აფრიკულმა კომისიამ განმარტა, ეს მუხლი

19 ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის წევრი სახელმწიფოების მოვალეობებისა და ვალდებულებების შესრულების კომიტეტი (მონიტორინგის კომიტეტი) და მიმდინარე საკითხთა კომიტეტი, გარემოს დაცვის ძირითადი უფლება: საკითხი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის „მწვანე“ ქრილში კითხვისკენ, 43-ე სესიის ანგარიში, 2022, მე-20 პუნქტი.

20 A. Boyle, Environment and Human Rights, Max Planck Encyclopedia of Public International Law [MPEPIL], 2009, paras. 1-2.

21 UNGA Res. 76/300, The Human Right to a Clean, Healthy and Sustainable Environment, 28 July 2022, UN Doc. A/RES/76/300, paras. 1-2; HRC Res. 48/13, The Human Right to a Clean, Healthy and Sustainable Environment, 8 October 2021, UN Doc. A/HRC/RES/48/13, paras. 1-2.

22 CRC, General Comment No. 26 (2023) on Children's Rights and the Environment, with a Special Focus on Climate Change, 22 August 2023, UN Doc. CRC/C/GC/26, para. 8.

23 მ. ბითაძე, ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2006, 12-13; მ. ბითაძე, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, თბ., 2021, 197.

მოიცავს სახელმწიფოთა ვალდებულებას, *inter alia*, გადადგან გონივრული ნაბიჯები დაბინძურების, გარემოს დეგრადაციის პრევენციის, კონსერვაციის უზრუნველყოფისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადად გამოყენების მიზნით.<sup>24</sup>

ასევე საგამონაკლისოდ შეიძლება შეფასდეს 1988 წლის კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვითი ბუფერების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (შემდგომში – ორჰუსის კონვენცია),<sup>25</sup> რომელიც კონკრეტულად პროცედურული გარემოსდაცვითი უფლებების დაცვისკენაა მიმართული.<sup>26</sup> ხელშეკრულების პრეამბულა ხაზს უსვამს, რომ „გარემოს ადეკვატური დაცვა უმნიშვნელოვანესია ადამიანის კეთილდღეობისა და მისი უფლებების, მათ შორის, სიცოცხლის უფლების დაცვისათვის.“ კონვენცია შინაარსობრივად ეფუძნება რიოს დეკლარაციის მეათე პრინციპს,<sup>27</sup> რომელიც მოქალაქეთა ჩართულობასა და ინფორმაციისა და სამართალწარმოების ეფექტიან ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ადამიანის უფლებების მომწესრიგებელი სხვა ხელშეკრულებები, ძირითადად, ცალსახად არ არეგულირებს გარემოსდაცვით საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ECHR-ც ამგვარ შეთანხმებათა რიგს მიეკუთვნება, ევროპულმა სასამართლომ, ნაგულისხმევი გარემოსდაცვითი უფლებების დასაცავად,<sup>28</sup> *par ricochet*-ის პრინციპზე დაყრდნობით, კონვენციის მუხლების დაცული სფეროები<sup>29</sup> გააფართოვა.

24 სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის ცენტრი და ეკონომიკური და სოციალური უფლებების ცენტრი ნიგერიის წინააღმდეგ (*The Social and Economic Rights Action Center and the Center for Economic and Social Rights v. Nigeria*), 2002 წლის 27 მაისი, 52-ე პუნქტი.

25 მწვანე ალტერნატივა, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადანაცვითი ბუფერების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები საქართველოში, თბ., 2014, 3.

26 ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის წევრი სახელმწიფოების მოვალეობებისა და ვალდებულებების შესრულების კომიტეტი (მონიტორინგის კომიტეტი) და მიმდინარე საკითხთა კომიტეტი, გარემოს დაცვის ძირითადი უფლება: საკითხი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის „მწვანე“ ჭრილში კითხვისკენ, 43-ე სესიის ანგარიში, 2022, 34-ე-42-ე პუნქტები.

27 A. Boyle, *Environment and Human Rights*, Max Planck Encyclopedia of Public International Law [MPEPIL], 2009, para. 7.

28 მ. ბითაძე, ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2006, 13-14.

29 A. Gil, S. Almeida, *The Direct and Indirect (Par Ricochet) Protection of Migrants in the Light of the European Convention on Human Rights: Brief Notes on the Evolution of the Strasbourg Court's Case-law*, *Humanities and Rights Global Network Journal*, 3(1), S. Alves et al (eds.), 2021, 122.

## 2.4. გარემოსდაცვით უფლებათა ეროვნული მოწესრიგება და პრაქტიკული ხარვეზები

### 2.4.1. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის შესაბამისად, „ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით.“ ამ მუხლით ასევე მოწესრიგებულია გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის დროულად მიღებისა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის პროცედურული უფლებები.

გარემოსდაცვით მართლმსაჯულებას უზრუნველყოფს კონსტიტუციის მე-18 მუხლი, რომლითაც, *inter alia*, სამართლიანი, დროული ადმინისტრაციული წარმოებისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებებია განმტკიცებული.

გარემოსდაცვითი უფლებები, თავის მხრივ, გარანტირებულია სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს.<sup>30</sup>

აქვე ხაზგასასმელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.“ შესაბამისად, საქართველოს მიერ გარემოსდაცვითი უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებები გამომდინარეობს როგორც მისი ეროვნული კანონმდებლობიდან, ისე ECHR-დან, კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციიდან, პარიზის ხელშეკრულებიდან,<sup>31</sup> ორჰუსის კონვენციიდან და საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებიდან.<sup>32</sup>

30 ქ. ვარდოსანიძე, ჩ. ქისი, გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში: საბაზისო შეფასება, თბ., 2023, 21-22.

31 „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“, საქართველოს დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის შესრულების საგზაო რუკა, თბ., 2024, 11-12.

32 ქ. ვარდოსანიძე, ჩ. ქისი, გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში: საბაზისო შეფასება, თბ., 2023, 19-20; თ. გობეჯიშვილი, ა. ნოზაძე, სუფთა ჰაერზე ხელმისაწვდომობის უფლების დაცვა, როგორც საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2023, 245.

## 2.4.2. გარემოსდაცვით უფლებათა აღსრულების პრაქტიკული ხარვეზები და შესაბამისი რეკომენდაციები

მართალია, საქართველოს კონსტიტუცია პროგრესულად იცავს ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებს და მათ ძირითად უფლებათა კატეგორიასაც მიაკუთვნებს,<sup>33</sup> თუმცა მათი აღსრულება საკმაოდ პრობლემურია.<sup>34</sup> პირველ რიგში, როგორც კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო პროგრამის ხელმძღვანელი სახელმწიფო, საქართველო პასუხისმგებელია, ინვესტიციები ჩადოს ადრეული გაფრთხილების სისტემების ჩამოყალიბებასა და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების მოპოვებაში. ტრაგედიების პრევენციისა და ECHR-ითა და ორჰუსის კონვენციით დაცულ მატერიალურ და პროცედურულ გარემოსდაცვით უფლებათა უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, სახელმწიფომ მაქსიმალურად სწრაფად და კეთილსინდისიერად შეასრულოს აღნიშნული ვალდებულება.<sup>35</sup>

ამასთანავე, თაობათაშორისი სამართლიანობის აღსადგენად სასურველია, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს კლიმატის ცვლილების კონტექსტში ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის – ბავშვების საჭიროებებზე.<sup>36</sup> საქართველო 1994 წლიდან შეუერთდა ბავშვის უფლებათა კონვენციას, შესაბამისად, ბავშვების საუკეთესო ინტერესებით ხელმძღვანელობა სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებად გვევლინება.<sup>37</sup> CRC-ის 26-ე ზოგადი კომენტარის ფარგლებში კომიტეტმა გარემოს დეგრადაცია ბავშვთა მიმართ სტრუქტურული ძალადობის ფორმად აღიარა.<sup>38</sup> აქედან გამომდინარე, როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციაზე, ისე ECtHR-ის პრაქტიკაზე დაყრდნობით,<sup>39</sup> სახელმწიფოსთვის რეკომენდებულია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ბავშვების საჭიროებებზე მორგებული გეგმის შემუშავება.<sup>40</sup>

33 საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2013 წლის 10 აპრილი, სამოტივაციო ნაწილი, მე-2 პუნქტი.

34 ქ. ვარდოსანიძე, ჩ. ქისი, გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში: საბაზისო შეფასება, თბ., 2023, 29-31.

35 ა. ბერიძე და სხვები, ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ, თბ., 2023, 10-11.

36 OHCHR, Summary of the Analytical Study on the Relationship between Climate Change and the Full and Effective Enjoyment of the Rights of the Child, 2017, 1.

37 UNICEF Georgia, ბავშვის უფლებათა კონვენცია, [https://bit.ly/3B6ARic].

38 CRC, General Comment No. 26 (2023) on Children's Rights and the Environment, with a Special Focus on Climate Change, 22 August 2023, UN Doc. CRC/C/GC/26, para. 35.

39 „შვეიცარიელი ხანდაზმული ქალბატონები კლიმატის დაცვისთვის“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland), 2024 წლის 9 აპრილი, 419-ე-420-ე პუნქტები.

40 მ. ონიანი, რას ცვლის ბავშვის უფლებათა კონვენციის 26-ე ზოგადი კომენტარი კლიმატის ცვლილების კონტექსტში?, 2024, [https://bit.ly/4guha4v].

პრაქტიკულად ასევე პრობლემურია საქართველოს კანონმდებლობითა და ორჭუსის კონვენციით განსაზღვრული პროცედურული გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის დონე. კერძოდ, „კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებით პირებს არასათანადოდ ან საერთოდ არ მიენიჭებათ მოთხოვნილი ინფორმაცია.“<sup>41</sup> შესაბამისად, რეკომენდებულია, სახელმწიფო ორგანოებმა მათ ხელთ არსებული ინფორმაციის პროაქტიური გავრცელება და ცნობიერების ამაღლების მიზნით ეკოლოგიური კამპანიების ორგანიზება უზრუნველყონ.<sup>42</sup>

ზემოხსენებული ხარვეზების გათვალისწინებით, განსაკუთრებით პრიორიტეტულია ECtHR-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაანალიზება და ეროვნულ დონეზე დანერგვა.

### 3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ECtHR-ის მიღების დროს გარემოსდაცვითი საკითხები ნაკლები აქტუალურობით სარგებლობდა. საწყის ეტაპზე ევროპული კომისია ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებულ სარჩელებს დასაშვებადაც არ ცნობდა, თუმცა დროთა განმავლობაში პოზიცია შეიცვალა<sup>43</sup> და არაერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.<sup>44</sup>

გარემოსდაცვით კონტექსტში განხილულ საქმეთა უმრავლესობა კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებსა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლს ეფუძნება.<sup>45</sup> მომდევნო ქვეთავების ფარგლებში გაანალიზდება, როგორი სტანდარტები ჩამოაყალიბა ევროპულმა სასამართლომ გარემოსდაცვითი უფლებების *par ricochet*-ის პრინციპზე დაყრდნობით დასაცავად.

#### 3.1. ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ

საქმეში – ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ – მოსარჩელე დავობდა, რომ მის საცხოვრებელთან მდებარე ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს ექსპლუატაციის თანმდევი სუნი, ხმაური და კვამლი მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას არღვევდა, ხოლო სახელმწიფოს ქმედებები დამამცირებელ მოპყრობას

41 ა. ბერიძე, გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი, თბ., 2024, 11.

42 იქვე, 76.

43 მ. ბითაძე, ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2006, 14-15.

44 იქვე, 16-23.

45 იქვე, 15.

უტოლდებოდა. განმცხადებლის აზრით, ესპანეთს, პასიური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა კონვენციის მე-8 და მე-3 მუხლების დარღვევებისთვის.<sup>46</sup>

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევის შეფასებისას სასამართლომ განმარტა, რომ გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ შეიძლება დააზიანოს ინდივიდთა კეთილდღეობა და ხელი შეუშალოს მათ საკუთარი საცხოვრებლებით სარგებლობაში, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, მიუხედავად იმისა, შეექმნება თუ არა მათ ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე.<sup>47</sup> ECtHR-ს გადაწყვეტილების მისაღებად შექმლო გაენალიზებინა როგორც სახელმწიფოს პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულებები. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა დაზუსტებულიყო, დაიცვა თუ არა ესპანეთმა საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსი.<sup>48</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ კოლიზიურ ინტერესთა დაბალანსება სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებად მიიჩნია, ესპანეთმა კონვენციის მე-8 მუხლის სტანდარტები ვერ დააკმაყოფილა.<sup>49</sup> ერთი მხრივ, პრობლემური გახლდათ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პალატების მიერ საამქროს დახურვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების გაჭიანურება;<sup>50</sup> მეორე მხრივ კი, საგულისხმოა, რომ განმცხადებელს წლების განმავლობაში მოუწია საკმაოდ მძიმე პირობებში ცხოვრება. მართალია, მუნიციპალიტეტმა მოსარჩელის ოჯახის ქალაქის ცენტრში უფასო რელოკაცია უზრუნველყო, თუმცა ამან ლოპეზ ოსტრასთვის მიყენებული სერიოზული ზიანი ვერ აანაზღაურა.<sup>51</sup> შესაბამისად, სასამართლოს აზრით, მოპასუხემ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი ქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობისა და მოსარჩელის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველყოფის ინტერესებს შორის.<sup>52</sup>

მეორე მხრივ, ECtHR-ის შეფასებით, მართალია, განმცხადებელი და მისი ოჯახი წლების განმავლობაში ძალიან რთულ პირობებში ცხოვრობდნენ, თუმცა ისინი, მე-3 მუხლის მიზნების გათვალისწინებით, დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი არ ყოფილან.<sup>53</sup>

46 ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (*López Ostra v. Spain*), 1994 წლის 9 დეკემბერი, 34-ე პუნქტი.

47 იქვე, 51-ე პუნქტი.

48 იქვე, 51-ე პუნქტი.

49 იქვე, 51-ე, 58-ე პუნქტები; ი. გივიაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2006, 87.

50 იქვე, 56-ე პუნქტი.

51 იქვე, 57-ე პუნქტი.

52 იქვე, 57-ე და 58-ე პუნქტები.

53 იქვე, მე-60 პუნქტი.

აღნიშნული საქმე პრეცედენტულია, ვინაიდან ECtHR-მა პირველად დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ ინდუსტრიული დაბინძურების გაკონტროლების პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა, მოსარჩელეთა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში სერიოზული ჩარევის შემთხვევაში, კონვენციის მე-8 მუხლს არღვევს.<sup>54</sup>

### 3.2. ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

საქმის – *ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ* – ფარგლებში, თბილისში, თბოელექტროსადგურის მახლობლად მცხოვრები განმცხადებლები<sup>55</sup> დავობდნენ, რომ ქარხნიდან გამოფრქვეული ტოქსიკური ნივთიერებები და მისი ექსპლოატაციის თანმდევი ხმაური საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთელობას, უარყოფითად ზემოქმედებდა მათ საცხოვრებელ გარემოზე და მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას არღვევდა.<sup>56</sup>

სავარაუდო დარღვევის გაანალიზებისას ECtHR-მა, *ლოპეზ ოსტრას* საქმეზე დაყრდნობით, განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ დავუშვებთ, რომ ჰაერის დაბინძურებას განმცხადებლების ჯანმრთელობის არსებითი დაზიანება არ გამოუწვევია, ისინი, სულ მცირე, სხვადასხვა დაავადების მიმართ უფრო მოწყვლადი შეიძლება გამხდარიყვნენ. ვინაიდან დაბინძურებამ ცალსახად უარყოფითად იმოქმედა მოსარჩელეთა ცხოვრების ხარისხზე, სასამართლომ მე-8 მუხლის მინიმალური ზღვარი დაკმაყოფილებულად მიიჩნია.<sup>57</sup> ECtHR-მა ასევე დაადასტურა, რომ ეს ნორმა მოიცავს როგორც უშუალოდ სახელმწიფოს მიერ გარემოს დაბინძურების შემთხვევებს, ისე მოპასუხის მიერ კერძო ინდუსტრიული საკუთრების რეგულირების ვალდებულების შეუსრულებლობას.<sup>58</sup>

საქართველოს კონტექსტში, ერთი მხრივ, პრობლემური იყო თბოელექტროსადგურის საშიშროების შემცველი საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოუგვარებლობა.<sup>59</sup> სასამართლოს შეფასებით, სადავო მდგომარეობა იყო არა მოვლენათა უეცარი განვითარების შედეგი, არამედ შესაბამისი უწყებებისთვის ცნობილი, განგრძობადი პრობლემა. მართალია, თბოელექტროსადგურს ემისიების ზემოქმედების შესამცირებლად შესაბამისი ფილტრებისა და გამწმენდი მოწყობილობების დამონტაჟება დაევალა, თუმცა კომპეტენტურ უწყე-

54 InforMEA, *López Ostra v Spain*, [https://bit.ly/3zgV9Fe].

55 *ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Jugheli and Others v. Georgia)*, 2017 წლის 13 ივლისი, მე-7 და მე-8 პუნქტები.

56 იქვე, 50-ე პუნქტი.

57 იქვე, 70-ე და 71-ე პუნქტები.

58 იქვე, 73-ე პუნქტი.

59 იქვე, 75-ე პუნქტი.

ბებს ამ მოთხოვნის შესრულების გასაკონტროლებლად პროაქტიურად არასდროს უმოქმედიათ.<sup>60</sup>

შესაბამისად, მიუხედავად გარემოსდაცვითი საკითხებთან მიმართებით სახელმწიფოებისთვის მინიჭებული შეფასების ფარგლებსა, ECtHR-ის აზრით, მოპასუხემ ვერ მოახერხა სამართლიანი ბალანსის დაცვა მოქმედი თბოელექტროსადგურის ქონის საჯარო და განმცხადებელთა მიერ საკუთარი საცხოვრებელითა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობის კერძო ინტერესებს შორის. აქედან გამომდინარე, სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლი დარღვეულად მიიჩნია.<sup>61</sup>

აღნიშნული საქმე საქართველოსთვის პრეცედენტულია, ვინაიდან მან ნათელი მოპოვინა სახელმწიფოს გარემოსდაცვით ვალდებულებებს და ბიძგი მისცა ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებას. კერძოდ, ევროპის საბჭოს ოფიციალური განცხადების თანახმად, ECtHR-ის გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფომ გარემოს დაცვის სტანდარტები, *inter alia*, საკანონმდებლო რეფორმების მეშვეობით გააუმჯობესა.<sup>62</sup> „2017 წელს საქართველომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსიც მიიღო, რომელიც მოითხოვს, რომ კერძო და საჯარო უწყებებმა შესაბამისი აქტივობებისა და პროექტებისთვის განახორციელონ გარემოზე ზემოქმედების შეფასებები. ჰაერის ხარისხის სტანდარტების ახალი წესები 2018 წელს დაინერგა.“<sup>63</sup>

### 3.3. „შვეიცარიელი ხანდაზმული ქალბატონები კლიმატის დაცვისთვის“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ

საქმის – „შვეიცარიელი ხანდაზმული ქალბატონები კლიმატის დაცვისთვის“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ – ფარგლებში, განმცხადებელი ასოციაცია<sup>64</sup> და ოთხი ხანდაზმული ქალბატონი, ერთი მხრივ, დავობდა, რომ სახელმწიფომ კლიმატის ცვლილების პერბილების ვალდებულების შეუსრულებლობით დაარღვია კონვენციის მე-8 და მე-2 მუხლები;<sup>65</sup> მეორე მხრივ, მოსარჩელეთა აზრით, შვეიცარიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ უსაფუძვლოდ უარყო მათი სარჩელი და ვერ უზრუნველყო ECHR-ის მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება.<sup>66</sup> ამასთანავე, განმცხა-

60 იქვე, 77-ე პუნქტი.

61 იქვე, 78-ე პუნქტი.

62 Council of Europe, Tbilisi Residents Affected by Power Plant Pollution Win Landmark Case, 2017, [https://bit.ly/3PSUGgV].

63 ქ. ვარდოსანიძე, ჩ. ქისი, გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში: საბაზისო შეფასება, თბ., 2023, 43.

64 ასოციაციის წევრები მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე გლობალური დათბობის შედეგების წინააღმდეგ მებრძოლი ხანდაზმული შვეიცარიელი ქალბატონები არიან.

65 „შვეიცარიელი ხანდაზმული ქალბატონები კლიმატის დაცვისთვის“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 296-ე-298-ე პუნქტები.

66 იქვე, 577-ე-581-ე პუნქტები.

დებლებს მიაჩნდათ, რომ მათი საჩივრების განუხილველობამ დაარღვია კონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებული სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების უფლება.<sup>67</sup>

ზემოხსენებული გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ არაერთი ინოვაციური განმარტება შემოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ მე-2 მუხლი დარღვევულად არ მიიჩნია, ECtHR-მა დააზუსტა, რომ სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით დადგენილი სტანდარტები დიდწილად ჰგავს მე-8 მუხლით გამყარებულ მოთხოვნებს და, მთლიანობაში, მყარ საფუძველს ქმნის კლიმატის ცვლილების კონტექსტში ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად.<sup>68</sup> შინაარსობრივი თვალსაზრისით, ასევე ხაზგასასმელია სასამართლოს დასკვნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს სახელმწიფოს მიერ ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის კლიმატის ცვლილების მძიმე შედეგებისგან დაცვის უფლებას.<sup>69</sup> ამასთანავე, მისასალმებელია, რომ ECtHR-მა ერთმანეთისგან გამიჯნა ორი ტიპის შეფასების ფარგლები: სასამართლოს განმარტებით, მართალია, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის აუცილებლობის აღიარების კონტექსტში სახელმწიფოები გარკვეულწილად შეზღუდულნი არიან, თუმცა მათი მოქმედების სფერო შერბილების მეთოდების შერჩევის თვალსაზრისით უფრო ფართოა.<sup>70</sup>

აღნიშნულ კონტექსტში, მე-8 მუხლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, სახელმწიფოთა ძირითადი ვალდებულებაა, მიიღონ და ეფექტიანად აღასრულონ კლიმატის ცვლილების შედეგების შესამცირებელი რეგულაციები.<sup>71</sup> სასამართლომ უფრო კონკრეტულადაც განსაზღვრა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტიანად დასაცავად, ხელშემკვრელმა მხარეებმა პროგრესულად უნდა შეამცირონ მათი სათბურის აირების ემისიები და მიზნად მომდევნო სამი ათწლეულის განმავლობაში კლიმატენიტრალურობის მიღწევა დაისახონ.<sup>72</sup>

კონვენციის მე-8 მუხლის საგარაუდო დარღვევის გაანალიზების შედეგად, ECtHR-მა დაასკვნა, რომ შვეიცარიელი ავტორიტეტების მიერ შესაბამისი მარეგულირებელი ჩარხის შექმნის პროცესი კრიტიკულ ხარვეზებს მოიცავდა.<sup>73</sup> ამასთანავე, სასამართლომ

67 იქვე, 641-ე-645-ე პუნქტები.

68 იქვე, 537-ე პუნქტი.

69 იქვე, 519-ე პუნქტი.

70 იქვე, 543-ე პუნქტი.

71 იქვე, 545-ე პუნქტი.

72 იქვე, 548-ე პუნქტი.

73 იქვე, 560-ე-568-ე პუნქტები: 2017 წელს შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ (უმაღლესმა აღმასრულებელმა ორგანომ) CO<sub>2</sub>-ის აქტი შესატანი ცვლილებების პაკეტი მოამზადა, რომელიც 2020-2030 წლების განმავლობაში სათბურის აირების შემცირების მიზნებს აწესრიგებდა. ამ რეფორმებმა, 2021 წელს ჩატარებული რეფერენდუმის ფარგლებში, მოსახლეობის მხარდაჭერა ვერ დაიმსახურა. შესაბამისად, 2020 წლიდან წარმოქმნილი საკანონმდებლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2021 წელს CO<sub>2</sub>-ის აქტი ნაწილობრივ კორექტირდა. მართალია, რეფორმის ფარგლებში, 2021-2024 წლების ემისიების შემცირების მიზნები განისაზღვრა, თუმცა 2024 წლის შემდგომი პერიოდი დაურეგულირებელი დარჩა. 2022 წელს მიღებულ იქნა კლიმატის აქტი, რომელიც მხოლოდ ზოგად გარემოსდაცვით მიზნებს მოიცავს, კონკრეტული სამოქმედო

აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ მიაღწია სათბურის აირების შემცირების კონტექსტში დასახულ წინარე მიზნებს. სათანადო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს შემუშავებისა და აღსრულების ვალდებულებათა შეუსრულებლობით, შვეიცარიამ დაარღვია მე-8 მუხლით დადგენილი შეფასების ფარგლები.<sup>74</sup>

კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის შეფასებისას ECtHR-მა აღნიშნა, რომ მუნიციპალური სასამართლოები სერიოზულად არ მოეციდნენ აპლიკანტი ასოციაციის სარჩელსა და *locus standi*-ს. საგულისხმოა, რომ სამართალწარმოების ინიცირებაზე ასოციაციამ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა და სააგენტოსაც მიმართა, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით არც მათ განუხილავთ მისი საჩივრები. შესაბამისად, ECtHR-მა ასევე დარღვეულად მიიჩნია სამართლიანი სასამართლოს უფლება;<sup>75</sup> მეორე მხრივ, ვინაიდან კონვენციის მე-6 მუხლი მე-13 მუხლთან მიმართებით *lex specialis*-ად გვევლინება, სასამართლომ მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის ცალკე განხილვა საჭიროდ არ მიიჩნია.<sup>76</sup>

პროცედურული თვალსაზრისით, ანგარიშგასაწევია ECtHR-ის მიერ ასოციაციის მსხვერპლის სტატუსთან მიმართებით დადგენილი კრიტერიუმები.<sup>77</sup> კერძოდ, ორგანიზაციისთვის სავალდებულო არაა იმის დამტკიცება, რომ მისი წევრები ან მის მიერ სამართალწარმოების ფარგლებში წარმოდგენილი სხვა პირები ინდივიდუალურად აკმაყოფილებენ მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.<sup>78</sup> მიუხედავად ასოციაციების მიმართ გამოჩენილი ლოიალური დამოკიდებულებისა, *actio popularis*-ის პრევენციის მიზნით, ECtHR-მა ინდივიდუალური მსხვერპლებისთვის მკაცრი მოთხოვნები განსაზღვრა.<sup>79</sup> შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასოციაციას სათანადო *locus*

დო გეგმა კი პარლამენტისთვის წარსადგენად ფედერალურმა საბჭომ უნდა მოამზადოს. საგულისხმოა, რომ კლიმატის აქტი 2031 წლის შემდგომ პერიოდს აწესრიგებს - ვინაიდან CO<sub>2</sub>-ის აქტის რეგულაციები 2025 წლამდე ვრცელდება, არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად აუცილებელია ახალი კანონის მიღება. სასამართლოს შეფასებით, შვეიცარიის კანონმდებლობა, ამჟამინდელი ფორმით, დამაკმაყოფილებლად ვერ მიიჩნევა.

74 იქვე, 573-ე და 574-ე პუნქტები.

75 იქვე, 636-ე-640-ე პუნქტები.

76 იქვე, 641-ე-645-ე პუნქტები.

77 იქვე, 502-ე პუნქტის მიხედვით, (ა) ასოციაცია კანონის საფუძველზე უნდა იყოს დაარსებული ან ფლობდეს შესაბამის იურისდიქციაში მოქმედების უფლებას; (ბ) ორგანიზაციას უნდა შეეძლოს იმის დემონსტრირება, რომ მისი წევრების ან სხვა დაზარალებული პირების უფლებების დაცვით, იგი კონკრეტული იურისდიქციის ფარგლებში ახორციელებს მისი წესდების შესაბამის საქმიანობას; (გ) ასოციაციას უნდა შეეძლოს იმის დამტკიცება, რომ ის ნამდვილად კვალიფიციურია, კონვენციის საფუძველზე, მისი წევრების ან სხვა დაზარალებული პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან კეთილდღეობის კლიმატის ცვლილების მიმე შედეგებისგან დასაცავად.

78 იქვე, 502-ე პუნქტი.

79 იქვე, 487-ე პუნქტის შესაბამისად, (ა) განმცხადებელს მაღალი ინტენსივობით უნდა აზიანებდეს კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები და (ბ) უნდა არსებობდეს მისი ინდივიდუალური დაცვის გადაუდებელი აუცილებლობა.

*standi* ჰქონდა, ინდივიდუალურ მოსარჩელებს კი არა,<sup>80</sup> რამაც მკვლევართა არაერთგვაროვანი შეფასებები დაიმსახურა.<sup>81</sup>

დრო გვიჩვენებს, როგორ გავლენას მოახდენს აღნიშნული ისტორიული საქმე ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების აღიარების პროცესზე. მართალია, გადწყვეტილების ფარგლებში, ECtHR-მა ხაზი გაუსვა ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს, თუმცა აღნიშნა, რომ სასამართლოს მხოლოდ მისთვის წარდგენილი სამართლებრივი პრობლემების შეფასება შეუძლია და არა ახალი უფლების არსებობის დადგენა.<sup>82</sup> მიუხედავად ამისა, ეს პრეცედენტი ცხადყოფს, რომ კონვენციის ევოლუციური განმარტების შემთხვევაში, ევროპული სასამართლო ეფექტიანად შეძლებს თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი ინოვაციური სტანდარტების დანერგვას.<sup>83</sup>

#### 4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „გარემო პირობების მზარდ-მა დეგრადაციამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გარდაუვალი გახადა ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს კონსტიტუციური დაცვის საჭიროება.“<sup>84</sup> მართალია, საქართველოს „კონსტიტუცია ესწრაფვის ჯანსაღ გარემოზე უფლების მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას და მას ადამიანის ძირითად უფლებად განიხილავს,<sup>85</sup> თუმცა პრაქტიკულად რამდენად შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომები ECtHR-ის მიერ დამკვიდრებულ სტანდარტებს?

##### 4.1. საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

გიორგი გაჩეჩილაძის საქმის ფარგლებში, მოსარჩელე დავობდა, რომ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, რომლებზე დაყრდნობითაც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო „ინდულგენციებს“ გასცემდა, არ-

80 იქვე, 526-ე და 535-ე პუნქტები.

81 M. Milanovic, A Quick Take on the European Court's Climate Change Judgments, [https://bit.ly/46tWUv4]; A. Buyse, K. Istrefi, Climate Cases Decided Today: Small Step or Huge Leap?, [https://bit.ly/3YtKlxN].

82 „შვეიცარიელი ხანდაზმული ქალბატონები კლიმატის დაცვისთვის“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 448-ე პუნქტი.

83 S. Arntz, J. Krommendijk, Historic and Unprecedented, [https://bit.ly/3LLwU4L].

84 საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2013 წლის 10 აპრილი, სამოტივაციო ნაწილი, მე-2 პუნქტი.

85 იქვე, მე-2 პუნქტი.

ღვევდა როგორც ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას, იცხოვროს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, ასევე სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა.<sup>86</sup> სადავო ნორმების თანახმად, დაინტერესებული პირის მიერ ზემოხსენებული სამინისტროსთვის მიმართვის საფუძველზე, მხარეებს შორის შესაძლებელი იყო შეთანხმების დადება, რომლითაც „პირის მიერ შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი/ განხორციელებული ყველა ქმედება“ კანონიერად ჩაითვლებოდა.<sup>87</sup> საქართველოს პარლამენტმა განმცხადებლის პოზიცია გაიზიარა და აღიარა, რომ გასაჩივრებული ნორმები ლეგიტიმურ მიზანს მოკლებული და ანტიკონსტიტუციური გახლდათ.<sup>88</sup>

სამოტივაციო ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლომ გარემოს დაცვის უფლებასთან დაკავშირებული პრეცედენტული განმარტებები შემოგვთავაზა. კერძოდ, დადგინდა, რომ „აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი, ერთი მხრივ, განამტკიცებს ადამიანის ძირითად უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს საზოგადოების თითოეული წევრის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.“<sup>89</sup> სასამართლომ დააკონკრეტა, რომ ეკოლოგიური უფლებების კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცედურული გარემოს-დაცვითი უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.<sup>90</sup> ამგვარი განმარტება ჰარმონიულად ერწყმის ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.<sup>91</sup>

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გარემოს დაცვის უფლება მოიცავს როგორც სახელმწიფოს პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ვალდებულებას<sup>92</sup> და განმარტა, რომ „სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც გარემოს დაზიანებისკენ მიმართულ ქმედებებთან დაკავშირებით პრევენციულ ფუნქციას შეასრულებენ“,“<sup>93</sup> რაც ასევე შეესაბამება ევროპული სასამართლოს ზემოგანხილულ პრაქტიკას. ECtHR-ის ანალოგიურად, საკონსტიტუციო სასამართლომაც იხელმძღვანელა სამართლიანი დაბალანსების ტესტით და დაასკვნა, რომ სადავო

86 საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2013 წლის 10 აპრილი, აღწერილობითი ნაწილი, მე-7, მე-8, მე-13 პუნქტები.

87 იქვე, მე-5 პუნქტი.

88 იქვე, მე-13-მე-16 პუნქტები.

89 საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2013 წლის 10 აპრილი, სამოტივაციო ნაწილი, მე-2 პუნქტი.

90 იქვე, მე-2 პუნქტი.

91 იქვე, მე-18 პუნქტი; „შვეიცარიელი ხანდაზმული ქალბატონები კლიმატის დაცვისთვის“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 141-ე-143-ე პუნქტები.

92 საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2013 წლის 10 აპრილი, სამოტივაციო ნაწილი, მე-6 პუნქტი.

93 იქვე, მე-7 პუნქტი.

ნორმებს არც ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა და განუსაზღვრელად დიდი ზიანის გამონევაც შეეძლო.<sup>94</sup>

მეორე მხრივ, მოსარჩელის აზრით, გასაჩივრებული დანაწესი ხელს უშლიდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას.<sup>95</sup> შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, მუდმივად აწარმოოს ზემოხსენებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რათა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს მისი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.<sup>96</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სადავო ნორმა არ კრძალავდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით პირის შემოწმებას,<sup>97</sup> ამიტომ სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.<sup>98</sup>

ამგვარი დასკვნა შეიძლება უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, საკონსტიტუციო სასამართლოს გასაჩივრებული რეგულაციის პოტენციურ მსუსხავ ეფექტზეც რომ ემსჯელა,<sup>99</sup> თუმცა, ვინაიდან სადავო მუხლი სრულადაა „გარემოს დაცვის“ შესახებ კანონიდან ამოღებული, ის სიღრმისეულად აღარ გაანალიზდება.

მთლიანობაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ *გიორგი გაჩეჩილაძის* საქმის განხილვისას შემოთავაზებული განმარტებები დიდწილად შეესაბამება ECtHR-ის სტანდარტებს და საქართველოს კონსტიტუციის პროგრესულობას ადასტურებს.

## 4.2. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

„მწვანე ალტერნატივის“ საქმის ფარგლებში მოსარჩელე დავობდა, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი გარემოს მდგომარეობასთან დაკავშირებულ და სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებებს არღვევს. გასაჩივრებული ნორმის ფარგლებში კერძო მესაკუთრის თანხმობის გარეშე „დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე.“<sup>100</sup>

ერთი მხრივ, მოსარჩელის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ინფორმაციის მოპოვება გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, „წიაღი და წიაღისეული წარმოადგენს სახელმწიფო ქონებას და აღნიშნული ქონების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის უფლე-

94 იქვე, მე-12-მე-15 პუნქტები.

95 იქვე, მე-19 პუნქტი.

96 იქვე, მე-17 პუნქტი.

97 იქვე, 26-ე-28-ე პუნქტები.

98 იქვე, მე-15 პუნქტი.

99 *ბუმბეშვი რუმინეთის წინააღმდეგ (Bumbesh v. Romania)*, 2022 წლის 3 მაისი, 101-ე პუნქტი; L. Pech, *The Concept of Chilling Effect: Its Untapped Potential to Better Protect Democracy, the Rule of Law, and Fundamental Rights in the EU*, 2021, 9-11.

100 ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018 წლის 14 დეკემბერი, აღწერილობითი ნაწილი, მე-3-მე-5 პუნქტები.

ბა უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს;“<sup>101</sup> მეორე მხრივ, მოპასუხის თქმით, გასაჩივრებული ნორმა ადგენს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, არ გასცეს სასყიდლით მოპოვებული ქონებრივი ხასიათის ინფორმაცია.<sup>102</sup>

„წიალის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის კონსტიტუციურობის შესაფასებლად სასამართლომ, პირველ რიგში, გაანალიზა სახელმწიფო დანესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების დაცულ სფეროში ჩარევა.<sup>103</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებად წიალითა და წიალისეულით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა, საკუთრების უფლების, მენარმეობის თავისუფლებისა და კონკურენციის დაცვა მიიჩნია.<sup>104</sup> სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და დაადასტურა გასაჩივრებული ღონისძიების გამოსადეგობა,<sup>105</sup> აუცილებლობა<sup>106</sup> და პროპორციულობა.<sup>107</sup> განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, სადავო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მისი მესაკუთრის უფლებების შეზღუდვის გარეშე.<sup>108</sup>

სასამართლომ გასაჩივრებული ნორმა გარემოს მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების ჭრილშიც განიხილა და განმარტა, რომ „სწორედ ინფორმირებულ საზოგადოებას შესწევს უნარი, მიიღოს გარემოს შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა და საზოგადოებრივი კონტროლი გაუწიოს ქმედებებს, რომლებიც გავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობაზე.“<sup>109</sup> მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ „გარემოს შესახებ ინფორმაციის ქონის უფლების დაცვის ობიექტი ვერ იქნება კონკრეტულ დოკუმენტზე წვდომის გზით მოქალაქეთაგან სახელმწიფოს კონტროლის განხორციელება ღია მმართველობის დამკვიდრების მიზნით“<sup>110</sup> და „წიალის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლი კონსტიტუციურად მიიჩნია.<sup>111</sup>

შემოსხენებული გადაწყვეტილება არაერთი თვალსაზრისითაა პრობლემური. პირველ რიგში, ხაზგასასმელია, რომ, ექსპერტის მითითების შესაბამისად, გასაჩივრებული ნორმა გეოლოგიური ფონდის ნაცვლად შეცდომით მიუთითებს საინფორმაციო

101 იქვე, მე-9 პუნქტი.

102 იქვე, მე-16 პუნქტი.

103 ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018 წლის 14 დეკემბერი, სამოტივაციო ნაწილი, მე-16 პუნქტი.

104 იქვე, მე-20 პუნქტი.

105 იქვე, 21-ე-23-ე პუნქტები.

106 იქვე, 24-ე-27-ე პუნქტები.

107 იქვე, 28-ე-32-ე პუნქტები.

108 იქვე, 31-ე პუნქტი.

109 იქვე, 34-ე პუნქტი.

110 იქვე, 36-ე პუნქტი.

111 იქვე, 32-ე და 42-ე პუნქტები.

ფონდზე.<sup>112</sup> შესაბამისად, სადავო დანაწესი ვერ აკმაყოფილებს ECtHR-ის პრაქტიკით გამყარებულ სამართლებრივი განსაზღვრულობის მოთხოვნას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, სამართლებრივი სიზუსტის პრინციპი კონვენციის თითოეული მუხლით არაპირდაპირაა დაცული და სამართლის უზენაესობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტად გვევლინება.<sup>113</sup> ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით კი, სამართლებრივი განსაზღვრულობა გულისხმობს ნორმების ხელმისაწვდომობას, სიზუსტეს, სტაბილურობასა და პროგნოზირებადობას.<sup>114</sup> ვინაიდან საექსპერტო ცოდნის გარეშე ნორმაში ნაგულისხმევი ფონდის იდენტიფიცირება შეუძლებელია, სადავო დანაწესი სიზუსტისა და პროგნოზირებადობის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს.

მეორე მხრივ, საგულისხმოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გარემოსდაცვითი კონტექსტში საზოგადოებრივი კონტროლისა და ღია მმართველობის შესახებ ჩამოყალიბებული ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები.<sup>115</sup> მართალია, ნიალთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან მიმართებით საზოგადოებრივი ინტერესი შეიძლება გადანეწყვტილების მიღების ეტაპზე მართლაც არ ყოფილიყო კრიტიკულად მაღალი,<sup>116</sup> თუმცა, ორჰუსის კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე,<sup>117</sup> უფრო სიღრმისეულადაა გასაანალიზებელი „მწვანე ალტერნატივის“ მსგავს ორგანიზაციათა მიერ ინდივიდთა გარემოსდაცვითი უფლებების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილი. კერძოდ, მისი საწესდებო ფუნქციებიდან გამომდინარე, მოსარჩელე გვევლინება სახელმწიფოს ეკოლოგიური ვალდებულებების შესრულების საზოგადოებრივ მეთვალყურედ.<sup>118</sup> ECtHR-ის პრაქტიკის მიხედვით, კლიმატის ცვლილების კომპლექსურ კონტექსტში, ასოციაციების ფარგლებში გაერთიანება და კოლექტიური საქმიანობა ინდივიდთა ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კი ერთადერთი საშუალება შეიძლება იყოს.<sup>119</sup>

აქედან გამომდინარე, მისასალმებელი იქნებოდა, სასამართლოს შეეფასებინა, როგორ გავლენას ახდენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მოსარჩელის საქ-

112 ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018 წლის 14 დეკემბერი, აღწერილობითი ნაწილი, მე-11 პუნქტი.

113 ალბუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (*Albu and Others v. Romania*), 2012 წლის 10 მაისი, 34-ე პუნქტი.

114 J. Van Meerbeeck, The Principle of Legal Certainty in the Case Law of the European Court of Justice: From Certainty to Trust, *European Law Review*, 41(2), 2016, 275.

115 ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018 წლის 14 დეკემბერი, სამოტივაციო ნაწილი, 34-ე და 36-ე პუნქტები.

116 იქვე, 30-ე პუნქტი.

117 „შვეიცარიელი ხანდაზმული ქალბატონები კლიმატის დაცვისთვის“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 490-ე-492-ე პუნქტები.

118 ჯანგი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Cangı and Others v. Türkiye*), 2024 წლის 8 აპრილი, 36-ე პუნქტი.

119 „შვეიცარიელი ხანდაზმული ქალბატონები კლიმატის დაცვისთვის“ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland*), 2024 წლის 9 აპრილი, 489-ე პუნქტი.

მიანობისა და გამოხატვის თავისუფლებაზე. ECtHR-ის ტესტის შესაბამისად, იმის გასაანალიზებლად, არღვევს თუ არა ინფორმაციის გაცემაზე უარი განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს:

- 1) ინფორმაციის გამოთხოვის მიზანი;
- 2) მოთხოვნილი ინფორმაციის ბუნება;
- 3) მოსარჩელის როლი; და
- 4) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.<sup>120</sup>

შესაბამისად, განმცხადებლის სპეციფიკური ფუნქციებისა და მისიის განხილვის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება უფრო ჰარმონიული იქნებოდა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან.

ამასთანავე, ვინაიდან ორჭუსის კონვენციის პრეამბულით ცალსახად აღიარებულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს გარემოსდაცვით საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია, მისასაღმებელი იქნება, თუ შიდასახელმწიფოებრივ დონეზეც აქტიურად მოხდება მათი განსაკუთრებული როლის სიღრმისეულად გაანალიზება და სამოქალაქო სექტორის შემდგომი გაძლიერება.

## 5. დასკვნა

ზემოხსენებული საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრეცედენტების შედარების შედეგად ნათელი მოეჩინა გარემოსდაცვითი უფლებების კონსტიტუციური დაცვის პრაქტიკულ ხარვეზებს. ერთი მხრივ, ECHR-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფოსთვის რეკომენდებულია ახალი, მაქსიმალურად აღქმადი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და აღსრულება; მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან კი მისასაღმებელი იქნება, გარემოსდაცვითი პრობლემების სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეული დაზარალებული აქტორის ფუნქციებისა და საჭიროებების დეტალურად გაანალიზება. ეკოლოგიური გამოწვევების სიმწვავისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, სასურველია, საკონსტიტუციო სასამართლომ უფრო მრავალსაზრისო განმარტებები შემოგვთავაზოს და განუხრელად დაიცვას სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი.

კერძოდ, ევროპული კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, მისასაღმებელი იქნება, სასამართლომ უფრო პროაქტიურად იხელმძღვანელოს ECtHR-ის პრაქტიკით. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პრიორიტეტულია, საკონსტიტუციო სასამართლომ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესაბამისი მიდგომები დანერგოს და ყველა ზომა მიიღოს „ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“

<sup>120</sup> ასოციაცია „Burestop 55“ და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (*Association Burestop 55 and Others v. France*), 2021 წლის 1 ივლისი, 84-ე პუნქტი.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ასევე ხაზგასასმელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემურობა. მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით,“ გადაწყვეტილებების აღსრულების პროცედურა დეტალურად მოწესრიგებული არაა. მართალია, ორგანული კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი „იღებს ზომებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის და თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე“, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არაპროგნოზირებადია და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს ვერ აკმაყოფილებს. შესაბამისად, აღსრულების გაჭიანურების პრევენციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდებულია არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა.

თავის მხრივ, პრობლემურია ისიც, რომ, ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს რეტროაქტიური ეფექტი არ აქვთ. საქმის – ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ – ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლომ თავადაც განმარტა, რომ, ვინაიდან „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე“, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ „არსებობს საფრთხე, რომ პირის უფლებაში აღდგენა არ მოხდება“. შესაბამისად, ხელშესახები ცვლილებების დასაწერგად აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების გაფართოება და კონკრეტულ შემთხვევებში მისი გადაწყვეტილებებისთვის რეტროაქტიური ძალის მინიჭება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინდივიდთა გარემოსდაცვითი უფლებების ეფექტიანად დაცვა მხოლოდ საერთაშორისო სამართალწარმოების შედეგად იქნება შესაძლებელი.

# ადამიანის უფლებათა კონცეფცია ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიაში

ირაკლი პაპავა

## 1. შესავლის მაგიერ: ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის წინასიტყვითი

ევროინტეგრაციის პროცესში „ადამიანური განზომილების“ შემოტანის საკითხი, მისი ყველაზე უფრო ადრეული ეტაპიდან მოყოლებული, აქტიურად განიხილებოდა კონცეფციათა დისკურსის ფარგლებში – „დანესებულების ევროპა“ თუ „მოქალაქეთა ევროპა“, „სახელმწიფოების კავშირი“ თუ „ხალხთა კავშირი“. ამოსავალი წერტილი ამ საკითხში იყო იდეა, რომ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ევროპის გაერთიანების (კავშირის) წევრ ქვეყნებს ეკისრებათ. ამიტომაც იყო, რომ ადამიანის უფლებათა დოკუმენტების მიღება სახელმწიფოთაშორის დონეზე ხდებოდა, ხოლო ევროპის კავშირის (შემდგომში – „EU“, „ევროკავშირი“, „კავშირი“) დამფუძნებელ დოკუმენტებში დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა კონკრეტული დებულებები არც უფლებებისა და თავისუფლებების და არც მათ დაცვაზე სასამართლო კონტროლის შესახებ.

და მაინც, ევროპული ინტეგრაციის საწყის, „ეკონომიკურ“ ეტაპზე მისი „ჰუმანიტარული“ მდგენელი თუკი არსებობდა, იგი, საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის ზოგადი პრინციპების დეკლარირებამდე და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მისწრაფებამდე დაიყვანებოდა. ადამიანის უფლებათა საკითხები ევროპის საბჭოს (და სხვა მსგავსი ორგანიზაციების) ფარგლებში სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროში მოექცა, თუმცა დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტ ალიარებას იძენს ადამიანის „ევროპული“ უფლებებით აღჭურვისა და EU-ის დონეზე მათი განმტკიცების იდეა. სულ უფრო მჭიდრო ევროპული ინტეგრაციის კვალდაკვალ, სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა ევროკავშირის სამართალი.

ჯერ კიდევ 1957 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულებამ<sup>1</sup> გაითვალისწინა ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა გარკვეული (ძირითადად) „ეკონომიკური“ უფლებები და თავისუფლებები: მოქალაქეობასთან დაკავშირებით პირის ნებისმიერი დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხ. 7), მოქალაქეთა და მუშაკთა გადაადგილების თავისუფლება (მუხ. 48), მუშაკთა სოციალური უფლებები (მუხ. 51), საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება (მუხ. 48–51), მომსახურების გადაადგილების თავისუფლება (მუხ. 59–66), შრომის თანაბარი ანაზღაურების უფლება (მუხ. 119). ევროპის კავშირის შექმნის შესახებ მასტრიხტის 1992

1 იხ. Treaty establishing the European Economic Community. Rome, 25 March 1957.

წლის ხელშეკრულებით<sup>2</sup> შემოღებულ იქნა ევროპის მოქალაქეობა და დადგენილ იქნა მისგან გამომდინარე მნიშვნელოვანი უფლებები: თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, მუნიციპალურ და ევროპულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მესამე ქვეყანაში კავშირის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მხრიდან დიპლომატიური და საკონსულო დაცვის უფლება და პეტიციის უფლება. ეს დებულებები შემდგომში განვითარებულ და შევსებულ იქნა ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით.<sup>3</sup> უფლებათა და თავისუფლებათა ამომწურავი კატალოგის შემოთავაზების გარეშე, მასტრიხტის ხელშეკრულებამ განსაზღვრა ევროკავშირის დონეზე აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებების სამი წყარო: 1) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენციაში (შემდეგში – „კონვენცია“, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“) განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები; 2) EU-ის წევრი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან გამომდინარე უფლებები და თავისუფლებები; 3) სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე უფლებები და თავისუფლებები. სწორედ მათ საფუძველზე ყალიბდება ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში – ასევე „ლუქსემბურგის სასამართლო“)<sup>4</sup> პრაქტიკა, რომელშიც გამოხატულებას პოულობს ადამიანის უფლებათა ევროპული ტრადიცია.

ევროკავშირის პოლიტიკამ სუპრანაციონალურ, საერთოევროპულ დონეზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების პრობლემის გადაწყვეტის ორი ვარიანტი შეიმუშავა: 1) ევროკავშირის შეერთება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, კოლექტიური წევრის რანგში და 2) ადამიანის უფლებათა საკუთარი ქარტიის მიღება. რაც შეეხება პირველ მიმართულებას, EU-ისთვის კონვენციის დებულებების სავალდებულოება არაპირდაპირი ფორმით აღიარებულ იქნა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდეგში – ასევე „ECJ“, „ლუქსემბურგის სასამართლო“) პრეცედენტულ პრაქტიკაში, ხოლო შემდეგ ოფიციალურად იქნა დეკლარირებული მასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულების მე-8 მუხლში, თუმცა ეს დეკლარირება „ნებაყოფლობითი ვალდებულების“ ხასიათს ატარებდა და იგი არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო სასამართლო დაცვით; ფიზიკურ და იურიდიულ პირებს არ შეეძლოთ სუპრანაციონალური ევროპული ინსტიტუტების ქმედებათა გასაჩივრება სტრასბურგის ადამიანის

2 იხ. Treaty on European Union (The Maastricht Treaty). OJ C 191/1, 29.7.1992.

3 იხ. Treaty of Amsterdam amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts. OJ C 340/01, 10.11.1997.

4 საგულისხმოა, რომ ტერმინი „ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო“, EU-ის დამფუძნებელი დოკუმენტების ამჟამად მოქმედი რედაქციის შესაბამისად, სპეციფიკური გაგებით, კრებსითი ცნების სახით გამოიყენება. კერძოდ, ამ ტერმინში იგულისხმება ევროკავშირის მართლმსაჯულების სუპრანაციონალური ორგანოების მთელი სისტემა, რომელიც 3 დამოუკიდებელი რგოლისგან შედგება: მართლმსაჯულების სასამართლო (უმაღლესი რგოლი), საერთო სასამართლო და სპეციალიზებული სასამართლოები (ეს უკანასკნელი შეიძლება შეუზღუდავი რაოდენობით შეიქმნას). იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები, თბ., 2017, 104.

უფლებათა ევროპულ სასამართლოში და არ ჰქონდათ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. 1994 წელს ევროკავშირის საბჭომ ECJ-ს მიმართა დასკვნისთვის იმის თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან კავშირის შეერთება თუ რამდენად შეესაბამებოდა მის დამფუძნებელ ხელშეკრულებებს. ლუქსემბურგის სასამართლომ 1996 წლის 28 მარტის დასკვნაში დაადგინა, რომ, EU-ის მოქმედი სამართლის შესაბამისად, ევროკავშირს არ აქვს სათანადო უფლებამოსილებები კონვენციასთან შეერთებისთვის და რომ ასეთი შეერთება საჭიროებს აუცილებელი ცვლილებების შეტანას კავშირის დამფუძნებელ დოკუმენტებში.<sup>5</sup> ევროკავშირის დამფუძნებელ დოკუმენტში მსგავსი სახის ცვლილება კი ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულების<sup>6</sup> საფუძველზე განხორციელებული EU-ის სამართლებრივი სანყისების ძირეული რეფორმის შედეგად იქნა შეტანილი: კერძოდ, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების „ლისაბონისეული“ რედაქციის მე-6(2) მუხლის თანახმად, „კავშირი უერთდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას“. ევროპის საბჭოს მხრიდან შემხვედრ ნაბიჯად 2004 წლის 13 მაისს სტრასბურგში (საფრანგეთი) მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №14 ოქმი (ძალაშია 2010 წლის 1 ივნისიდან), რომლის მე-17(1) მუხლის საფუძველზე, კონვენციის ტექსტში გაჩნდა სპეციალური ჩანაწერი, რომელიც EU-ს აძლევს კონვენციაში დამოუკიდებელი მხარის სტატუსით მონაწილეობის საშუალებას: „ევროპის კავშირს შეუძლია შეუერთდეს ამ კონვენციას“ (იხ. კონვენცია, 59-ე მუხლის ახალი მე-2 პუნქტი). ამით, ფაქტობრივად, შეიქმნა (მომზადდა) აუცილებელი ნორმატიული ბაზა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროკავშირის შესაერთებლად.

გარდა ამისა, ევროპის გაერთიანებების და შემდეგ ევროკავშირის პრაქტიკაში იყო არაერთი მცდელობა, მიეღოთ კონსოლიდირებული აქტი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ: ევროპარლამენტის, საბჭოსა და კომისიის 1977 წლის ერთობლივი დეკლარაცია ძირითადი უფლებების შესახებ;<sup>7</sup> ევროპის პარლამენტის მიერ 1989 წელს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაციისა<sup>8</sup> და ძირითადი სოციალური უფლებების ქარტიის მიღება;<sup>9</sup> 1992 წლის ოქმი და შეთანხმება სოციალური პოლიტიკის

5 იხ. The European Court of Justice. Opinion 2/94 on Accession by the Community to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (28 March 1996), ECR I-1759.

6 იხ. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community. OJ C 306, 17 December 2007. ძალაშია 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

7 იხ. Joint Declaration by the European Parliament, Council and the Commission concerning the protection of fundamental rights and the ECHR (Luxembourg, 5 April 1977). OJ C 103, 27.4.1977.

8 იხ. The declaration of fundamental rights and freedoms adopted by the European Parliament on April 12, 1989. OJ C 120/51, 16.05.1989.

9 იხ. Resolution on the Community Charter of Fundamental Social Rights adopted by the European Parliament on November 22, 1989. OJ C 323/44, 27.12.1989.

შესახებ.<sup>10</sup> დოკუმენტების ამ წყების ლოგიკურ დასასრულად იქცა ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია (შემდეგში – „ქარტია“), რომელიც შემუშავებულ იქნა 2000 წელს სპეციალური კონვენტის მიერ და მიღებულ იქნა ევროპის პარლამენტის, EU-ის საბჭოსა და ევროკომისიის მიერ ნიკაში (საფრანგეთი) 2000 წლის 7 დეკემბერს.<sup>11</sup>

## 2. ქარტიის მიღების მიზნები

იმ მრავალრიცხოვან მიზანს შორის, რომლებმაც განსაზღვრეს ქარტიის მიღების აუცილებლობა, შეიძლება გამოიყოს მოსამზადებელ დოკუმენტებში<sup>12</sup> ყველაზე ხშირად დასახელებული სამი მთავარი მათგანი: 1) ხელმისაწვდომობა EU-ის მოქალაქეებისთვის; 2) სამართლებრივი გარანტიის გაძლიერება და 3) ორიენტირის ფუნქცია წევრი ქვეყნებისა და კავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოებისთვის.

1999 წლის 3-4 ივნისს გამართულ კელნის (გერ) ევროპული საბჭოს სხდომაზე დაისვა შესამუშავებელი დოკუმენტის პრინციპული ამოცანა: ძირითადი უფლებების ნუსხა ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო კავშირის მოქალაქეებისთვის. მოგვიანებით ეს მომენტი საგანგებოდ იქნა ხაზგასმული ქარტიის პრეამბულაშიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საზოგადოების შემდგომი ევოლუციის, სოციალური პროგრესისა და სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების ფონზე აუცილებელია, გაძლიერდეს ძირითადი უფლებების დაცვა, ქარტიაში მათი უფრო ნათლად გამოხატვის გზით“ (იხ. პრეამბულის მე-4 აბზაცი). სწორედ ამიტომაც ყველა დებულება ქარტიაში გადმოცემულია მაქსიმალურად ლაკონიურად და ტერმინთა სიმრავლის გარეშე, რათა იგი მარტივად გასაგები და აღსაქმელი იყოს თითოეული ადამიანისთვის. ამ თვალსაზრისით, ქარტიის მიზანი და ამოცანა არის არა იმდენად რაიმე ახლის თქმა ადამიანის უფლებების შესახებ, რამდენადაც უფრო ნათლად გამოხატვა იმისა, რაც უკვე თქმულა ამ თემის გარშემო. ძირითადი უფლებების ქარტია არ ცვლის ადამიანის უფლებათა არსებულ რეგულირებას ევროპაში, იგი მხოლოდ ცდილობს, ახალ დონეზე გადაიყვანოს ეს უკანასკნელი, თუმცა, ამავე დროს, ქარტია ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს ევროპული ინტეგრაციის ახალ ეტაპს, რომელიც არსებითად აძლიერებს პოლიტიკურ ელემენტს, რასაც განსაკუთრებული

10 იხ. მასტრიხტის 1992 წლის 7 თებერვლის ხელშეკრულების ოქმი სოციალური პოლიტიკის შესახებ და მისი დანართი – შეთანხმება სოციალური პოლიტიკის შესახებ. OJ C 191/90, 29.7.1992.

11 იხ. Charter of Fundamental Rights of the European Union. Official Journal of the European Union C 326/391, 26.10.2012. ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის სრული ტექსტის არაოფიციალური ქართულენოვანი თარგმანის სანახავად იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები, თბ., 2017, 280-287.

12 იხ. ყველაზე ცნობილი: Affirming fundamental rights in the European Union. Time to act: Report of the Expert Group on Fundamental Rights. European Commission, February 1999. <bit.ly/3W3NAdU> [30.06.2024].

მნიშვნელობა ენიჭება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საერთო ევროპული სივრცის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ხელმისაწვდომობა, თავის მხრივ, დაკავშირებულია სამართლებრივი გარანტიის გაძლიერებასთან, რაც EU-ის სამართლებრივ სტაბილურობას გულისხმობს. ქარტიის არსებობა ხელს უწყობს ევროპული და ეროვნული სამართლის სფეროში არსებული ზოგიერთი წინააღმდეგობის დაძლევას, რაც უფლებათა კონკრეტული სიის მრავალწლიანი არარსებობით იყო გამოწვეული.

როგორც აღინიშნა, არსებულ წინააღმდეგობათა დასაძლევად ევროკავშირის პოლიტიკამ, ადამიანის უფლებათა „საკავშირო“ ქარტიის მიღების გარდა, კიდევ ერთ ვარიანტად შემოუშვა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან EU-ის შეერთება, კოლექტიური წევრის რანგში. ჯერჯერობით ამ მიმართულებით განხორციელებულ ძალისხმევას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია; არადა, კონვენციასთან შეერთება EU-ის პირდაპირ ვალდებულებად გაანსაზღვრული „ევროპის კავშირის შესახებ“ ხელშეკრულების მე-6(2) მუხლის საფუძველზე და მის ერთ-ერთ (№30) განმარტებით ოქმში. შეერთების შესახებ მხარეთა მიერ შეჯერებული შეთანხმების პროექტის მიმართ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის უარყოფითმა დასკვნამ<sup>13</sup> კონვენციასთან შეერთების საკითხი<sup>14</sup> და პერსპექტივა ბუნდოვანი გახდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ შეერთების საკითხი დღის წესრიგიდან იქნა მოხსნილი. 5 წლის თავზე ევროკავშირმა და ევროპის საბჭომ მოახერხეს, კვლავ მოეკრიბათ თავიანთი „პოლიტიკური ნება“ და 2019 წელს განაახლეს მოლაპარაკებები კონვენციასთან EU-ის შეერთების თაობაზე, *ad hoc* ჯგუფის „46+1“ ფარგლებში. შესაბამისად, ამჟამინდელი მოცემულობით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შეერთების დროში გაჭიანურებული პროცესი უახლოეს პერიოდში (თუ კიდევ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა) ლოგიკურ დასასრულამდე იქნება მიყვანილი, რითაც ევროკავშირი მოახერხებს დასახული ამოცანის გადაჭრას.<sup>15</sup> ამასთან, მხარეები იმედოვნებენ, რომ კონვენციასთან

13 იხ. ECJ, Case Opinion 2/13, Opinion of the Court (Full Court) of 18 December 2014, ECLI:EU:C:2014:2454.

14 ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროკავშირის შეერთებასთან დაკავშირებით იხ.: ი. პაპავა, ევროპის კავშირის შეერთება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან: ობიექტური აუცილებლობა თუ შეუთავსებელის შეთავსების მცდელობა? ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2/13 დასკვნის ანალიზი, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 12, 2018, 97-118; ი. პაპავა, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ურთიერთქმედების ასპექტები №2/13 დასკვნის შემდეგ, სამართალი და მსოფლიო, 14, 2020, 96-116; ა. ფირცხალაშვილი, გ. მირიანაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბ., 2018, 120-173.

15 2019 წელს კონვენციასთან ევროკავშირის შეერთების შესახებ მოლაპარაკებების განახლების შემდეგ დროებითაა სამუშაო ჯგუფმა შეხვედრების 14 რაუნდი გამართა. ბოლო რაუნდი გაიმართა 2023 წლის 17 მარტს, რომლის შედეგადაც *ad hoc* ჯგუფის („46+1“) თავმჯდომარემ ტონი მეინიჩმა გამოაცხეცა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროპის

კავშირის შეერთება მოაგვარებს ლუქსემბურგისა და სტრასბურგის სასამართლოების გადაწყვეტილებებს შორის შესაძლო კოლიზიების საკითხს.

რაც შეეხება შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ პრობლემებს, EU-ის დონეზე ძირითადი უფლებების საკუთარი კატალოგის არარსებობის პირობებში, მრავალი ნევრი ქვეყანა შეშფოთებას გამოთქვამდა ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ინტერპრეტაციების გამო. ამ კუთხით, კლასიკური მაგალითია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ხშირად ციტირებადი გადაწყვეტილებები საქმეებზე – *Solange I* და *Solange II*. გერმანიის პოზიცია ასეთი იყო: კავშირის დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებების კონკრეტული ნუსხის არარსებობის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებას იტოვებდა, შეეფასებინა EU-ის ინსტიტუტებისა და ორგანოების აქტების კონსტიტუციურობა.<sup>16</sup> ანალოგიური პოზიცია გამოხატა იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომაც.

მოკლედ, ერთი რამ ფაქტი იყო: ის, რომ ევროკავშირის ადამიანის უფლებათა საკუთარი კატალოგი არ ჰქონდა, არა მარტო კომენტატორების მწვავე კრიტიკას იწვევდა, არამედ მის დადებით იმიჯსაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა როგორც ნევრი ქვეყნების მთავრობისა და მოსახლეობის თვალში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ამიტომაც მას კრიტიკოსებისთვის უნდა ეჩვენებინა, რომ ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა საკუთარი წერილობითი კატალოგი აქვს, რომ იგი კარგად გრძნობს, ფეხს უწყობს დროის მოთხოვნას, რაც სწორედ ადამიანის „ევროპული“ უფლებებით აღჭურვასა და ევროკავშირის დონეზე მათ განმტკიცებაში უნდა გამოხატულიყო. ამ თვალსაზრისით, ქარტიის მიღება და მოგვიანებით, ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული რეფორმის შედეგად, მისთვის სავალდებულო ძალის მინიჭება ერთგვარი რეაქცია იყო EU-ის სამართალში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ პოზიტიური ნორმების გარკვეული დეფიციტის მიმართ.

და ბოლოს, მესამე მიზანი, რომელსაც ქარტიის მიღებისას ისახავდნენ, დაკავშირებული იყო ევროკავშირის სამომავლო გაფართოებასთან. ამ კონტექსტში ქარტია ნევრი

---

კავშირის შეერთების შესახებ შეთანხმების შესწორებული (კონსოლიდირებული) პროექტი (იხ. Council of Europe, 46+1(2023)36, 17 March 2023. 18th meeting of the CDDH ad hoc negotiation Group on the accession of the European Union to the European Convention on Human Rights. Final consolidated version of the draft accession instruments. Strasbourg, 14 - 17 March 2023. <[bit.ly/3VN1KPf](https://bit.ly/3VN1KPf)> [30.06.2024]). გადასინჯული პროექტის ანალიზი მოწმობს, რომ ad hoc ჯგუფმა სრულად გაითვალისწინა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს №2/13 დასკვნაში დაფიქსირებული ყველა მოთხოვნა და შენიშვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროცესის წარმატებით დასრულების მოლოდინი სავსებით კანონზომიერია. დაწვრილებით იხ. Н. Цвейба, Анализ основных достижений переговорного процесса по присоединению Европейского союза к Европейской конвенции о защите прав человека 1950 г. (2019-2023), Право и управление. XXI век, 19(4), 2023, 85-94.

16 ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და გფრ-ის საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ცნობილი დაპირისპირების შესახებ იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები, თბ., 2017, 60-61.

სახელმწიფოებისთვის ერთგვარი ორიენტირის ფუნქციას ასრულებს საერთოსამართლებრივი პრინციპებისა და ღირებულებების სფეროში.

### 3. ქარტიის შემუშავების პროცესი. ქარტიის ტექსტის შემუშავებელი ორგანო

თავისი როლიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქარტია უფრო მეტად მთავრობათაშორის კონფერენციაზე მიღებას ექვემდებარებოდა; როგორც წესი, სწორედ ეს მეთოდი გამოიყენება დამფუძნებელი დოკუმენტების ტექსტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და EU-ის შემდგომი განვითარების კურსის განსაზღვრის დროს, თუმცა, გარკვეულ მიზეზთა გამო,<sup>17</sup> ქარტიის შემუშავებისას გადაწყდა, უარი ეთქვათ ტრადიციული, მთავრობათაშორისი კონფერენციის მოდელის გამოყენებაზე; შესაბამისად, ქარტიის პროექტის მომზადების მიზნით, შეიქმნა სპეციალური ორგანო – ე.წ. კონვენტი, რომლის შემადგენლობა და საქმიანობის პრინციპები განისაზღვრა 1999 წლის 15-16 ოქტომბერს ტამპერეში (ფინეთი) გამართული ევროპული საბჭოს სხდომაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენტის წევრები პირდაპირ არ ყოფილან არჩეულნი ევროპის ხალხთა მიერ, მას მაინც საკმაოდ წარმომადგენლობითი შემადგენლობა ჰქონდა. იგი წევრთა 4 კატეგორიას მოიცავდა: 1) 15-ივე წევრი ქვეყნის<sup>18</sup> სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურთა წარმომადგენლებს – თითო წარმომადგენელს ყოველი ქვეყნიდან (15 ადამიანი); 2) ევროპის კომისიის (ანუ EU-ის მთავარი აღმასრულებელი ორგანოს) პრეზიდენტის წარმომადგენელს (1 ადამიანი); ანუ კონვენტის 16-მა წევრმა თავიანთი მანდატები, შესაბამისად, წევრი ქვეყნების ან კავშირის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებისგან მიიღო (კონვენტის ფარგლებში მათ ერთად შექმნეს „პერსონალურ წარმომადგენელთა ჯგუფი“); 3) კონვენტის მონაწილეთა მესამე კატეგორია აერთიანებდა ევროპის პარლამენტის 16 წევრს, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ ევროკავშირის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ; 4) ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენდა წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების წარმომადგენლები – ორ-ორი დეპუტატი თითოეული საკანონმდებლო ორგანოდან (სულ 30 ადამიანი).

ამგვარად, საერთო ჯამში, კონვენტი 62 ადამიანისგან შედგებოდა, რომელთაგან დაახლოებით 3/4 იყო წევრი ქვეყნების ან, მთლიანად, ევროპის კავშირის ხალხთა წარ-

17 ეს გარემოებები შემდეგში მდგომარეობდა: ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, ისევე როგორც ნებისმიერი სამართლებრივი დოკუმენტი, პროფესიონალურად უნდა შემუშავებულიყო, რაც, თავისთავად, გულისხმობდა სამართლის, პირველ რიგში კი, კონსტიტუციური სამართლის სფეროს სპეციალისტების ჩართულობას; ამავე დროს, ქარტია პოლიტიკურ დოკუმენტად უნდა დარჩენილიყო, რაც მისი პროექტის შემუშავების პროცესში თითოეული წევრი ქვეყნიდან პოლიტიკოსებისა და საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართვას გულისხმობდა.

18 იმ მომენტისთვის ევროკავშირი 15 წევრისგან შედგებოდა; დღევანდელ ეტაპზე (30.06.2024-ის ფაქტობრივი მდგომარეობით) კი იგი 27 ქვეყანას აერთიანებს. ავტ.

მომადგენელი დეპუტატები. შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქარტიის შემმუშავებელი კონვენტის შემადგენლობა EU-ის პრაქტიკაში ნამდვილად უპრეცედენტო იყო. პრაქტიკულად, ერთიან გუნდად პირველად მოუწიათ თანამშრომლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ევროპული ინსტიტუტებისა და ეროვნული ორგანოების წარმომადგენლებს.<sup>19</sup>

კონვენტის ფორმირების ზემოაღნიშნული წესის გათვალისწინებით, მის სტრუქტურაში ჩამოყალიბებულ იქნა სამი განყოფილება („ჯგუფი“): 1) პირად წარმომადგენელთა ჯგუფი; 2) ევროპის პარლამენტის წევრთა ჯგუფი და 3) ეროვნული პარლამენტების წევრთა ჯგუფი. თითოეულ ამ ჯგუფს თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა. კერძოდ, ესენი იყვნენ 1 დეპუტატი ევროპის პარლამენტისა და ერთი ეროვნული პარლამენტების წევრთა ჯგუფებიდან და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის სახელმწიფო მეთაურის (მთავრობის) წარმომადგენელი.

სრულუფლებიანი წევრების გარდა, კონვენტის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით (დამკვირვებლის სტატუსით) მონაწილეობას იღებდა კიდევ 4 ადამიანი: ორი წარმომადგენელი ევროპის საბჭოდან (მათ შორის 1 – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან) და ორიც კიდევ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოდან.

კონვენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გამოჩენილი გერმანელი სამართალმცოდნე და პოლიტიკური მოღვაწე რომან ჰერცოგი, რომელიც მანამდე ჯერ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობას, შემდეგ კი გფრ-ის პრეზიდენტის პოსტს იკავებდა. კონვენტსა და მის პრეზიდენტს, რომელშიც, საკუთრივ, კონვენტის თავმჯდომარის გარდა, შედიოდნენ ევროპის კომისიის პრეზიდენტის წარმომადგენელი და წევრები წარმომადგენელთა თითოეული კატეგორიიდან (ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელები), დახმარებას უწევდა სამდივნო, ევროკავშირის საბჭოს იურიდიულ სამსახურთან ერთად. პრეზიდენტში ახორციელებდა საერთო ხელმძღვანელობას კონვენტის მუშაობაზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ასრულებდა სარედაქციო კომიტეტის ფუნქციებს. კონვენტის საქმიანობის ადგილი იყო ბრიუსელი, – EU-ის არაოფიციალური „დედაქალაქი“. ამასთან, მისი სხდომები მონაცვლეობით იმართებოდა კავშირის სამი ინსტიტუტის – ევროპის პარლამენტის, საბჭოსა და კომისიის – ადმინისტრაციულ შენობებში.

კონვენტის წარმომადგენლობითობა გამოიხატებოდა არა მხოლოდ მისი შემადგენლობით, არამედ იმითაც, რომ მისი მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს, ორგანოსა და ორგანიზაციის ჩართულობა და მათი აზრის ანალიზი. ჩართულ სუბიექტებს შორის იყვნენ: კავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები; ევროკავშირის ომბუდსმენი; EU-ის საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც წარმომადგენდნენ სხვადასხვა კლასისა და ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს (ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტი), ფედერაციის სუბიექტების, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ინტერესებს (რეგიონების კომიტეტი);

19 იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, სამართალი და მსოფლიო, 13, 2019, 79.

უშუალოდ წევრი ქვეყნების ხელისუფლების სხვადასხვა შტოსა და დონის ორგანოები; სამოქალაქო საზოგადოების არასამთავრობო ორგანიზაციები (პროფკავშირები, ბიზნეს გაერთიანებები, უფლებადამცველი ასოციაციები და სხვ.), ექსპერტები და ა.შ. კონვენტის მუშაობა ეფუძნებოდა ფართო საჯაროობის პრინციპს: პლენარული სხდომები ღია იყო საზოგადოებისთვის, საყოველთაო გაცნობისთვის რეგულარულად ქვეყნდებოდა (ძირითადად, ინტერნეტის საშუალებით) არა მხოლოდ ქარტიის პროექტი (სხვადასხვა რედაქციით), არამედ კონვენტის წინასწარი დოკუმენტაცია, მათ შორის სხდომათა ოქმები, პრეზიდენტის დოკუმენტები, ხელისუფლების ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასევე პარლამენტარების რეზოლუციები და მიმართვები და ა.შ. შესაბამისად, თითოეულ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, წარედგინა თავიანთი კომენტარები ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. საერთო ჯამში, კონვენტმა 400-ამდე წერილობითი წინადადება მიიღო<sup>20</sup> და ქარტიის პროექტის მიმართ 1000-ზე მეტი შესწორება იქნა შეთავაზებული.<sup>21</sup>

კონვენტის, როგორც კოლეგიური ორგანოს, მუშაობის ძირითადი ფორმები იყო პლენარული სხდომები (სულ ჩატარდა 17 სხდომა), პრეზიდენტისა და „ჯგუფების“ გაცილებით მრავალრიცხოვანი და ინტენსიური სხდომები, სხვადასხვა სახის არაფორმალური შეხვედრები და დისკუსიები, მათ შორის, მოსმენები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. ეს მუშაობა დაახლოებით ცხრა-ნახევარ თვეს გაგრძელდა:<sup>22</sup> 1999 წლის 17 დეკემბერს გაიმართა კონვენტის პირველი პლენარული სხდომა, დახურვის საზეიმო ცერემონია კი 2000 წლის 2 ოქტომბერს შედგა.

კონვენტის მიერ დამტკიცების შემდეგ მომავალი ქარტიის პროექტი წარედგინა ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობების) მეთაურებს საფრანგეთის ქალაქ ბიარიცში 2000 წლის 13-14 ოქტომბერს გამართული სამიტის მსვლელობისას და პროექტმა მათგან ერთსულოვანი მხარდაჭერა მიიღო. საბოლოოდ, ქარტიის ტექსტს ხელი მოეწერა და იგი საზეიმოდ იქნა გამოცხადებული ნიცაში (საფრანგეთი) 2000 წლის 7 დეკემბერს EU-ის სამი, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტიტუტის – ევროპარლამენტის,

20 იხ. Intervention by Vice-President Guy Braibant at the Biarritz European Council, 14 October 2000. CHARTER 4959/00 (CONVENT 54). Brussels, 20 October 2000, 21.

21 იხ. Communication from the Commission “On the Charter of Fundamental Rights of the European Union”. COM (2000) 559 final. Brussels, 13.09.2000, 2.

22 კონვენტში გადაწყვეტილების მიღების მეთოდი იყო კონსენსუსი (ანუ საკითხების დამტკიცება კენჭისყრის გარეშე, გაცხადებული წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაში) – ჯერ წარმომადგენელთა სამი ჯგუფის შიგნით, თითოეულში ცალ-ცალკე, შემდეგ ჯგუფებს შორის და, ბოლოს, მთლიანად კონვენტის ფარგლებში. მხოლოდ ერთხელ, მუშაობის საწყის ეტაპზე, კონვენტის წევრებმა სცადეს საკითხის გადაჭრა კენჭისყრის გზით, თუმცა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა და ამის შემდეგ „მომხრე“ და „წინააღმდეგი“ ხმების დათვლის მეთოდი აღარ გამოუყენებიათ (იხ. Verbatim of the solemn closing session of the Convention of 2 October 2000. CHARTER 4959/00 (CONVENT 54). Brussels, 20 October 2000, 15). სხვადასხვა მოსაზრების ერთმანეთთან შეჯერებასა და მათ დაჯგუფებას ახორციელებდა პრეზიდენტი (როგორც სარედაქციო კომიტეტი).

ევროკავშირის საბჭოსა და ევროპის კომისიის მიერ.<sup>23</sup> ეს გარემოება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ აღნიშნული დოკუმენტი, უპირველეს ყოვლისა, არის, საკუთრივ, ევროკავშირის, როგორც სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანების, აქტი, მიღებული მისი სახელით და რომ მას არ აქვს მკაფიოდ გამოხატული სახელმწიფოთაშორისი ხასიათი.

ფაქტობრივად, ქარტიის მიღებით EU-ის ფარგლებში არსებული ფუნდამენტური უფლებების, თავისუფლებებისა და პრინციპების ერთიან, კოდიფიცირებულ აქტში კონსოლიდაცია განხორციელდა.<sup>24</sup>

#### 4. ქარტიის სტრუქტურის სპეციფიკა: ადამიანის უფლებათა ახალი კლასიფიკაცია

ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის ტექსტის გაცნობისას, უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია ამ დოკუმენტის ღრმა სტრუქტურული დამუშავება, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის განვითარების მონიწივე ტენდენციებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მიღებული საერთაშორისო აქტების სტრუქტურისა და მათი ტექსტების ორგანიზებისადმი ავტორთა მომეტებული ყურადღება განპირობებულია ამ დოკუმენტების მომზადების პროცესში გამოყენებული იურიდიული ტექნოლოგიების გაზრდილი დონით. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია ნახევარი საუკუნის წინანდელ საერთაშორისო აქტებთან შედარებით. გასული საუკუნის 70-იან-80-იანი წლებიდან მოყოლებული, საერთაშორისო სამართალში ნათლად შეინიშნება მისწრაფება, რომ დოკუმენტების ტექსტები უფრო მოსახერხებელი გახდეს წასაკითხად, ციტირებისთვის, მითითებებისა თუ მათზე სხვა სახის მუშაობის მიზნებისთვის. ამის მიღწევა შესაძლებელია, კერძოდ, ტექსტის ზოგად, სპეციალურ და ტექნიკურ ნაწილებად დაყოფით, მასში რამდენიმე თემატური ჯგუფის გამოყოფით ან, როგორც მინიმუმ, დოკუმენტის მუხლების დასათაურებით. ამ უკანასკნელის თვალსაჩინო მაგალითია 1994 წლის 11 მაისს სტრასბურგში მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 ოქმი, რომლის საფუძველზეც აღნიშნული კონვენციის ტექსტისა და მანამდე მიღებული მისი ოქმების დასათაურება განხორციელდა.<sup>25</sup> თუმცა ძირითადი

23 მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სინამდვილეში ქარტიის გამოცხადების პროცედურა არცთუ მთლად საზეიმო იყო: „ქარტია ხელმოწერა იქნა 5 წუთით ადრე, სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თანდასწრებით, და არც ნ. ფონტენს (ევროპარლამენტის თავმჯდომარე) და არც რ. პროდის (კომისიის პრეზიდენტი) არ მიეცათ დრო მათ მიერ წინასწარ მომზადებული სიტყვების წარმოსათქმელად“ (იხ. Editorial comments: The EU Charter of fundamental rights still under discussions, Common Market Law Review, Vol. 38, №1, 2001, 1).

24 იხ. F. Burlacu, European Union and Human Rights, Cogito: Multidisciplinary Research Journal, 2012, 61.

25 იხ. Council of Europe, Protocol №11 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, restructuring the control machinery established thereby, ETS 155, 11 May 1994.

უფლებების ქარტიის სტრუქტურაში თემატური განყოფილებების გამოყოფას უფრო ღრმა აზრი აქვს.

პირველი, რითაც ქარტიის ტექსტის სტრუქტურა იქცევა ყურადღებას, – ესაა ახლებური მიდგომა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კატალოგის შექმნისა და მათი კლასიფიკაციისადმი. ტრადიციულად, ეროვნულ და საერთაშორისო დეკლარაციებსა და ადამიანის უფლებათა ქარტიებში გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები ჩამოყალიბებულია გარკვეული თანმიმდევრობით, დადგენილი კლასიფიკაციის ჯგუფების მიხედვით: პირადი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები; ამასთან, ამ ჯგუფების თანმიმდევრობა ხშირად ნაკარნახევია შესაბამისი დოკუმენტის ავტორების ან სამოძღვლო თარგად აღებული სხვა დოკუმენტ(ებ)ის პოლიტიკურ-იდეოლოგიური და დოქტრინული მოსაზრებებით.<sup>26</sup> მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ხდება, რომ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები დაჯგუფებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების მიხედვით, რომლებსაც ისინი ეხება.<sup>27</sup>

ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიამ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაციის საფუძვლად ახალი, პრინციპულად განსხვავებული მოდელი აირჩია; კერძოდ, ქარტია მათი კლასიფიკაციის საგნობრივი პრინციპიდან ფასეულობით პრინციპზე გადავიდა. აღნიშნული მოდელის ფარგლებში უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია განხორციელდა არა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროების მიხედვით, სადაც ისინი ვლინდებიან, არამედ იმ საბაზისო პრინციპებისა და ფასეულობების საფუძველზე, რომელთა შინაარსსაც ისინი გამოხატავენ და ხსნიან. ქარტია ფუნდამენტურ უფლებებს ახლებურად გადმოსცემს – იგი დამოკიდებულია არა უფლებების ტიპზე (პირადი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური), არამედ იმ ფასეულობებზე, რომლებსაც ეს უფლებები იურიდიულად გამოხატავს და უზრუნველყოფს. შედეგად, ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი ყველა პირად, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებას ერთ მთლიანობაში უყრის თავს და ყველა მათგანს ძირითადი უფლების რანგში აღიარებს.<sup>28</sup> სოციალური უფლებები, თავიანთი ბუნებით, თუმცა კი ბევრ რამეში ინარჩუნებენ პროგრამულ ხასიათს, მაგრამ ისინი უკვე აღარ ითვლებიან „მეორეხარისხოვანად“. მეტიც, უფლებათა ეს განსხვავებული კატეგორიები ერთიან დო-

26 ამის ნათელი მაგალითია დასავლეთ ევროპაში დამკვიდრებული ტრადიციული დოქტრინისთვის დამახასიათებელი უფლებებისა და თავისუფლებების დაყოფა „პირველხარისხოვან“ (მას, პირველ რიგში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები განეკუთვნება) და „მეორეხარისხოვან“ უფლებებად და თავისუფლებებად (მათ, როგორც წესი, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ჯგუფს მიაკუთვნებენ).

27 მაგალითად, იტალიის რესპუბლიკის 1947 წლის კონსტიტუციის პირველი ნაწილი „მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობები“ მოიცავს ოთხ თავს: I. „სამოქალაქო ურთიერთობები“, II. „ეთიკური და სოციალური ურთიერთობები“, III. „ეკონომიკური ურთიერთობები“, IV. „პოლიტიკური ურთიერთობები“ (იხ. <[https://www.senato.it/sites/default/files/media-documents/COST\\_INGLESE.pdf](https://www.senato.it/sites/default/files/media-documents/COST_INGLESE.pdf)> [30.06.2024]).

28 იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, სამართალი და მსოფლიო, 13, 2019, 80.

კუმენტში თავების მიხედვით ისეა გადანაწილებული, რომ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები შეიძლება ერთმანეთის გვერდიგვერდ იყოს განთავსებული (ერთმანეთს ემეზობლებოდეს) ერთსა და იმავე თავში.<sup>29</sup> ქარტიისთვის ნიშანდობლივი ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ინდივიდისა და EU-ის მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის მზარდ უნივერსალურობასა და ერთიანობას და, ამავე დროს, ასახავს ძირითადი უფლებების, თავისუფლებების, პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების განუყოფლობის პრინციპს, შლის რა ტრადიციულად არსებულ ზღვარს უფლებათა ორ თაობას – სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებსა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს შორის. მსგავსი მიდგომა ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა იმ ისტორიული მნიშვნელობისა, რაც ქარტიას აქვს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირების განვითარების საქმეში. მისი შექმნისას გამოყენებულმა ახალმა კონცეპტუალურმა მიდგომებმა განაპირობა, რომ იგი ნათლად ასახავს თანამედროვე სამართლის განვითარების უახლეს ტენდენციებს, ასევე შეიცავს ახალ ტენდენციებს, რომლებსაც ჯერ კიდევ მოუწევთ ფორმირება მესამე ათასწლეულში.

ძირითადი უფლებების ქარტია მასში გადმოცემულ უფლებებსა და თავისუფლებებს ექვს მაკლასიფიცირებელ ჯგუფად (პრინციპად) ყოფს: ღირსება, თავისუფლებები, თანასწორობა, სოლიდარობა, მოქალაქეობა და მართლმსაჯულება. ცხადია, ეს ფუნდამენტური კატეგორიები მოწოდებულია, იქცეს EU-ის მოქალაქეების სამართლებრივი სტატუსის საბაზისო პრინციპებად. აღნიშნული პრინციპების შინაარსი ახსნილი და ასახულია იმ მუხლებში, რომლებიც ქარტიის ტექსტში იმავე სახელწოდების თავებშია განთავსებული. უფრო დეტალურად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ღირსების პრინციპი. პიროვნების ღირსება არა მხოლოდ ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება, არამედ, თავისი არსით, ყველა სხვა უფლების წინაპირობაცაა. იგი ადამიანის პიროვნების ღირებულებას განასახიერებს და სწორედ ამიტომ ხელშეუხებლადაა გამოცხადებული. ადამიანის ღირსებას ეძღვნება ქარტიის პირველი თავი, რომელმაც პიროვნების ღირსების დაცვის ტრადიციულ საბაზისო პრინციპებს, სიცოცხლის უფლების,<sup>30</sup> წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის, აგრეთვე მონობისა და იძულებითი შრომის (მათ შორის ადამიანებით ვაჭრობის) აკრძალვის უფლებათა გვერდით, დაამატა უფლება პიროვნების მთლიანობაზე (იხ.

29 იხ. ი. პაპაძე, ევროპის კავშირი და ადამიანის უფლებები, ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი, 1, 2015, 136.

30 სიცოცხლის უფლებასთან განუყოფლადაა დაკავშირებული სიკვდილით დასჯის საკითხი. ევროკავშირის ქარტია ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის სრულ აკრძალვას: „არავის შეიძლება შეეფარდოს სასიკვდილო განაჩენი ან სასჯელი“ (იხ. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი). გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ სიკვდილით დასჯის აკრძალვას ითვალისწინებს 2002 წლის 3 მაისს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოქმი N13 „ნებისმიერ გარემოებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“, რომელიც ძალაშია 2003 წლის 1 სექტემბრიდან; იხილეთ აგრეთვე ევროპის პარლამენტის 1997 წლის 12 ივნისის რეზოლუცია სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ (OJ C 200/171, 30.6.1997).

მუხ. 3). ეს უფლება არა მარტო უზრუნველყოფს ყველას უფლებას საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ მთლიანობაზე, არამედ ადგენს მთელ რიგს სპეციალური გარანტიებისას, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს მედიცინისა და ბიოლოგიური მეცნიერების სფეროებში; კერძოდ, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს: დაინტერესებული პირის ნებაყოფლობითი და გააზრებული თანხმობა კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, ევგენიკური პრაქტიკის აკრძალვა (განსაკუთრებით ისეთის, რომელიც ხალხთა შორის შერჩევას ისახავს მიზნად), ადამიანის სხეულის და მისი ნაწილების შემოსავლის წყაროდ გადაქცევის აკრძალვა, ადამიანური არსების რეპროდუქციული კლონირების აკრძალვა. ამ მუხლის ძირითადი უფლებების კატალოგში ცალკე გამოტანის აუცილებლობა ეჭვგარეშეა სამედიცინო და ბიოლოგიური ტექნოლოგიების თანამედროვე განვითარების,<sup>31</sup> ისევე როგორც გენოციდის იმ ტრაგიკული გამოცდილების ფონზე, რომელიც მე-20 საუკუნეში განიცადა მთელმა პლანეტამ და მათ შორის ევროპამაც.

თავისუფლების პრინციპი. ქარტიის II თავში, რომელიც თავისუფლების პრინციპს ეძღვნება, აღნიშნული დოკუმენტის ავტორებმა შეიტანეს იმ საბაზისო თავისუფლებებისა და ინდივიდუალური უფლებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის თავისუფალი, აქტიური, დამოუკიდებელი საქმიანობისა და პიროვნული ავტონომიის სფეროს თანამედროვე საზოგადოებაში; ეს უფლებები და თავისუფლებები განუყოფლადაა დაკავშირებული ინდივიდის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის საბაზისო პრინციპთან. ქარტიის ეს თავი იხსნება პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ასევე მის კერძო ცხოვრებაში ჩაურევლობის მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიებით, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების ჩათვლით,<sup>32</sup> რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში (იხ. მუხ. 6-8).<sup>33</sup>

ქარტიის შემქმნელების აზრით, EU-ის მოქალაქეების პირადი თავისუფლების სფეროს, ძირითადად, შეადგენს საჯარო პოლიტიკური თავისუფლებები და უფლებები: აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება; შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება; ხელოვნებისა და მეცნიერების თავისუფლება; განათლების უფლება (იხ. მუხ. 10-14). ქარტიის ზემოხსენებული მუხლების შიგნით შეიძ-

31 მოცემული მომენტისთვის, ევროპაში ადამიანის უფლებებს ბიოეთიკის სფეროში იცავს და უზრუნველყოფს სპეციალური კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ადამიანური არსების ღირსების დაცვის შესახებ ბიოლოგიისა და მედიცინის მიღწევების გამოყენებასთან დაკავშირებით: კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, რომელიც მიღებულია ოვიედოში (ესპანეთი) 1997 წლის 4 აპრილს. ამ კონვენციის სრული ტექსტი იხ.: <<https://rm.coe.int/168007cf98>> [30.06.2024].

32 დღევანდელი მოცემულობით, ეს საკითხი რეგულირდება 1981 წლის 28 იანვარს სტრასბურგში (საფრანგეთი) მიღებული კონვენციით პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ (ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან). კონვენციის სრული ტექსტი იხ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244845>> [30.06.2024].

33 გარდა ზემოაღნიშნული უფლებისა, მას განეკუთვნება, საკუთრივ, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება.

ლება ცალკე აღინიშნოს დებულებები საერთოევროპული პოლიტიკური პარტიების, მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის შესახებ, ხელოვნებისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლების (მათ შორის აკადემიური თავისუფლების), ასევე განათლების უფლების შესახებ, რომლის შინაარსი, გარკვეულწილად, გაფართოებულ იქნა სავალდებულო განათლების უფასოდ მიღების შესაძლებლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნის თავისუფლების შესახებ ნორმების ხარჯზე.<sup>34</sup> ჩამოთვლილი თავისუფლებები და უფლებები დამატებულია ეკონომიკური უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორებიცაა: შრომისა და პროფესიული საქმიანობის უფლება თავისუფალი არჩევანის ან ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე,<sup>35</sup> მენარმეობის თავისუფლება და საკუთრების უფლება (იხ. მუხ. 16 და 17). ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეკონომიკური და სოციალური უფლებები ქარტიის სხვადასხვა თავშია „გადანაწილებული“.

ძირითადი უფლებების ქარტია ფუნდამენტურ თავისუფლებებს შორის არ ითვალისწინებს თავისუფალი გადაადგილების, ფიზიკური ადგილსამყოფელისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას და მას, როგორც EU-ის მოქალაქეობის ერთ-ერთ გამოვლინებას, ისე განმარტავს. თუმცა ქარტია თავისუფლების საბაზისო ელემენტებს განაკუთვნებს უშუალოდ თავისუფალი გადაადგილების უფლებიდან გამომდინარე თავშესაფრის უფლებას და გარანტირებულ დაცვას დეპორტაციის, გაძევების ან ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ. მუხ. 18 და 19).

თანასწორობის პრინციპი. დებულებები თანასწორობისა და სოლიდარობის შესახებ (იხ., შესაბამისად, ქარტიის III და IV თავები) ერთგვარ „სოციალურ ბლოკს“ ქმნის ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის სტრუქტურაში. რაც შეეხება თანასწორობის პრინციპს, ის ეფუძნება კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის კლასიკურ პრინციპს. მას თან ახლავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა, კერძოდ, სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, რელიგიის თუ მრწამსის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების, უნარშეზღუდულობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნის მიხედვით; ხოლო საერთოევროპულ დონეზე აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნის (ეროვნული მოქალაქეობის) საფუძველზე. ამასთან, არც ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის კლასიკური პრინციპია დავინყებული, რომელიც, თავის მხრივ, არ გამორიცხავს სპეციალური პრეფერენციების შემოღების ან შენარჩუნების შესაძლებლობას არასაკმარისად წარმოდგენილი სქესის სასარგებლოდ. ადამიანის უფლებათა სხვა, არასპეციალიზებულ საერთაშორისო დოკუმენტებთან შედარებით, ქარტიის განსხვავება თანასწორობის პრინციპთან მიმართებით ისაა, რომ ხსენებული დოკუმენტი არა მარტო პატივისცემას გამოხატავს კულტურული, რელიგიური და ენობრივი მრავალფეროვნებისადმი, არამედ სპეციალურად ითვალისწინებს მოქალაქეთა განსაკუთრებუ-

34 იხ., შესაბამისად, ძირითადი უფლებების ქარტია, მუხლები: მე-12(2), მე-11(2), მე-13, მე-14(2-3).

35 ეს უფლება არ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ დასაქმებას, არამედ ითვალისწინებს შრომითი და პროფესიული საქმიანობის სახეობის თავისუფლად არჩევის უფლებას.

ლი კატეგორიების უფლებებს, რომლებიც დამატებით სამართლებრივ გარანტიებსა და მომეტებულ სოციალურ დაცვას საჭიროებენ. ასეთ კატეგორიებს განეკუთვნებიან: ბავშვები, ხანდაზმული ადამიანები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ამით ქარტიის ავტორები აცალიბებენ ახალ, უფრო ღრმა წარმოდგენას ადამიანის „სამართლებრივი პიროვნების“ შესახებ, რომელიც სცდება ტრადიციული ზოგადი დიქტომიის – „ადამიანი-მოქალაქე“ – ფარგლებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქარტიის 26-ე მუხლი ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული უფლებების არა უბრალო დეკლარირებას, არამედ აღიარებს მათ უფლებას, ისარგებლონ იმ ღონისძიებებით, რომელთა მიზანია, უზრუნველყოს მათი დამოუკიდებლობა, სოციალური და პროფესიული ინტეგრაცია და საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობა, ანუ ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ მათთვის შეთავაზებული დამატებითი შესაძლებლობებით. ეს გარემოება ხაზს უსვამს ამ მოქალაქეების აქტიურ როლსა და დამოუკიდებლობას თავიანთი ცხოვრებისეული გზისა და სოციალური ქცევის სტრატეგიის არჩევაში.

სოლიდარობის პრინციპი. ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიით გამოცხადებული სოლიდარობის პრინციპი მოიცავს მრავალ ისეთ სოციალურ უფლებასა და გარანტიას, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპაში მოქმედ სოციალურ ქარტიებში – კერძოდ, ტურინში (იტალია) 1961 წლის 18 ოქტომბერს ხელმოწერილ ევროპის სოციალურ ქარტიასა (მოქმედებს 1996 წლის 3 მაისს შესწორებული რედაქციით) და ევროპის გაერთიანების 1989 წლის ქარტიაში მუშაკთა ძირითადი სოციალური უფლებების შესახებ. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქარტიამ სოციალური უფლებები, რომლებიც ადრე ცალკე რეგულირების ობიექტი იყო, ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კატალოგში ჩართო, თუმცა ეს ვითარება არ ცვლის პრინციპულ მიდგომას სოციალური უფლებების, როგორც უფრო მეტად ცვალებადი შინაარსის მქონე უფლება-შესაძლებლობების (რომელთა რეალურ შინაარსს სოციალური კეთილდღეობის მიღწეული დონე და ეკონომიკური განვითარების ხარისხი განაპირობებს) და არა იმპერატიული უფლება-გარანტიების მიმართ. ამასთანავე, ისიც ცხადია, რომ სოციალური უფლებების ჩართვა ადამიანის ძირითადი უფლებების რიგებში თავისთავად ნიშნავს პიროვნების ყველა უფლების განუყოფლობის, უწყვეტი ერთიანობისა და თანაბარი ღირებულების აღიარებას.

ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია პოსტულატად ამკვიდრებს ერთიან და თანასწორ საერთოევროპულ მიდგომას პიროვნების სოციალური უფლებების პრობლემისადმი, სხვა უფლებებთან ერთად, და ამით უარს ამბობს ადამიანის უფლებათა რეგულირების მიმართ მანამდე არსებულ გაორებულ მიდგომაზე, როდესაც პიროვნების სოციალური უფლებები ცალკე რეგულირების საგანი იყო.<sup>36</sup> ქარტიით გათვალისწინე-

36 ამის კონკრეტული გამოხატულება იყო, მაგალითად, გაეროს დონეზე – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ასევე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული ორი საერთაშორისო პაქტის, ევროპის დონეზე კი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენციისა და ზემოხსენებული 1961 და 1989 წლების სოციალური ქარტიების პარალელურად არსებობა.

ბული სოციალური უფლებები, გარდა იმისა, რომ მასში განმტკიცებული სოლიდარობის პრინციპის მთავარ არსსა და გამოხატულებას შეადგენენ, – ეს, უპირველეს ყოვლისა, მუშა-მოსამსახურეებისადმი მიმართული უფლებები და გარანტიებია. ქარტიის ამ თავის „შრომით“ ნაწილს განეკუთვნება ორგანიზაციის თანამშრომელთა უფლება ინფორმაციასა და კონსულტაციაზე, ასევე მუშა-მოსამსახურეთა კონკრეტული კლასიკური უფლებები: კოლექტიური მოლაპარაკებებისა და აქციების უფლება; დასაქმების სამსახურებისადმი ხელმისაწვდომობის უფლება; დაცვა სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის შემთხვევაში; შრომის სამართლიანი და სათანადო პირობები, აგრეთვე ბავშვთა შრომის აკრძალვა და არასრულწლოვანთა დაცვა სამუშაო ადგილზე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ოჯახური და პროფესიული ცხოვრების ერთმანეთთან შეთავსების უფლება (იხ. მუხ. 33), რომელიც უშუალოდ უკავშირდება ოჯახის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური დაცვის საკითხებს და, ფაქტობრივად, შრომითიდან სოციალურ უფლებებზე გადასვლას აღნიშნავს. ქარტიის IV თავის ძირითადი „სოციალური“ მდგენელია სოციალური უზრუნველყოფის უფლება (მათ შორის სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებითა და სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებებით სარგებლობის, სოციალურ მომსახურებათა სისტემისადმი ხელმისაწვდომობის უფლებათა ჩათვლით), ასევე სოციალური დახმარებისა და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის უფლება. სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებითა და სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებებით სარგებლობის უფლება აქვთ არა მარტო მუდმივ მაცხოვრებლებს, არამედ ყველას, ვინც კანონიერ საფუძველზე ცხოვრობს ან გადაადგილდება ევროკავშირის ფარგლებში. სოციალური უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს EU-ის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და ეროვნული პრაქტიკის შესაბამისად. ძირითადი უფლებების ქარტიის სოციალური მდგენელი დამატებულია დებულებით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ყველას უფლებას, ხელი მიუწვდებოდეს ჯანდაცვის სფეროში პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემასა და სამედიცინო მომსახურებაზე, არამედ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაღალ დონეს, როგორც ევროკავშირის პოლიტიკისა და საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს. ქარტით გამოცხადებული სოლიდარობის პრინციპი მოიცავს ასევე ზოგადეკონომიკური მნიშვნელობის სამსახურებისადმი ხელმისაწვდომობას, გარემოსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

მოქალაქეობის პრინციპი. კონსტიტუციური სამართლის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საინტერესოა ადამიანის ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც ქარტიის შემქმნელებმა განუყოფლად დაუკავშირეს მოქალაქეობის პრინციპს (ძირითადი უფლებების ქარტიის V თავი). თუკი ქარტიის II თავი ინდივიდის თავისუფლებისა და პიროვნული ავტონომიის სფეროს განსაზღვრავს, რომელიც დაცულ უნდა იქნეს თვითნებური გარე ჩარევისგან, ქარტიის V თავში წარმოდგენილია მოქალაქეთა უფლებები EU-ისა და მისი ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც ხორციელდება მოქალაქეებსა და ევროკავშირის „საჯარო ხელისუფლებას“ შორის სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში.

ძირითადი უფლებების ქარტია აღიარებს კავშირის ყველა მოქალაქის აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას ევროპის პარლამენტის არჩევნებში, რომლის ფორმირებაც

ხდება საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ასევე მუნიციპალურ არჩევნებში. ამასთან, EU-ის მოქალაქეები, რომლებიც უცხოელე-ბი არიან იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც ცხოვრობენ, ამ საარჩევნო უფლებებს ახორციელებენ იმავე პირობებით, როგორც ამ წევრი ქვეყნის მოქალაქეები. ევროკავშირის მოქალაქეების კიდევ ერთი ექსკლუზიური უფლებაა კავშირის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების მხრიდან დაცვით სარგებლობის უფლება EU-ის ფარგლებს მიღმა, მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც იმ წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან, დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობა არ აქვს. „ევროკავშირის მოქალაქეების“ ყველა სხვა „უფლება“ ასევე ვრცელდება კავშირის წევრ სახელმწიფოში საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის მქონე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირზეც. ამ უფლებების გარდა, EU-ის მოქალაქეებსა და წევრ სახელმწიფოში საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის მქონე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს მინიჭებული აქვთ ევროპის კავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სხვა დაწესებულებების დოკუმენტებისადმი ხელმისაწვდომობის უფლება,<sup>37</sup> ასევე ევროპარლამენტისთვის პეტიციის წარდგენის უფლება, ევროკავშირის ომბუდსმენისადმი მიმართვის უფლება EU-ის სტრუქტურების (ინსტიტუტები, ორგანოები, დაწესებულებები) საქმიანობაში მმართველობითი წესების დარღვევის შემთხვევაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქარტიაში განმტკიცებული უფლება კარგ მმართველობაზე (იხ. მუხ. 41). მის საფუძველს შეადგენს ყველა ადამიანის უფლება, რომ მისი საქმე კავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სხვა დაწესებულებების მიერ განხილულ იქნეს მიუკერძოებლად, სამართლიანად და გონივრულ ვადაში. უფლება კარგ მმართველობაზე მოიცავს: ყველა ადამიანის უფლებას, მოსმენილ იქნეს მისი აზრი, ვიდრე მის მიმართ მიღებულ იქნება რაიმე, მისთვის არასახარბიელო, ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიება; უფლებას, ხელი მიუწვდებოდეს მასთან დაკავშირებით არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებზე; ადმინისტრაციის ვალდებულებას, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება ევროკავშირისგან მისი ინსტიტუტების ან მოხელეების მიერ მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ასევე გარანტირებულია ყველას უფლება, მიმართოს კავშირის დაწესებულებებს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელზეც შედგენილია ევროკავშირის საბაზისო ხელშეკრულებები და იმავე ენაზე მიიღოს პასუხი.

37 თანამედროვე პირობებში, ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ეს უფლება ახალ, „ელექტრონულ“ განზომილებას იძენს. კერძოდ, 2011 წელს ევროპაში შეიქმნა ოთხენოვანი (გერმანული, ინგლისური, ესპანური და ფრანგული) ერთიანი ვებგვერდი [www.asktheeu.org](http://www.asktheeu.org), რომლის სერვისის ტექნოლოგიები ევროპის კავშირის ყველა სახელმწიფოს მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, ელექტრონული მოთხოვნით მიმართონ EU-ის ყველა სახელისუფლებო ორგანოსა და ინსტიტუციას. ვებგვერდის ფუნქციონირების დაწყება დაემთხვა ცოდნის უფლების საერთაშორისო დღეს, რომელიც ყოველწლიურად 28 სექტემბერს აღინიშნება. იხ. В.Н. Монахов, «Викилизация» как новый инструмент права знать, Информационное общество: проблемы развития законодательства, М., 2012, 210.

აქვე საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ უფლება კარგ მმართველობაზე აღიარებულია „ყოველი ადამიანისთვის“, EU-ის ფარგლებში საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის ქონის შესახებ ყოველგვარი დათქმის გარეშე, ანუ სუბიექტთა მაქსიმალურად ფართო წრისთვის.

მართლმსაჯულების პრინციპი. მართლმსაჯულების საკითხებს (თავი VI) ძირითადი უფლებების ქარტია ძალიან ფრაგმენტულად ეხება. ეს ნაწილობრივ შეიძლება დღეისთვის არსებული საერთოევროპული „სასამართლო“ ხელისუფლების ბუნებით აიხსნას, რომელიც არ არის აღჭურვილი იძულების ეფექტიანი დამხმარე აპარატით. ცხადია, მართლმსაჯულება მოცემულ შემთხვევაში გაცილებით უფრო მოკრძალებულ პოტენციურ შესაძლებლობებს ფლობს პირის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისას, განსაკუთრებით ინდივიდისთვის ყველაზე უფრო მგრძნობიარე სისხლის სამართლის პროცესის სფეროში და ამიტომაც შეკავების ნაკლებ საშუალებებს მოითხოვს, ვიდრე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული მართლმსაჯულება. მართლმსაჯულების სფეროში პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის სამართლებრივი გარანტიების დადგენისას ქარტია სცდება სისხლის სამართლის სამართალწარმოების კლასიკურ ფარგლებს, რომელიც, ტრადიციულად, მოიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას, კანონიერების პრინციპს დანაშაულსა და სასჯელთან მიმართებით (*nullum crimen, nulla poena sine lege* – დანაშაულის კვალიფიკაცია და სასჯელის დაკისრება მოქმედი კანონის შესაბამისად და *post factum* კანონების აკრძალვა), აგრეთვე, ერთი და იმავე ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი წესით ხელახალი დევნის ან დასჯის აკრძალვას ამ საქმესთან დაკავშირებით გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ (პრინციპი *non bis in idem*). ქარტია მნიშვნელოვნად აფართოებს ინდივიდის სამართლებრივ გარანტიებს; იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ „სამოქალაქო უფლებების განსაზღვრის“ სფეროთი, არამედ ამ გარანტიებს მართლმსაჯულების მთელ სფეროზე ავრცელებს. ყველას, ვისი უფლებები და თავისუფლებები დაირღვა, აქვს სასამართლო წესით ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლება, რომლის დროსაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვა გონივრულ ვადაში დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ. აღნიშნულის შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულისთვის ტრადიციულად აღიარებული დაცვის უფლება სამართლებრივი დახმარების უფლების ფარგლებამდე ფართოვდება, რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულებისადმი ეფექტიან ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.<sup>38</sup> რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებს, ამ სფეროში იურიდიული გარანტიები დამატებულია *post factum* კანონების აკრძალვაზე ნაწილობრივ უარის თქმით (რაც იძლევა უფრო მსუბუქი კანონის გამოყენების შესაძლებლობას), ასევე დანაშაულისა და სასჯელის თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპით.<sup>39</sup>

38 იხ. ძირითადი უფლებების ქარტია, 47-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცები, ასევე 48 (2)-ე მუხლი.

39 იხ. იქვე, 49-ე მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტები.

## 5. ქარტიის იურიდიული ძალა და ადგილი ევროკავშირის სამართლებრივ სისტემაში

ევროპის კავშირი ძირითადი უფლებების ქარტიის სავალდებულო ძალის აღიარების მიმართულებით უკიდურესად რთული გზით მიდიოდა. ფაქტია, რომ დამფუძნებელი ხელშეკრულებები თავდაპირველად სრულ დუმილს ინარჩუნებდნენ ევროკავშირში ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობასთან მიმართებით, რადგან ეს საქმე მთლიანად მინდობილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და ეროვნულ მთავრობებს. ამიტომაც 2009 წლის 1 დეკემბრამდე კავშირის დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა დაყენება თავიდან ბოლომდე ლუქსემბურგის სასამართლოს უშუალო დამსახურება იყო, რომელმაც, *Stauder*-ის საქმიდან<sup>40</sup> მოყოლებული, ადამიანის უფლებები თავის გადანყვეტილებებში EU-ის სამართლის ძირითადი პრინციპების ნაწილად გამოაცხადა და ამ საკითხებზე შთამბეჭდავი სასამართლო პრაქტიკა შექმნა. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ადამიანის უფლებათა საკუთარი კატალოგი არ ჰქონდა, კომენტატორების მწვავე კრიტიკას იწვევდა და წვერი ქვეყნების მოსახლეობის თვალში თუ საერთაშორისო ასპარეზზე თავის იმიჯსაც საფრთხის ქვეშ აყენებდა.

შესაბამისად, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც აიძულა ევროკავშირი, ძირითად უფლებათა საკუთარი ქარტია შემუშავებინა, დამფუძნებელ აქტებში სწორედ მათი სრულფასოვანი „კატალოგის“ არარსებობა იყო. დეკლარაციებმა და წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობის სხვა დოკუმენტებმა, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტებმა და თვით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რეცეფციამაც კი ვერ შეძლო მისი არარსებობის კომპენსირება.

ამ თვალსაზრისით, ადამიანის ფუნდამენტური „უფლებების შესახებ“ საკუთარი „ბილის“ შემუშავების იდეა თავის თავში მოიცავდა წინაპირობას, რომ ის, საბოლოო ჯამში, იურიდიულად სავალდებულო ძალას შეიძენდა.<sup>41</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი ქარტიის დებულებები მხოლოდ ქალაქდზე დატანილ კეთილ სურვილებად დარჩენისთვის იქნებოდა განწირული და პირს, რომლისადმიც ეს დოკუმენტი მიმართული, შესაძლებლობა არ ექნებოდა, უშუალოდ გამოეყენებინა და დაეცვა მასში გათვალისწინებული სუბიექტური უფლებები, ელემენტარულად, აზრი ეკარგებოდა თავად ქარტიის ასე დიდხანს და გულდასმით მომზადებას.

აქვე საგულისხმოა, რომ ქარტია განამტკიცებს არა უბრალოდ უფლებებს, არამედ ძირითად უფლებებს – პიროვნების მთელი სამართლებრივი სტატუსის ბაზისს, ფუნდამენტს. ეროვნულ სახელმწიფოებში ძირითადი უფლებები, როგორც წესი, კონსტიტუციებშია განმტკიცებული, რითაც ისინი იძენენ არა მხოლოდ სავალდებულო, არამედ უმაღლეს იურიდიულ ძალას. ცხადია, ანალოგიურ გადანყვეტას საჭიროებს საკითხი

40 იხ. *ერის შტაუდერი ქალაქ ულმის სოციალური სამსახურის წინააღმდეგ (Erich Stauder v. City of Ulm – Sozialamt)*, 1969 წლის 12 ნოემბერი.

41 იხ. Speech by Romano Prodi, President of the European Commission, at the European Parliament on the conclusions of the Nice European Council (12 December 2000). SPEECH/00/499.

სუპრანაციონალური სამართლებრივი სისტემის ფარგლებშიც, როგორც ევროპის კავშირის სამართალი.<sup>42</sup> ამიტომაც იყო, რომ ძირითადი უფლებების ქარტია თავიდანვე შემუშავებულ იქნა იმ პერსპექტივით, რომ მას სამომავლოდ EU-ის სამართალში არა მხოლოდ სავალდებულო, არამედ უმაღლესი იურიდიული ძალა მიენიჭებოდა: ქარტიის მომზადებისა და მიღების მთელი პროცესის შედეგი უნდა ყოფილიყო მისი დებულებების ჩართვა EU-ის დამფუძნებელი დოკუმენტების ტექსტში, ან სხვაგვარი გზით მისთვის იურიდიული უზენაესობის მინიჭება სუპრანაციონალური სამართლის ნორმებისა და წყაროების სისტემაში.

სწორედ ამ პრინციპიდან, როგორც აქსიომიდან, ამოდიოდა კონვენტი ძირითადი უფლებების ქარტიის პროექტის შემუშავებისას. მისი თავმჯდომარის – რომან ჰერცოგის მითითებების შესაბამისად, დოკუმენტის ტექსტის მომზადება და განხილვა იმგვარად მიმდინარეობდა, „თითქოსდა“ ის უკვე ექვემდებარებოდა ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების ტექსტში შეტანას.<sup>43</sup>

ასეა თუ ისე, თავიდან ქარტია 2000 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა პოლიტიკური დეკლარაციის რანგში, როგორც იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტი (EU-ის ზოგიერთი ქვეყნის, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის პოზიციის გამო), თუმცა, მისი დეკლარაციული სტატუსის მიუხედავად, პრაქტიკულად, მალევე დაიწყო ქარტიის გამოყენება ევროკომისიის, ევროპის პარლამენტის, გენერალური ადვოკატების, მოგვიანებით კი (არცთუ მცირეხიანი ყოყმანის შემდეგ) თვითონ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ.<sup>44</sup>

მოგვიანებით, როდესაც ევროპა საკონსტიტუციო ეიფორიამ მოიცვა, გადანყარდა, რომ ქარტია ერთიანი ევროპის კონსტიტუციის ნაწილად ექციათ; ამ მიზნით, იგი, მცირედი ცვლილებებით, ინკორპორირებულ იქნა ევროპისთვის კონსტიტუციის დადგენის შესახებ 2004 წლის ხელშეკრულების პროექტის ტექსტში, მისი ერთ-ერთი დამოუკიდებელი განყოფილების (II ნაწილის) სახით.<sup>45</sup> საგულისხმოა, რომ საერთოევროპული „კონსტიტუციის პროექტის“ წარუმატებლობას (საკონსტიტუციო ხელშეკრულება უარყოფილ იქნა საფრანგეთსა და ნიდერლანდში ჩატარებულ რეფერენდუმებზე, რის გამოც ის ვერ შევიდა ძალაში და ვერ ამოქმედდა) ძირითადი უფლებების „საკავშირო“ ქარტიის იდეაზე უარის თქმა არ გამოუწვევია. ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, მის მიმართ სხვა გადანყევტილების მიღება მოხდა: ქარტია გატანილ იქნა ხელშეკრულების ტექსტიდან და მისი ახალი, „ადაპტირებული“

42 ევროკავშირის სამართალში სუპრანაციონალური ელემენტების კონკრეტულ გამოვლინებებთან დაკავშირებით იხ. ი. პაპაშვილი, სუპრანაციონალურობის ასპექტები ევროპის კავშირის ფუნქციონირების პროცესში, სამართალი და მსოფლიო, 6(15), 2020, 167-187.

43 იხ. Speech by Mr. Roman Herzog. CHARTER 4105 (BODY 1), Brussels, January 13, 2000, 9.

44 ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ძირითადი უფლებების ქარტიას პირველად 2006 წელს დაეყრდნო საქმეზე – პარლამენტი საბჭოს წინააღმდეგ (*Parliament v. Council*) – მიღებულ გადაწყვეტილებაში (იხ. პარლამენტი საბჭოს წინააღმდეგ (*Parliament v. Council*), 2006 წლის 27 ივნისი).

45 იხ. Treaty Establishing a Constitution for Europe. OJ C 310, 16 December 2004.

რედაქცია<sup>46</sup> ხელახლა იქნა გამოცხადებული ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი) 2007 წლის 12 დეკემბერს (ლისაბონის ხელშეკრულების ხელმოწერის წინა დღეს) EU-ის იმავე სამი პოლიტიკური ინსტიტუტის (ევროპის პარლამენტი, ევროკავშირის საბჭო და ევროკომისია) მიერ, რომელთა სახელითაც იქნა გამოცემული მისი თავდაპირველი ტექსტი. შედეგად, ძირითადი უფლებების ქარტია ცალკე დოკუმენტად შეუერთდა კავშირის დამფუძნებელ აქტებს და, ამოქმედების კვალდაკვალ, 2009 წლის 1 დეკემბრიდან მათი თანაბარი იურიდიული ძალა მოიპოვა, ოღონდ არა პირდაპირ, არამედ არაპირდაპირი გზით, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6(1) მუხლის მითითების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, „ძირითადი უფლებების ქარტიას და ხელშეკრულებებს თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ“. ფაქტობრივად, ქარტია EU-ის ერთ-ერთ ფუძემდებელ აქტად და მისი პირველადი სამართლის ნაწილად იქცა; მან დამფუძნებელი ხელშეკრულებების ანალოგიური უზენაესი იურიდიული ძალა მოიპოვა და, შესაბამისად, მათთან ერთად, უმაღლეს ადგილს იკავებს კავშირის სამართლის წყაროთა იერარქიაში (ისევე, როგორც კონსტიტუცია სახელმწიფოში). ამავე დროს, ფორმალურად, იგი სამართლის დამოუკიდებელ წყაროდ რჩება, რადგან არ შედის არც ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების და არც ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების სტრუქტურაში.

შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ძირითადი უფლებების ქარტიის ძალაში შესვლა ევროკავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი აქტის რანგში, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს, ნიშნავს საერთოევროპული ინტეგრაციის პროცესის გადასვლას EU-ის „სულ უფრო მჭიდრო კავშირის“ ფარგლებში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ახალ, უფრო მაღალ დონეზე. ქარტიაში დაფიქსირებული ძირითადი უფლებები კი ამ პროცესის საბაზისო პრინციპების რიცხვში შედის.<sup>47</sup>

ამასთან, ქარტია პრინციპულად ცვლის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების რეგულირების საერთოევროპულ მოდელს. როგორც წესი, თანამედროვე ეტაპზე ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური და საერთაშორისოსამართლებრივი რეგლამენტაცია სხვადასხვა მოდელის ფარგლებში ხორციელდება. კონსტიტუციურ დონეზე მოქმედებს „სამართლით ბოჭვის“ მოდელი, როდესაც სახელმწიფოს მიერ იურიდიულად აღიარებული უფლებები ზღუდავს შესაბამისი ქვეყნის საჯარო ხელისუფლებას; საერთაშორისო ურთიერთობებში კი მოქმედებს ე.წ. „ტრანსლაციის“ მეთოდი, როდესაც სახელმწიფოები შეიმუშავენ ცალკეული სახის საერთოსამართლებრივ სტანდარტებს, რომელთა ტრანსლირებაც ხდება შემდეგ ამ ქვეყნების ეროვნ-

46 მოცემულ შემთხვევაში ქარტიის ტექსტის „ადაპტირება“ მხოლოდ ზოგიერთი წმინდა „ტექნიკური ხასიათის“ ცვლილებით შემოიფარგლა, რომელიც არ შეხებია მასში განმტკიცებული უფლებების, თავისუფლებებისა და პრინციპების შინაარსს; ისინი, ძირითადად, ქარტიის გამოყენების წესისა და მოქმედების სფეროს დაზუსტებას დაეთმო.

47 იხ. Кудрявцев М.А., Хартия Европейского Союза об основных правах: от Европы государств – к Европе народов? Международная защита прав человека и государственный суверенитет: мат. Международной научно-практической конференции, отв. ред. Т. А. Сошникова, Москва, 2015, 107.

ნულ სამართალში. საერთაშორისო ორგანოები მხოლოდ კოორდინირებას უწევენ სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ აღნიშნული სტანდარტების რეალიზაციისა და მათ საფუძველზე ამ ქვეყნების შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესს. ლისაბონის ხელშეკრულების შედეგად, ქარტიის ჩართვა უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე EU-ის ფუძემდებელი აქტების რიცხვში, ფაქტობრივად, ნიშნავს საერთოევროპულ დონეზე საყოველთაოდ აღიარებული უნივერსალური სტანდარტების ტრანსლირების მოდელიდან „სამართლით ბოჭვის“ მოდელზე გადასვლას. შესაბამისად, ქარტია ევროკავშირის მოქალაქეთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მინიმალური კატალოგი ხდება კავშირის ინსტიტუტებთან, ორგანოებსა და დაწესებულებებთან ურთიერთობებში, რომლებიც „სამართლით ბოჭავენ“ ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლებას.<sup>48</sup>

## 6. მედლის მეორე მხარე: ხარვეზები ქარტიის რეგულირების სისტემაში

### 6.1 ქარტიის გამოყენების სფეროს შეზღუდულობა

მიუხედავად იმისა, რომ ქარტია განამტკიცებს ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის ფუძემდებლურ უფლებებსა და პრინციპებს ყველა სფეროში, თვითონ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ მისი მიღებისას კავშირის წევრი ქვეყნები (მართალია, ამ განზრახვის აფიშირების გარეშე, მაგრამ მაინც) ცდილობდნენ, მაქსიმალურად დაევიწროებინათ ქარტიის გამოყენების სფერო და, იმავდროულად, შეეზღუდათ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (რიგი ქვეყნების აზრით, მეტისმეტი) აქტიურობა ამ მიმართულებით.

ფორმალურად, ქარტიის „ადრესატებად“ მიიჩნევიან მხოლოდ თვით EU-ის ინსტიტუტები, ორგანოები და დაწესებულებები, ერთი მხრივ, და წევრი სახელმწიფოები, მეორე მხრივ. ამასთან, წევრი ქვეყნები ქარტიის ნორმების „ადრესატებად“ მხოლოდ მაშინ გამოდიან, როდესაც „ისინი უზრუნველყოფენ კავშირის სამართლის განხორციელებას“ (იხ. ქარტია, მუხ. 51, პუნ. 1), ანუ მოქმედებენ ევროკავშირის დამფუძნებელი დოკუმენტების, საერთაშორისო შეთანხმებების, სამართლებრივი აქტების ნორმებისა და მათი ინტერპრეტაციის თაობაზე ლუქსემბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესასრულებლად.<sup>49</sup>

48 იხ. იქვე, 104, 106-107.

49 იმ სფეროებში, რომლებიც EU-ის სამართლით არ რეგულირდება (მაგ., ეროვნული პარლამენტების არჩევნები, რელიგიური ან საოჯახო-საქორწინო ურთიერთობები), ქარტიის დებულებებს წევრი ქვეყნებისთვის ძალა არ აქვთ. თუ ამ სფეროებში დარღვეულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (მაგ., რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება), დაინტერესებულმა პირმა დაცვა სხვა დოკუმენტების ნორმათა, მაგალითად, შესაბამისი სახელმწიფოს კონსტიტუციის და/ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებების საფუძველზე უნდა ეძებოს.

ქარტიის შემუშავებლების აზრით, ნევრი ქვეყნების ქმედებათა მიმართ ქარტიის სწორედ ასეთი შეზღუდული მოქმედება უნდა ქცეულიყო მთავარ ბარიერად ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით სასამართლოს აქტიურობის გზაზე. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა კი მკვეთრად განსხვავდებოდა ECJ-ს მიერ თავის გადანყვეტილებებში მანამდე გამოყენებული ფორმულირებისგან, რომლის მიხედვითაც, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს ნევრი სახელმწიფოების ქმედებები, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ქმედებები „EU-ის სამართლის სფეროში“ ექცევა.<sup>50</sup>

ფაქტობრივად, ქარტიის ავტორებმა უარყვეს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ გამოყენებული ეს ფორმულირება, როგორც მეტად ფართო, პოტენციურად შეუზღუდავი და, ამის გამო, ნევრი ქვეყნებისთვის სახიფათო. ზოგიერთი პოლიტიკოსი სულაც შიშობდა, რომ ქარტია შეიძლებოდა გამხდარიყო „ევროპაში ეროვნული სამართლის უნიფორმიზაციის მანქანა“ და ლუქსემბურგის სასამართლო „ზედმეტად ფართო, არაპროპორციული დისკრეციის უფლებით“ აღექურვა.<sup>51</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, წამოყენებულ (თუმცა შემდეგ უარყოფილ) იქნა უფრო რადიკალური წინადადებაც, რომ სახელმწიფოთა ქმედებები, საერთოდ, გატანილი ყოფილიყო ქარტიის გამოყენების სფეროდან (და, შესაბამისად, ECJ-ს იურისდიქციიდან).<sup>52</sup>

მკვლევრებისა და კომენტატორების მოსაზრებები ქარტიის 51(1)-ე მუხლის ინტერპრეტაციასა და გამოყენების წესთან მიმართებით გაიყო. ასე, მაგალითად, საკმაოდ გავლენიანი და ავტორიტეტული მკვლევრების ჯგუფი თვლიდა, რომ ეს დებულება არამც და არამც არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის რაიმე სახით შეზღუდვა.<sup>53</sup> სხვებს უფრო ფრთხილი პოზიცია ეკავათ და ამტკიცებდნენ, რომ ეს ნორმა, როგორც მინიმუმ, არ ნიშნავს სასამართლოს პრაქტიკაზე უარის თქმას, ანუ ქარტია მაინც გამოყენებულ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოთა ქმედებების შეფასებისას, როდესაც ეს ქმედებები კავშირის სამართლის დე-

50 აღსანიშნავია, რომ, ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, ნევრი ქვეყნების ყველა იმ ქმედებაზე თავისი კონტროლის შესახებ, რომლებიც, პრინციპში, „კავშირის სამართლის მოქმედების სფეროში“ («in the scope of Union law») იმყოფებიან, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ პირველად 1997 წელს *Annibaldi*-ს საქმეზე მიღებულ გადანყვეტილებაში განაცხადა (იხ. *დანიელე ანიბალდი გვიდონის მუნიციპალიტეტის მერისა და ლაციოს რეგიონის პრეზიდენტის წინააღმდეგ (Daniele Annibaldi v. Sindaco del Comune di Guidonia and Presidente Regione Lazio)*, 1997 წლის 18 დეკემბერი, მე-13 პუნქტი).

51 ჯ. ბერტუდი – ევროპის პარლამენტის წარმომადგენელი კონვენტში. იხ. Verbatim of the Convention meeting of 26 September 2000. CHARTER 4958/00 (CONVENT 53). Brussels, 27 October 2000, 32.

52 იხ. Th. v. Danwitz, K. Paraschas, A fresh start for the Charter, Fundamental questions on the application of the European Charter of Fundamental Rights, Fordham International Law Journal, Vol. 35, №5, 2011/12, 1397.

53 იხ. J. Kokott, Ch. Sobota, The Charter of fundamental rights of the European union after Lisbon, EIU Working Papers, AEL, 6, 2010, 7.

ბულებებიდან მომდინარეობს.<sup>54</sup> მესამე ჯგუფი (სადაც ევროკომისიის პასუხისმგებელი თანამშრომლებიც შედიოდნენ) ამ პუნქტის სიტყვასიტყვით და ფრთხილ წაკითხვას მოითხოვდა. მათი აზრით, აღნიშნულმა პუნქტმა შეზღუდა ევროკავშირში ადამიანის უფლებათა გამოყენების სფერო იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც ECJ-ს გადანყვეტილებებით იყო მიღწეული ქარტიის ძალაში შესვლამდე.<sup>55</sup> ასეთი დასკვნის სასარგებლოდ რამდენიმე არგუმენტი მოჰყავდათ: პირველი, ესაა თავად ამ პუნქტის ფორმულირება, აგრეთვე ქარტიის ავტორთა აშკარა განზრახვა, შეზღუდათ ქარტიის გამოყენება ნეკრი სახელმწიფოების შეზღუდული რაოდენობის ქმედებებით; მეორე, ქარტიის 51(2)-ე მუხლი, ასევე ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6(1) მუხლი შეიცავს დებულებას იმის თაობაზე, რომ ქარტია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კავშირის კომპეტენციის გასაფართოებლად;<sup>56</sup> მესამე (და ეს შეიძლება ყველაზე მთავარი არგუმენტი იყოს), ამგვარი მიდგომის მომხრეები აღნიშნავენ, რომ, ქარტიისთვის ყოვლისმომცველი ან მუდმივად გაფართოებადი ხასიათის მინიჭების შემთხვევაში, მოცემული ეტაპისთვის არც კომისია და არც ლუქსემბურგის სასამართლო არ იყვნენ მზად ევროკავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაზე სამუშაოდ. ამ მიდგომის მიმდევრები ძირითად აქცენტს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ეროვნულ საკონსტიტუციო სასამართლოებთან ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კონკურენციისა და დუბლირების თავიდან აცილების აუცილებლობაზე აკეთებდნენ.<sup>57</sup>

ამ მიდგომის სასარგებლოდ მუშაობდა ევროკომისიის პრაქტიკაც, რომელმაც, მართალია, ძალზე თავშეკავებულად, უფლებადამცველი ორგანიზაციების აშკარა ზენოლის შედეგად, მაგრამ მაინც დაიწყო (თუმცა კი პატარა ქვეყნებიდან) სახელმწიფოთა სამართლებრივი დევნის პრაქტიკა, ამ უკანასკნელთა მიერ ქარტიის დარღვევის გამო. მაგალითად, ფართოდ გახდა ცნობილი შემთხვევა, როდესაც კომისიამ მოსთხოვა უნგრეთს,

54 იხ. A. Rosas, L. Armati, EU constitutional Law. – 2nd ed., Oxford, 2012, 167.

55 იხ. G. de Búrca, The drafting of the European Union Charter of fundamental rights, European Law Review, Vol. 26, 126, 2001, 137; X. Groussot, L. Pech, G.T. Petursson, The scope of application of the fundamental rights on member states action, Eric Stein Working Paper, 1, 2011, 19.

56 კერძოდ, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6(1) მუხლის მე-2 აბზაცი ადგენს, რომ „ქარტიის დებულებები არანაირად არ აფართოებს ხელშეკრულებებით განსაზღვრულ კავშირის კომპეტენციას“; ხოლო ძირითადი უფლებების ქარტიის 51(2)-ე მუხლი კი კიდევ უფრო აზუსტებს, რომ „წინამდებარე ქარტია არ აფართოებს კავშირის სამართლის მოქმედების სფეროს მისი კომპეტენციის ფარგლებს გარეთ, არც არავითარ ახალ კომპეტენციას ან ამოცანებს ქმნის კავშირისთვის და არც ხელშეკრულებებით განსაზღვრულ კომპეტენციასა და ამოცანებს ცვლის“.

57 იხ. C. Ladenburger, Protection of Fundamental Rights post-Lisbon – The interaction between the Charter of Fundamental Rights, the European Convention of Human Rights and National Constitutions – Institutional report, FIDE 2012, 7; Th. v. Danwitz, K. Paraschas, A fresh start for the Charter, Fundamental questions on the application of the European Charter of Fundamental Rights, Fordham International Law Journal, Vol. 35, №5, 2011/12.

შეეცვალა კანონი, რომლის შესაბამისადაც, პენსიაში გასვლის ასაკი მოსამართლეებისთვის, პროკურორებისა და ნოტარიუსებისთვის 70 წლიდან მოულოდნელად და მკვეთრად შემცირდა 62 წლამდე. კომისიამ ეს კანონი ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის მოთხოვნასთან წინააღმდეგობაში მყოფად მიიჩნია და თავიდან მისი შეცვლა მოითხოვა, ხოლო უნგრეთის მიერ ამაზე უარის თქმის შემდეგ ECJ-ს მიმართა. სასამართლომ საქმე, დაჩქარებული პროცედურის ფარგლებში, სულ რაღაც 5 თვეში განიხილა და თავისი გადაწყვეტილებით უნგრეთი EU-ის სამართლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში „დადანაშაულა“;<sup>58</sup> მხოლოდ ამის შემდეგ, 2013 წლის მარტში, შეცვალა უნგრეთმა თავისი კანონმდებლობა. თუმცა მსგავსი მაგალითები პრაქტიკაში დღემდე ძალიან იშვიათია, რაც თვალნათლივ ადასტურებს, რომ კომისიას არ აქვს სურვილი (არც მზაობა), საკუთარ თავზე აიღოს ყოველდღიური კონტროლის ფუნქცია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კავშირის წევრ ქვეყნებში.<sup>59</sup>

ქარტიის 51(1)-ე მუხლში გათვალისწინებული ზემოაღნიშნული შეზღუდვის კონტექსტში, საინტერესოა ევროკავშირის სამართლის ერთ-ერთი ავტორიტეტული მკვლევრის, პიტ ეკჰაუტის (Piet Eeckhout) მიერ ჯერ კიდევ 2000 წელს გაკეთებული ქარტიის შეფასება, რომელიც დღემდე აქტუალურია: „შედეგად მივიღეთ ძალიან პარადოქსული ქარტია. ქარტიის სრული ტექსტის მეშვეობით გაცხადებულია თამამი მოთხოვნები იმისა, რომ იგი იყოს ძირითადი უფლებების ზოგადი ქარტია, რომელიც ნაშლის ძველ ზღვრებს სამოქალაქო და პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ უფლებებს შორის; ქარტია, რომელიც პასუხობს ცვლილებებს საზოგადოებაში, სოციალურ პროგრესსა და სამეცნიერო და ტექნოლოგიურ განვითარებას; ქარტია, რომელიც უფლებებს უფრო თვალსიზრისს გახდის ევროპის ხალხთათვის, მაგრამ 51(1)-ე მუხლში ქარტია უხვევს ამ თამამი განცხადებებისგან და ადგენს, რომ იგი მიმართულია EU-ის ინსტიტუტებისა და ორგანოებისადმი, ასევე წევრი სახელმწიფოებისადმი მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი კავშირის სამართლის იმპლემენტაციას ახდენენ. მოკლედ, ქარტიის პარადოქსი ისაა, რომ იგი შეიცავს განუყოფელ, მაგრამ ძალიან შეზღუდული გამოყენების ძირითად უფლებებს“.<sup>60</sup>

ქარტიის აღნიშნულმა თავისებურებამ სამართლის პროფესორს, გრენ დე ბურკას (Grainne de Burca) საფუძველი მისცა, რომ ქარტიის მიმართ (იმ მომენტისთვის ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ მხოლოდ დეკლარაციის სტატუსი ჰქონდა) ტერმინი «showcase» გამოეყენებინა, რაც, კონტექსტის გათვალისწინებით, ქართულ ენაზე შეიძლება ითარგმნოს უფრო როგორც „ბუტაფორია“, რომელიც წევრი ქვეყნების მიერ მხოლოდ იმ განზრახვით შეიქმნა, რომ EU-ისთვის მეტი ლეგიტიმურობა მიენიჭებინათ.<sup>61</sup>

58 იხ. *ევროპის კომისია უნგრეთის წინააღმდეგ (European Commission v. Hungary)*, 2012 წლის 6 ნოემბერი.

59 იხ. А.С. Исполинов, Хартия основных прав как инструмент федерализации Европы, Конституционное и муниципальное право, 2, 2015, 73.

60 იხ. P. Eeckhout, The EU Charter of fundamental rights and the federal question, Common Market Law Review, Vol. 39, 2002, 957-958.

61 იხ. G. de Burca, Beyond the Charter: How Enlargement Has Enlarged the Human Rights Policy of the European Union, Fordham International Law Journal, 27, 2004, 694.

როგორც აღინიშნა, ბევრი მკვლევარი ქარტიის გამოყენების ასეთ შეზღუდულ ხასიათს იმასაც უკავშირებენ, რომ ლუქსემბურგის სასამართლო არ არის მზად, გამოიტანოს გადაწყვეტილებები ყველა იმ საქმეზე, რომლებიც ევროკავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევასთანაა დაკავშირებული, თუმცა ასეთი პოზიცია ეწინააღმდეგება თავად სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ ჩამოყალიბდა. თავის გადაწყვეტილებებში ECJ ყოველმხრივ ცდილობს, გააფართოოს ქარტიის გამოყენების სფერო. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მის მიერ ბოლო პერიოდში მიღებული ორი გადაწყვეტილება *Fransson*-ისა და *Melloni*-ის საქმეებზე, რომლებშიც მან ჩამოაყალიბა ძირითადი უფლებების ქარტიის, აგრეთვე იმ შემთხვევების თავისეული გაგება, თუ როდის უნდა იქნეს ეს ქარტია გამოყენებული.

*Fransson*-ის საქმეზე<sup>62</sup> მიღებულ გადაწყვეტილებაში ECJ-მ რადიკალურად გააფართოვა ქარტიის გამოყენების სფერო და, შესაბამისად, თავისი იურისდიქცია ამ საკითხებში. თავიდან მან განსახილველ საქმეზე საკუთარი იურისდიქცია აღიარა, მიუხედავად ევროპის კომისიის, გენერალური ადვოკატისა და კავშირის არაერთი წევრი სახელმწიფოს მთავრობათა წინააღმდეგობისა. ყველა მათგანი ერთხმად ამტკიცებდა, რომ გადასახადების გადაუხდელობის გამო დასჯის საკითხებს არანაირი კავშირი არ აქვს EU-ის სამართალთან და იგი, ტრადიციულად, ყოველი ქვეყნის შიდა საქმეა. ამ არგუმენტის საპასუხოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ, ქარტიის 51-ე მუხლის კონტექსტში, მისი დებულებების გამოსაყენებლად საკმარისია დადგინდეს, რომ ეროვნული კანონმდებლობის სადავო ნორმას რაიმე სახის კავშირი (connection) აქვს EU-ის სამართალთან (ამით იგი, ფაქტობრივად, დაუბრუნდა თავის ადრინდელ ფორმულას, რომელსაც ქარტიის ძალაში შესვლამდე იყენებდა). იმის გათვალისწინებით, რომ სასაქონლო, რომელსაც განმცხადებელი დაექვემდებარა, „ევროკავშირის სისტემის ნაწილია“ „დღგ-ის ეფექტიანი ამოღების კუთხით“, დღგ-ის გადაუხდელობა კი კავშირის ფინანსურ ინტერესებს ხელყოფს, სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ საკითხის EU-ის სამართლის სფეროსადმი მიკუთვნება სავსებით შესაძლებელია.<sup>63</sup>

შედეგად, *Fransson*-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ლუქსემბურგის სასამართლომ მნიშვნელოვნად გააფართოვა ქარტიის გამოყენების სფერო, მისი 51(1)-ე

62 იხ. პროკურატურა ჰანს ოკერბერგ ფრანსონის წინააღმდეგ (*Aklagaren v. Hans Akerberg Fransson*), 2013 წლის 26 თებერვალი. ამ საქმეზე ECJ-ს პასუხი უნდა გაეცა შვედეთის სასამართლოს პრეიუდიციულ მოთხოვნაზე, რომელიც იხილავდა სისხლის სამართლის საქმეს შვედი მეთევზის, ჰანს ოკერბერგ ფრანსონის წინააღმდეგ. განსასაჯელს ბრალად ედებოდა, რომ მან 2004-2005 წწ. შეგნებულად წარადგინა გაყალბებული საგადასახადო დეკლარაცია, რამაც შვედეთისთვის მნიშვნელოვანი საგადასახადო თანხების (მათ შორის დღგ-ის ჩათვლით) გადაუხდელობა გამოიწვია. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს უკვე დაკისრებული ჰქონდა ადმინისტრაციული ჯარიმა ყალბი დეკლარაციის წარდგენისთვის, ადგილობრივი სასამართლო ითხოვდა განმარტებას, იმავე ქმედებისთვის განსასაჯელის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა ეწინააღმდეგებოდა თუ არა ქარტიის 50-ე მუხლით გარანტირებულ ორმაგი დასჯის დაუშვებლობის უფლებას.

63 იხ. იქვე, 26-ე პუნქტი.

მუხლის ძალიან კრეატიული ახსნა-განმარტების ხარჯზე, რომელიც, სურვილის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლობას აძლევს, ძირითადი უფლებების ქარტიის კონტროლის ქვეშ მოაქციოს ნებისმიერი ეროვნული ღონისძიება, თუ ამ უკანასკნელს EU-ის სამართალთან რაიმე სახის კავშირი (შემსებლობა) ექნება.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ქარტიის ახსნა-განმარტების არანაკლებ საინტერესო მაგალითია *Melloni*-ს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება,<sup>64</sup> რომელშიც სასამართლო იძლევა განმარტებას ქარტიის 53-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით; უფრო კონკრეტულად, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა კავშირის დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის თანაფარდობის საკითხი ეროვნულ დონეზე უფლებათა დაცვის სისტემასთან. ქარტიის 53-ე მუხლის შესაბამისად, მისი არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ნეკრი სახელმწიფოების კონსტიტუციებით დაცული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საზიანოდ. ჩვეულებრივ, აქ იგულისხმებოდა, რომ EU-ის ნეკრი ქვეყნები უფლებამოსილნი არიან, ქარტიასთან შედარებით, ადამიანის უფლებათა უფრო ეფექტიანი დაცვა უზრუნველყონ. თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ საკითხზე ლუქსემბურგის სასამართლო სულ სხვა აზრის ყოფილა.

სასამართლომ ქარტიის ეს მუხლი სხვაგვარად განმარტა და მიუთითა, რომ ეროვნულ კონსტიტუციურ ტრადიციებთან EU-ის სამართლის რომელიმე ნორმის შეუსაბამობა არ არის კავშირის სამართლის ნორმის გამოუყენებლობის საფუძველი მაშინაც კი, თუ ადამიანის უფლებათა დაცვის შესაძლებლობები ეროვნული სისტემის ფარგლებში უფრო ფართოა. შესაბამისად, სახელმწიფოს უფლება არა აქვს, გვერდი აუაროს EU-ის სამართლის აღსრულებას იმ საბაბით, რომ მისი შიდა კანონმდებლობა დაცვის უფრო მაღალ დონეს ითვალისწინებს, ვიდრე ძირითადი უფლებების ქარტია.<sup>65</sup>

64 იხ. *სტეფანო მელონი ესპანეთის გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ (Stefano Melloni v. Ministerio Fiscal)*, 2013 წლის 26 თებერვალი. საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: თაღლითობისთვის იტალიაში დაუსწრებლად გასამართლებული იტალიის მოქალაქე სტეფანო მელონი (რომელსაც დაუსწრებლად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა) დაკავებულ იქნა ესპანეთში, იტალიის სასამართლოს მიერ გაცემული დაპატიმრების ევროპული ორდერის საფუძველზე. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა წინააღმდეგობა კონსტიტუციურ ნორმასა და 2009/299 ჩარჩო დირექტივის დებულებებს შორის და განმარტებისთვის ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა. ამასთან, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო მანამდე, როგორც წესი, უარს აცხადებდა EU-ის სხვა ქვეყანაში დაუსწრებლად გასამართლებული პირის გადაცემაზე, ვინაიდან დაუსწრებლად გასამართლებას ესპანეთის კონსტიტუციაში განმტკიცებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევად მიიჩნევდა. ასეთ მიდგომას საკონსტიტუციო სასამართლო ასევე ქარტიის 53-ე მუხლზე მითითებითაც ასაბუთებდა და ამტკიცებდა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სისტემა ქარტით გათვალისწინებულ ანალოგიურ სისტემაზე უფრო ფართოა, რის გამოც იგი უფლებამოსილია, არ გამოიყენოს EU-ის სამართლის ნორმები, თუ ეს უკანასკნელნი უფრო მაღალ ეროვნულ სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

65 იხ. იქვე, მე-60 პუნქტი.

ამრიგად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეებზე გამოტანილი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ქარტიის დებულებების (მათ შორის 51(1)-ე მუხლის) განმარტებისას სასამართლო იმავე მიდგომას განაგრძობს, რომელიც მან ჯერ კიდევ ამ დოკუმენტის მიღებამდე დიდი ხნით ადრე აირჩია.<sup>66</sup>

როგორც მოსალოდნელი იყო, *Fransson*-ის და *Melloni*-ის საქმეებზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია მკვლევართა შორის, ასევე განსხვავებული აღმოჩნდა მათი შეფასებებიც. ერთნი ამ გადაწყვეტილებებში ბალანსის აშკარა ცვლილებას ხედავენ ქარტიის უზენაესობის სასარგებლოდ, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის, ისე კავშირის ნევრი ქვეყნების ეროვნული კონსტიტუციების მიმართ.<sup>67</sup> მეორენი კი საუბრობენ ლუქსემბურგის სასამართლოს ახალ მცდელობაზე, EU-ის სამართლის პრიორიტეტიდან გადავიდეს ეროვნული კონსტიტუციების მიმართ ევროკავშირის სამართლის სრულფასოვან უზენაესობაზე, ამასთან, აღნიშნავენ, რომ სასამართლო ამიერიდან იქიდან ამოდის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოებთან კონფლიქტის შემთხვევაში ბოლო სიტყვის უფლება მას აქვს.<sup>68</sup>

ECJ-ს ამ გადაწყვეტილებებზე ნევრი სახელმწიფოების ეროვნული უზენაესი სასამართლოების რეაქციებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება, რომლის მიერ ეს გადაწყვეტილებები აღქმულ იქნა როგორც საკუთარი პრეროგატივების ხელყოფა. კერძოდ, მან მალევე განხილულ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მოიხსენია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება *Fransson*-ის საქმეზე და ხისტად აღნიშნა, რომ ლუქსემბურგის სასამართლო არაა სათანადო მსაჯული წმინდა შიდასახელმწიფოებრივ საკითხებში.<sup>69</sup> ამასთან, მისი აზრით, ECJ ძალიან მიუახლოვდა იმ ზღვარს, რომ მისი გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს *ultra vires*, ე.ი. უფლებამოსილების აშკარა გადამეტებით მიღებულად.<sup>70</sup>

მოკლედ, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 15 წლის თავზე შეიძლება ითქვას, რომ EU-ის ნევრი ქვეყნები მათ მიერვე ჯერ კიდევ 2000 წელს გამზადებულ ხაფანგში მოჰყვნენ, როდესაც ქარტიის ტექსტზე მუშაობის პროცესში მათი უმთავრესი

66 იხ. ი. პაპავა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის ახსნა-განმარტება და გამოყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ: შედარებითი ანალიზი, ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა: სტატიათა კრებული, კ. კორკელია (რედ.), 2021, 52.

67 იხ. N. Lavranos, The ECJ's Judgments in Melloni and Åkerberg Fransson: Uneménage à trois difficulté, *European Law Reporter*, 4, 2103, 140.

68 იხ. L. Besselink, The Parameters of Constitutional Conflict after Melloni, *European Law Review*, 39 (4), 2014, 531–552.

69 იხ. German Federal Constitutional Court website, Press Release No. 31/2013 of 24 April 2013. Judgment of 24 April 2013, 1 BvR 1215/07.

70 იხ. Editorial Comments, "Ultra vires – has the Bundesverfassungsgericht shown its teeth?", *Common Market Law Review*, 50, 2013, 925–930.

სურვილი ქარტიისგან EU-ის ერთგვარი ვიტრინის შექმნა და, ამასთან, მისი გამოყენების სფეროს მაქსიმალურად შეზღუდვა იყო. ცხადია, ქარტია, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს ევროკავშირის პირველადი სამართლის დონეზე, უკვე ნამდვილად აღარ არის ვიტრინა და, მით უმეტეს, არც ბუტაფორია.<sup>71</sup>

## 6.2 ქარტიის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის ხარისხის არაერთგვაროვნება

ქარტიის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი იმთავითვე სოციალური და ეკონომიკური უფლებების ახსნა-განმარტება იყო. მიუხედავად იმისა, რომ უფლებათა და თავისუფლებათა მთელი კომპლექსი სახელმწიფოებისთვის პოზიტიურ ვალდებულებებს უნდა ქმნიდეს, უფლებათა ამ ჯგუფში აშკარად შეინიშნება მათი იურიდიული ძალისაღმისი არაერთგვაროვანი მიდგომა, EU-ის წევრი ქვეყნების კონსტიტუციური პრაქტიკის შესაბამისად; მათში გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესაბამისი მექანიზმები თვალნათლივ ცხადყოფს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სამართლებრივი რეგულირების და დაცვის დონის არათანმიმდევრულობასა და ერთმანეთთან შეუსაბამობას. ასეთი მდგომარეობა განპირობებულია სახელმწიფოთა პოლიტიკური ნების არარსებობით, ერთმანეთს გაუთანაბროს ეს უფლებები, რაც, თავის მხრივ, ეროვნული სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებიდან მომდინარეობს. ევროპის ქვეყნების უმრავლესობა უზრუნველყოფს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრულ გარანტიას, ხოლო ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებით კრიტერიუმები იყოფა. საქმე ისაა, რომ სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობა ეყრდნობა დოქტრინულ შეპირისპირებას, ერთი მხრივ, სუბიექტური ეკონომიკური უფლებების,<sup>72</sup> რომლებზეც პირდაპირი მითითება სამართლო წესით დაცვას იწვევს და, მეორე მხრივ, კოლექტიური და „პროგრამული“ უფლებებისა,<sup>73</sup> რომლებიც საკანონმდებლო აქტებში დამატებით გარანტიასა და განვითარებას საჭიროებენ. შესაბამისად, დაცვის ხარისხით, პირველი მათგანი, ფაქტობრი-

71 იხ. А.С. Исполинов, Хартия Основных Прав ЕС: Опыт первых трех лет применения, *Евразийский юридический журнал*, 12 (55), 2012, 65.

72 სუბიექტური უფლებები ქარტიაში, ძირითადად, მოცემულია II („თავისუფლებები“) და III („თანასწორობა“) თავებში: პროფესიული კავშირების თავისუფლება, მოლაპარაკებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების და აქციების უფლება, გაფიცვის ჩათვლით (მუხ. 12 და 28); პროფესიული საქმიანობის თავისუფლება და შრომის უფლება (მუხ. 15) ან დისკრიმინაციის დაუშვებლობა შრომის სამართლის სფეროში (მუხ. 21 და 23) და ა.შ.

73 „პროგრამული“ უფლებები, რომლებიც წევრი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ასახავს, ქარტიაში წარმოდგენილია, მაგალითად, IV თავის („სოლიდარობა“) მუხლების უმეტესობაში: სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დახმარება (მუხ. 34); ჯანდაცვა (მუხ. 35); გარემოს დაცვა (მუხ. 37) და მომხმარებელთა უფლებების დაცვა (მუხ. 38) და სხვ.

ვად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს უთანაბრდებიან, მაშინ, როდესაც მეორე მათგანის უზრუნველყოფა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ სექტორში ამა თუ იმ სახელმწიფოს ჩარევის ხარისხზე დამოკიდებული. სწორედ ამიტომაც ქარტიის ტექსტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ჩართვა EU-ის წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე მწვავე უთანხმოების საგნად იქცა.

შემდგარი ფაქტია, რომ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისაგან განსხვავებით, რომლითაც შეზღუდული რაოდენობის (მხოლოდ პირადი და პოლიტიკური ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვანი) უფლებების დაცვაა გარანტირებული (რაც სასამართლო კონტროლის ეფექტიანი მექანიზმითაა უზრუნველყოფილი), ქარტია არეგულირებს ყველა თაობის უფლებებს, სოციალური, ეკონომიკური და ე.წ. „თანამედროვე“ უფლებების<sup>74</sup> ჩათვლით. მოკლედ, მისი შემქმნელები შეეცადნენ ადამიანის უფლებათა მაქსიმალურად ფართო კონცეფციის ჩამოყალიბებას ერთიანი, ყოვლისმომცველი დოკუმენტის სახით.

მსგავს მიდგომას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტები. ერთი მხრივ, ქარტია ევროკავშირის სტანდარტის უფლებათა სრულფასოვან ჩამონათვალს ქმნის და ძალიან „გულუხვია“ ინდივიდის (არა მარტო კავშირის მოქალაქეთა) მიმართ; მეორე მხრივ, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვისა და სახელმწიფოს მხრიდან მათი უზრუნველყოფის საკითხებისადმი ზოგიერთი ქვეყნის (პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის) პოზიციის გამო, ძალზე რთული აღმოჩნდა ასეთი ფართო კონცეფციის გაზიარება ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ქარტიის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემების მთავარ წყაროდ სწორედ სოციალური და ეკონომიკური უფლებები იქცა. ცალკეული სოციალური და ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის მიმართ სახელმწიფოებს შორის უთანხმოებამ კი გამოწვევა შესაბამის მუხლებში სპეციალური დათქმის ჩართვის აუცილებლობა იმის შესახებ, რომ ამ უფლებათა რეალიზება ხდება „კავშირის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად“. მსგავსი დებულებები გვხვდება IV თავის („სოლიდარობა“) თითქმის ყველა მუხლში: ორგანიზაციის თანამშრომელთა უფლება ინფორმაციასა და კონსულტაციაზე (მუხ. 27); კოლექტიური მოლაპარაკებებისა და აქციების უფლება (მუხ. 28); დაცვა სამსახურიდან უკანონო დათხოვნის შემთხვევაში (მუხ. 30); სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დახმარება (მუხ. 34); ჯანმრთელობის დაცვა (მუხ. 35). ასეთი ფორმულირება ხაზს უსვამს, რომ ამ მუხლების გამოყენების კრიტერიუმებად EU-ის სამართლისა და

74 ე.წ. „თანამედროვე“ უფლებები არ მოიცავს მხოლოდ ინფორმაციისა და ბიოეთიკის სფეროებში მიღწეულ ტექნოლოგიურ პროგრესთან დაკავშირებულ უფლებებს: მაგალითად, ადამიანური არსების რეპროდუქციული კლონირების აკრძალვა (მუხ. 3(2), ქვეპუნქ. d) და პერსონალური მონაცემების დაცვა (მუხ. 8). ფართო გაგებით, „თანამედროვე“ უფლებებად ითვლება ასევე გარემოს დაცვასთან (მუხ. 37), საზოგადოებრივ მოხმარებასთან (მუხ. 38), კარგ მმართველობასთან (მუხ. 41) დაკავშირებული უფლებები. ამავე ჯგუფს განეკუთვნება ბავშვის უფლებები (მუხ. 24) და კულტურული, რელიგიური და ენობრივი მრავალფეროვნების აღიარებიდან გამომდინარე უმცირესობათა უფლებები (მუხ. 22).

მისი წევრი ქვეყნების სამართლებრივი სისტემების ნორმები უნდა იქნეს მიჩნეული.

პრინციპში, ქარტია ძალიან ამბიციური ინსტრუმენტი აღმოჩნდა. მასში გათვალისწინებული უფლებების კატალოგის ტექსტი, რომელიც თავდაპირველად, პოლიტიკური დეკლარაციის რანგში, ყოველგვარი გართულების გარეშე, ერთხმად მიიღო ყველა წევრმა სახელმწიფომ, მოგვიანებით მიუღებელი აღმოჩნდა ზოგიერთი ქვეყნისთვის, როგორც სამართლებრივი ხასიათის ინსტრუმენტი.<sup>75</sup> საბოლოო ჯამში, მათ მოახერხეს ქარტიის სამართლებრივი შედეგების შემსუბუქება სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა სფეროში; ეს ორი გზით განხორციელდა: 1) ქარტიის ტექსტზე დართული ე.წ. „განმარტებები“,<sup>76</sup> რომელმაც ქარტიაში გამოცხადებული უფლებები, სასამართლო დაცვის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ორ კატეგორიად – უფლებებად და პრინციპებად დაყო<sup>77</sup> და 2) ლისაბონის ხელშეკრულების მიერ EU-ის დამფუძნებელ დოკუმენტებზე თანდართული №30 ოქმის მეშვეობით, რომლითაც ქარტიის გამოყენება შესუსტებულ იქნა გაერთიანებული სამეფოსა და პოლონეთის მიმართ.<sup>78</sup> მოგვიანებით ამ ოქმს ჩეხეთის რესპუბლიკაც შეუერთდა.<sup>79</sup> შედეგად, ეკონომიკური და სოციალური უფლებების სფეროში მნიშვნელოვნად დავიწროვდა ქარტიის მოქმედების ფარგლები, თან ისე, რომ, ერთი შეხედვით, არ მომხდარა მასში დეკლარირებული უფლებების პირდაპირი შემცირება. ფაქტობრივად, „განმარტებების“ წყალობით, უფლებათა ნაწილი მოკლებულ იქნა სასამართლო დაცვის შესაძლებლობას.

75 იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, სამართალი და მსოფლიო, 13, 2019, 83.

76 იხ. Explanations relating to the Charter of Fundamental Rights. OJ C 303/17, 14.12.2007.

77 აქედან პირველ მათგანზე პირდაპირი მითითება სასამართლო წესით დაცვას იწვევს, მაშინ, როდესაც მეორე მათგანი საკანონმდებლო აქტებში დამატებით გარანტიას (განვითარებას) საჭიროებს და მისი უზრუნველყოფა კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ სექტორში მისი ჩარევის ხარისხზე დამოკიდებულია.

78 იხ. Protocol No. 30 on the Application of the Charter of Fundamental Rights of the European Union to Poland and the United Kingdom. OJ C 83/313, 30.3.2010. კერძოდ, დადგენილ იქნა, რომ ამ ორი სახელმწიფოს მიმართ ეს დებულებები მხოლოდ იმ პირობით გამოიყენება, თუკი თანაბარმნიშვნელოვანი უფლებები უკვე გათვალისწინებულია მათ შიდა სამართლებრივი სისტემებში (ეროვნულ კანონმდებლობაში).

79 იხ. Н. Шишкова, Хартия основных прав Европейского Союза и вопросы судебной защиты, Адвокат, 11, 2012, 6. ცნობილია, რომ ჩეხეთის მაშინდელი პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწორედ ქარტიის (განსაკუთრებით ამ უკანასკნელის სოციალური უფლებების) მიმართ მისი უთანხმოების გამო, უარს აცხადებდა ლისაბონის ხელშეკრულების ხელმოწერაზე. შესაბამისად, მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელთა შორის სწორედ კლაუსი გახდა ბოლო სახელმწიფო მეთაური, რომლის ხელმოწერაც აუცილებელი იყო და რომლის ხელმოწერასაც ელოდებოდნენ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად. კომპრომისული გადაწყვეტილების სახით არჩეულ იქნა ზემოხსენებულ №30 ოქმთან ჩეხეთის რესპუბლიკის შეერთების შესაძლებლობა.

### 6.3 ქარტიის უფლებების სასამართლო დაცვის საკითხი

ქარტიით გათვალისწინებული უფლებების სასამართლო წესით დაცვასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს ერთი ძალიან სერიოზული პრობლემა: ქარტია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, არ ქმნის კონტროლის საკუთარ მექანიზმს, დამოუკიდებელი სასამართლო პროცედურის სახით. აქედან გამომდინარე, სასამართლო დაცვა ლუქსემბურგის სასამართლოს დონეზე შეიძლება განხორციელდეს იქნეს მხოლოდ სარჩელთა აქამდე არსებული ტიპების ფარგლებში. ამასთან, საგულისხმოა, რომ კერძო (ფიზიკური და იურიდიული) პირები EU-ის სასამართლო სისტემის ფარგლებში გამოდინან როგორც არაპრივილეგირებული მოსარჩელები (განსხვავებით კავშირის წევრი ქვეყნებისა და ორგანოებისგან). მათი მონაწილეობა პირდაპირ სარჩელებში შესაძლებელია მხოლოდ ბათილობის თაობაზე აღძრული სარჩელების ფარგლებში (იხ. ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ, მუხ. 263, აბზაცი 4), თანაც, ასეთი პირი ვალდებულია, დაამტკიცოს თავისი *locus standi* (სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლება), ის, რომ გასაჩივრებული აქტი მას უშუალოდ და ინდივიდუალურად ეხება.

აღსანიშნავია, რომ „ინდივიდუალური“ შემხებლობის დამტკიცების მოთხოვნა პრაქტიკაში თითქმის გადაუღაბავი დაბრკოლებაა, კონკრეტულად, რეგლამენტებსა და დირექტივებთან მიმართებით, ვინაიდან შეუძლებელია ზოგადი მოქმედების ამ აქტების ინდივიდუალური ხასიათის დამტკიცება. სიტუაციამ უკიდურესობას ერთ-ერთ სასამართლო დავაში მიაღწია, რამაც ნათლად ცხადყო ამ შეზღუდვების სიღრმე კერძო პირების მიმართ. საქმეში *Jego-Querre* კომისიის წინააღმდეგ (*Jego-Querre v. Commission*)<sup>80</sup> მოსარჩელე კომპანია შეეცადა, ბათილად ეცნოთ რეგლამენტის სახით მიღებული აქტი, თუმცა ვერ შეძლო ზემოხსენებული კრიტერიუმის დაკმაყოფილება. აღნიშნული საქმის განხილვისას ლუქსემბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ მიუღებელია, როდესაც კერძო პირი, მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის მიღწევის მიზნით, იძულებული გახდა, EU-ის სამართალი დაერღვია.

ამ და მის მსგავს არაერთ სხვა დავას, რომლებმაც მკაფიოდ აჩვენა მითითებული სასამართლო პროცედურის შეზღუდვები, შედეგად მოჰყვა კავშირის სამართალში ინდივიდის პროცესუალური სტატუსის საკითხის ფართო განხილვა. კერძოდ, ევროპის 2004 წლის კონსტიტუციური ხელშეკრულების პროექტის მომზადებისას განიხილებოდა ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების პროცესუალურ მდგომარეობაში აღნიშნული შეზღუდვების გამორიცხვის შესაძლებლობა. ქარტიიდან გამომდინარე უფლებების სასამართლო დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მსჯელობა ორი ალტერნატიული ვარიანტის გარშემო მიმდინარეობდა:

- 1) სარჩელის ახალი ტიპის შემოღება – ქარტიის დარღვევის თაობაზე (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი ინდივიდუალური განცხადების ან წევრი სახელმწიფოების ეროვნული მართლწესრიგით გათვალისწინებული საკონსტიტუციო საჩივრის მოდელის მიხედვით);

80 იხ. *Jégo-Quéré & Cie SA* ევროპის გაერთიანებების კომისიის წინააღმდეგ (*Jégo-Quéré & Cie SA v. Commission of the European Communities*), 2002 წლის 3 მაისი.

2) შესაბამისი ცვლილების შეტანა ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 263-ე მუხლის მე-4 აბზაცში.

საბოლოოდ, არჩევანი შეჩერებულ იქნა მეორე შესაძლებლობაზე, იმის შიშით, რომ ლუქსემბურგის სასამართლო მნიშვნელოვნად გადაიტვირთებოდა, ასევე გფრ-ის საკონსტიტუციო სასამართლოს უარყოფითი გამოცდილების გათვალისწინებით იმასთან დაკავშირებით, რომ თითქმის ყველა სასამართლო დავა უპრობლემოდ შეიძლება „მოაქციო“ თანამედროვე კონსტიტუციური სამართლით დაცული უფლების ქვეშ. გამოითქვა ასევე შემოთქმა, რომ სარჩელის ახალი ტიპის შემოღება დაარღვევს სარჩელთა არსებული სისტემის ბალანსს და გაუგებრობებს შექმნის იმის დადგენისას, თუ რა არის „ჩვეულებრივი სარჩელი“ და რა – „კონსტიტუციური საჩივარი“.<sup>81</sup>

დისკუსიის ფარგლებში განიხილებოდა ასევე სიტყვა „ინდივიდუალურის“ ამოღების<sup>82</sup> ან ორივე მოთხოვნის ალტერნატიული („ინდივიდუალური“ ან „უშუალო“ კავშირის) გამოყენების<sup>83</sup> შესაძლებლობა. საბოლოოდ, მიღებულ იქნა ნაწილობრივი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, შეზღუდვები მოიხსნა მხოლოდ ზოგიერთი, კერძოდ, ზოგადი მოქმედების იმ აქტების მიმართ, რომლებიც არ საჭიროებენ საიმპლემენტაციო ღონისძიებების გატარებას (ე.წ. regulatory acts).

## 7. დასკვნა

ევროპის კავშირი იმის გაცნობიერებამ და აღიარებამ, რომ მისმა პოლიტიკამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებებზე, ასევე იმის სურვილმა და მისწრაფებამ, რომ მოქალაქეებისთვის მიეცა საშუალება EU-თან „უფრო ახლოს“ ეგრძნოთ თავიანთი თავი, 2000 წელს ძირითადი უფლებების საკუთარი ქარტიის მიღებამდე მიიყვანა. აღნიშნულმა დოკუმენტმა ერთიან წერილობით წყაროში მოახერხა ევროკავშირის სამართლით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების კოდიფიცირება.

ამ ეტაპზე ქარტიის პრინციპულ მნიშვნელობას განაპირობებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონცეფციის ხელმისაწვდომობა EU-ის მოქალაქეებისა და მთელი მსოფლიო საზოგადოებისთვის. ევროკავშირი პირველად ფლობს დოკუმენტს, რომელიც ერთგვარად განაზოგადებს და სისტემატიზებას უკეთებს საერთაშორისო უნივერსალური და ევროპული ორგანიზაციების გამოცდილებას და კავშირის წევრი ქვეყნების კონსტიტუციურ ტრადიციებს.

81 იხ. Н. Шишкова, Хартия основных прав Европейского Союза и вопросы судебной защиты, Адвокат, 11, 2012, 8.

82 იხ. Working Document by Professor Jürgen Meyer on enforceability of Charter and judicial remedies. WG II, WD 17, 16.09.2002.

83 იხ. CONTRIB 25, Contribution from Mr Hannes Farnleitner, member of the Convention, CONV 45/02, Brussels, 14 May 2002.

ძირითადი უფლებების ქარტია პირველი ფუნდამენტური „სუპრანაციონალური“ აქტია ჰუმანიტარული სამართლის სფეროში. შესაბამისად, იგი, პრაქტიკულად, პირველია, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნების დაცვას არა (ან არა მარტო) სახელმწიფოსა და მისი ორგანოებისგან, არამედ ასევე სუპრანაციონალური ორგანიზაციისა და მისი ინსტიტუტებისგან. ძირითადი უფლებების წინანდელი (როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო) ქარტიებისგან განსხვავებით, რომელთა მიღებაც უმთავრესად სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობისგან ადამიანის დაცვის მიზნით ხდებოდა, ევროკავშირის ქარტია მიმართულია იმავე უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, ოღონდ სხვა პოტენციური დამრღვევისგან – თვითონ EU-ის სუპრანაციონალური ორგანოებისგან. შესაბამისად, კარგ მმართველობაზე კავშირის მოქალაქეთა უფლების უზრუნველყოფა ადამიანის უფლებათა დაცვის მთელი სისტემის საფუძველი ხდება ევროკავშირში.

ქარტიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება უდავოდ მასში განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაციისადმი ახლებური მიდგომაა. იმისათვის, რათა ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანებისთვის უფრო გასაგები (თვალსაჩინო) გაეხადათ ძირითადი უფლებების შინაარსი, ქარტიაში პიროვნების ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების სისტემატიზაციის საფუძველად არჩეულ იქნა არა უფლებათა სახე ან მათი გამოყენების სფერო (პირადი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური), არამედ ის ფასეულობები, რომლებსაც ისინი ეფუძნება და იცავს. შედეგად, ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი ყველა პირად, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებას ერთ მთლიანობაში უყრის თავს და ყველა მათგანს ძირითადი უფლების რანგში აღიარებს. სოციალური უფლებები, თავიანთი ბუნებით, მართალია, ბევრ რამეში ინარჩუნებენ პროგრამულ ხასიათს, მაგრამ ისინი უკვე აღარ ითვლებიან „მეორეხარისხოვანად“. ასეთი მიდგომა ყველაზე ნათელი გამოხატულებაა იმ განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რაც ქარტიას აქვს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების განვითარების საქმეში.

ქარტიაში წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა კონცეფცია ემყარება უმნიშვნელოვანეს მორალურ-სამართლებრივ ფასეულობებს, რომელთა ცენტრალური რგოლი ადამიანის ღირსებაა, ხოლო შემაკავშირებელი ელემენტები – მასში განმტკიცებული უფლებების უნივერსალურობისა და განუყოფლობის პრინციპები. ამასთან, განუყოფლობის პრინციპი მიზნად ისახავს, ერთმანეთს დაუახლოოს, ერთი მხრივ, სამოქალაქო და პოლიტიკური და, მეორე მხრივ, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სამართლებრივი გარანტიების ხარისხი. თუმცა ამ ორი კატეგორიის უფლებათა დაცვისადმი დასავლეთევროპულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული არაერთგვაროვანი მიდგომა და არათანმიმდევრულობა, რამაც ქარტიის ტექსტზეც მოახდინა გავლენა, გარკვეულწილად, ჩრდილს აყენებს ამ პრინციპის საბოლოო ტრიუმფს. ქარტიის უფლებების გარანტიის განსხვავებული ხარისხი არაპირდაპირ ასახულია როგორც მისი გამოყენების შესახებ ზოგად დებულებებში, ისე ცალკეული მუხლების ფორმულირებაში, ასევე (პირდაპირი ფორმით) ქარტიის ტექსტისადმი დართულ ე.წ. „განმარტებებში“ (როგორც ოფიციალური ინტერპრეტაციის დოკუმენტში), რომელმაც ქარტიაში გამოცხადებული უფლებები, სასამართლო დაცვის თვალსაზრისით, ერთ-

მანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ორ კატეგორიად – უფლებებად და პრინციპებად – დაყო და, ამის წყალობით, უფლებათა ნაწილი მოკლებულ იქნა სასამართლო დაცვის შესაძლებლობას.

დღეისათვის ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტი და პირველადი სამართლის შემადგენელი ნაწილია. მას EU-ის დამფუძნებელი ხელშეკრულებების ანალოგიური უზენაესი იურიდიული ძალა აქვს და, მათთან ერთად, უმაღლეს ადგილს იკავებს ევროკავშირის სამართლის წყაროთა იერარქიაში (ისევე, როგორც კონსტიტუცია სახელმწიფოში). მასში, ხალხისთვის გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით, თვალნათლივ არის წარმოდგენილი ევროინტეგრაციის პროცესის „ადამიანური განზომილების არსი“ და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განუყოფელი კავშირი EU-ის დამფუძნებელ დოკუმენტებში დაფიქსირებულ მის საბაზისო პრინციპებსა და ფასეულობებთან.

# ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება და პროფესიული ვალდებულებები: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები

ნინო ცუხიშვილი

## 1. შესავალი

გამოხატვის თავისუფლება საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებაა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებაში, ხელს უწყობს პიროვნების თვითრეალიზაციას და უზრუნველყოფს ქვეყნის მშვიდობისა და საჯარო დისკუსიის გზით.<sup>1</sup> ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია თითოეული პირისა და სოციალური ჯგუფის მიერ გამოხატვის თავისუფლების თავისუფალი განხორციელებით. ამასთანავე, გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შეიძლება შეზღუდოს კანონის საფუძველზე, ლეგიტიმური სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

გამოხატვის თავისუფლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადვოკატის, როგორც მოქალაქისა, და, როგორც პროფესიონალის, სოციალური როლისა და ფუნქციის შესრულებისთვის. ადვოკატი მოქმედებს როგორც შუამავალი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, რათა ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას, სამართლიანობის აღსრულებასა და სასამართლო სისტემის გაუმჯობესებას.<sup>2</sup> მიუხედავად ამისა, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება, ჩვეულებრივი მოქალაქისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს დამატებით შეზღუდვებს, რომლებიც მისი პროფესიული ვალდებულებებიდან და ლეგიტიმური სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, ადვოკატი გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას ყურადღებას აქცევს პროფესიული საქმიანობის პრინციპებსა და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ლეგიტიმურ ინტერესებს.

წინამდებარე სტატიის მიზანია ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების უფლებასა და მის პროფესიულ ვალდებულებებს ან/და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დადგენა. სტატიის დასაწყისში მოცემულია ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები და ის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინტერესები, რომლებიც ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საზღვრების შეფასებისას.

1 P. Leach, Taking a case to the European Court of Human Rights, third edition, 2011, 360.

2 R.White, C. Ovey, The European Convention on Human Rights, Fifth Edition, New York, 2010, 443.

სტატიაში განხილულია ადვოკატის გამოსატვის თავისუფლების შემდეგი ასპექტები:

1. ადვოკატის, როგორც მოქალაქის, გამოსატვის თავისუფლებას, რომელიც, თავის მხრივ, ორ საკითხს მოიცავს: ა) ადვოკატის მონაწილეობას მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიაში; ბ) ადვოკატის მიერ პირადი ინტერესების დაცვის მიზნით გამოთქმულ მოსაზრებებს.
2. ადვოკატის, როგორც პროფესიონალის, გამოსატვის თავისუფლებას, რომელიც ორ მნიშვნელოვან ასპექტს გულისხმობს: ა) ადვოკატის მიერ მოსაზრებების გამოსატვას სასამართლო დარბაზში; ბ) ადვოკატის მიერ მოსაზრებების გამოსატვას სასამართლო დარბაზის გარეთ.

წინამდებარე სტატია ადვოკატის გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვებზე მსჯელობისას აანალიზებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს და წარმოადგენს შესაბამის რეკომენდაციებს ადვოკატის გამოსატვის თავისუფლებასა და პროფესიულ ვალდებულებებს, ასევე, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მისაღწევად.

## 2. ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინტერესები გამოსატვის თავისუფლების კონტექსტში

ადვოკატის მიერ გამოსატვის თავისუფლების განხორციელება დაკავშირებულია სხვადასხვა პროფესიულ ვალდებულებასა და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასთან, რომლებიც ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს საკუთარი მოსაზრებების საჯაროდ თუ პროფესიული საქმიანობის დროს გამოსატვისას. ადვოკატი არის მოქალაქე, კლიენტის წარმომადგენელი, სასამართლო სისტემის მონაწილე და პროფესიის წევრი,<sup>3</sup> რაც მას მრავალფეროვან პროფესიულ და ეთიკურ ვალდებულებებს უწესებს. შესაბამისად, ადვოკატს აქვს პროფესიული ვალდებულებები კლიენტის, სასამართლო სისტემის, პროფესიისა და, ზოგადად, საზოგადოების წინაშე. ვინაიდან ამ პროფესიულ ვალდებულებებს შორის იერარქია არ არსებობს, ადვოკატს ყოველდღიურ საქმიანობაში, მათ შორის, გონივრული ბალანსის დაცვა ან/და ერთ-ერთის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება უწევს.<sup>4</sup>

ადვოკატი, როგორც მოქალაქე, მონაწილეობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების მქონე საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიებში ეროვნული კანონმდებლობის, ადმინისტრაციული და სასამართლო სისტემის გაუმჯობესების მიზნით,<sup>5</sup> ხოლო, როგორც პროფესიონალი, კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელებისას ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების გზით იცავს კლიენტის საუკეთესო ინტერესებს, მათ შორის

3 R. Zitrin, C.M. Langford, K. Mohr, Legal ethics: rules, statutes and comparisons, 2009, 3.

4 J. Moliterno, Professional Responsibility, Fourth Edition, Emanuel Law Outlines Series, 2013, 2.

5 იხ. მე-3 სქოლიო, 4.

მონაწილეობს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით გამართულ საჯარო დისკუსიებში.<sup>6</sup> როგორც სასამართლო სისტემის მონაწილე, ადვოკატი აფასებს, თუ როგორ დაიცვას გონივრული ბალანსი სასამართლო სისტემაში დადგენილ წესებსა და პროცედურებს, კლიენტის ინტერესების დაცვასა და პროცესის სხვა მონაწილეების უფლებებს შორის სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველსაყოფად.<sup>7</sup> ადვოკატი, როგორც პროფესიის წარმომადგენელი, ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პრინციპებსა და ღირებულებებს, ხელს უწყობს ხარისხიანი მომსახურების მიწოდებასა და ადვოკატის პროფესიის რეპუტაციის დაცვას კლიენტებთან, კოლეგებსა თუ ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში.<sup>8</sup> გარდა ამისა, ადვოკატს აქვს პიროვნული და ფინანსური ინტერესები წარმატებული პროფესიული კარიერისა და ბაზარზე არსებული კონკურენციის დასაძლევად,<sup>9</sup> რაც, ასევე, მჭიდრო კავშირშია პირადი ინტერესების გამო მოსაზრებების გამოხატვასთან.

სტატიის მიზნებისათვის ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) ფიდეციური ვალდებულებები კლიენტის წინაშე; ბ) პროფესიული ვალდებულებები სასამართლო სისტემის წინაშე; გ) პროფესიული ვალდებულებები საზოგადოების წინაშე და დ) პროფესიული ვალდებულებები პროფესიის წინაშე. ადვოკატის ფიდეციური ვალდებულება გულისხმობს ადვოკატის განსაკუთრებულ ვალდებულებას, დაიცვას კლიენტის ინტერესები სახელშეკრულებო პირობებისა და დელიქტური ვალდებულებების მიღმა.<sup>10</sup> პროფესიული ვალდებულებები სასამართლო სისტემის წინაშე გულისხმობს სასამართლო პროცესის წესების დაცვას, მოსამართლეებისა და პროცესის სხვა მონაწილეების პატივისცემასა და სასამართლო სისტემის დისკრედიტაციისგან თავის არიდებას.<sup>11</sup> პროფესიული ვალდებულებები საზოგადოების წინაშე მოიცავს მართლმსაჯულების სისტემისა და სამართლიანი სასამართლო პროცესის ხელშეწყობას.<sup>12</sup> ადვოკატის ვალდებულებები პროფესიის წინაშე გულისხმობს კეთილსინდისიერების, კოლეგიალობისა და პროფესიის „კორპორაციული სულის“ დაცვას.<sup>13</sup> ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ზემოაღნიშნული პროფესიული ვალდებულებების საფუძველზე და მათი გათვალისწინებით.

6 Nathan M. Crystal, Professional responsibility: Problems of practice and the profession; fourth edition, Aspen Publishers, 2008, 2.

7 იხ. მე-4 სქოლიო, 38.

8 R. MacCrate, Professional values in the practice of law, William Mitchel Law Review, Vol. 27, 2000-2001, 1195.

9 იხ. მე-6 სქოლიო, 5.

10 იქვე, 2.

11 A. T. Kronman, The Law as a Profession, in: D. L. Rhode (Editor), Ethics in Practice: Lawyers' roles, responsibilities and regulation, 2000, 32.

12 A. Boon, J. Levin, The ethics and conduct of lawyers in England and Wales, Second Edition, Oregon, 2008, 12.

13 იხ. მე-11 სქოლიო, 42.

ადვოკატის ფიდეციური ვალდებულებები კლიენტის მიმართ მოიცავს სამ ძირითად პრინციპს: ა) პროფესიონალიზმს; ბ) ერთგულებას და გ) კონფიდენციალობის დაცვას.<sup>14</sup> თითოეული პრინციპი მჭიდრო კავშირშია ადვოკატის გამოსატვის თავისუფლებასთან და შეიძლება განხილული იყოს როგორც ერთ-ერთი შემზღუდველი ფაქტორი. პროფესიონალიზმის პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს, რომ მის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული ინფორმაცია დაეფუძნოს ობიექტურ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, ასევე, იმოქმედოს პროფესიული საქმიანობის სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით. ერთგულების ვალდებულება გულისხმობს, რომ ადვოკატმა სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს მისი საქმის გარემოებების თაობაზე, გადანყვეტილება მიიღოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება მისი მიზნების მისაღწევად.<sup>15</sup> ერთგულების ვალდებულება უკავშირდება კლიენტის საქმესთან დაკავშირებული საკითხების საჯაროობას, მათ შორის გამოძიების, წინასასამართლო და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.<sup>16</sup> კონფიდენციალობის დაცვა გულისხმობს, რომ ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია მისი თანხმობის გარეშე, მათ შორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ.<sup>17</sup> კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვის საკითხი შეიძლება წამოიჭრას ადვოკატის მიერ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობისას, კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელებისას და პროცესის სხვა მონაწილე მხარეებთან კომუნიკაციის პროცესში.

ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები სასამართლო სისტემის წინაშე გულისხმობს, რომ ადვოკატი პატივს სცემს სასამართლო სისტემაში არსებულ წესებს, სასამართლო სისტემის წარმომადგენლებსა და პროცესის მონაწილე მხარეებს, მათ შორის საჯარო განცხადებებისა და პროფესიული კომუნიკაციის დროს. ადვოკატის გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს სასამართლო პროცესის სხვადასხვა მონაწილის მიმართ, მათი სტატუსისა და ფუნქციების გათვალისწინებით.<sup>18</sup> გარდა ამისა, ადვოკატის მიერ სასამართლო სისტემის პატივისცემა შეიძლება გამოიხატოს სწორი ინფორმაციისა და მტკიცებულებების მიწოდებაში, ხოლო სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია შეიძლება უარყოფითად აისახოს პროფესიის რეპუტაციაზე და, ზოგ შემთხვევაში, არ გამომდინარეობდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან.

ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები საზოგადოების წინაშე გულისხმობს მისი, როგორც მოქალაქის, მონაწილეობას მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების მქონე სა-

14 D. L. Rhode, G.C. Hazard, Professional responsibility and regulation, Second edition, 2007, 48.

15 იხ. მე-6 სქოლიო, 3.

16 იხ. მე-4 სქოლიო, 163.

17 The Council of Bars and law Societies of Europe (CCBE): A Commentary on the Charter of Core Principles of the European legal profession, to be found: [https://www.ccbe.eu/NTCdocument/EN\\_CCBE\\_CoCpdf1\\_1382973057.pdf](https://www.ccbe.eu/NTCdocument/EN_CCBE_CoCpdf1_1382973057.pdf); 9.

18 იხ. მე-6 სქოლიო, 4.

კითხვების განხილვაში, რაც შეიძლება მართლმსაჯულების სისტემის ნაკლოვანებების წარმოჩენასა და მოგვარების გზების განხილვაში გამოიხატოს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები პროფესიის წინაშე უკავშირდება როგორც პირად, ისე პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებული თემების საჯაროობას. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის პროფესიის რეპუტაცია შეიძლება შეილახოს კანონმდებლობისა და ეთიკის ნორმების დარღვევით განხორციელებული გამოხატვის თავისუფლებისას, მათ შორის კლიენტის წარმომადგენლობისა თუ პიროვნული თვითრეალიზაციის დროს.

გარდა პროფესიული ვალდებულებებისა, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს ისეთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების საფუძველზე, როგორებიცაა: სამართლიანი სასამართლო პროცესის ხელშეწყობა, სასამართლო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება და ადვოკატის პროფესიის რეპუტაციის დაცვა, თუმცა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებას, თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი ლეგიტიმური მიზნების არსებობამ, როგორებიცაა: საჯარო ინტერესის სამსახური, საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიღების უფლება და სამართალდარღვევების პრევენცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ პროფესიულ ვალდებულებებსა და სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს დიდი გავლენა აქვთ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლების დადგენაზე. სხვადასხვა გარემოებაში სახელმწიფომ და პროფესიულმა გაერთიანებებმა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები შეიძლება გამოიყენოს გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვების გასამართლებლად, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება ასევე ხელი შეუწყოს გამოხატვის თავისუფლების ეფექტიან განხორციელებას.

### 3. ადვოკატის, როგორც მოქალაქის, გამოხატვის თავისუფლება

ადვოკატის, როგორც მოქალაქის, გამოხატვის თავისუფლება ორ ძირითად საკითხს მოიცავს: ა) ადვოკატის მონაწილეობას მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიაში; ბ) ადვოკატის მიერ პირადი ინტერესის მქონე საკითხებზე გამოთქმულ მოსაზრებებს.

ადვოკატს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიაში და გამოხატოს მოქალაქეობრივი პოზიცია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური საკითხების თაობაზე. ამ შემთხვევაში ადვოკატი სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების დაცვის იმავე სტანდარტით, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. ადვოკატის, როგორც მოქალაქის, გამოხატვის თავისუფლება საზოგადოებრივი დისკუსიისათვის

განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან ადვოკატი საუბრობს პროფესიული ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე.

ადვოკატის, როგორც მოქალაქის, გამოსატყვის თავისუფლება გარანტირებულია ადვოკატის ეთიკური სტანდარტების მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტებით. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ ადგენს, რომ „ადვოკატები ისევე, როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ გამოსატყვის თავისუფლებით, კერძოდ, მათ უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ კანონმდებლობის ხარვეზებზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, მართლმსაჯულების განხორციელებასა და სამართლიან სასამართლო პროცესზე გამართულ საჯარო დისკუსიებში“.<sup>19</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ იმეორებს გაეროს სტანდარტებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს ადვოკატების მონაწილეობას ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების პროცესში.<sup>20</sup>

ადვოკატს უფლება აქვს, საჯაროდ გამოხატოს პოზიცია პირადი ინტერესების მქონე საკითხებზე, როგორც პიროვნული განვითარების, ისე პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას პირადი ინტერესების მქონე საკითხების გაჟღერება დამატებით შეზღუდვებს ექვემდებარება, პიროვნული განვითარების მიზნით გამოთქმული მოსაზრებებისგან განსხვავებით. ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას გამოთქმული მოსაზრებები პირადი ინტერესის მატარებელია, როდესაც არ ემსახურება კლიენტის ინტერესებს და მიზნად ისახავს პირადი სარგებლის ან/და უპირატესობის მიღებას. ადვოკატის პირად ინტერესებს შეიძლება ჰქონდეს მატერიალური (საადვოკატო სერვისის ანაზღაურება) ან/და არამატერიალური ხასიათი (მაგ., წარმატებული პროფესიული კარიერა).

ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას შეიძლება გააკრიტიკოს სასამართლო პროცესის მონაწილეები, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ მისი უფლებები დაირღვა, ან/და არათანაბარ მოპყრობას დაექვემდებარა პროცესის მიმდინარეობის დროს. პროფესიული კარიერის დაცვის მიზნით, ადვოკატს შეუძლია, გააკრიტიკოს პროცესის მონაწილეები, თუ მათმა განცხადებებმა ზიანი მიაყენა ადვოკატის რეპუტაციას და უარყოფითი გავლენა მოახდინა პროფესიულ წარმატებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს, გააკრიტიკოს პროცესის სხვა მონაწილეები, თუ მათ მცდარი ინფორმაცია გაავრცელეს ადვოკატის შესახებ, ხელი შეუშალეს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში,

19 United Nations: Basic Principles on the Role of Lawyers, adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990, to be found: <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/roleoflawyers.aspx>, art. 23.

20 Council of Europe, Committee of Ministers: Recommendation No. R. (2000)21 on the freedom of exercise of the profession of lawyers, Adopted on 25 October, 2000, principle 1 (3), to be found: <https://www.icj.org/wp-content/uploads/2014/10/CoE-rec200021-freedom-exercise-ofprofession-lawyer.pdf>

ან/და მათი გავლენით, ადვოკატი ჩამოაშორეს საქმეს.<sup>21</sup> ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, ადვოკატის კრიტიკული მოსაზრებები შეიძლება მიმართული იყოს საადვოკატო მომსახურების თანხის ანაზღაურებისკენ, როდესაც ადვოკატი დასაქმებულია იურიდიული დახმარების სახელმწიფო სამსახურში.<sup>22</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება პირადი ინტერესების მქონე საკითხებზე, კლიენტის ინტერესების დასაცავად გაკეთებულ განცხადებებთან შედარებით, დამატებით შეზღუდვებს ექვემდებარება. სასამართლოს განმარტებით, ადვოკატმა უნდა დაიცვას გონივრული ბალანსი პირადი ინტერესების დასაცავად გამოთქმულ განცხადებებსა და პროცესის სხვა მონაწილეების უფლებების დაცვას შორის.<sup>23</sup> სასამართლო უთითებს, რომ ადვოკატის მიერ პირადი ინტერესების დასაცავად გაკეთებულ განცხადებებს მაღალი საზოგადოებრივი ღირებულება არ გააჩნია და წვლილი არ შეაქვს საჯარო დისკუსიაში.<sup>24</sup> შესაბამისად, ადვოკატი კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმისას უნდა იყოს კონსტრუქციული და არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი ან/და სიძულვილის ენა,<sup>25</sup> თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მოცემულ შემთხვევაში, ყურადღებას აქცევს ადვოკატის მიმართ გამოყენებულ სანქციებს და უთითებს, რომ ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიყენოს ყველაზე მკაცრი სანქცია (მაგ., ადვოკატის საქმიდან ჩამოშორება) და დაკმაყოფილდეს შედარებით რბილი ხასიათის ღონისძიებებით (მაგ., შენიშვნა ან გაფრთხილება).<sup>26</sup> ამგვარად, ადვოკატი უფლებამოსილია, პირადი ინტერესების დასაცავად გააკრიტიკოს პროცესის სხვა მონაწილეები, თუმცა მსგავსმა კრიტიკამ არ უნდა დააზიანოს კლიენტის ინტერესები, პროცესის სხვა მონაწილეების რეპუტაცია და მიზნად უნდა ისახავდეს ადვოკატის დარღვეული უფლებების აღდგენას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ადვოკატის, როგორც მოქალაქის, გამოხატვის თავისუფლება სარგებლობს დაცვის მაღალი სტანდარტით, როდესაც მის კრიტიკულ მოსაზრებებს წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ დისკუსიაში და ემსახურება საჯარო ინტერესების დაცვას. ამასთანავე, ადვოკატის მიერ პირადი ინტერესების დასაცავად გამოთქმული მოსაზრებები საჭიროებს შეფასებას კლიენტისა და პროცესის მონაწილე პირების უფლებების დაცვის ჭრილში.

21 იგორ კაბანოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Igor Kabanov v. Russia*), 2011 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, მე-2 პუნქტი.

22 ვინგერტერი გერმანიის წინააღმდეგ (*Wingerter v. Germany*), 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, მე-3 პუნქტი, In re Sneyder, 472 U.S. 634 (1985).

23 იქვე, ვინგერტერი გერმანიის წინააღმდეგ (*Wingerter v. Germany*), 24-ე პუნქტი.

24 იქვე, 25-ე პუნქტი.

25 იქვე, 26-ე პუნქტი.

26 იქვე, 28-3 პუნქტი.

#### 4. ადვოკატის, როგორც პროფესიონალის, გამოსატვის თავისუფლება

ადვოკატის, როგორც პროფესიონალის, გამოსატვის თავისუფლება გულისხმობს მოსაზრებების გავრცელებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს, ან/და ხელს უწყობს მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას. ადვოკატის, როგორც პროფესიონალის, გამოსატვის თავისუფლება ორ მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავს: ა) ადვოკატის მიერ მოსაზრებების გამოსატვას სასამართლო დარბაზის გარეთ; ბ) ადვოკატის მიერ მოსაზრებების გამოსატვას სასამართლო დარბაზში.

სტატიის მიზნებისთვის, ადვოკატის მიერ მოსაზრებების გამოსატვა სასამართლო დარბაზის გარეთ მოიცავს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით კლიენტის ინტერესების დასაცავად: ა) გამოძიების, წინასასამართლო და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში გაკეთებულ განცხადებებს; ბ) სასამართლო სისტემისა და მოსამართლის კრიტიკას. ადვოკატის მიერ მოსაზრებების გამოსატვა სასამართლო დარბაზში გულისხმობს სასამართლო პროცესის მონაწილეების კრიტიკას, მათ შორის პროკურორის, მოსამართლის, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის, პროცესის მესამე მხარეების (ექსპერტის, მოწმეების) მიმართ.

##### 4.1. ადვოკატის მიერ მოსაზრებების გამოსატვა სასამართლო დარბაზის გარეთ

ადვოკატის, როგორც კლიენტის წარმომადგენლის, როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართლებრივი რჩევებით და წარმომადგენლობით და, ასევე, გულისხმობს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე საჯარო განხილვებში მისი ინტერესების დაცვას. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საჯაროდ დაცვა შეიძლება საჭირო გახდეს კლიენტის შესახებ საზოგადოებაში შექმნილი მცდარი წარმოდგენების შესაცვლელად, მისი უფლებების ეფექტიანი რეალიზაციისა და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

##### ა) ადვოკატის მიერ გამოძიების, წინასასამართლო და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გაკეთებული განცხადებები

გამოძიების, წინასასამართლო და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში ადვოკატმა შეიძლება საჯაროდ ისაუბროს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით არსებული პრობლემების თაობაზე, ან/და გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია, რომლის მიზანია კლიენტის ინტერესების ან რეპუტაციის დაცვა.<sup>27</sup> ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების განხორციელებასა და სასამართლო პროცესზე, რადგან ადვოკატს ნდობა აქვს კონფიდენციალურ ინფორმაციაზე და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებ-

27 იხ. მე-6 სქოლიო, 164.

ბი საზოგადოების წინაშე ავტორიტეტულია.<sup>28</sup> გარდა ამისა, სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური ინტერესი, რომ მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები არ მოექცნენ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის გავლენის ქვეშ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის პროფესიული გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც ადვოკატი კლიენტის საქმის ან სასამართლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე დეტალურ ინფორმაციას ავრცელებს, სასამართლოს მიერ მისაღები გადანყვევტილების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ხელს უწყობს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე ახდენს გავლენას, ან/და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს აზიანებს.<sup>29</sup>

აშშ-ის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ სამი განსხვავებული დაცვის სტანდარტი ჩამოაყალიბა ადვოკატის მიერ გამოძიების, წინასასამართლო და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში გაკეთებული განცხადებების თაობაზე. თავდაპირველად აშშ-ის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ ადვოკატის მიერ წინასასამართლო პერიოდში გაკეთებულ განცხადებებს უმაღლესი დაცვის სტანდარტი (**strict scrutiny**) მიანიჭა და მიიჩნია, რომ მსგავსი განცხადებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ პირდაპირი და არსებითი საფრთხის შემთხვევაში.<sup>30</sup> მოგვიანებით სასამართლომ შეცვალა მიდგომა და ადვოკატის წინასასამართლო პერიოდში გაკეთებულ განცხადებებს ყველაზე დაბალი დაცვის სტანდარტი (**reasonable likelihood of prejudice**) მიანიჭა.<sup>31</sup> საბოლოოდ კი სასამართლო შეჯერდა გამოხატვის თავისუფლების შუალედური დაცვის სტანდარტზე (**intermediate scrutiny, the test of substantial likelihood**),<sup>32</sup> რაც ადვოკატს ანიჭებს მოქალაქის გამოხატვის თავისუფლებაზე ნაკლებ დაცვას და ავალებს, მისი პროფესიული ვალდებულებები გაითვალისწინოს.<sup>33</sup>

აშშ-ის უზენაესი ფედერალური სასამართლო განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ გამოძიების, წინასასამართლო და სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას გაკეთებულ საჯარო განცხადებებს შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულების მიერ გადანყვევტილების მიღებაზე. სასამართლო უთითებს, რომ ადვოკატის განცხადებების გავლენა შეიძლება შემცირდეს, თუ ისინი სასამართლო პროცესამდე რამდენიმე თვით ადრე გავრცელდა.<sup>34</sup> გარდა ამისა, გავლენის ალბათობა ასევე მცირდება, როდესაც ნაფიცი მსაჯულების შერჩევა ხდება იმ რეგიონებსა თუ ქალაქებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მაღალია.<sup>35</sup>

28 W. S. Crof, Free speech and Fair Trials: Striking the Balance: A case comment and analysis of the Maryland Trial Publicity Rule as applied in Attorney Grievance Commission of Maryland v. Douglas F. Gansler, Georgetown Journal of Legal Ethics, No. 19, Winter, 2006, 349.

29 *Gentile v. State Bar of Nevada*, 501 U.S. 1030 (1991).

30 *Bridges v. California*, 314 U.S. 252 (1941).

31 *Sheppard v. Maxwell*, 384 U.S. 333 (1966).

32 *Gentile v. State Bar of Nevada*, 501 U.S. 130.

33 იქვე.

34 იქვე.

35 იქვე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ადვოკატის მიერ გამოძიების, წინასასამართლო და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გაკეთებული საჯარო განცხადებები ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში.<sup>36</sup> სასამართლო განმარტავს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე მიიღოს ინფორმაცია, რის გამოც ადვოკატი უფლებამოსილია, იმ სირთულეებსა თუ პრობლემებზე ისაუბროს, რომლებიც სასამართლო განხილვისას კლიენტის ინტერესებს აზიანებს.<sup>37</sup> იმის მიუხედავად, რომ სასამართლო სხდომა არის პიროვნების უდანაშაულობისა თუ დანაშაულის ჩადენის დადასტურების მთავარი სივრცე,<sup>38</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს კონკრეტული საქმეების წინასწარ განხილვას მედიასაშუალებებში,<sup>39</sup> თუმცა სასამართლო ასევე უთითებს, რომ, მოცემულ შემთხვევებში, ადვოკატმა პატივი უნდა სცეს უდანაშაულობის პრეზუმფციას, კონფიდენციალობის პრინციპს და არ გაამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ გამოძიების, წინასასამართლო და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გაკეთებულმა საჯარო განცხადებებმა შეიძლება გადალახოს დასაშვები ფარგლები, როდესაც ისინი „განზრახ ან გაუფრთხილებლობით ზიანს აყენებენ პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას ან ძირს უთხრიან საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“<sup>40</sup> სასამართლო ადგენს, რომ ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს მედიაში გამართულ „ფსევდოპროცესებში“ მონაწილეობას და ხელი არ შეუწყოს სასამართლო პროცესების საჯარო განხილვებით ჩანაცვლებას.<sup>41</sup> სასამართლოს განმარტებით, „მედიაპროცესების“ საფრთხე შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ადვოკატი კონკრეტული საქმის თაობაზე დეტალურ ინფორმაციას ავრცელებს, ყველა სამართლებრივ არგუმენტს საჯარო დისკუსიაში წარმოადგენს და ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით,<sup>42</sup> თუმცა სასამართლო დამატებით უთითებს, რომ ადვოკატი არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მედიაკამპანიასა და მის გავლენაზე, თუ მისი საჯარო განცხადებები დარჩენილია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.<sup>43</sup>

36 *მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Morice v. France)*, 2015 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, 138-ე პუნქტი.

37 იქვე, 138-ე პუნქტი.

38 *სანდელი თაიმსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (Sunday Times v. UK)*, 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, 65-ე პუნქტი.

39 იქვე, 65-ე პუნქტი.

40 *ვორმი ავსტრიის წინააღმდეგ (Worm v. Austria)*, 1996 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება, 50-ე პუნქტი.

41 იქვე, 54-ე პუნქტი.

42 იქვე, 54-ე პუნქტი.

43 *ფოგლია შვეიცარიის წინააღმდეგ (Foglia v. Switzerland)*, 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება, 45-ე პარაგრაფი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოებსა და პროფესიულ გაერთიანებებს ადვოკატის წინასასამართლო განცხადებების რეგულირებისას ფართო დისკრეციის ფარგლებს ანიჭებს. სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოები და პროფესიული გაერთიანებები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებასა და პროფესიულ ვალდებულებებს შორის გონივრული ბალანსი განსაზღვრონ.<sup>44</sup> იმის მიუხედავად, რომ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გაცილებით დაბალი ალბათობაა, რომ ადვოკატის საჯარო განცხადებებმა გავლენა მოახდინოს მოსამართლის გადაწყვეტილების შინაარსზე, მათ შეიძლება დააზიანონ სამართლიანი სასამართლო პროცესი და საფრთხე შეუქმნან საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

### **ბ) ადვოკატის მიერ მართლმსაჯულების სისტემის, სასამართლო პროცესისა და საქმის განმხილველი მოსამართლის კრიტიკა**

ადვოკატმა შეიძლება გააკრიტიკოს მართლმსაჯულების სისტემა, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა ან/და კონკრეტული საქმის განმხილველი მოსამართლე სასამართლო დარბაზის გარეთ, საჯარო დისკუსიაში, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო სისტემა ხელისუფლების ერთ-ერთი შტოა და მისი საქმიანობის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, ადვოკატის მიერ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები ხელს უწყობს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებას.<sup>45</sup> მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს შეზღუდული აქვს საჯარო დისკუსიაში მონაწილეობა და კრიტიკული მოსაზრებებზე პასუხის გაცემა მის განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, მას შეუძლია, რომ თავისი მოსაზრებები სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებაში წარმოადგინოს.<sup>46</sup>

ადვოკატმა მართლმსაჯულების სისტემის, სასამართლო პროცესისა და კონკრეტული მოსამართლის მიმართ კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმისას უნდა გაითვალისწინოს მისი, როგორც მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი მონაწილის, პროფესიული ვალდებულებები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „სასამართლო სისტემამ შეიძლება მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღოს ადვოკატის კონსტრუქციული კრიტიკისგან“, <sup>47</sup> თუმცა უთითებს, რომ ადვოკატის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა არ უნდა მოახდინოს მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაცია და სახელმწიფოს არ უნდა დააკისროს შეუსაბამოდ მძიმე ტვირთი მის მიმართ ნდობის აღსადგენად.<sup>48</sup>

44 ცილმანი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Zihlman v. Switzerland*), 1995 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, 46-ე პუნქტი.

45 M. K. Addo, *Are judges beyond criticism under Article 10 of the European Convention of Human Rights?* Cambridge University Press, 2014, 425.

46 იხ. 36-ე სქოლიო, 166-ე პუნქტი.

47 იქვე, 167-ე პუნქტი.

48 რ.ს. და ზ. შვეიცარიის წინააღმდეგ (*R.S. and Z v. Switzerland*), 1984 წლის 1 ოქტომბრის განჩინება, მე-19, პუნქტი.

ადვოკატის მიერ მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის კრიტიკა შეიძლება დაეფუძნოს როგორც მის ზოგად გამოცდილებას, ისე კონკრეტული საქმის გარემოებებს. მართლმსაჯულების სისტემის კრიტიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სასამართლო სისტემის ფუნქციონირება, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა, სასამართლოს გადაწყვეტილება ან ნებისმიერი სამართლებრივი პროცედურა, რომელიც გავლენას ახდენს კლიენტის ინტერესებზე. ადვოკატის მიერ სასამართლო სისტემის კრიტიკა, ფართო პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, სარგებლობს გამოხატვის დაცვის იმავე სტანდარტით, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქის მიერ კრიტიკული მოსაზრებების გაჟღერება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი სასამართლო სისტემას აკრიტიკებს კონკრეტული საქმის განხილვის გარემოებებზე დაყრდნობით, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს კლიენტის საუკეთესო ინტერესები, დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და გამოუსწორებელი ზიანი არ მიაყენოს სასამართლო სისტემის რეპუტაციას.

ადვოკატს უფლება აქვს, გააკრიტიკოს კონკრეტული მოსამართლე, თავისი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლე არის სახელმწიფო მოსამსახურე, მისი პროფესიული საქმიანობის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. შესაბამისად, ადვოკატის მიერ კონკრეტული მოსამართლის კრიტიკა შეიძლება მიემართებოდეს მოსამართლის კვალიფიკაციას და კეთილსინდისიერებას, ასევე მისი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადვოკატის მიერ მოსამართლის კრიტიკის მიმართ განსხვავებული მიდგომები ჩამოაყალიბეს. აშშ-ის უზენაესი სასამართლო ადვოკატის მიერ მოსამართლის კრიტიკას იცავს გამოხატვის თავისუფლების დაცვის ყველაზე მაღალი სტანდარტით (*strict scrutiny*) და პოლიტიკოსისა და სხვა სახელმწიფო მოსამსახურის კრიტიკას უთანაბრებს.<sup>49</sup> სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის, მათ შორის მოსამართლის, კრიტიკა ნებადართულია, რამდენადაც გამოთქმული მოსაზრებები აფასებს დაკავებულ პოზიციასთან მის შესაბამისობას.<sup>50</sup> სასამართლო უთითებს, რომ სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობისა და კონკრეტული მოსამართლის რეპუტაციის შენარჩუნების სახელმწიფო ინტერესი არ არის საკმარისი ადვოკატთა საჯარო კრიტიკის შეზღუდვის გასამართლებლად.<sup>51</sup> სასამართლომ განმარტა, რომ „იძულებითი დუმილი უფრო მეტად გამოიწვევს უკმაყოფილებას, ეჭვსა და ზიზღს, ვიდრე გააძლიერებს სასამართლოს მიმართ პატივისცემას.“<sup>52</sup> გარდა ამისა, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსამართლეს შეუძლია, ცილისწამებისთვის ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საშუალება გამოიყენოს, თუ მიიჩნევს, რომ ადვოკატის საჯარო განცხადება აზიანებს მის რეპუტაციას.<sup>53</sup>

49 *Bridges v. California*, 314 U.S. 252 (1941).

50 *Garrison v. Louisiana*, 379 U.S. 64 (1964).

51 *Bridges v. California*, 314 U.S. 252 (1941).

52 იქვე.

53 *Pennekamp v. Florida*, 328 U.S. 331 (1946).

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლების დაცვის უფრო დაბალ სტანდარტს მიმართავს მოსამართლის კრიტიკის მიმართ, პოლიტიკოსის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის კრიტიკასთან შედარებით.<sup>54</sup> სასამართლოს მიერ დაცვის უფრო დაბალი სტანდარტის გამოყენება შემდეგი მიზეზებით არის გამართლებული: ა) მოსამართლე ძალიან მგრძნობიარეა კრიტიკის მიმართ; ბ) მოსამართლეს არ აქვს უფლება, საჯაროდ პასუხი გასცეს კრიტიკას; გ) ლეგიტიმური სახელმწიფო ინტერესის არსებობა სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნების თაობაზე.<sup>55</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას“ განსაზღვრავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად. სასამართლო შეფასების ფართო ფარგლებს ანიჭებს სახელმწიფოებს მოსამართლის კრიტიკის დასარეგულირებლად, რაც სასამართლოს მხრიდან მოგვიანებით შეიძლება გახდეს ზედამხედველობის საგანი.<sup>56</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ანიჭებს მოსამართლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს პერსონალური საკითხების შესახებ გავრცელებული კრიტიკისგან განსხვავებით, რადგან ეს უკანასკნელი ხელს არ უწყობს საჯარო დებატებს სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.<sup>57</sup> მოსამართლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება გულისხმობს მის საქმიანობას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესამდე ან უშუალოდ პროცესზე, ასევე ამ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. პერსონალურ საკითხებთან დაკავშირებული კრიტიკა კი შეიძლება ეხებოდეს მოსამართლის პირად ინტერესებსა და ღირებულებებს, ასევე პროფესიულ კვალიფიკაციასა და პირად ცხოვრებას. სასამართლომ განაცხადა, რომ მოსამართლის სამსახურებრივი საქმიანობის კრიტიკა შეიძლება განხორციელდეს მისი პიროვნული მახასიათებლების შეურაცხყოფის გარეშე,<sup>58</sup> თუმცა პრაქტიკაში ადვილი არ არის მოსამართლეთა პიროვნულ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ კრიტიკას შორის მკაფიო ზღვარის გავლება, რადგან პიროვნული მახასიათებლები ხშირად განსაზღვრავს მოსამართლის ქმედებებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლის საჯაროდ გაკრიტიკებისას ადვოკატმა უნდა დაიცვას გონივრული ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და მოსამართლის რეპუტაციის დაცვას შორის, რაც, ასევე, სასამართ-

54 ბარფორდი დანიის წინააღმდეგ (*Barford v. Denmark*), 1989 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, 31-ე პუნქტი.

55 პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (*Prager and Oberschlick v. Austria*), 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, 34-ე პუნქტი.

56 იქვე, 35-ე პუნქტი.

57 იხ. 54-ე სქოლიო, 33-ე პუნქტი.

58 იქვე, 34-ე პუნქტი.

ლო სისტემის ავტორიტეტის დაცვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.<sup>59</sup> დაბალანსების პროცესში სასამართლო ითვალისწინებს ადვოკატის საჯარო განცხადების მიზანს, შინაარსსა და ტონს. სასამართლოს განმარტებით, კრიტიკის მიზანი უნდა იყოს საჯარო დებატების მხარდაჭერა და არა მოსამართლის რეპუტაციის შელახვა,<sup>60</sup> საჯარო განცხადების შინაარსი კი უნდა ეფუძნებოდეს ნამდვილ ფაქტებს და ადვოკატმა არ უნდა გამოიყენოს ის ინფორმაცია, რომელიც მან იცის, რომ მცდარია ან უნდა იცოდეს, რომ არასწორია.<sup>61</sup> გარდა ამისა, განცხადებების სიმართლის მიუხედავად, ადვოკატმა საჯარო განხილვისას ყურადღება უნდა მიაქციოს მის ტონს და მოსამართლის მიმართ პატივისცემა გამოიჩინოს, რაც შეურაცხყოფელი ან მკაცრი კრიტიკის თავიდან არიდებას გულისხმობს.<sup>62</sup> ადვოკატის მიერ პატივისცემის ტონის შენარჩუნება აუცილებელია არა მხოლოდ მოსამართლეთა რეპუტაციის, არამედ ადვოკატის პროფესიის ღირსების დასაცავად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადვოკატის, როგორც პროფესიონალის, გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზის გარეთ უნდა გამომდინარეობდეს კლიენტის ინტერესებიდან და მიზნად ისახავდეს მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები არ უნდა იყოს მიმართული მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციისა და კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ შეურაცხყოფისკენ.

## 4.2. ადვოკატის მიერ მოსაზრებების გამოხატვა სასამართლო დარბაზში

ადვოკატი კლიენტის წარმომადგენელია სასამართლო დარბაზში და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს. ადვოკატი უფლებამოსილია, რომ კლიენტის ინტერესების დასაცავად მიმართოს ყველა საშუალება, რომლებიც არ არის აკრძალული კანონმდებლობითა და პროფესიული ეთიკის სტანდარტებით. ადვოკატს არ აქვს უფლება, რომ სასამართლო დარბაზში არსებული წესების უპატივცემულობა ან დაუმორჩილებლობა გაამართლოს კლიენტის ინტერესების დაცვის არგუმენტით. შესაბამისად, ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში კლიენტის დასაცავად გამოთქმული მოსაზრებები დამატებით შეზღუდვებს ექვემდებარება.

ადვოკატმა სასამართლო დარბაზში კლიენტის ინტერესების დასაცავად შეიძლება გააკრიტიკოს სასამართლო პროცესის მონაწილეები, მათ შორის: გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, მონიშნულმდეგ მხარის ადვოკატი და მესამე პირები (ექსპერტი, მონმე). ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები შეიძლება იყოს კლიენტის ინტერესებში, როდესაც ადვოკატი სასამართლო პრო-

59 იხ. 55-ე სქოლიო, 31-ე პუნქტი.

60 იქვე, 34-ე პუნქტი.

61 იქვე, 34-ე პუნქტი. *ოფდე ჰაასი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ (Ofde Haas and Gijssels v. Belgium)*, 1997 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, 37-ე პუნქტი.

62 იხ. 55-ე სქოლიო, 37-ე პუნქტი.

ცესის მიმდინარეობისას არსებულ დარღვევებზე საუბრობს და პროცესის მონაწილეებს იმ ქმედებებისა თუ უმოქმედობის გამო აკრიტიკებს, რომელთაც უარყოფითი გავლენა მოახდინეს მისი კლიენტის უფლებების დაცვასა და სამართლიან სასამართლო პროცესზე, თუმცა ადვოკატმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების საჭიროება და მნიშვნელოვნება, ასევე, შესაძლო რისკები და საფრთხეები კლიენტის ინტერესებთან მიმართებით.<sup>63</sup>

ადვოკატის მიერ კრიტიკული მოსაზრებების დაცვის სტანდარტი განსხვავებულია პროცესის სხვადასხვა მონაწილესთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმისას უნდა გაითვალისწინოს ისეთი ლეგიტიმური ინტერესები, როგორებიცაა: მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება, სამართლიანი სასამართლო პროცესი და სასამართლო პროცესის მონაწილეების რეპუტაციის დაცვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზოგადი სტანდარტის სახით ადგენს, რომ ადვოკატმა ერთმანეთისგან უნდა განასხვავოს სასამართლო პროცესის მონაწილეების „კრიტიკა და შეურაცხყოფა“.<sup>64</sup> სასამართლო განმარტავს, რომ, „თუ გამოხატვის მიზანია სასამართლო პროცესის მონაწილეების შეურაცხყოფა, ადვოკატისთვის დაკისრებული სანქცია არ წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას“.<sup>65</sup>

ადვოკატის მიერ გამომძიებლისა და პროკურორის ქმედებების ან გადაწყვეტილებების კრიტიკა არ ექვემდებარება განსაკუთრებულ შეზღუდვებს, რადგან გამომძიებელი და პროკურორი არ სარგებლობს დაცვის სპეციალური გარანტიებით და უფლება აქვს, ადვოკატის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს სასამართლო დარბაზში უპასუხოს.<sup>66</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ადვოკატის მიერ გამომძიებლის ან პროკურორის კრიტიკის მიზანი უნდა იყოს კლიენტის ინტერესების დაცვა და მიმართული იყოს მათი პროფესიული ქმედებებისაკენ, და არა პერსონალური მახასიათებლების კრიტიკისკენ.<sup>67</sup> გარდა ამისა, სასამართლო უთითებს, რომ ადვოკატის მიერ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები უნდა დაეფუძნოს ნამდვილ და გადამოწმებულ ფაქტებს.<sup>68</sup>

ადვოკატის მიერ მოსამართლის ქმედებების კრიტიკა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობს სასამართლო დარბაზში, ვიდრე საჯარო დისკუსიის დროს, რადგან მოსამართლეს უფლება აქვს, პასუხი გასცეს კრიტიკულ მოსაზრებებს, ან/და გამოიყენოს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები (მაგ.: შენიშვნა, გაფრთხილება, სასამართლო დარბაზის დატოვება და ა.შ.). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-

63 *კინსესი უნგრეთის წინააღმდეგ (Kincses v. Hungary)*, 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, 34-ე პუნქტი.

64 იქვე, 34-ე პუნქტი.

65 იქვე, 34-ე პუნქტი.

66 *სტოიერი ნიდერლანდის წინააღმდეგ (Steur v. Netherlands)*, 2003 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 48-ე პუნქტი.

67 *ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ (Nikula v. Finland)*, 2002 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება, 51-ე პუნქტი.

68 იქვე, 50-ე პუნქტი.

თლო ადგენს, რომ ადვოკატის მიერ მოსამართლის სასამართლო დარბაზში კრიტიკა შეიძლება შეეხებოდეს მის მიერ სასამართლო პროცესის წარმართვის სტილსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.<sup>69</sup> სასამართლო უთითებს, რომ ადვოკატმა მოსამართლის კრიტიკისას უნდა შეინარჩუნოს პატივსაცემი ტონი და თავი აარიდოს სარკასტულ, შეურაცხყოფელ განცხადებებს, რადგან ასეთი კრიტიკა კლიენტის ინტერესების დაცვით არ შეიძლება გამართლდეს.<sup>70</sup> გარდა ამისა, მოსამართლის ქმედებების კრიტიკისას ადვოკატმა სასურველია გაითვალისწინოს, რომ კლიენტის ინტერესების დასაცავად შესაძლებელია, უმჯობესი იყოს მოსამართლის წინააღმდეგ სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება, მათ შორის: მოსამართლის გადაწყვეტილების გასაჩივრება, დისციპლინური საქმის განმხილველ ორგანოში საჩივრის წარდგენა და ა. შ.

ადვოკატმა შეიძლება, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ასევე გააკრიტიკოს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი ან ადვოკატი. ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის კრიტიკა შეიძლება იყოს კლიენტის ინტერესებში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი კანონმდებლობასა და სასამართლო პროცესის დადგენილ წესებს არღვევს, მცდარ ინფორმაციას აწვდის სასამართლოს ან/და სხვა არაკანონიერი საშუალებებით ცდილობს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენას, თუმცა ადვოკატმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი მისი კოლეგაა და მისი გადაჭარბებული კრიტიკა შეიძლება ადვოკატის პროფესიის რეპუტაციისთვის იყოს დამაზიანებელი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის კრიტიკისას ადვოკატმა უნდა დაიცვას გონივრული ბალანსი კლიენტის ინტერესების დაცვასა და ადვოკატის რეპუტაციის დაცვას შორის.<sup>71</sup> გონივრული ბალანსის დასაცავად სასამართლო მიიჩნევს, რომ ადვოკატის კრიტიკული მოსაზრებები უნდა დაეფუძნოს რეალურ ფაქტებს და თავი აარიდოს „არასამართლიანი და არათანაზომიერი“ მოსაზრებების გავრცელებას.<sup>72</sup>

ადვოკატს შეუძლია, კლიენტის ინტერესების დასაცავად გააკრიტიკოს სასამართლო პროცესში ჩართული მესამე პირები, მათ შორის: საქმეში მონაწილე ექსპერტი, მოწმე და ა.შ. მესამე პირები შეიძლება სასამართლო პროცესზე მოიწვიონ მხარეებმა ან სასამართლომ, რათა საქმესთან დაკავშირებით ღირებული ინფორმაცია წარმოადგინონ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში წვლილი შეიტანონ. აღსანიშნავია, რომ მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეიძლება მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყოს სასამართლოსთვის, ამიტომ ადვოკატს უფლება აქვს, შეაფასოს მესამე პირების პროცესში მონაწილეობა და გააკრიტიკოს ისინი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

ადვოკატის მიერ სასამართლო პროცესში ჩართული მესამე პირების კრიტიკა დამა-

69 კიპრიანო კვიპროსის წინააღმდეგ (*Kiprianou v. Cyprus*), 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება, 179-ე პუნქტი.

70 იხ. 63-ე სქოლიო, მე-40 პუნქტი.

71 ჯ.ფ. შვეიცარიის წინააღმდეგ (*G.F. v. Switzerland*), 1995 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მე-2 პუნქტი.

72 იქვე, მე-2 პარაგრაფი.

ტებით შეზღუდვებს ექვემდებარება, რადგან კრიტიკული მოსაზრებები მიმართულია კერძო პირებისკენ და მათ არ აქვთ კრიტიკის თმენის ისეთივე ვალდებულება, როგორც მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლოს განმარტებით, ადვოკატის კრიტიკულმა განცხადებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მესამე მხარის პროფესიულ საქმიანობასა და რეპუტაციაზე საზოგადოებაში. სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატს უნდა ჰქონდეს კრიტიკული განცხადებების ფაქტობრივი საფუძველი და სასამართლო პროცესის დროს თავი შეიკავოს უპატივცემულო ტონისგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლო დარბაზში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების დაცვის სტანდარტი განსხვავებულია სასამართლო პროცესის მონაწილეების მიმართ და დამოკიდებულია მათ სტატუსზე, ფუნქციებსა და პროფესიულ ვალდებულებებზე. შესაბამისად, ადვოკატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სასამართლო დარბაზში გამოთქმული მოსაზრებების შინაარსს, ფორმასა და ტონს, რათა მოსამართლემ მის მიმართ არ გამოიყენოს შემზღუდველი ღონისძიებები და კლიენტი არ დარჩეს საერთოდ სამართლებრივი დაცვის გარეშე.

## 5. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი ფედერალური სასამართლოს სტანდარტების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ადვოკატი სარგებლობს გამოხატვის თავისუფლებით, როგორც მოქალაქე და როგორც პროფესიონალი. ამასთანავე, რიგითი მოქალაქისაგან განსხვავებით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება დამატებით შეზღუდვებს პროფესიული ვალდებულებების და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინტერესების საფუძველზე.

კვლევამ აჩვენა, რომ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებისას მნიშვნელოვანია ისეთი პროფესიული ვალდებულებების გათვალისწინება, როგორებიცაა: პროფესიონალიზმი, ერთგულება, კონფიდენციალობის დაცვა, კლიენტის ინტერესების დაცვა, კოლეგიალობა, მოსამართლისა და სასამართლო პროცესის მონაწილეების პატივისცემა. მოცემულ შემთხვევაში ყურადსაღები კი ლეგიტიმური სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინტერესებია: სამართლიანი სასამართლო პროცესის ხელშეწყობა, მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება და ადვოკატის პროფესიის რეპუტაციის დაცვა.

ადვოკატის, როგორც მოქალაქის მიერ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე უფრო მაღალი დაცვის სტანდარტით სარგებლობს, ვიდრე ადვოკატის მიერ პირად საკითხებზე მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმა, რადგან ამ უკანასკნელს მაღალი საზოგადოებრივი ღირებულება არ გააჩნია. შესაბამისად, ადვოკატმა უნდა დაიცვას გონივრული ბალანსი პირადი ინტერესების დასაცავად გამოთქმულ განცხადებებსა და კლიენტის ან სასამართლო პროცესის სხვა მონაწილე-

ების უფლებებს შორის.

ადვოკატის, როგორც პროფესიონალის, გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზის გარეთ და სასამართლო დარბაზში უნდა გამომდინარეობდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებას ისახავდეს მიზნად. მიუხედავად ამისა, ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზის გარეთ კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოთქმული მოსაზრებები უფრო მეტად შეიძლება შეიზღუდოს, ვიდრე სასამართლო დარბაზში, რადგან სასამართლო პროცესის მონაწილეებს სასამართლო დარბაზში გაუღერებულ კრიტიკაზე დაუყოვნებლივ შეუძლიათ პასუხის გაცემა ან/და შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება, თუმცა სასამართლო დარბაზის გარეთ განცხადების გავრცელებისას ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს მედიაში გამართულ „ფსევდოპროცესებში“ მონაწილეობას და ხელი არ შეუწყოს სასამართლო პროცესების საჯარო განხილვებით ჩანაცვლებას.

სასამართლოების მიდგომების ანალიზი ამტკიცებს, რომ მნიშვნელოვანია, ადვოკატის გამოხატვის უფლების შეზღუდვის თანაზომიერების შეფასებისას ყურადღება მიექცეს გამოთქმული მოსაზრების მიზანსა და მოტივს, შინაარსს, ფორმასა და კონტექსტს, გამოთქმული მოსაზრებების გავლენასა და დამდგარ ზიანს მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციისა თუ ადვოკატის პროფესიის რეპუტაციასთან მიმართებით. გარდა ამისა, სასამართლოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ადვოკატისთვის დაკისრებული სანქციის სიმკაცრესა და თანაზომიერებას, რადგან არათანაზომიერ სანქციებს შეიძლება „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონდეს ადვოკატების სამომავლო გამოხატვის თავისუფლებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გადანყვეტილება მიღებული იყოს კონკრეტული შემთხვევის გარემოებების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე.

## ავტორთა შესახებ

**ციცი გიგოძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი; იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტის სტაჟიორი.

**გური (ბაჩანა) ებრაღიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს სტაჟიორი.

**კონსტანტინე კორკელია** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი; საერთაშორისო საჯარო სამართლის მაგისტრი (ლეიდენი, ნიდერლანდი); იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ); იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (თსუ); გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი.

**ქეთევან კუკავა** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი; საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი); ადამიანის უფლებების პოლიტიკისა და პრაქტიკის მაგისტრი (გოთენბურგის, როეჰამპტონისა და ტრომსოს უნივერსიტეტები); ა(ა)იპ „სამართლისა და საჯარო პოლიტიკის ცენტრის“ დამფუძნებელი.

**ბესიკ ლოლაძე** – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი (*summa cum laude*, პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია).

**ნანა მჭედლიძე** – თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ლექტორი, ალტე უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი; არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ სტრატეგიული სამართალწარმოების ექსპერტი.

**თამარ ონიანი** – სამართლის დოქტორანტი (თსუ); საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (*summa cum laude* – GIPA), სამართლის ბაკალავრი (*cum laude*, თსუ); ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია); მოწვეული ლექტორი (თსუ, GIPA, კავკასიის უნივერსიტეტი).

**მარიამ ონიანი** – საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი; გაეროს მოსახლეობის ფონდისა და საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების პროექტების ასისტენტი.

**ირაკლი პაპავა** – იურისტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი; სსიპ „საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ გურიის რეგიონული წარმომადგენელი.

**ნინო ცუხიშვილი** – გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) სამართლის დოქტორი; ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (CEU) შედარებითი კონსტიტუციური სამართლის მაგისტრი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამის საჯარო მმართველობის მაგისტრი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) ასოცირებული პროფესორი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

## **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით წინა წლებში გამოცემული სტატიათა კრებულები:**

- ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (2006 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები (2007 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები (2009 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები (2010 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო (2011 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები (2012 წელი);
- ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა (2013 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში (2014 წელი);
- ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (2015 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები (2016 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში (2017 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა (2018 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს ვალდებულებები (2019 წელი);

- ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია (2020 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა (2021 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია (2021 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება (2022 წელი);
- ადამიანის უფლება დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები (2023).

სტატიათა კრებულის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია თსუ-ის იური-  
დიული ფაკულტეტის ვებგვერდზე.

